ვაჟა თვალავაძე

# ახალი ისტორია

## 1815-1871 წლები

ნაკვეთი II

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2006

უაკ (UDC) 940
თ 522

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ევროპისა და ამერიკის იმ ქვეყნების ახალი ისტორიის საკითხები, რომლებიც 1815-1871 წლებში განაპირობებდნენ მსოფლიო ისტორიული პროცესების განვითარების ტენდეციებს.

ნაშრომი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტებისა და ისტორიის მასწავლებლებისათვის. იგი დაინტერესებს, აგრეთვე, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის მკვლევარებსა და მკითხველთა ფართო საზოგადოებას.

რედაქტორი **სალომე დუნდუა,**
პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

რეცენზენტები: † **არჩილ ჩხეიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
**არჩილ ათანელიშვილი,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გარეკანის პირველ გვერდზე:**
*ზემოთ – 1830 წლის ივლისის რევოლუცია პარიზში (თანამედროვე ნახატი)*
*ქვემოთ – 1832 წლის 27 მაისს ქალაქ ჰფალცში, ჰამბახის ციხის ნანგრევებთან სახალხო დემონსტრაცია (თანამედროვე ნახატი)*

**გარეკანის მეორე გვერდზე:**
*დანიაზე (1864), ავსტრიაზე (1866) და საფრანგეთზე (1870) გამარჯვების აღსანიშნავად 1873 წლის 2 სექტემბერს, ბერლინში, სამეფო მოედანზე აღმართული ძეგლი*

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2006
© ვ. თვალავაძე

ISBN 99940-46-31-4 (სერია)
ISBN 99940-46-33-0

# შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მოიცავს ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი ისტორიის მეტად მნიშვნელოვან პერიოდს — 1815-1871 წლებს, ე.ი. ვენის კონგრესიდან საფრანგეთ-გერმანიის ომისა და გერმანიის იმპერიის შექმნამდე პერიოდს. ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ მოწვეული ვენის კონგრესი თავისი დროის ყველა კონგრესებს შორის გამოირჩეოდა მასზე განხილული საკითხების გლობალურობით და რაოდენობით. კონგრესის დასკვნითი აქტი იყო პირველი ცდა იმისა, რომ „საბოლოოდ" დაედგინათ ნაპოლეონის მიერ მიჭრილ-მოჭრილ სახელმწიფოთა საზღვრები და კოლექტიური შეთანხმების გზით მტკიცე საფუძველი შეექმნათ მშვიდობისათვის.

როგორი არასრულყოფილიც არ უნდა მოგვეჩვენოს ვენის კონგრესის დადგენილებები, როგორი შემთხვევითი, თვითნებური და კანონსაწინააღმდეგოც არ უნდა იყოს ზოგიერთი მათგანის პრაქტიკაში გამოყენება, ფაქტი ერთია — ამ კონგრესმა ევროპას მოუტანა იმ დროისათვის ყველაზე ხანგრძლივი და ნაყოფიერი მშვიდობიანობის პერიოდი და, ამდენად, ხელი შეუწყო ცივილიზაციის განვითარებას.

ასევე უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო საფრანგეთ-გერმანიის ომის შემდეგ ევროპის ცენტრში ძლიერი გერმანიის იმპერიის შექმნა და აპენინის ნახევარკუნძულზე იტალიის ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

აღნიშნულ პერიოდში ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოხდა რევოლუცია, დაემხო ე.წ. **ძველი რეჟიმი**, რომლის დამახასიათებელი ნიშნები იყო:

მკვეთრი განსხვავება საზოგადოებრივ მდგომარეობასა და უფლებრივ პრივილეგიებში, ერთი მხრივ, სამხედრო-ფეოდალურ და მქონებელ კლასებსა და, მეორე მხრივ, მშრომელ-მწარმოებელ კლასებს შორის; თანამდებობები, პრივილეგიები მემკვიდრეობით გადაეცემო-

---

[1] ზოგიერთი ისტორიკოსი ამ ომს საფრანგეთ-პრუსიის ომს უწოდებს მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ სხვა გერმანული სახელმწიფოებიც იბრძოდნენ.

და, ისევე როგორც მემკვიდრეობით გადადიოდა ფეოდალური ვალდებულებები. ამის გამო სახელმწიფო გამოდიოდა გაბატონებული კლასების დამცველის როლში. ძველი რეჟიმი, ბუნებრივია, ზღუდავდა ცალკეული პიროვნების თავისუფლებას, მის საქმიანობას და გონებრივ მისწრაფებებს: ადამიანი მიჯაჭვული იყო თავის წოდებრივ მდგომარეობაზე და სარწმუნეობაზე; სახელმწიფო ხელისუფლებას, იცავდა რა უმცირესობის ინტერესებს, ეშინოდა თავისუფალი აზრის, თავისუფალი სიტყვის და ყოველმხრივ დევნიდა მათ. მაგრამ, ამავე დროს, ძველი რეჟიმი ერთიანი არ იყო მთელს ევროპაში, იგი სხვადასხვანაირად ვლინდებოდა თითოეულ ქვეყანაში; ინგლისში შედარებით ნაკლებად იგრძნობოდა მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, კონტინენტური ევროპის ქვეყნებში კი უფრო მძიმე იყო მისი შედეგები; ამიტომ თავისუფლებისაკენ სწრაფვაში ინგლისი იყო ფრანგების მაგალითი. სამაგიეროდ, საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროს გავრცელებული პროგრესული იდეები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჰპოვებდა გამოძახილს.

1789 წ. რევოლუციის შემდეგ საფრანგეთის საზოგადოება საკვებით შეიცვალა. აღარ არსებობდა რაიმე პრივილეგიები და განცალკევებულობა წოდებებს შორის, რომელიც ძველი რეჟიმის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი იყო; ადამიანთა შეგნებაში მტკიცედ დამკვიდრდა ცნება უფლებრივი თანასწორობის შესახებ. ხალხთა უზარმაზარმა მასამ თავი დააღწია სიბნელესა და უუფლებობას. სწორედ ამიტომ საფრანგეთში, ისევე როგორც ინგლისში, დემოკრატიისათვის და პოლიტიკური თავისუფლებისათვის მოძრაობების ინიციატორებად გამოდიოდნენ არა მარტო შედარებით განვითარებული, საქმიანი და მრავალრიცხოვანი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, არამედ სამრეწველო პროლეტარიატიც, რომელიც ინგლისში სამრეწველო რევოლუციის დროს, ხოლო საფრანგეთში XIX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა. ეს ორი დიდი ჯგუფი, რომლებიც გამოირჩეოდნენ ძველი მესამე წოდებიდან, პოლიტიკურ ბრძოლაში ჯერ კიდევ ერთად იბრძოდნენ პრივილეგირებული წოდებების და რეაქციული მთავრობების წინააღმდეგ; მაგრამ პოლიტიკურ მოკავშირეებს შორის უკვე იგრძნობოდა ძლიერი სოციალური დაპირი-

სპირება, ინტერესთა სხვადასხვაობა და მტრობა, რომელიც მალე გადაიზარდა სოციალურ ბრძოლაში.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისსა და საფრანგეთში დემოკრატიული იდეალების ცხოვრებაში დამკვიდრებისათვის ბრძოლას გარკვეული ტრადიციები გააჩნდა, ახალი დემოკრატიული საზოგადოება ჩამოყალიბდა არა ამ ქვეყნებში, სადაც მაინც ძალიან ძნელი იყო საუკუნეებით განმტკიცებული წოდებრივი განსხვავებულობის დაძლევა, არამედ ამერიკაში, ქვეყანაში, რომელსაც არ ჰქონდა დიდი ხნის ისტორია, სადაც ადამიანები ახლიდან იწყებდნენ ცხოვრებას. დემოკრატიის განვითარებისათვის ყველაზე კარგი პირობები იყო ინგლისის ამერიკაში, ხოლო შემდეგ აშშ-ი. ამ ქვეყანამ დიდი გავლენა იქონია ევროპაზეც.

1815 წლისათვის ევროპის ქვეყნების უმრავლესობა ჯერ კიდევ არ იყო მზად ბურჟუაზიული რევოლუციებისათვის. ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ ომებში და ევროპაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ხელმძღვანელობა წილად ხვდა ფეოდალურ ზედაფენას და არა ბურჟუაზიას. ამიტომ ევროპის ხალხების ნაპოლეონზე გამარჯვების უშუალო შედეგი იყო არა ბურჟუაზიული რევოლუციები, არამედ ფეოდალურ-არისტოკრატიული რეაქცია ევროპაში და ბურჟუაზიულ-არისტოკრატიული ინგლისის წარმატებები, რომელმაც საფრანგეთთან ბრძოლაში განიმტკიცა თავისი ბატონობა ზღვებზე, კოლონიებში და ვაჭრობაში.

ვენის კონგრესის შემდეგ ფეოდალურ-მონარქისტულმა მთავრობებმა ფეოდალური რეაქციის განმტკიცების მიზნით შექმნეს „საღვთო კავშირი", მაგრამ „საღვთო კავშირის" კონტრრევოლუციურ პოლიტიკას და ვენის კონგრესზე ჩამოყალიბებულ ურთიერთობათა მთელ სისტემას არყევდა კაპიტალიზმის ზრდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები და ბურჟუაზიული რევოლუციები. „საღვთო კავშირის" მონაწილეთა აგრესიულ მისწრაფებებს შორის არსებული წინააღმდეგობებიც ხელს უწყობდა მის დაშლას და ფეოდალიზმისა და აბსოლუტიზმის განმტკიცების ყოველგვარი მცდელობის კრახს. იმის მიუხედავად, რომ ინგლისი არ შედიოდა „საღვთო კავშირში", ამ ქვეყნის დიპლომატია თანაუგრძნობდა კონტინენტურ ევროპაში

ფეოდალურ-მონარქისტული და ბურჟუაზიული ძალების კონტრ-რევოლუციას, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში ფეოდალურ რეაქციას. ფეოდალურ-მონარქისტულ რეაქციასთან მჭიდროდ თანამშრომლობდა ივლისის მონარქია, განსაკუთრებით გიზოს მთავრობის დროს. მაგრამ ფეოდალურ რეაქციას, რომელსაც მხარს უჭერდა ბურჟუაზიული ინგლისი, სამრეწველო გადატრიალების, ბურჟუაზიული რევოლუციებისა და ეროვნული მოძრაობების გამო, არ შეეძლო დიდხანს შეეშალა ხელი ევროპაში ფეოდალური სისტემის კრიზისის გაღრმავებისათვის.

'საღვთო კავშირის'' სისტემას უკანასკნელი ლახვარი ჩასცეს 1848 წლის რევოლუციებმა და ყირიმის ომმა, რომელმაც დააკნინა ცარიზმის საერთაშორისო როლი.

1815-1871 წწ. სამრეწველო-ტექნიკური პროგრესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. სამრეწველო გადატრიალება პირველად ინგლისში დაიწყო, რადგანაც ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ XVII ს. მოხდა რევოლუცია. XIX ს. 60-იან წლებში სამრეწველო გადატრიალება ძირითადად დამთავრდა საფრანგეთში, ბელგიაში და მომდევნო ორი ათეული წლის განმავლობაში — გერმანიაში, იტალიაში, ავსტრიაში.

სამრეწველო გადატრიალების შედეგად შეიცვალა საზოგადოებრივი ურთიერთობანი: მანუფაქტურული სტადიიდან კაპიტალიზმი გადავიდა მსხვილ საფაბრიკო წარმოებაზე და ჩამოყალიბდა კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივი წყობა. ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდა.

კაპიტალიზმის გამარჯვებამ ფეოდალიზმზე დააჩქარა ტექნიკური პროგრესი. საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერების განვითარება აუცილებელი იყო საწარმოო ძალების განვითარებისათვის. XIX ს. შუა ხანებისათვის ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიისა და მეცნიერების სხვა დარგების განვითარებამ ნიადაგი მოამზადა ბუნებაში მოძრაობის მრავალნაირი ფორმების შეცნობისათვის. XIX ს. პირველ ნახევარში უკვე მუშავდებოდა საკითხები ცხოველთა და მცენარეული სამყაროს სახეობათა წარმოშობის შესახებ.

XIX საუკუნე გახდა ორთქლის ძრავის საუკუნე, რომელიც

გამოიგონა ინგლისელმა უატმა. ამავე საუკუნის მეორე მეოთხედში იწყება სარკინიგზო მშენებლობა და ფართოდ გამოიყენება ორთქლის გემები. 1840 წ. სარკინიგზო ქსელის სიგრძემ ევროპაში და ამერიკაში მიაღწია 8 ათას კილომეტრს, ხოლო 1850 წ. – 38 ათას კილომეტრზე მეტს. რელსებზე, ვაგონებზე და ორთქმავლებზე მოთხოვნილების ზრდამ ხელი შეუწყო მეტალურგიული მრეწველობის აღმავლობას. საოკეანო და სარკინიგზო მიმოსვლის განვითარების შედეგად გაიზარდა საერთაშორისო ურთიერთგაცვლა, მსოფლიო ბაზარში ჩაებნენ ჩამორჩენილი ქვეყნები და ისეთი ადგილები, რომლებიც შორს მდებარეობდნენ სავაჭრო ცენტრებისაგან.

დიდი აღმოჩენები იყო ელექტროობის, ფიზიკისა და ქიმიის დარგებში: 1863 წ. ლონდონში გაიხსნა პირველი მეტრო, 1866 წ. პირველად მსოფლიოში ატლანტის ოკეანეში ჩადებული კაბელით ინგლისი და აშშ ერთმანეთს დაუკავშირდნენ, 60-იან წლებში გამოიგონეს ტელეფონი, სწრაფად ვითარდებოდა სამხედრო ტექნიკა და სხვა.

**კაპიტალიზმის განვითარებისა და განმტკიცების მთავარი სოციალური შედეგი იყო ორი ახალი კლასის – ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბება.** პროლეტარიატის რიცხობრივ ზრდასთან ერთად ძლიერდებოდა მათი ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

არსებული სიძნელეების მიზეზებად ზოგიერთები საზოგადოებრივი წყობის ნაკლოვანებებს, შრომისა და კაპიტალის არათანაბარ დანაწილებას მიიჩნევდნენ. ამიტომ ამ უბედურებისაგან თავდაღწევას სოციალისტური იდეების ცხოვრებაში დამკვიდრებით ცდილობდნენ. ამ იდეების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედნი და პროპაგანდისტები იყვნენ ინგლისელი ოუენი, ფრანგები სენ-სიმონი და ფურიე.

როდესაც მათი იდეების უტოპიურობა აშკარა გახდა, ევროპის მუშათა ნაწილი, თავიანთი კლასობრივი ინტერესების დაცვისათვის, ცდილობდა ერთიანი მოქმედებისათვის გაერთიანებას. გაერთიანება მოხდა 1864 წელს ლონდონში, სადაც შეიქმნა **პირველი ინტერნაციონალი** (მუშათა საერთაშორისო საზოგადოება). მის ორგანიზაციას საფუძვლად დაედო მარქსის პროექტი: სხვადასხვა ქვეყნების

მუშათა დელეგატები, მათთვის საჭირო საკითხების გადასაწყვეტად წელიწადში ერთხელ უნდა შეკრებილიყვნენ კონგრესზე; კონგრესი ირჩევდა საერთო საბჭოს, რომლის ადგილსამყოფელი ლონდონში იქნებოდა. ინტერნაციონალი თავისი მიზნების მიღწევას მშვიდობიანი გზებით ცდილობდა.

მსხვილი მრეწველობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა ქალაქების მოსახლეობის რაოდენობაც. ფეოდალიზმის პერიოდთან შედარებით ქალაქების როლი მკვეთრად შეიცვალა: ხელოსნური, მანუფაქტურული წარმოებისა და სავაჭრო ცენტრებიდან ისინი გადაიქცნენ მსხვილი საფაბრიკო ინდუსტრიის ცენტრებად.

მოწინავე ქვეყნებში კაპიტალიზმის გამარჯვებისა და განმტკიცების პერიოდში ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული საპარლამენტო დაწესებულებები. ბევრ ქვეყანაში აბსოლუტურმა მონარქიამ ადგილი დაუთმო რესპუბლიკურ და კონსტიტუციურ-მონარქიულ წყობას. ბურჟუაზიული პოლიტიკური თავისუფლებები, პარლამენტარიზმი უადვილებდა ბრძოლას წვრილ ბურჟუაზიას, პროლეტარიატსა და გლეხობას თავიანთი ინტერესებისათვის, აძლევდა მათ საშუალებას ზეპირი და ბეჭდვითი გამოსვლებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ მუშები შეძლებდნენ პარლამენტში თავიანთი დეპუტატის გაყვანას, მათ შეეძლოთ პარლამენტის ტრიბუნიდან გაეკრიტიკებინათ მმართველი კლასების პოლიტიკა, როგორც ამას აკეთებდნენ ა. ბებელი და კ. ლიბკნეხტი ჩრდილოგერმანულ რაიხსტაგში.

ფეოდალურ-აბსოლუტურ მონარქიასთან შედარებით ბურჟუაზიული პარლამენტარიზმი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ბურჟუაზიული რევოლუციებისა და 1815-1871 წწ. პოლიტიკური რეფორმების დროს ბურჟუაზიული ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოები თანდათანობით მტკიცდებოდნენ და უფრო ერთგულად ემსახურებოდნენ ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს.

# თავი I. ვენის კონგრესი და «საღვთო კავშირი»

ვენის საერთაშორისო კონგრესით დამთავრდა ევროპის სახელმწიფოების მრავალწლიანი ომი რევოლუციური საფრანგეთისა და ნაპოლეონის წინააღმდეგ. კონგრესი მიმდინარეობდა 1814 წლის სექტემბრიდან 1815 წლის ივნისამდე, როდესაც გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს დასკვნით აქტს.

თავისი დროის კონგრესებიდან ვენის კონგრესი ყველაზე მნიშვნელოვანია მასზე გადაწყვეტილი პრობლემების სირთულისა და მიღებული დადგენილებების მიხედვით. სწორედ ამით აიხსნება ის დიდი ინტერესი, რასაც მისდამი იჩენდნენ და დღესაც იჩენენ მეცნიერი-მკვლევარები და დიპლომატები.

**წინააღმდეგობები გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის.** დიდი სიძნელეების მიუხედავად, 1813 წლის ბოლოს ნაპოლეონმა მაინც შესძლო რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება საფრანგეთში შეჭრილ მოწინააღმდეგეებზე. ამან აიძულა ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი დაეწყო მოლაპარაკება ნაპოლეონთან. როდესაც ეს ცნობილი გახდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ქასთრლისათვის, მან მოკავშირე სახელმწიფოებს მოუწოდა დაედოთ ხელშეკრულება ნაპოლეონის წინააღმდეგ ერთიანი მოქმედებისათვის. ასეთი ხელშეკრულება მართლაც დაიდო 1814 წ. მარტში, რომელიც ცნობილია შომონის (საფრანგეთი) ტრაქტატის სახელწოდებით. მასზე ხელმომწერი სახელმწიფოები რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია და პრუსია პირობას დებდნენ იმის თაობაზე, რომ საფრანგეთის წინააღმდეგ გააგრძელებდნენ ომს საბოლოო გამარჯვებამდე და არ დადებდნენ მასთან წინასაზავო შეთანხმებას ან ზავს ერთმანეთის თანხმობის გარეშე.

მოკავშირეები ერთმანეთს ჰპირდებოდნენ თავიანთი ქვეყნების საზღვრების დაცვას საფრანგეთის მხრიდან აგრესიის შემთხვევაში და ვალდებულებას იღებდნენ ომისშემდგომ ევროპაში ერთიანი ძალით წესრიგის დამყარების შესახებ.

შომონის ტრაქტატის საიდუმლო მუხლები განსაზღვრავდნენ ომის შემდგომ ევროპის მოწყობას: გერმანიაში ცალკეული სამთავროების შენარჩუნებას, შვეიცარიის ძველ საზღვრებში აღდგენას და იტალიის დაქუცმაცებას დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, ესპანეთში ბურბონთა ტახტის (ფერდინანდ VII), ხოლო ჰოლანდიაში ორლეანელთა დინასტიის აღდგენას და სხვა.

**პარიზის ტრაქტატით (1814 ზ. 30 მაისი)**, რომელსაც ხელს აწერდნენ ინგლისი, ავსტრია, რუსეთი, პრუსია, ესპანეთი, შვეცია, პორტუგალია და საფრანგეთი, კიდევ უფრო განმტკიცდა შომონის შეთანხმებები. გადაწყვიტეს ომის მონაწილე ქვეყნებს ორი თვის შემდეგ გაეგზავნათ თავიანთი წარმომადგენლები ვენაში, სადაც საბოლოოდ დადებდნენ ზავს. მომავალ კონგრესზე, მეთვალყურის როლში, მონაწილეობას მიიღებდა საფრანგეთიც, რათა დაეკმაყოფილებინათ მისი ეროვნული თავმოყვარეობა, ძირითად საკითხებს კი გადაწყვეტდა შომონის ხელშეკრულების მონაწილე ოთხი სახელმწიფო: ავსტრია, დიდი ბრიტანეთი, პრუსია და რუსეთი.

მოჩვენებითი ერთსულოვნების მიუხედავად, მოკავშირე სახელმწიფოებს შორის არსებობდა მთელი რიგი წინააღმდეგობები, რომელთა მიჩქმალვას ცდილობდნენ ისინი ვენის კონგრესის გახსნამდე.

პრუსიას უნდოდა 1806 წლამდე არსებული თავისი საზღვრების აღდგენა ე.ი. ვარშავის საჰერცოგოს დიდი ნაწილის დაბრუნება, რაც ეწინააღმდეგებოდა ალექსანდრე I პატივმოყვარულ გეგმებს. რუსეთის იმპერატორს სურდა დანაწილებული პოლონეთის გაერთიანება ერთიან პოლონეთის სამეფოდ, რომლის მეფე თვითონ იქნებოდა, ახლად შექმნილი სახელმწიფო კი პირადი უნიით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო რუსეთთან. ამ გეგმის განხორციელებით რუსეთი მიუახლოვდებოდა გერმანიის ძველ საზღვრებს, რაც პრუსიელების შეშფოთებას იწვევდა, არც ავსტრია აპირებდა პოლონეთის დანაწილების შედეგად მიღებული ტერიტორიების დათმობას.

ალექსანდრე I ჩანაფიქრის განხორციელებას მისი ქვეშევრდომებიც კი ეწინააღმდეგებოდნენ. მათ დანაწილებული პოლონეთი რუსეთისათვის უფრო სასარგებლოდ მიაჩნდათ, ვიდრე ერთიანი,

რადგანაც შემოერთებული პოლონელების გულის მოგების მიზნით რუსეთი მთელ რიგ დათმობებზე უნდა წასულიყო: უნდა მიეცა მათთვის თავისუფალი დაწესებულებები, სეიმი და სხვა. ეს კი საშიში მაგალითი გახდებოდა იმპერიის მცხოვრებთათვის. „შეიძლება კი დავიჯეროთ, – წერდა რუსი დიპლომატი ნესელროდე, – რომ პოლონელის გულში როდესმე გაჩნდება სურვილი იხილოს პოლონეთი რუსეთის შემადგენლობაში?“ ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, ალექსანდრე I კვლავ არაერთხელ დაუბრუნდა თავისი გეგმის განხორციელებას იმ განსხვავებით, რომ პოლონეთის სამეფოს შექმნა მას განზრახული ჰქონდა პოლონეთის დანაწილების შედეგად პრუსიისა და ავსტრიის მიერ მიტაცებული მიწებისაგან.

რუსეთის იმპერატორი აპირებდა ისეთი კომბინაციის განხორციელებას, რომელიც, მისი აზრით, ყველა დაინტერესებულ მხარეს დააკმაყოფილებდა. კერძოდ, პრუსია მიიღებდა საქსონიას,[1] ამით იგი გახდებოდა ყველაზე მრავალრიცხოვანი გერმანელებით დასახლებული სახელმწიფო და, ამგვარად, მყარად მოიკიდებდა ფეხს „საღვთო რომის იმპერიის“ შუაგულში. სლავებით დასახლებული ტერიტორიები კი, რომლებიც მან შეიერთა პოლონეთის 1793 და 1795 წლების დანაწილების შედეგად, რუსეთის ხელში უნდა გადასულიყო. ამ პირობებზე ალექსანდრე I და ფრიდრიხ-ვილჰელმ III საიდუმლოდ შეთანხმდნენ, რადგანაც დანარჩენი მოკავშირეები ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ კომბინაციას.

ინგლისი არ იყო წინააღმდეგი, თუკი პრუსია შეიერთებდა საქსონიას. პირიქით, ამას ისინი თავიანთ სასარგებლოდ მიიჩნევდნენ, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთთან პრუსიისა და ავსტრიის გამგებლობაში მყოფი პოლონური მიწების მიერთებას. მათი აზრით, ეს გააძლიერებდა რუსეთს არა მარტო ევროპაში, არამედ აღმოსავლეთშიც.

ავსტრიის ხელისუფლებასაც კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რა საშიშროებას წარმოადგენდა მისთვის ევროპაში გაძლიერებული რუსეთი,

---

[1] საქსონიის მეფე ამავე დროს ვარშავის დიდი ჰერცოგი იყო. მას, როგორც ნაპოლეონის მოკავშირეს, ყველა სამფლობელო ჩამოართვეს.

მაგრამ ის მაინც თანახმა იყო უკიდურეს შემთხვევაში დაეთმო პოლონური პროვინციები იტალიის ტერიტორიების ნაცვლად. ამასთანავე, მეტერნიხს სურდა მიეღო ალპებზე გადასასვლელები იმ მოტივით, რომ მომავალში საფრანგეთის აგრესიისაგან დაეცვა იტალიის პატარა სახელმწიფოები. ასეთი მფარველობა, კანცლერის აზრით, მათ გადააქცევდა ავსტრიის ყურმოჭრილ მონებად.

ამგვარად, ვენის კონგრესის გახსნამდე, მოკავშირე სახელმწიფოებს შორის უკვე არსებობდა სერიოზული უთანხმოებანი, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი საქსონია-პოლონეთის მიწების განაწილების საკითხი იყო.

**ლეგიტიმიზმის პრინციპი.** საფრანგეთის მთავრობამ თავდაპირველად არ იცოდა მოკავშირეებს შორის არსებული წინააღმდეგობების დაწვრილებითი შინაარსი, მაგრამ თანდათანობით მისთვის ყველაფერი გაცხადდა. უთანხმოებები გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის კარგ შანსს აძლევდა საფრანგეთს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაეღრმავებინა მის მოწინააღმდეგეთა ურთიერთდამოკიდებულებაში არსებული ნაპრალი. ამ მიზნით, მეფემ და მისმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბრწყინვალე დიპლომატმა ტალეირანმა, კარგად გააანალიზეს შექმნილი მდგომარეობა და შეიმუშავეს მახვილგონივრული და სათანადოდ დასაბუთებული დიპლომატიური გეგმა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა საფრანგეთის დელეგაციას ვენის კონგრესზე.

უპირველესად ლუი XVIII უნდა მიეგნო იმ საშუალებებისათვის, რომლებიც საფრანგეთს გამოიყვანდა იზოლაციიდან, რაშიც იგი მოკავშირე სახელმწიფოებმა მოაქციეს. ამ სახელმწიფოებს კი აერთიანებდა შიში და შური საფრანგეთის სიძლიერის მიმართ. **სწორედ ამ გამაერთიანებელი ფაქტორების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული ლეგიტიმიზმის[2] პრინციპებზე აგებული საფრანგეთის პოლიტიკა.**

კონგრესის მონაწილეებს ოდნავი ეჭვიც კი არ უნდა გასჩენოდათ იმის შესახებ, რომ საფრანგეთს ტერიტორიული გაფართოება სურდა: ინგლისელები მშვიდად უნდა ყოფილიყვნენ ბელგიის თაობაზე, პრუსიელები და სხვა გერმანელები — რაინის მარცხენა სანაპიროს

---

[2] ლეგიტიმური (ლათ. legitimus) ნიშნავს კანონიერს.

მიმართ. ერთი სიტყვით, როგორც ტალეირანი ამბობდა, ევროპის სახელმწიფოები უნდა დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ საფრანგეთი კმაყოფილია იმით, რაც აქვს, რომ იგი კარგად გრძნობს თავს ძველ საზღვრებში, რომ მას სურს ღირსეული და საპატიო ადგილის დამკვიდრება მხოლოდ იმისათვის, რომ უკეთ დაიცვას სუსტი და პატარა სახელმწიფოების ინტერესები. სწორედ ასეთი პრინციპები იყო ჩამოყალიბებული „ტალეირანის ინსტრუქციებში", რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა საფრანგეთის დელეგაციას კონგრესზე. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ხელმწიფე, რომლის ტერიტორიები დაიპყრეს, უნდა დარჩეს თავის უფლებებში მანამ, სანამ თვითონ თავისი ნებით არ დათმობს თავის პრივილეგიებს. – ნათქვამია ამ დოკუმენტში და შემდეგ მითითებულია: სახელმწიფოების ნებაყოფლობითი გაერთიანების გარეშე არავითარი კონფედერაციები არ უნდა შეიქმნას. ამიტომ პატარა გერმანულმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა კონგრესის მუშაობაში; სახელმწიფოს სუვერენული უფლებები არსებობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას სცნობენ სხვა სახელმწიფოები.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, უნდა აღედგინათ ტახტზე საქსონიის მეფე და ბურბონთა დინასტია ნეაპოლში, რომის პაპისათვის უნდა დაებრუნებინათ ჩამორთმეული ტერიტორიები, პოლონეთი უნდა აღედგინათ 1792 წლის საზღვრებში, რადგანაც საფრანგეთსაც ხომ ამდროინდელ საზღვრებში უპირებდნენ მოქცევას; შვეიცარია უნდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ ნეიტრალურ კონფედერაციულ სახელმწიფოდ; ევროპაში უშიშროების შენარჩუნებისათვის ოტომანთა იმპერია ხელუხლებელი უნდა დარჩენილიყო.

ამგვარად, საფრანგეთის პოზიცია იყო გარეგნულად კეთილშობილი და ზედმიწევნით ზუსტად გათვლილი – საფრანგეთი მოკავშირე სახელმწიფოებს უპირისპირებდა იმ სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა ქომაგადაც სულ ცოტა ხნის წინ თვითონ გამოდიოდნენ. ტალეირანის ინსტრუქციაში ჩამოყალიბებული მითითებები გათვალისწინებული იყო არაიმდენად თავის კოლეგებისადმი, არამედ სხვა სახელმწიფოებში საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებისათვის დამარცხებული საფრანგეთის ხასარგებლოდ. ბე-

დის ირონია იყო ის, რომ ოტენის ყოფილი ეპისკოპოსი, იაკობელების, დირექტორიის, ნაპოლეონისა და ახლა ლუი XVIII მსახური, კაცი, რომელიც მოახლოებული საფრთხის დროს რიგრიგობით ღალატობდა თავის სიუზერენებს, მორალს უკითხავდა და ჭკუას ასწავლიდა სხვებს.

ტალეირანმა კარგად იცოდა, რომ არც მისი პარტნიორები — კონგრესის მონაწილე სხვა ქვეყნების წარმომადგენლები იყვნენ მამა აბრამის ბატკნები. თითქმის ყველა მათგანს თავის დროს ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული რესპუბლიკასთან და შემდეგ იმპერიასთან, რითაც ხელს უწყობდნენ ამ რეჟიმებს უზურპატორული პოლიტიკის გატარებაში. ამიტომ ისინი იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ „კოჭლი ეშმაკის" (როგორც უწოდებდნენ ტალეირანს) ოინებს და მასთან ერთად მონაწილეობა მიეღოთ ევროპის რუკის შედგენაში.

**კონგრესის მომზადება.** კონგრესის დაწყებამდე, 1814 წლის სექტემბრის დასაწყისში, წინასწარ თათბირზე, ვენაში შეიკრიბნენ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლები: ავსტრიის კანცლერი მეტერნიხი, რუსეთის წარმომადგენელი ნესელროდე, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ქასთლრი და მისი ძმა ჩარლზ სტიუარტი, პრუსიის კანცლერი ჰანდენბერგი და ცნობილი ენათმეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, ბერლინის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ჰუმბოლდტი. მათ უნდა შეედგინათ კონგრესის სამუშაო პროგრამა, რომელსაც შემდეგ გააცნობდნენ თავიანთი სახელმწიფოების მეთაურებს.

18 სექტემბერს, შემუშავებული გეგმის მიხედვით, ოთხი სახელმწიფოს დიპლომატებმა დაიწყეს პოლონეთის, იტალიისა და გერმანიის საქმეების მოგვარება, მაგრამ სულ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს საკითხები არცთუ ისე ადვილი გადასაწყვეტი იყო.

ვარშავის საჰერცოგოს შემდგომი ბედის განსაზღვრისას მკვეთრად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლები. პრუსია თავის წილს ითხოვდა, ავსტრია — თავისას, რუსეთს უნდოდა მისი შემოერთება მთლიანად და მასზე დამოკიდებელი პოლონეთის სამეფოს შექმნა, ინგლისი მომხრე იყო ერთიანი,

დამოუკიდებელი პოლონეთის შექმნის და არა რუსეთზე დამოკიდებული მარიონეტული სახელმწიფოსი. საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ იღებდა საფრანგეთის წარმომადგენელი, რადგანაც პარიზის ტრაქტატის მიხედვით ტერიტორიული საკითხები კონგრესზე უნდა მოეგვარებინა მხოლოდ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებს.

ბოლოს, როგორც იქნა, შეადგინეს კონგრესის სამუშაო გეგმის ოქმი, რომლის მიხედვით განსახილველი საკითხები იყოფოდა ორ კატეგორიად: 1. ის პრობლემები, რომლებიც ტერიტორიულ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული ე.ი. პოლონეთის, გერმანიისა და იტალიის საკითხები. მათ განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებს, როგორც ეს აღნიშნული იყო პარიზის ტრაქტატში. მიღწეული შეთანხმების შედეგები უნდა გაეცნოთ საფრანგეთისა და ესპანეთის წარმომადგენლებისათვის, მოესმინათ მათი აზრი და სურვილები; 2. გერმანიის ფედერაციული მოწყობის პირობების შეთანხმება. ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინათ ავსტრიის, პრუსიის, ბავარიის, ვიურტემბერგისა და ჰანოვერის წარმომადგენლებს.

ოქმს თან ახლდა დეკლარაციის პროექტი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ კონგრესის მუშაობას უხელმძღვანელებდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, მაგრამ ისინი არცერთ საკითხს არ გადაწყვეტდნენ იმ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გარეშე, რომლებსაც კონგრესზე დასწრების უფლება ჰქონდათ.

1814 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან ავსტრიის დედაქალაქში თანდათანობით თავი მოიყარეს დიდი და პატარა ქვეყნების 216 წარმომადგენელმა. თითოეული მათგანი ან თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და უფლებების აღდგენას მოითხოვდა, ან მიტაცებული ტერიტორიების დაკანონებას, რაც მათ შორის დიდ დავას იწვევდა, საფრანგეთის წინააღმდეგ კი ყველანი ერთსულოვანი იყვნენ. ასეთი მდგომარეობით შემდეგ კარგად ისარგებლეს საფრანგეთის დიპლომატებმა, თავდაპირველად კი ისინი თავს განცალკევებულად გრძნობდნენ. თვითმხილველები იგონებენ, თუ როგორ მოწყენილი და ყველასაგან მიტოვებული იჯდა ტალეირანი კონგრესის გახს-

ნამდე საზეიმო მიღებებზე და წვეულებებზე, მაგრამ სულ მალე მისმა ბრწყინვალე დიპლომატიურმა ნიჭმა და მოხერხებულობამ მდგომარეობა კარდინალურად შეცვალა. ტალეირანის მახვილ თვალს არ გამორჩენია ის საპროტესტო განწყობილება, რომელიც მოკავშირე სახელმწიფოების პრეტენზიული განცხადების გამო – თვითონ გადაეწყვიტათ სადავო საკითხები – დაეუფლა დანარჩენი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. ლეგიტიმიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, მან გადაწყვიტა „დაჩაგრულთა“ ინტერესების დამცველის როლის თამაში, რამაც საფუძვლიანად დააფიქრა დიდი სახელმწიფოები. ტალეირანი მიხვდა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის სახით მას ბევრ საკითხში მოკავშირე ეყოლებოდა, რაც დადასტურდა კიდეც: 4 ოქტომბერს ქასთრლიმ შეადგინა მემორანდუმი, რომელიც თითქმის ზუსტად იმეორებდა ტალეირანის მიერ 28 სექტემბერს პროპაგანდისტული მიზნით გავრცელებული ნოტის ძირითად მოთხოვნას – აღდგენილიყო რუსეთისაგან დამოუკიდებელი პოლონეთის სახელმწიფო.

მოკავშირე სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებასთან ერთად, ტალეირანის პრეტენზიები სულ უფრო და უფრო მატულობდა. ბოლოს მან მიაღწია კიდეც იმას, რისთვისაც ასე თავგამოდებით იღწვოდა – **საფრანგეთის წარმომადგენელს უფლება მისცეს მიეღო მონაწილეობა მთავარ კომიტეტში საკითხების განხილვაში, როგორც თანასწორს თანასწორთა შორის.** მაგრამ არც ეს იყო მისი საბოლოო მიზანი: ტალეირანს სურდა მომავალი კონგრესის მუშაობა წარმართულიყო ისე, რომ მიეღოთ საფრანგეთისათვის სასურველი გადაწყვეტილებები, რაც ადვილი საქმე არ იყო. ბევრის მნახველმა „კოჭლმა ეშმაკმა“ კარგად იცოდა, რომ გარეგნულად ეფექტურ, მიმზიდველ ლეგიტიმიზმის პრინციპებზე დამყარებულ დიპლომატიურ დემარშებს მაშინ მოჰყვებოდა სასურველი შედეგები, თუ მის უკან იქნებოდა რეალური ძალა. ამიტომ იგი ლუი XVIII აცნობებდა: ჩემს სიტყვებს თანასწორობის, საერთაშორისო უფლებების, საფრანგეთის უანგარობის შესახებ სერიოზულად არ მიიჩნევენ. ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ თქვენი უდიდებულესობა სპეციალური დეკლარაციით გააცნობს ხალხს იმ მოსაზრებებს, რომლებითაც ჩვენ

ვხელმძღვანელობთ მოლაპარაკებების დროს და, ამასთანავე, მიანიშნებთ, რომ მტკიცედ გაქვთ გადაწყვეტილი სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად ყველა საშუალებების გამოყენება.

კონგრესის ოფიციალური გახსნის თარიღი რამდენჯერმე გადაიტანეს იმ მოტივით, რომ მასზე განსახილველი საკითხები სათანადოდ არ იყო მომზადებული. სხვა საკითხებთან ერთად კვლავ ამოტივტივდა საქსონია-პოლონეთის თავსატეხი პრობლემა.

მეტერნიხის და ქასთრლის პოზიციები ვარშავის საჰერცოგოს ბედის შესახებ ერთმანეთს ემთხვეოდა — არცერთ მათგანს არ სურდა მისი გადაცემა რუსეთისათვის, პრუსია ცდილობდა საქსონიის შეერთებას, მგრამ არ უნდოდა ალექსანდრე I 28 სექტემბერს მიღწეული ფარული შეთანხმების მეორე ნაწილის შესრულება — რუსეთისათვის პოლონეთის ტერიტორიების დათმობა, ტალეირანი წერილს წერილზე აგზავნიდა საფრანგეთში და მოითხოვდა მეფისაგან საშხედრო ძალის დემონსტრირებას. მცირე გერმანული სახელმწიფოები, განსაკუთრებით ბავარია, ვიურტემბერგი და ჰანოვერი წინააღმდეგნი იყვნენ პრუსიისათვის საქსონიის მიერთების, რადგანაც ამას მოჰყვებოდა მისი გაბატონება მომავალ გერმანიის კავშირში.

როდესაც ალექსანდრე I დაინახა მოკავშირე სახელმწიფოებს შორის ასეთი წინააღმდეგობა პოლონეთის საკითხთან დაკავშირებით, გადაწყვიტა ზოგიერთ დათმობაზე წასულიყო. მან პირად საუბარში განუცხადა ქასთრლის, რომ ვენის კონგრესზე რუსეთი არ შეეცდებოდა პოლონეთის ყველა ყოფილი ტერიტორიის შემოერთებას, არამედ მხოლოდ იმ ნაწილების შემოერთებისათვის იზრუნებდა, რომლებიც 1814 წლისათვის დაკავებული იყო რუსეთის ჯარების მიერ, რომ ის ამ მიწებზე შექმნიდა პოლონეთის სამეფოს, სადაც თვითონ იქნებოდა კონსტიტუციური მონარქი.

რუსეთის იმპერატორი შემდეგ შეეცადა ტალეირანის დამორჩილებას ან მუქარით, ანდა მოსყიდვით. მან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს პირდაპირ განუცხადა: მე მივეცი საქსონია პრუსიას. საქსონიის მეფე თუ არ გადადგება ტახტიდან თავისი ნებით, მაშინ მას წავიყვანთ რუსეთში, სადაც ის სიკვდილამდე დარჩება. ერთი მეფე იქ უკვე მოკვდა. (ალექსანდრე I მხედველობაში ჰყავდა

პოლონეთის მეფე სტანისლავ პონიატოვსკი). იმპერატორის ასეთმა პირდაპირმა და მკაცრმა განცხადებამ ტალეირანი დაარწმუნა იმაში, რომ რუსეთისაგან პრუსიის მეფის ჩამოცილება შეუძლებელი იყო. პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატი მეტერნიხი კი მაინც შეეცადა პრუსიის მიმხრობას. მან 22 ოქტომბერს ჰანდენბერგს გაუგზავნა ნოტა, რომლითაც აცნობებდა პრუსიის წარმომადგენელს, რომ ავსტრია თანახმა იქნებოდა პრუსიის მიერ საქსონიის დროებით ოკუპაციაზე იმ შემთხვევაში, თუ სამაგიეროდ ზურგს შეაქცევდა იგი რუსეთს პოლონეთის საკითხის განხილვისას და მიემხრობოდა ინგლისსა და ავსტრიას. პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ II-ს ეს პოლიტიკური კომბინაცია მეტად საშიში პერსპექტივების მქონედ მიიჩნია და ამ ნოტის შინაარსი გააცნო ალექსანდრე I. გაბრაზებულმა იმპერატორმა თავისთან იხმო მეტერნიხი და, როგორც ტალეირანი იგონებს, ისეთი სიტყვებით შეამკო იგი, რომლებითაც ხელზე მოსამსახურეებსაც კი არ მიმართავენო.

**კონგრესის გახსნა.** ასეთ დაძაბულ ვითარებაში მოახლოვდა კონგრესის ოფიციალური გახსნის დღე — 1 ნოემბერი. ინგლისის, პრუსიისა და რუსეთის წარმომადგენლებისაგან შექმნეს კომისია, რომელსაც უნდა შეემოწმებინა კონგრესზე მონაწილე ქვეყნების წარმომადგენლობათა უფლებამოსილება. უნდა შექმნილიყო კომიტეტები, სადაც გადაწყდებოდა დაინტერესებულ ქვეყნებს შორის სადავო საკითხები. დიდი კამათი გამოიწვია საქსონიისა და ნეაპოლიტანიის (სადაც ნაპოლეონის მიერ დანიშნული მიურატი იყო მეფე) წარმომადგენლების კონგრესზე დაშვების საკითხმა. ყოველივე ეს აბრკოლებდა კონგრესის დროულად გახსნას, მაგრამ ზოგიერთმა კომიტეტმა, ნაკლებად კონფლიქტური საკითხების განსახილველად, მუშაობა მაინც დაიწყო. მაგ., გერმანიის საკითხების განმხილველი კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ ავსტრია, პრუსია, ბავარია და ჰანოვერი, უკვე 14 ოქტომბრიდან ფუნქციონირებდა, 14 ნოემბერს შეიქმნა შვეიცარიის საქმეების განმხილველი კომიტეტი ავსტრიის, პრუსიის, ინგლისისა და რუსეთის შემადგენლობით.

მარად თავსატეხი პოლონეთ-საქსონიისა და ნეაპოლიტანიის სამეფოს მომავალი ბედის გამო გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის

წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამწვავდა. ამით კარგად ისარგებლა ტალეირანმა და ამ უთანხმოებათა შემდგომი გაზრდის მიზნით 1815 წ. 3 იანვარს ავსტრიასთან და ინგლისთან დადო საიდუმლო შეთანხმება, რომელიც მიმართული იყო რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ. იგი ავალდებულებდა მასზე ხელმომწერ ქვეყნებს, თუ რომელიმე მათგანს გარედან თავდასხმის საშიშროება შეექმნებოდა, ურთიერთდახმარების მიზნით დანარჩენ ორ სახელმწიფოს უნდა გამოეყვანა 150 ათასი ჯარისკაცი თითოეულს. ამასთანავე, სამივე სახელმწიფო პირობას დებდა, რომ არ აწარმოებდა სეპარატისტულ მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან.

ამ ფარულმა შეთანხმებამ ალექსანდრე I დილემის წინაშე დააყენა: მას ან უნდა დაეთმო ყოფილი მოკავშირეებისათვის და საფრანგეთისათვის, ანდა მათთან ყოველგვარი კავშირი გაეწყვიტა, თუნდაც ამ ნაბიჯს ომი მოჰყოლოდა. რუსეთის მეფემ დათმობა ამჯობინა. თებერვალში მოხდა შეთანხმება: პრუსიას მისცეს საქსონიის ნაწილი, საქსონიის მეფეს კი, მართალია, დაუტოვეს ტახტი, მაგრამ მკვეთრად შეამცირეს მისი სახელმწიფოს ტერიტორია. ავსტრია და პრუსია სცნობდნენ პოლონეთის სამეფოს შექმნას და მის მეფედ რუსეთის იმპერატორს. კრაკოვი უნდა ყოფილიყო ნეიტრალური თავისუფალი ქალაქი.

კონგრესზე შემდეგ დაიწყეს გერმანული სახელმწიფოების საქმეების გადაწყვეტა, რაც შედარებით ადვილი მოსაგვარებელი იყო: ინგლისი გულგრილად უყურებდა ამ საკითხს, ავსტრია და რუსეთი ერთი აზრის იყვნენ, ისინი საჭიროდ მიიჩნევდნენ გერმანიის ფეოდალური დაქუცმაცებულობის შენარჩუნებას, პრუსიას იმის ძალა არ შესწევდა, რომ წინ აღდგომოდა მათ ამ განხზრახვას.

მეტერნიხის გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო გერმანულ სახელმწიფოთა გაერთიანება „გერმანიის კავშირი". ამ კავშირის საქმეები უნდა ეწარმოებინა „გერმანიის სეიმს", რომლის ადგილსამყოფელი მაინის ფრანკფურტში იყო. „გერმანიის კავშირში" გაერთიანებული იყო 39 სახელმწიფო, მათ შორის ავსტრია და პრუსია. მეტერნიხის ჩანაფიქრით ამ კავშირს მომავალში უნდა შეეჩერებინა საფრანგეთის შესაძლო წინსვლა რაინისაკენ და უნდა უზრუნვე-

ლეყო ავსტრიის წამყვანი როლი გერმანულ სახელმწიფოებს შორის: სეიმის თავმჯდომარედ ავსტრიელი იქნებოდა, ხოლო ხმების რაოდენობა სეიმში ისე იყო განაწილებული, რომ ავსტრიას ყოველთვის გადამწყვეტი ხმა ექნებოდა. რა თქმა უნდა, ამ მოდელით გერმანულ სახელმწიფოთა ნამდვილი გაერთიანება არ მოხდებოდა, პირიქით, იგი მიმართული იყო იქეთკენ, რომ შეენარჩუნებინა მათი ფეოდალური დაქუცმაცებულობა.

კონგრესი უკვე ამთავრებდა მუშაობას, როდესაც ნაპოლეონმა დატოვა კუნძული ელბა და 1815 წლის 1 მარტს 1000 კაცით საფრანგეთის საზღვრებში შევიდა. ამის შესახებ კონგრესის მონაწილეებმა გაიგეს სარდინიის მეფის კურიერისაგან 5 მარტს, როდესაც ისინი საზეიმო ბალზე ერთობოდნენ.

თავის ყოფილ იმპერატორს საფრანგეთის მოსახლეობა გზადაგზა აღფრთოვანებით ხვდებოდა, მის წინააღმდეგ გაგზავნილი ჯარისკაცები თავიანთი სათაყვანებელი სარდლის მხარეზე გადადიოდნენ. **1815 წლის 20 მარტს ნაპოლეონი ტრიუმფით შევიდა პარიზში.** ლუი XVIII ძლივს მოასწრო ტიულრის სასახლიდან გაქცევა. **იმპერია აღსდგა. მან სულ 100 დღე იარსება (1815 წ. 29 მარტიდან 29 ივნისამდე).** კონგრესმა მუშაობა დროებით შეაჩერა.

25 მარტს მოკავშირე სახელმწიფოებმა: რუსეთმა, ავსტრიამ, ინგლისმა და პრუსიამ კვლავ შეადგინეს კოალიცია (რიგით მეშვიდე) ნაპოლეონის წინააღმდეგ და საბრძოლო მოქმედებები განაახლეს.

ნაპოლეონი შეეცადა მოკავშირეებში განხეთქილების შეტანას. მას უნდოდა რუსეთთან კავშირის დამყარება, რათა იგი ავსტრიისა და ინგლისისაგან ჩამოეცილებინა. ამ მიზნით მან ტიულრის სასახლეში შემთხვევით დარჩენილი 1815 წლის 3 იანვრის რუსეთისა და პრუსიის წინააღმდეგ მიმართული საფრანგეთ-ავსტრია-ინგლისის საიდუმლო შეთანხმების ტექსტი ალექსანდრე I გაუგზავნა, მაგრამ უკვე გვინ იყო. მოკავშირეებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი მისი საბოლოოდ განადგურება, რაც შესძლეს კიდეც **1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან (ბელგიაში)** გამარჯვებით.

ლუი XVIII ბურბონი მეორედ აღადგინეს ტახტზე.

**ვენის კონგრესის დასკვნითი აქტი.** ვატერლოომდე რამდენიმე დღით ადრე, **1815 წლის 9 ივნისს** შედგა ვენის კონგრესის ბოლო სხდომა, რომელზეც მიიღეს „დასკვნითი აქტი". იგი შედგებოდა 121 სტატიისა და 17 დანართისაგან.

ავსტრიას მისცეს ლომბარდია და ვენეცია; ბელგია შეუერთეს ჰოლანდიას, შლეზვიგი და ჰოლშტაინი — დანიას; გერმანია რჩებოდა დაქუცმაცებული 39 სახელმწიფოდ. პოლონეთი კი — სამ ნაწილად, ამასთანავე, ყოფილი ვარშავის საჰერცოგოს მიწებზე იქმნებოდა „პოლონეთის სამეფო", რომელიც კონგრესის გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყო რუსეთთან კავშირში. მას ჰქონდა რუსეთის იმპერატორისაგან ბოძებული კონსტიტუცია. პოზნანი, გდანსკი (დანციგი) და ტორუნი პრუსიას რჩებოდა, დასავლეთი უკრაინა (გალიცია) კი — ავსტრიას. ქალაქი კრაკოვი ცხადდებოდა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის მფარველობაში მყოფ თავისუფალ, დამოუკიდებელ და ნეიტრალურ ქალაქად.

პრუსია დაკარგული პოლონეთის მიწების სანაცვლოდ საქსონიის ჩრდილოეთის ნაწილის გარდა იღებდა კუნძულ რიუგენსა და შვედეთის პომერანიას, დასავლეთში კი — რაინ-ვესტფალენის ოლქს. ამგვარად, რუსეთის მეფის მხარდაჭერისა და ინგლისის დიპლომატიის დახმარებით ჰოენცოლერნთა სამეფო მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

გაიზარდა ავსტრიის იმპერიის ტერიტორიაც. მან შეიერთა ტიროლი, ტრიესტი, ვალტელინი, დალმაცია და ილირია. მოდენაში, პარმასა და ტოსკანაში ტახტებზე დასვეს ფრანც I ახლო ნათესავები,[3] რომლებიც მჭიდრო სამოკავშირეო ხელშეკრულებით იყვნენ დაკავშირებული ავსტრიასთან, ისევე როგორც ორივე სიცილიის სამეფოსთან და პაპის ოლქთან.[4] ამგვარად, ავსტრიის იმპერიის ხელისუფლება დაქუცმაცებული იტალიის მთელს ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ნაპოლეონთან მრავალწლიანი ომების შემდეგ ინგლისი კიდევ

---

[3] პარმა თავისი სიცოცხლის დასასრულამდე გადასცეს ნაპოლეონის მეუღლეს მარი-ლუიზი ავსტრიელს. მისი გარდაცვალების შემდეგ პარმას დაეუფლა მარი-ლუიზი ესპანელი და მისი შთამომავლები.

[4] პაპს დაუბრუნეს რავენა, ბოლონია და ფერარის ნაწილი.

უფრო გაძლიერდა. მან გაზარდა თავისი კოლონიური სამფლობელოები და ჩამოიცილა ძირითადი კონკურენტი — საფრანგეთი. დიდი ბრიტანეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა კუნძულ მალტას და იონიის კუნძულების შემოერთებას, სადაც მან სამხედრო ბაზები შექმნა და გადააქცია ისინი ფორპოსტებად ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ.

რუსეთის იმპერიაც არ დარჩებოდა ხელცარიელი. მან მიიღო ყოფილი ვარშავის საჰერცოგოს მიწები, ფინეთი და ბესარაბია. ამის შემდეგ მას ევროპაში თანაბარი ძალის კონკურენტი არ ჰყავდა.

ძირითადი პოლიტიკური და ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის გარდა, ვენის კონგრესზე მიიღეს მთელი რიგი სპეციალური დამატებითი დადგენილებები: დეკლარაცია სამდინარო გზებზე თავისუფალი მიმოსვლის შესახებ; დებულება დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასების შესახებ, რომელიც შემდეგ საერთაშორისო სამართლის ნორმად იქცა.[5]

**ვენის კონგრესის დადგენილებების მნიშვნელობა და მათი გაუქმების მიზეზები.** საერთაშორისო ხელშეკრულებების, დადგენილებების, კონვენციებისა და სხვა დოკუმენტების მნიშვნელობა და მოქმედების ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი იმ ქვეყნების ხალხების ძირეულ ინტერესებს, რომლებზეც ვრცელდება ესა თუ ის დოკუმენტური აქტი. ამ მხრივ ვენის კონგრესზე მიღებულ დადგენილებებს არსებითი ნაკლი გააჩნიათ, თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ ევროპას ხანგრძლივი დროით მშვიდობა მოუტანეს, და ამდენად, ხელი შეუწყვეს ცივილიზაციის განვითარებას.

მართალია, ტერიტორიული ცვლილებების დროს, კონგრესის

---

[5] ამ დებულების მიღების შემდეგ ბოლო მოეღო მუდმივ დავას დიპლომატიური წარმომადგენლების უფროს-უმცროსობის შესახებ. წესდებოდა შემდეგი კლასები: 1. ელჩი, პაპის ლეგატი და ნუნციუსი; 2. დესპანი; 3. რწმუნებული. 1818 წ. ამ სამ ხარისხს დამატა მინისტრი-რეზიდენტის ხარისხი, რომელიც დესპანსა და რწმუნებულს შორის იყო. ამჟამად ვენის 1961 წლის კონვენციით აღიარებულია შემდეგი დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები: 1. ელჩი და ნუნციუსი (უმაღლესი კლასი); 2. დესპანი და ინტერნუნციუსი; 3. საქმეთა რწმუნებული. პირველი ორი კლასის წარმომადგენლები აკრედიტებული არიან სახელმწიფოს მეთაურთან, მესამე — საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელთან.

მონაწილენი ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობას, მათ ეკონომიკურ, სამხედრო, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პოტენციალს, მათი გამოყენების შესაძლებლობებს, მაგრამ, ამავე დროს, იგნორირებული იყო ამ ხალხების ტრადიციები, მათი მორალური ფასეულობანი და მისწრაფებები, ე.ი. მატერიალურ ფაქტორებს ანგარიშს უწევდნენ, მორალურს კი – არა.

დიპლომატები ევროპის სახელმწიფოებს ისე ჭრიდნენ და კერავდნენ, თითქოსდა ამ ქვეყნებში ერები საერთოდ არ არსებობდნენ; ერები კი ერთდროულად არიან პოლიტიკის სუბიექტებიც და ობიექტებიც.

საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ ყველა ხალხში გამოაღვიძა და ახალი სული შთაბერა ეროვნული თავმოყვარეობისა და ეროვნული სუვერენიტეტისაკენ სწრაფვის იდეებს. ისე, როგორც თავის დროს ეკატერინე II აცხადებდა – „მე ვებრძვი იაკობელებს ვარშავაში“ და აგზავნიდა იქ ჯარებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება თავისი ქვეყნის საზღვრებიდან შორს შეეჩერებინა დიდი რევოლუციის „დამღუპველი“ იდეები, ვენაში შეკრებილი დიპლომატებიც ამ იდეებს მონარქიული წყობისათვის დამღუპველად მიიჩნევდნენ და ცდილობდნენ ბოლო მოეღოთ მათთვის ერთხელ და სამუდამოდ. მაგრამ მათი მცდელობა ფუჭი გამოდგა.

კონგრესის გადაწყვეტილებებს პირველი ბზარი ნიდერლანდებში გაუჩნდა, სადაც ბელგიელმა კათოლიკებმა არ ისურვეს დამორჩილებოდნენ ჰოლანდიელი პროტესტანტების მთავრობას, ვერც პოლონელები შეეგუვნენ სხვა წარმოშობის, მათთვის უცხო სარწმუნოებისა და ინტერესების მქონე ხალხებთან ერთად ერთ სახელმწიფოში ყოფნას.

ასევე მოხდა იტალიაშიც, სადაც ფაქტიურად საფრანგეთის ბატონობის პირობებში, ერი უბრალო გეოგრაფიულ ტერმინად იქცა. (მეტერნიხის სიტყვებია: „იტალია – ეს მხოლოდ გეოგრაფიული ტერმინია“).

ვენის ტრაქტატი გერმანიაშიც ვერ გახდა სიცოცხლისუნარიანი, რადგანაც გერმანული სახელმწიფოების მისწრაფებები დამოუკიდებლობისაკენ ოცნებად დარჩა, მათ მომავალი ცხოვრება მეზობელი ხალხების ინტერესების შესაბამისად უნდა მოეწყოთ.

ფრანგებიც უკმაყოფილო იყვნენ კონგრესის შედეგებით; გამარჯვებულ სახელმწიფოებს ეგონათ, რომ, თუ საფრანგეთს ჩამოართმევდნენ მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებს, ამით დაამცირებდნენ მას და დაავიწყებდნენ წარსულ დიდებას. ასეთი პოლიტიკის წყალობით, მათ საფრანგეთი ვენის ტრაქტატებით უკმაყოფილო სახელმწიფოების მოკავშირედ გახადეს.

ამგვარად, ვენის კონგრესის შემდეგ ევროპაში რევოლუციის მრავალი კერა გაჩნდა, რომლებსაც მალე რევოლუციებიც მოჰყვა.

1830 წლის ივლისის რევოლუცია საფრანგეთში არა მარტო შიდაპოლიტიკური განვითარების შედეგი იყო, არამედ იგი შეურაცხყოფილი ეროვნული ღირსების რეაბილიტაციასაც ითვალისწინებდა (რაინის ტერიტორიების დაბრუნებას). ფრანგების მაგალითით აღფრთოვანებული ბელგიელები აჯანყდნენ და გამოეყვნენ ჰოლანდიას; ამავე წელს რუსეთის გავლენის ქვეშ ძალით მოქცეული პოლონელები გამოვიდნენ თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ.

კონგრესის ტრაქტატებს საბოლოო დარტყმა მიაყენეს მაშინ, როდესაც შეიქმნა დამოუკიდებელი და ნეიტრალური ბელგია (1831), იტალიის მონარქია (1870) და გერმანიის იმპერია (1871).

## საღვთო კავშირი

ევროპისა და სხვა ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი და რევოლუციური მოძრაობების წინააღმდეგ ვენის კონგრესის მიერ შექმნილ ურთიერთობათა სისტემას 1815 წლის 26 სექტემბერს დაემატა საღვთო კავშირი, რომელიც ევროპული რეაქციის დასაყრდენი გახდა.

გამარჯვებულ სახელმწიფოებს, კონგრესის შემდეგ, საფრანგეთიდან მოსალოდნელი სამხედრო საფრთხე არ აწუხებდათ; მათ მშვიდ ძილს უფრთხობდა საფრანგეთიდან გავრცელებული იდეები თავისუფლების, თანასწორობისა და ეროვნული სუვერენიტეტის შესახებ, რომლებიც არანაკლებ დამანგრეველი ძალისა იყო რეაქციული მონარქიული სახელმწიფოებისათვის, ვიდრე, თავის დროზე, ნაპოლეონის ძლევამოსილი არმია. მათ კარგად იცოდნენ, რომ

ბელგიელები თავიანთი ნების წინააღმდეგ შეუერთეს ჰოლანდიას, საქსონიისა და რაინისპირას მცხოვრებნი – პრუსიას, იტალიელები – ავსტრიას; პოლონელები – რუსეთს; იცოდნენ, რომ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლებში მონაწილე პროგრესულად მოაზროვნე რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები დაფიქრდებოდნენ იმაზე, თუ რატომ ცხოვრობს უკეთ დამარცხებული უაკი, ვიდრე გამარჯვებული ივანე. ყოველივე ეს ჰქმნიდა ნოყიერ ნიადაგს სხვა ქვეყნებში იმ იდეების პროპაგანდისათვის, რომლებსაც ოცი წლის განმავლობაში მთელს ევროპაში ავრცელებდნენ რესპუბლიკისა და იმპერიის ჯარისკაცები.

თუ ერთ რომელიმე ქვეყანაში გავრცელდებოდა ლიბერალური იდეები, მაშინ იგი ჯაჭვური რეაქციით მოედებოდა დანარჩენებს. ამიტომ, „ავადმყოფობის“ გავრცელების საწინააღმდეგოდ საჭირო იყო სახელმწიფოთა ერთიანი, კოორდინირებული მოქმედება. ასე ფიქრობდნენ ევროპის სახელმწიფოთა რეაქციული წრეები. მათი ნების გამოხატულება იყო 1815 წ. 26 სექტემბერს პარიზში რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორების და პრუსიის მეფის მიერ ხელმოწერილი დეკლარაცია, რომელიც ცნობილია საღვთო კავშირის ტრაქტატის სახელწოდებით; ოფიციალურად მისი ტექსტი გამოქვეყნდა 1816 წლის თებერვალში.

მისტიკურ საბურველში გახვეული დეკლარაციის ტექსტი სავსებით პრაგმატულ მიზნებს ისახავდა.

სამი მონარქი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ აუცილებელია მათი პოლიტიკის შეწონასწორება ღვთის მიერ ბოძებულ ჭეშმარიტებებთან, საქვეყნოდ აცხადებდნენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას – საქმიანობა წარემართათ მხოლოდ ქრისტიანული რელიგიის მცნებების შესაბამისად. ამიერიდან ისინი იქნებოდნენ ძმები, თანამოაზრენი, რომლებიც ყველა საქმეში და ყველგან ერთმანეთს გაუწევდნენ დახმარებას – ნათქვამი იყო ამ დეკლარაციაში. მონარქების ეს ვალდებულება მათ ქვეშევრდომებზეც ვრცელდებოდა. სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც აღიარებდნენ დეკლარაციაში გაცხადებულ პრინციპებს, შეეძლოთ შეერთებოდნენ საღვთო კავშირს.

1815 წლის 19 ნოემბერს საღვთო კავშირს შეუერთდა ლუი XVIII. მის მაგალითს სხვა მონარქებმაც მიბაძეს. ინგლისის წარმომადგენელმა ქასთლრიმ თავი შეიკავა იმ მოტივით, რომ ინგლისის პარლამენტი არ მიემხრობოდა ბიბლიურ პრინციპებზე აგებულ უბრალო დეკლარაციას, რადგანაც ეს მათ აგონებდათ კრომველისა და „მრგვალთავიანების" დროს. თუმცა ინგლისის პრინც-რეგენტმა ჯორჯმა (შემდეგში ჯორჯ IV) 1816 წ. წერილი მისწერა ალექსანდრე I, რომელშიც იგი აცხადებდა, რომ პირადად ეთანხმებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად დაედო საღვთო კავშირს.

ქასთლრის განცხადება არ იყო საფუძველს მოკლებული. თავდაპირველად ეს დოკუმენტი, მართლაც, ბიბლიურ პრინციპებზე დაფუძნებული ზოგადი შინაარსის მქონე იყო. ამიტომ თურქეთის სულთანი მას მის წინააღმდეგ მიმართულად მიიჩნევდა, ლიბერალები კი — ევროპაში ლიბერალური მოძრაობის შემაფერხებელ დოკუმენტად. ორივე მათგანის შიში საფუძვლიანი აღმოჩნდა, როდესაც მეტერნიხის წყალობით ზოგადმა პრინციპებმა კონკრეტული შინაარსი შეიძინა.

დეკლარაციის ტექსტი შედგენილი იყო ალექსანდრე I მიერ, რომლის დიპლომატიურ ნიჭს ნაპოლეონიც კი აღიარებდა (უწოდებდა მას ცბიერ ბიზანტიელს). **სწორედ ალექსანდრე I მიერ იქნა შერჩეული კავშირის სახელწოდება საღვთო კავშირი, რაც თურქეთს ამ კავშირთან შეერთების გზას უხშობდა** (მაჰმადიანური სახელმწიფო, ცხადია, ქრისტე ღმერთის სახელით მოქმედ კავშირში არ გაერთიანდებოდა) და, ამგვარად, რუსეთს თურქეთის მიმართ აგრესიული მოქმედებისათვის გზა ეხსნებოდა.

საღვთო კავშირის შექმნიდან თითქმის რვა წლის განმავლობაში, კავშირის პრინციპების პრაქტიკაში დანერგვისა და განხორციელების საქმეში მთავარ როლს ავსტრიის კანცლერი ასრულებდა. **ამიტომ იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ამ პერიოდში ევროპის სახელმწიფოებს შორის დამყარდა, მეტერნიხის სისტემას უწოდებენ.** ეს სისტემა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა ევროპაში წონასწორობის შენარჩუნებას, დაუნდობელ ბრძოლას ყოველივე იმის წინააღმდეგ (რევოლუციური მოძრაობები, ლიბერალური იდეები და

სხვა), რაც საფრთხეს შეუქმნიდა არსებული რეჟიმების არსებობას. ამ მიზნით გამართლებულად ითვლებოდა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა მაშინაც კი, როდესაც ასეთ ჩარევაზე ამ ქვეყნების თანხმობა არ იყო.

ევროპაში არსებული რეჟიმების შენარჩუნებისათვის უანგარო ზრუნვის საბურველქვეშ, მეტერნიხი, უპირველეს ყოვლისა, თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის იღწვოდა.

ჰაბსბურგების მონარქია წარმოადგენდა ერთმანეთისადმი შეურიგებელი სხვადასხვა ხალხების კონგლომერატს და თუ სახალხო სუვერენიტეტის იდეები თავისუფლად გავრცელდებოდა ამ იმპერიაში, მაშინ იგი სულ მალე დაიშლებოდა. საღვთო კავშირის მოქმედებისა და შემდგომ წლებში, ვიდრე ყირიმის ომამდე, ევროპაში რეაქციის დასაყრდენი იყო ალექსანდრე I და მისი ძმის ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი, რომელსაც სრულიად სამართლიანად „ევროპის ჟანდარმს“ უწოდებდნენ.

საღვთო კავშირის თეორიული დებულებების პრაქტიკაში გამოყენების შედეგი იყო ევროპის ქვეყნებში ცენზურის გამკაცრება და პროგრესული პრესის დევნა. უნივერსიტეტებიდან და სკოლებიდან აძევებდნენ პროგრესულად მოაზროვნე პროფესორებსა და მასწავლებლებს, ფეოდალური რეაქციის იდეოლოგები ქებას ასხამდნენ აბსოლუტიზმს, უარყოფდნენ განმანათლებელთა ფილოსოფიას, საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებს და აძაგებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. ნეაპოლიტანიის სამეფოში შემოიღეს საეკლესიო სასამართლო და ცენზურა, რომის პაპმა აღადგინა იეზუიტთა ორდენი.

საფრანგეთში როიალისტი-ემიგრანტები ცდილობდნენ ფეოდალური ურთიერთობების აღდგენას და დაკარგული მამულების დაბრუნებას, თანამდებობიდან ათავისუფლებდნენ ბურბონებისადმი არალაიმედო სახელმწიფო მოხელეებს და ოფიცრებს. 1818 წ. ქ. აახენის ოთხი მოკავშირე სახელმწიფოს კონგრესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უფლება და **ოფიციალურად სცნო საფრანგეთი ევროპაში მეხუთე დიდ სახელმწიფოდ**. ამ შედარებით უმნიშვნელო დათმობის სამაგი-

ეროდ საფრანგეთი ვალდებულებას იღებდა, რომ მხარს დაუჭერდა და შეასრულებდა 1815 წლის ტრაქტატებს, რამაც საფრანგეთის ბურჟუაზიის უკმაყოფილება გამოიწვია — ბურბონების ასეთი პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა მის დაპყრობით მისწრაფებებს.

სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევის შესახებ მოკავშირეთა მიერ მიღებული თეორიული დებულება პირველად პრაქტიკაში გამოიყენეს გერმანული სახელმწიფოების მიმართ: ამისათვის საბაბი გახდა რეაქციონერი დრამატურგის კოცებუს მოკვლა სტუდენტის კარლ ზანდის მიერ და გერმანიაში ლიბერალური მოძრაობების აღმავლობა.

1819 წელს ავსტრია და პრუსია ქ. ტეპლიცეში შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად იბრძოლებდნენ გერმანულ სახელმწიფოებში რევოლუციური მოძრაობების ჩასახშობად. იმავე წელს ქ. კარლსბადში შემდგარი გერმანულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კონფერენციის მიერ მიღებული დადგენილება უფლებას აძლევდა საკავშირო სეიმს, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გამოეყენებინა სამხედრო ძალა, თუ ამას იგი საჭიროდ მიიჩნევდა. ამ გადაწყვეტილების თანახმად, დაწესდა საერთო ცენზურა გერმანულ პრესაზე, თითოეულ უნივერსიტეტს მიამაგრეს საგანგებო კომისრები, მაინცში შექმნეს სპეციალური კომიტეტი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა ოპოზიციური საქმიანობისათვის. კარლსბადში მეტერნიხმა მაინც ვერ შესძლო სამხრეთგერმანული სახელმწიფოების კონსტიტუციების გაუქმება.

თუ გერმანულ სახელმწიფოებზე გავლენის მოხდენას მშვიდობიანი გზებით შეეცადნენ, სამაგიეროდ საღვთო კავშირის გადაწყვეტილებით ნეაპოლიტანიის სამეფოში 1820-1821 წლების და პიემონტის 1821 წ. რევოლუციები ავსტრიამ სამხედრო ძალით ჩაახშო, საფრანგეთმაც ძალა გამოიყენა ესპანეთში 1820-1823 წწ. რევოლუციის წინააღმდეგ. მათ ინტერვენციას ამ ქვეყნებში ხელი შეუწყო ტროპაუს (1820), ლაიბახის (1821) და ვერონის (1822) კონგრესებზე მიღებულმა დადგენილებებმა.

აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი სამხედრო ინტერვენციების შესახებ, ევროპის სახელმწიფოებს, ყოველთვის ცირკულარული

წერილებით აცნობებდნენ. მათში ნათქვამი იყო, რომ მონარქები იძულებულნი იყვნენ მიემართათ ძალდატანებითი ღონისძიებებისათვის, რათა უზრუნველეყოთ ხალხთა შორის მშვიდობა და ბედნიერება და რომ ამ მიზნების მიღწევისათვის მომავალშიც მუხლჩაუხრელად ილვაწებდნენ.

1822 წლის 14 დეკემბრის (ამ დღეს დაიხურა ვერონის კონგრესი) ცირკულარი იყო საღვთო კავშირის ბოლო მანიფესტი, ისევე როგორც ესპანეთის ექსპედიცია იყო ევროპის სახელით სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის უკანასკნელი აქტი.

ლათინურ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომთან დაკავშირებით, გამწვავდა წინააღმდეგობები საღვთო კავშირსა და ინგლისს შორის. 1821-1829 წლებში საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების გამო დაიძაბა ურთიერთობა რუსეთსა და ავსტრიას შორის. საღვთო კავშირის ყოველმხრივი მცდელობის მიუხედავად, ევროპაში დაწყებული რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები ძირს უთხრიდნენ ამ კავშირს. 1825 წ. რუსეთში დეკაბრისტები აჯანყდნენ, 1830 წ. რევოლუციები იყო საფრანგეთსა და ბელგიაში, 1830-1831 წწ. პოლონეთში გამოვიდნენ ცარიზმის წინააღმდეგ. ასეთ პირობებში საღვთო კავშირი ფაქტიურად დაიშალა. მისი აღდგენის ცდა (1833 წლის ოქტომბერში ბერლინში დადეს ხელშეკრულება რუსეთმა, ავსტრიამ და პრუსიამ) უშედეგოდ დამთავრდა.

'საღვთო კავშირის" სისტემას საბოლოოდ ლახვარი ჩასცეს 1848 წლის რევოლუციებმა და ყირიმის ომმა, რომელმაც დააკნინა ცარიზმის საერთაშორისო როლი.

# თავი II. ინგლისი 1815-1870 წლებში

რეაქცია და მუშათა კლასის მდგომარეობა. ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ ომების დამთავრების შემდეგ ტორების მთავრობა აგრძელებდა რეაქციულ საშინაო პოლიტიკას. ინგლისში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ადრე დამკვიდრდა პოლიტიკური და რელიგიური თავისუფლება, დაიწყო სამრეწველო გადატრიალება, რასაც მოჰყვა ახალი კლასების — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წარმოშობა. საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შედეგად სულ უფრო მეტი ადამიანი დაჟინებით მოითხოვდა თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას. მაგრამ, როდესაც საფრანგეთის რევოლუციამ წამოაყენა იდეები ხალხის უზენაესობისა და სამოქალაქო თანასწორობის შესახებ, ინგლისის არისტოკრატია და მმართველი წრეები მტრულად განეწყვნენ ამ მოძრაობისადმი და დაადგნენ რეაქციის გზას. 1873 წლის რეფორმამდე ინგლისის სახელმწიფოებრივი წყობა უცვლელად იქნა შენარჩუნებული.

სწორედ ამ უძრაობის პერიოდში ინგლისში სამრეწველო გადატრიალება ყველაზე სწრაფად მიმდინარეობს და მუშათა მდგომარეობაც უკიდურესად უარესდება. მიწას მოწყვეტილი მუშები საწარმოთა მფლობელებზე იყვნენ მთლიანად დამოკიდებულნი, რომლებიც თავის მხრივ ბაზრის მოთხოვნებს ექვემდებარებოდნენ. ბაზარზე საქონლის მოთხოვნას კი მრავალი საშინაო და საგარეო ფაქტორი განაპირობებდა. ამის გამო, ხშირი იყო სამრეწველო კრიზისები, ე.ი. ფაბრიკები და ქარხნები ამცირებდნენ ან სრულიად წყვეტდნენ წარმოებას, რასაც თან სდევდა უმუშევრობა, შიმშილი და ა.შ.

მაგრამ ერთ-ერთი მთავარი უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ მუშები ემორჩილებოდნენ მოძველებულ და მკაცრ შრომის კანონმდებლობას, რომელიც ჯერ კიდევ დედოფალ ელიზაბეთის დროს იქნა მიღებული. ცალკეულ ადგილებში შრომითი ანაზღაურების რაოდენობას განსაზღვრავდნენ ადგილობრივი მოსამართლეები, რომლებიც მსხვილი მიწათმფლობელებისა და მრეწველების ინტერესებს იცავდნენ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოსა-

მართლეები არ აძლევდნენ მეწარმეებს იმის უფლებას, რომ საარსებო მინიმუმზე ნაკლები ხელფასი გადაეხადათ მუშებისათვის. ბევრ საწარმოში ფართოდ გამოიყენებოდა ქალებისა და ბავშვების შრომა. მათ გაცილებით ნაკლებ ხელფასს აძლევდნენ. ამავე დროს, ვითომდა პროფესიების შესასწავლად, მეწარმეებს კიდევ უფრო იაფი მუშახელით ამარაგებდნენ უსახლკარო ბავშვთა მეურვეები. მუშები უკიდურესად ცუდ პირობებში ცხოვრობდნენ და ამიტომ მასიურად იხოცებოდნენ. ასეთი კატეგორიის მუშათა რიცხვი 1821 წლისათვის 2,5 მლნ. აღწევდა.

თავიანთი ყოფის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში მუშები არასოდეს არ ყოფილან ისე უუფლებონი, როგორც ამ რეაქციის პერიოდში. შუა საუკუნეებში არსებობდა წვრილ ოსტატთა და ქარგალთა კავშირები (ამქრები), რომლებიც გარკვეულ დახმარებას უწევდნენ თავიანთ წევრებს. მაგრამ 1800 წელს მიიღეს კანონი კავშირების შესახებ, რომლითაც იკრძალებოდა არა მარტო გაფიცვები, არამედ მუშათა ყოველგვარი გაერთიანებების შექმნა ხელფასის მომატების ან სამუშაო დღის შემცირების, ან უმუშევართა, ავადმყოფებისა და ობლების დახმარების მიზნით. ამ კანონის საფუძველზე რამდენიმე მქსოველი გაასამართლეს იმისათვის, რომ თავიანთი გარდაცვლილი ამხანაგების დასაკრძალავად ფულს აგროვებდნენ. 1800 წლის აღნიშნული კანონის ავტორები თავიანთ გადაწყვეტილებას ამართლებდნენ იმით, რომ თითქოსდა ისინი იცავდნენ პიროვნებას ყოველგვარი კავშირების თვითნებობისა და ზემოქმედებისაგან, ხელს უწყობდნენ სამრეწველო თავისუფლებას. ცხადია, მათი ასეთი მტკიცება ჭეშმარიტებისაგან შორს იდგა. სიღატაკეს თან სდევდა მაწანწალებისა და ქურდების რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა; პარლამენტი მათ წინააღმდეგ უმკაცრეს კანონებს იღებდა: 200-ზე მეტი სახეობის დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული.

საზოგადოების უმაღლეს ფენებში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ დანაშაულობების ზრდა სამრეწველო განვითარების აუცილებელი თანმხლები პროცესია. XVIII საუკუნის ბოლოს გამოიცა ეკონომისტისა და მღვდლის მალთუსის შრომა „ხალხთ-

მოსახლეობის შესახებ", რომელიც ამტკიცებდა, რომ მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით, საკვები პროდუქტები კი – არითმეტიკულით, რის შედეგადაც, გარკვეული დროის შემდეგ, დედამიწის მცხოვრებთა რაოდენობის გამოკვებას ბიოსფერო ვერ შეძლებდა და დაიწყებოდა ზედმეტი მოსახლეობის კვდომის ბუნებრივი პროცესი. ღარიბებზე ზრუნვას სახსრების ფუჭად ხარჯვად მიიჩნევდა; ის ფიქრობდა, რომ გამანადგურებელი ომები, შიმშილი, ქორწინებისაგან თავშეკავება და სხვა, კეთილ გავლენას იქონიებდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდაზე.

ირლანდია. XIX საუკუნეში ინგლისი ატარებდა აგრესიულ კოლონიურ პოლიტიკას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა ირლანდია. იმ დროს, როდესაც ინგლისში ვითარდებოდა მსხვილი ინდუსტრიულ-სავაჭრო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ირლანდია რჩებოდა წვრილი სამიწათმოქმედო და მესაქონლეობის ქვეყნად. ინგლისმა ირლანდია XII ს. შეიერთა, მაგრამ იგი ფაქტიურად აქ დამკვიდრდა ინგლისის რევოლუციის დროს XVII საუკუნეში. კრომველმა სისხლში ჩაახშო ირლანდიელი კათოლიკების აჯანყება, წაართვა მიწები ადგილობრივ მოსახლეობას და მათ ადგილზე პურიტანი კოლონისტები, უმეტესად შოტლანდიელები ჩაასახლა. სწორედ ამ ჩასახლებულ (ოლსტერში) პროტესტანტებსა და ადგილობრივ, კელტური წარმოშობის კათოლიკებს შორის წარმოიშვა მძაფრი წინააღმდეგობა.

მოგვიანებით, განსაკუთრებით კი უილიამ III ორანელის (1689-1702) დროს, ირლანდიის ადგილობრივი მოსახლეობის (რომლებსაც ქვეყნის 3/4 ეკავა) მიწებიც ინგლისელი მსხვილი მიწათმფლობელების (ლენდლორდების) ხელში გადავიდა, ადგილობრივი გლეხები კი მათზე დამოკიდებულ არენდატორებად იქცნენ. არენდის ვადები ირლანდიაში არ იყო განსაზღვრული; მიწათმფლობელს შეეძლო თავის შეხედულებისამებრ დაეტოვებინა ან წაერთვა ძველი მფლობელისათვის მიწა და სხვისთვის გადაეცა. მეურნეობაც ინგლისისაგან განსხვავებულად იყო მოწყობილი; მიწათმფლობელი უმეტესად თავის მამულში არ იმყოფებოდა და იგი მხოლოდ რენტის მიღებით კმაყოფილდებოდა; უამრავი გადასახადებისაგან წელგაწყვეტილ გლეხს

მეურნეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა არ ჰქონდა. ირლანდიაში ძირითადად გავრცელებული იყო კარტოფილის კულტურა; მოსახლეობა უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა. მდგომარეობას ამძიმებდა ისიც, რომ უმრავლესობის რელიგია კანონით აკრძალული იყო: კათოლიკები ვალდებულნი იყვნენ ერჩინათ მათთვის უცხო ანგლიკანური სამღვდელოება, რომლებსაც მრევლი არ ჰყავდა, მაშინ, როდესაც კათოლიკური სარწმუნოების მსახურთ არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ და შემოწირულებებით არსებობდნენ. სახელმწიფო მმართველობის თანამდებობებზე პროტესტანტებს ე.ი. უცხოელებს ნიშნავდნენ.

**1800 წლამდე ირლანდიას საკუთარი პარლამენტი ჰქონდა, რომელიც ინგლისის პარლამენტს** ექვემდებარებოდა. მართალია, ირლანდიის პარლამენტში მხოლოდ პროტესტანტი დეპუტატები ისხდნენ, მაგრამ მათი ამომრჩევლების უმრავლესობა კათოლიკები იყვნენ და, ამგვარად, დეპუტატად შეიძლებოდა გამხდარიყო ის პიროვნება, ვინც ქვეყნის ინტერესებს დაიცავდა.

XVIII ს. ბოლოს ირლანდიის პარლამენტმა კათოლიკებს დეპუტატად არჩევის უფლება მისცა. ამავე დროს ჩამოყალიბდა პატრიოტული პარტია, რომელიც ფრანგების დახმარებით ინგლისელთა წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას აპირებდა. მაგრამ 1797 წ. ფრანგების ექსპედიცია არ შედგა. პიტმა სასწრაფოდ გააუქმა ირლანდიის ავტონომია, ე.ი. აკრძალა ადგილობრივი პარლამენტი და ირლანდიელი დეპუტატები საერთო ინგლისის პარლამენტში გადმოიყვანა (1800 წ. ირლანდიის უნია). ირლანდიელ პატრიოტებს სხვა გზა არ ჰქონდათ გარდა იმისა, რომ დამორჩილებოდნენ ინგლისელთა ამ ცალმხრივ გადაწყვეტილებას. პიტს სურდა მიეცა ირლანდიელი კათოლიკებისათვის საარჩევნო უფლებები, მაგრამ მეფე ჯორჯ III მას არ დაეთანხმა.

**პურის კანონი და მრეწველთა კლასის ოპოზიცია.** ინგლისის საშინაო პრობლემები კიდევ უფრო გაართულა საფრაგეთთან ხანგრძლივმა ომმა, რომელიც ინგლისის მრეწველობის ინტერესებისათვის მიმდინარეობდა. ინგლისმა მოიპოვა მთელი რიგი მნიშვნელოვანი კოლონიები, მათ შორის სამხრეთ აფრიკაში (კაპის

მიწა), რომელიც ჰოლანდიელებს წაართვა. მაგრამ ამასთანავე, ომმა დიდი ხარჯები გამოიწვია: სახელმწიფო ვალი 25 წლის განმავლობაში თითქმის ოთხჯერ გაიზარდა და 860 მლნ. გირვანქა სტერლინგს მიაღწია; საჭირო შეიქმნა საგანგებო გადასახადების შემოღება; ომის დროს და 1806 წ., კონტინენტური ბლოკადის გამოცხადების შემდეგ (რომლის შედეგად ინგლისური საქონლის შეტანა კონტინენტური ევროპის ქვეყნებში აიკრძალა), პურზე ფასები გაიზარდა და ხელფასები შემცირდა.

მიწათმფლობელი არისტოკრატია, რომელიც ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდა, შეეცადა ომის შედეგებით გამოწვეული მთელი სიმძიმე სხვა კლასების მხრებზე გადაეტანა და ამავე დროს, თავისთვის სარგებელიც ენახა. პარლამენტმა გააუქმა მემამულეებისათვის არასასურველი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც სამხედრო ხარჯების დასაფარავად იყო გათვალისწინებული და ამავე დროს, გაადიდა არაპირდაპირი გადასახადები პირველადი მოხმარების საგნებზე, რაც ყველაზე მეტად ღარიბობას დააწვა კისერზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ე.წ. პურის კანონი, რომელიც ომის დამთავრებისთანავე, 1815 წელს მიიღო პარლამენტმა.

XVIII ს. ბოლოდან დაწყებული ინგლისის მიწათმფლობელებს პური საზღვარგარეთ გაჰქონდათ და დიდ მოგებასაც იღებდნენ; მაგრამ მას შემდეგ, რაც საფაბრიკო მრეწველობის განვითარების შედეგად მოსახლეობის რიცხვმა იმატა და შესაბამისად, ქვეყნის შიგნით პურზე ფასმა აიწია, მარცვლეულის იმპორტიც კი დაიწყეს. ლენდლორდებს ეშინოდათ, რომ უცხოეთიდან (განსაკუთრებით რუსეთიდან) შემოტანილ პურს ადგილობრივი ნაწარმი არ გაეიაფებინა; ამიტომ გადაწყვიტეს პური შემოეტანათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შინა ბაზარზე მისი ფასი ერთ კვარტერზე[6] 80 შილინგზე ნაკლები არ იქნებოდა. ამისათვის საჭირო იყო შემოტანილ პურზე მაღალი საბაჟო გადასახადის დაწესება, რაც კიდეც განახორციელეს 1815 წელს.

მრეწველები და ვაჭრები უკმაყოფილონი იყვნენ პურის კანო-

---

[6] ერთი კვარტერი – 12,7 კგ.

ნით, რადგანაც ის გამოიწვევდა ხელფასების იძულებით გაზრდას და საგარეო ვაჭრობასაც შეაფერხებდა; ამ კანონის შედეგად მოსალოდნელი სიძვირის გამო მუშებიც პროტესტს გამოთქვამდნენ. მშვიდობის დამყარებას არ მოჰყოლია ვაჭრობის გამოცოცხლება; ევროპის ქვეყნები, კონტინენტური ბლოკადის გაუქმების შემდეგაც, ცდილობდნენ თავიანთ ბაზრებზე არ დაეშვათ ინგლისური საქონელი; მრეწველები ვერ ასაღებდნენ თავიანთ პროდუქციას და სამუშაოდან ითხოვდნენ ზედმეტ მუშახელს. უმუშევრები თავიანთ უკმაყოფილებას უკიდურესი ფორმებით გამოხატავდნენ: წვავდნენ საწყობებს, ანგრევდნენ ფაბრიკებსა და დუქნებს, ამტვრევდნენ მანქანებს, რომლებიც თავიანთი უბედურების მიზეზად მიაჩნდათ. განსაკუთრებით მძიმე კრიზისი იყო 1816 წელს. ორივე სამრეწველო კლასს — მუშებსა და კაპიტალისტებს არ ჰყავდათ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში და ამიტომ გაერთიანდნენ ვიწრო, ეგოისტურად განწყობილი არისტოკრატიის წინააღმდეგ.

მსხვილი მრეწველების ინტერესები ყველაზე უკეთ გამოხატა თავის ნაშრომებში ლონდონელმა ბანკირმა — მილიონერმა **დეივიდ რიკარდომ** (1772-1823). დარწმუნებული იყო რა სამრეწველო გადატრიალების კეთილნაყოფიერ შედეგებში, რიკარდო ხედავდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ უშლიდა ხელს თავისუფალ ვაჭრობას, პირად ინიციატივას და კონკურენციას; მისი აზრით, ხელშემშლელ პირობებს შორის პირველი ადგილი პურის კანონს ეკავა. რიკარდო უარყოფდა შეხედულებას იმის შესახებ, რომ თითქოსდა მუშათა დაბალი შრომითი ანაზღაურება მთელ ქვეყანას ამდიდრებდა: ის, რაც დაბალი ხელფასების გამო აკლდება მუშებს, მხოლოდ მეწარმეთა მოგებას ზრდის, — ამტკიცებდა იგი. მაგრამ, ამავე დროს, რიკარდო დარწმუნებული იყო, რომ ხელფასების მომატება მუშებს ვერ იხსნიდა გაჭირვებისაგან. არსებობს შრომითი ანაზღაურების გარკვეული ზღვარი — მინიმუმი, რაც აუცილებელია ოჯახის სარჩენად. თუ ეს მინიმუმი განსაზღვრულ დონეს აღემატება, მაშინ ცხოვრების კარგი პირობების გამო გაიზრდება ქორწინებები და შობადობა, რაც გამოიწვევს მუშახელის სიჭარბეს, კონკურენციას მუშებს შორის. უმუშევართა რიცხვის შესამცირებლად საჭირო

გახდება შრომის ანაზღაურების კვლავ იმ მინიმუმამდე დაყვანა, რაც განგებითაა განსაზღვრული. ამგვარად, მუშები ჯადოსნურ წრეში იმყოფებიან, რომლისაგან თავის დაღწევა მათ არ შეუძლიათ. ასეთ მდგომარეობას რიკარდო ბუნებრივ კანონად თვლიდა.

რიკარდოს მიმდევრები არ ეწინააღმდეგებოდნენ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის მუშათა კავშირების შექმნას, მაგრამ უპირველესად ისინი მოითხოვდნენ მრეწველებისათვის პოლიტიკური მოღვაწეობის უფლებებს. პარლამენტში ასეთ შეხედულებებს იზიარებდნენ მცირერიცხოვანი ვიგები, რომელთა სათავეში ძველი არისტოკრატიული საგვარეულოს წარმომადგენლები იდგნენ; რადიკალები კი, ბენტამის მიმდევრები, იბრძოდნენ საყოველთაო საარჩევნო უფლებების, ფარული არჩევნებისა და სხვა დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებისათვის. ეს ოპოზიციური პარტიები ცდილობდნენ ხალხის გაჭირვებული ყოფის პოლიტიკური საშუალებებით გაუმჯობესებას.

**რობერტ ოუენი (1771-1858).** მშრომელთა სიღატაკე ხელს უწყობდა სოციალისტური იდეების გავრცელებას. ინგლისში სოციალისტური მოძღვრების პროპაგანდის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის საფეიქრო მანუფაქტურის მფლობელს რობერტ ოუენს. მან თავის მუშებს ცხოვრების სანიმუშო პირობები შეუქმნა, ზრუნავდა მათ განათლებაზე და სოციალურ დაცვაზე. იგი ამით ცდილობდა სხვა მეწარმეებზე თვალსაჩინო გავლენა მოეხდინა, რათა მათთვის დაემტკიცებინა, რომ მშრომელ ხალხზე ზრუნვა თვით მქონებელი კლასებისათვის იყო სასარგებლო. ომის დამთავრების შემდეგ, მუშათა მძიმე მატერიალური გაჭირვების დროს, ოუენი აკრიტიკებდა არსებულ სამრეწველო სისტემას და გაბატონებულ ეკონომიკურ შეხედულებებს. სამრეწველო გადატრიალებამ, მისი აზრით, მხოლოდ უბედურება მოიტანა. შრომის ზედმეტად დანაწილება აწვრილმანებს. ამცირებს მუშას, გადაგვარებით ემუქრება ადამიანთა მოდგმას. საყოველთაო კონკურენცია არ არის კარგი, რადგან იგი ურთიერთგასანადგურებლად იწვევს ძალთა უსარგებლო და მავნებლურ ხარჯვას. თანამედროვე წარმოება ცდილობს რაც შეიძლება მეტი საქონელი დაამზადოს, მაგრამ ხშირად იგი არ საღდება, რაც უმუშევრობის

მთავარი მიზეზია. ხსნა იმაშია, რომ თვითონ მუშებმა უნდა შექმნან კოოპერაციები, ამხანაგობები, რომლებიც იმუშავებენ საკუთარი კაპიტალით საკუთარი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად; თუ მათთვის აუცილებელ საჭირო პროდუქციას ვერ აწარმოებენ, შეუძლიათ გაცვლით შეიძინონ. ოუენი ბევრს წერდა და ადგენდა სხვადასხვა პროექტებს; იგი საშიშ მეოცნებედ მიიჩნიეს და აიძულეს წასულიყო ამერიკაში; აქ მან ინდიანას შტატში იყიდა მიწა და თავის მიმდევრებთან ერთად ჩამოაყალიბა კომუნისტური კოლონია „ახალი ჰარმონია". მაგრამ ამ კოლონიამ დიდხანს ვერ იარსება იმ ქვეყანაში, სადაც სწრაფად ვითარდებოდა კაპიტალიზმი. 20-იანი წლების ბოლოს ოუენი ინგლისში დაბრუნდა და დაიწყო ახალი ჩანაფიქრის განხორციელება: დააარსა საცვლელი ბაზარი, სადაც მეწარმეებს შეეძლოთ პროდუქტის ურთიერთშორის გაცვლა. არც ამ ცდამ გაუმართლა, 1834 წ. ლონდონის საცვლელი ბაზარი დაიხურა; კაპიტალიზმის მშვიდობიანი გზით ლიკვიდაციის განზრახვა ჩაიფუშა. ოუენი განსაკუთრებული ენერგიით ცდილობდა სოციალური რეფორმების განხორციელებას. მისი მოსაზრება — ამხანაგურ საწყისებზე საწარმოების შექმნის შესახებ, შემდეგში განახორციელეს ინგლისში მუშათა კოოპერატიულმა საზოგადოებებმა. ოუენი ცდილობდა კაცობრიობისათვის ეჩვენებინა ის გზები, რომლებიც მას სამართლიანი სახელმწიფო წყობისაკენ წაიყვანდნენ.

**რადიკალური ოპოზიცია და განსაკუთრებული კანონები.** ომის შემდგომ წლებში ქვეყანაში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ პოლიტიკური მოძრაობები გააქტიურა. ლონდონის მდიდარმა მრეწველებმა ჯორჯ III შვილს (რეგენტს) მიართვეს ადრესი, რომელშიც მიუთითებდნენ, რომ ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსაყვანად არსებობდა მხოლოდ ერთი გზა — უნდა შეცვლილიყო საარჩევნო სისტემა. ერი დაიღუპება „თუ პარლამენტის წევრთა არჩევის დროს ხალხს არ ექნება სათანადო და კონსტიტუციურ კანონებზე დაფუძნებული უფლებები" — ნათქვამი იყო მასში. რადიკალურმა პარტიამ გააქტიურა აგიტაცია მუშებს შორის, ღია ცისქვეშ აწყობდა ხალხმრავალ მიტინგებს, ცდილობდა მასობრივი პროცესიებით საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას. მშ-

ვიდობიან დემონსტრაციებთან ერთად შეთქმულების მოწყობის მცდელობაც იყო. მუშათა კავშირების შექმნას კანონი კრძალავდა, ამიტომ ისინი ღამღამობით იკრიბებოდნენ და ტყეში ინახავდნენ დოკუმენტებს, საიდუმლოს გამცემს მკაცრი სასჯელი ელოდა. ერთ-ერთი მცირერიცხოვანი რევოლუციური საზოგადოება შეეცადა გარეუბნებიდან ქალაქის ცენტრში შეჭრას, მაგრამ ჯარისკაცებმა ისინი გარეკეს. ეს ინცინდენტი მთავრობამ საბაბად გამოიყენა და მრეწველთა ადრესი უარყო. პარლამენტის სხდომაზე რეგენტმა განაცხადა, რომ „არსებული წყობა ყველაზე სრულყოფილია მათ შორის, რომელიც ოდესმე ყოფილა“.

რევოლუციური სულისკვეთების ჩასახშობად კონსერვატულმა პარლამენტმა ძალის გამოყენება გადაწყვიტა; შეაჩერეს Habeas corpus-ი და მთავრობას მისცეს იმ პირთა დაპატიმრების უფლება, რომლებიც შემჩნეულნი იქნებოდნენ მთავრობის საწინააღმდეგო ქმედებაში; ადმინისტრაციას შეეძლო დაერბია ნებისმიერი შეკრება, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევდა; დაშლის შესახებ ბრძანების დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, კრების მონაწილენი შეიძლებოდა სიკვდილით დაესაჯათ; აიკრძალა დემოკრატიული პრესა, როგორც „კონსტიტუციის ყველაზე საშიში მტერი“; მომრიგებელ მოსამართლეებს შეეძლოთ გაუსამართლებლად ციხეში მოეთავსებინათ „მეამბოხე სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოებების“ ავტორები და გამავრცელებლები.

1819 წლის საპარლამენტო არჩევნებში ტორებმა მოიპოვეს უმრავლესობა. ისინი ყოველგვარი ცვლილებების წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ რადიკალებმა კვლავ მოაწყვეს გრანდიოზული მიტინგი მანჩესტერში იმ მიზნით, რომ მიეღოთ პეტიცია რეფორმების შესახებ. დემონსტრანტებს მოჰქონდათ ლოზუნგები წარწერებით: „ადამიანის უფლებები!“, „ძირს პურის კანონები!“, „თავისუფლება ან სიკვდილი“. დაიწყო თუ არა სიტყვა ერთ-ერთმა პოპულარულმა ორატორმა, პოლიციამ მოინდომა მისი დაპატიმრება, მაგრამ ხალხმა იგი დაიცვა. მაშინ მანიფესტანტების წინააღმდეგ ჯარის ნაწილები გამოიყვანეს. შეტაკების დროს რამდენიმე კაცი დაიღუპა. რეგენტმა მოუწონა მინისტრებს ასეთი სიმკაცრე, მაგრამ ქვეყანაში სულ სხვა აზრი იყო მანჩესტერის სასაკლაოს შესახებ. სიტის (ლონდონის

სავაჭრო ცენტრი) ვაჭრებმა პროტესტი გამოთქვეს ინგლისში ოდით-განვე დამკვიდრებული საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხების განხილვისათვის შეკრების უფლების დარღვევის გამო.

პარლამენტის მიერ მიღებული რეაქციული გადაწყვეტილებების (პიროვნების, პრესისა და შეკრებების უფლებების შეზღუდვა) მსგავსი და კიდევ უფრო მკაცრი ღონისძიებები კონტინენტური ევროპის მონარქიულ სახელმწიფოებშიც ტარდებოდა, მაგრამ ინგლისში საქმე რევოლუციამდე არ მისულა. ბურჟუაზიას არ სურდა აჯანყებების გზით ემოქმედა, მუშებსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კარგად გაცნობიერებული თავიანთი კლასობრივი ინტერესები, მათი კავშირებიც არ იყო მყარი და, რაც მთავარია, განსაკუთრებული კანონები ისე მკვეთრად უპირისპირდებოდნენ ინგლისის კონსტიტუციურ საწყისებს და დამკვიდრებულ ტრადიციებს, რომ მათი სრულად გამოყენება შეუძლებელი იყო. ამასთანავე, ინგლისის მმართველ კლასს შორის გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც მოწინააღმდეგეების დევნას მათთან კომპრომისზე წასვლას ამჯობინებდნენ.

**20-იანი წლების რეფორმები.** 20-იანი წლების დასაწყისში ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილებები მოხდა. შეურიგებელი ტორები მთავრობაში თანდათანობით იცვლებიან უფრო ზომიერი პოლიტიკოსებით, მათ შორის პილით და კანინგით, რომელიც ქასთრლის სიკვდილის შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა. მის დროს ინგლისმა სცნო სამხრეთ ამერიკაში ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობა, რასაც მოჰყვა ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების გამოცოცხლება; ინგლისურმა კაპიტალმა დაიწყო შეღწევა სამხრეთ ამერიკაში; მნიშვნელოვნად გაიზარდა ხაზინის შემოსავალი, რის შედეგადაც მრეწველობის ბევრი დარგის მუშებს ხელფასები გაუდიდეს.

ამავე დროს გატარდა საშინაო რეფორმებიც. პილმა გააუქმა ის მკაცრი კანონები, რომლებიც მცირეოდენი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდნენ. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მუშათა კავშირების შექმნის ამკრძალავი კანონის გაუქმება (1824). ამ კანონის მოწინააღმდეგეთა მთავარი მოტივი იყო ის, რომ თუ მუშებს არ ექნებოდათ საქმიანობის ლეგალური საშუალება, მაშინ ისინი მაინც

შექმნიდნენ ფარულ ორგანიზაციებს და მეწარმეებთან მათი დაპირისპირება უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა. მაგრამ როდესაც კვლავ გახშირდა მუშათა გაფიცვები და გამოსვლები ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მოთხოვნებით, 1825 წ. პარლამენტმა მიიღო კანონი მუშათა კოალიციების შესახებ, რომელიც მუშებს უკრძალავდა ძალის გამოყენებას საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

**კათოლიკების ემანსიპაცია.** 20-იანი წლების რეფორმები მართალია წინგადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ იგი არ შეხებია ინგლისის დრომოჭმულ საარჩევნო სისტემას. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სათანადო მონაწილეობას ვერ იღებდა მჭიდროდ დასახლებული სამრეწველო რაიონების, მათ შორის ლონდონის, მოსახლეობა; კვლავ დიდი იყო პარლამენტში ე.წ. დამპალი დაბების დეპუტატთა ხვედრითი წილი მაშინ, როდესაც კათოლიკებსა და დისინტერებს საერთოდ ეკრძალებოდათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება.[7]

საყოველთაო საარჩევნო უფლებებისათვის მოძრაობა კვლავ გააქტიურდა 20-იანი წლების ბოლოს. ირლანდიაში ჩატარებული საagიტაციო მუშაობის შედეგად, თავდაპირველად ყურადღება მიექცა კათოლიკების ემანსიპაციას, ე.ი. მათთვის პოლიტიკური უფლებების მიცემას. ინგლისის პარლამენტში დეპუტატების მნიშვნელოვანი ნაწილი უჭერდა მხარს კათოლიკების მოთხოვნებს; მაგრამ ყველა ბილი, რომლებიც ამ საკითხს ეხებოდა, უარყოფილი იქნა ზედა პალატის მიერ; არც მეფეები ჯორჯ III და ჯორჯ IV იყვნენ კათოლიკებისადმი კეთილად განწყობილნი.

1828 წ. გააუქმეს „ფიცის აქტის" ის პირობა, რომელიც დისინტერებს თანამდებობების დაკავებას და პარლამენტში საქმიანობას უკრძალავდა; მაგრამ კათოლიკების მიმართ ეს აკრძალვები დატოვეს. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირლანდიის ერთ-ერთ საგრაფოდან ინგლისის პარლამენტის დეპუტატად კათოლიკე ო'კონელის არჩევას. ეს ფაქტი ქვეყანაში რევოლუციის დასაწყისი შეიძლება გამხ-

---

[7] კათოლიკებს და დისინტერებს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას არ აძლევდა „აქტი ფიცის დადების შესახებ" (1673); ამ აქტის მიხედვით პარლამენტი მხოლოდ ანგლიკანებით უნდა დაკომპლექტებულიყო.

დარიყო. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ჰერცოგმა უელინგტონმა პირდაპირ განაცხადა: კათოლიკების ემანსიპაცია ერთადერთი საშუალებაა იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ სამოქალაქო ომი. კათოლიკების პოლიტიკური თანასწორუფლებიანობის შესახებ ბილი ორივე პალატაში დაუბრკოლებლად მიიღეს (1829), ცოტა ყოყმანის შემდეგ მეფეც დასთანხმდა მას.

რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა ირლანდიის ადგილობრივი მოსახლეობა: კათოლიკებისათვის საარჩევნო უფლების მიცემასთან ერთად გაადიდეს საარჩევნო ცენზი, რაც ღარიბობას არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას არ აძლევდა, ახალი კათოლიკე დეპუტატების რაოდენობა ორივე პალატაში ძალზე მცირე იყო. რეფორმამ ადგილობრივი მოსახლეობა ვერ შეარიგა ინგლისთან და ეროვნული მოძრაობა უნიის გაუქმების მოთხოვნით (Repeal) კვლავ განახლდა. მის მონაწილეებს „**რიპილისტებს**“ უწოდებდნენ.

**1832 წლის საპარლამენტო რეფორმა.** კათოლიკების ემანსიპაციამ გზა გაუხსნა საყოველთაო საარჩევნო რეფორმას. პარლამენტის რეფორმისათვის იბრძოდნენ ლიბერალური ბურჟუაზია, წვრილბურჟუაზიული რადიკალები და მუშები. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული მონდომებით გამოირჩეოდნენ მუშები, რომლებიც იმ დროისათვის ინგლისის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ. მას შემდეგ, რაც 1824 წ. მუშებს კავშირების შექმნის ნება დართეს, ისინი ერთიანდებოდნენ პროფესიულ კავშირებში (ტრედუნიონებში). მათ გადაწყვიტეს ჯერ მხარი დაეჭირათ საშუალო კლასების მოთხოვნებისათვის ზომიერი რეფორმების გატარების შესახებ, შემდეგ კი ებრძოლათ უფრო რადიკალური გარდაქმნებისათვის.

1830 წელს ინგლისში გამწვავდა პოლიტიკური ბრძოლები. მასებზე დიდი გავლენა იქონია 1830 წლის საფრანგეთის რევოლუციამ. საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვეს რეფორმის მომხრეებმა. ახალმა მეფემ ვილჰელმ IV (1830-1837) კაბინეტის შედგენა ვიგების წარმომადგენელს ლორდ გრეის დაავალა. 1831 წელს თემთა პალატამ მიიღო გრეის მთავრობის მიერ წარდგენილი ბილი რეფორმის შესახებ, მაგრამ ლორდებმა უარყვეს იგი. ამას მოჰყვა მღელვარებები ქვეყანაში, ლონდონსა და ნიუკასლში დაანგრიეს არისტოკრატთა ფეშ-

ენებელური სასახლეები. ვიგმა მინისტრებმა მეფეს ურჩიეს ახალი წევრების დამატებით (რაც სასურველ უმრავლესობას შექმნიდა) ლორდთა პალატაზე ზეგავლენა მოეხდინა; მაგრამ საქმე აქამდე არ მისულა – ლორდებმა დათმეს და 1832 წელს ბილი მიიღეს.

1832 წლის რეფორმის შემდეგ 56 „დამპალმა დაბამ" დაკარგა პარლამენტში დეპუტატების არჩევის უფლება, 30-ს კი ორის ნაცვლად ერთი დეპუტატი უნდა აერჩია. მათი ადგილები მიიღო 42 მსხვილმა სამრეწველო ქალაქმა (მათ შორის მანჩესტერმა, ბირმინჰემმა, ლიდსმა), რომლებსაც ადრე არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდათ პარლამენტში. საარჩევნო უფლება ეძლეოდა მიწის ყველა მესაკუთრეს, ფერმერ-არენდატორებს, რომელთა წლიური შემოსავალი მიწაზე 50 გირვანქა სტერლინგზე ნაკლები არ იყო, აგრეთვე 10 გირვანქაზე მეტი წლიური შემოსავლის მქონე სახლების მფლობელებს და არენდატორებს. ამომრჩეველთა რიცხვი გაიზარდა 450000-დან 670 ათასამდე, რაც მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1/22 ნაწილს შეადგენდა. მაგრამ მუშები, რომლებსაც ყველაზე მეტი წვლილი მიუძღვოდათ რეფორმაში, ხმის უფლების გარეშე დარჩნენ. ვერც წვრილმა ბურჟუაზიამ მიიღო ეს უფლებები. არ მოსპობილა საარჩევნო ოლქების უკიდურესი უთანაბრობა და შენარჩუნებულ იქნა ღია კენჭისყრა, განსაკუთრებით სოფლებში, რაც ლენდლორდებს საშუალებას აძლევდა ზემოქმედება მოეხდინათ არენდატორებზე. 1832 წლის საპარლამენტო რეფორმამ სამრეწველო ბურჟუაზიას გაუნაღდა ადგილები პარლამენტში.

ნაკლოვანებების მიუხედავად, რეფორმას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, იგი ანგრევდა საუკუნეებით განმტკიცებულ მოძველებულ ტრადიციებს და ამკვიდრებდა პრაქტიკულ მოსაზრებებზე დაფუძნებულ წესებს და ამით კარგ პერსპექტივებს სახავდა უფლებების შემდგომი გაფართოებისათვის, მეორე – იგი სპობდა მიწათმფლობელთა კლასის განსაკუთრებულ ბატონობას და პოლიტიკური მოღვაწეობის ასპარეზს უხსნიდა ინგლისის სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიას.

**სამრეწველო რევოლუციის დამთავრება. სავაჭრო-სამრეწველო კლასის აღზევება.** XIX ს. პირველ ნახევარში ინგლისს სამრეწვე-

ლო განვითარების დონით კვლავ პირველი ადგილი ეკავა მსოფლიოში. 1840 წლისათვის მისი წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში 45% შეადგენდა. ამ მიღწევების გამო და განსაკუთრებით 1832 წლის საპარლამენტო რეფორმის შემდეგ, არისტოკრატიული ინგლისი თანდათანობით ადგილს უთმობს ბურჟუაზიულ ინგლისს. საზოგადოებრივი მმართველობის სხვადასხვა სფეროში მკვიდრდება ახალი მცნებები, ურთიერთობის ახალი ფორმები.

ინგლისის მრეწველობის წამყვან დარგად კვლავ საფეიქრო მრეწველობა რჩებოდა; მხოლოდ ბამბეულის წარმოებაში 200000-ზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. ინგლისის მთელი სამრეწველო პროდუქციის 5/6 მოდიოდა მრეწველობის იმ დარგებზე, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებდნენ.

ინდუსტრიის განვითარება ბიძგს აძლევდა ახალ ტექნიკურ აღმოჩენებს. XIX ს. ათიან წლებში ინგლისში გამოჩნდნენ ჯერ სამდინარო, შემდეგ კი საზღვაო ორთქლის გემები, 20-იანი წლების ბოლოს კი – ორთქმავლები; პირველი რკინიგზა გაიყვანეს 1830 წ. ლივერპულსა და მანჩესტერს შორის; საუკეთესო ლოკომოტივისათვის დააჯილდოვეს ქვანახშირის საბადოების თვითნასწავლი მუშა **ჯორჯ სტეფენსონი**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში სრულყოფდა ორთქლის ძრავას. 40-იან წლებში ყველა დიდი ქალაქი ერთმანეთთან რკინიგზით იქნა დაკავშირებული. თავდაპირველად სახელმწიფო ხელისუფლება საერთოდ არ ერეოდა სარკინიგზო საქმეებში, ის მხოლოდ ჰყიდდა სამშენებლო ლიცენზიებს; ამით სარგებლობდნენ კერძო პირები და მგზავრებს უწევდნენ განუსაზღვრელ ექსპლუატაციას.

წარმოების მართვაში ასეთი თავისუფლება შეესაბამებოდა აღზევებული სავაჭრო-სამრეწველო კლასის ანუ ბურჟუაზიის ინტერესებს. მათი მთავარი იდეოლოგები იყვნენ **ადამ სმითი** და **დეივიდ რიკარდო**; ისინი მოითხოვდნენ ფრიტრედს (ინგლ. free trade – თავისუფალი ვაჭრობა), რომელშიც გულისხმობდნენ არა მარტო თავისუფალ ვაჭრობას, არამედ სახელმწიფოს ჩაურევლობას, საერთოდ, კერძო სამეურნეო საქმიანობაში. ასეთ შეხედულებებს იზიარებდნენ ლიბერალებიც, რომლებსაც პიროვნების ინტერესების დაცვის მიზნით

სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვა სურდათ. აღმავალი ბურჟუაზიული კლასის გავლენით ვიგების პარტიამ მიიღო ლიბერალების სახელწოდება, მაშინ, როდესაც მიწათმფლობელი ტორები კონსერვატორულ პარტიაში გაერთიანდნენ.

**ლიბერალური რეფორმები. კანონი ღარიბების შესახებ.** 1832 წლის საპარლამენტო რეფორმის შემდეგ ლიბერალებმა უმრავლესობა მოიპოვეს პარლამენტში (ამ დროს იწყება დედოფალ ვიქტორიას ხანგრძლივი მმართველობა – 1837-1901). მათ განახორციელეს მთელი რიგი ცვლილებები ინგლისის მმართველობაში, რის შედეგადაც შესუსტდა არისტოკრატიის გავლენა ადგილობრივი საქმეების გადაწყვეტის დროს; ყველგან შექმნეს ქალაქის საბჭოები, რომლის წევრებს ირჩევდნენ არა მარტო სახლთმფლობელები, არამედ გადასახადის ყველა გადამხდელიც. ლიბერალურმა პარტიამ შემდეგ შეცვალა (1834), ჯერ კიდევ ელიზაბეთის დროს, 1601 წ. მიღებული კანონი ღარიბთა შესახებ, რომლის მიხედვით უმუშევართა, გაღარიბებულ წვრილ ხელოსანთა და გლეხთა დახმარება მრევლს ევალებოდა, რაც მათ უკმაყოფილებას იწვევდა; ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადი გაუქმდა. ეს კანონი მიიღეს მას შემდეგ, როდესაც სპეციალურმა გამოძიებამ დაადგინა ღარიბებზე ზედამხედველების თვითნებობა; ისინი ღარიბებს მონის მდგომარეობაში ამყოფებდნენ. რეფორმის მომხრეები სხვადასხვა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ: ერთნი – უპატრონოდ მიტოვებული ღარიბებისადმი ფილანთროპიული გრძნობებით, მეორენი – პრაქტიკული მოსაზრებებით ცდილობდნენ ადგილობრივი მმართველობების ბიუჯეტების განთავისუფლებას და მათი სახსრების გამოყენებას გზების, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ა.შ. და ბოლოს, მოქმედებდა მაშინდელ პოლიტიკურ ეკონომიაში გაბატონებული აზრი: უარი ეთქვათ ყოველგვარ საზოგადოებრივ დახმარებაზე, მიეცათ თავისუფლება მოვლენების ბუნებრივი განვითარებისათვის.

ღარიბებისათვის რეფორმა მეტად მკაცრი იყო: სამრევლოები თავისუფლდებოდნენ ღარიბებისათვის დახმარების სახლში მიტანის ვალდებულებისაგან (ეს არ ვრცელდებოდა მოხუცებზე და შრომისუუნაროებზე); ჯანმრთელი მუშები, რომლებიც საზოგადოებრივ დახ-

მარებას ითხოვდნენ, უნდა მოეთავსებინათ მუშათა სახლებში, სადაც მათ უარესად კვებავდნენ, ვიდრე პატიმრებს ციხეში და ამყოფებდნენ სასტიკი დისციპლინის პირობებში; ამიტომ ღარიბთა სახლებში წასვლაზე მუშები უარს აცხადებდნენ.

ლიბერალებმა სასოფლო ადგილებშიც ჩაატარეს რეფორმა. სოფლის საზოგადოებრივ საქმეებს (კეთილმოწყობა, სანიტარული მდგომარეობა და სხვა) ამიერიდან განაგებდნენ ხალხის მიერ არჩეული პირები და არა ადგილობრივი არისტოკრატია.

ლიბერალური სამინისტროს დროს, 1833 წელს, ინგლისის პარლამენტმა გაათავისუფლა ფერადკანიანი მონები და მისცა მათ ისეთივე უფლებები, როგორიც თეთრკანიანებს ჰქონდათ.

ლიბერალები იძულებულნი იყვნენ ყურადღება მიექციათ მუშათა მძიმე მდგომარეობისათვის. მუშების სამუშაო დღე 16-18 საათს გრძელდებოდა, ხელფასები ძალზე დაბალი იყო, ფართოდ გამოიყენებოდა ქალთა და ბავშვთა შრომა, აუტანელი სამუშაო და საცხოვრებელი პირობების გამო მუშებს შორის გავრცელებული იყო ტუბერკულიოზი, ტიფი და სხვა დაავადებები.

1831 წ. მიიღეს კანონი, რომელიც კრძალავდა ღამის სამუშაოებში 18 წელზე ნაკლები ასაკის მოზარდის შრომის გამოყენებას. 1833 წ. მიღებული კანონით ფაბრიკა-ქარხნებში მხოლოდ 9 წელზე მეტი ხნის ახალგაზრდას შეეძლო ემუშავა, 9 საათით განისაზღვრა 9-დან 13 წლამდე ბავშვთა სამუშაო დღის ხანგრძლივობა, დაწესდა საფაბრიკო ინსპექცია და სავალდებულო შესვენება სადილისათვის, 14 წლამდე ბავშვებისათვის სავალდებულო სასკოლო სწავლება.

**ჩარტისტული მოძრაობის დასაწყისი.** მას შემდეგ, რაც 1832 წლის რეფორმამ იმედები გაუცრუა მუშებს, მათ გადაწყვიტეს სხვა გზებით სიარული. რობერტ ოუენმა წამოაყენა წინადადება ტრედების ერთიანი კავშირის შექმნისა და რვასაათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ. თავის მხრივ მრეწველებმა შექმნეს კავშირი და გადაწყვიტეს არ მიეღოთ სამუშაოდ რომელიმე ტრედუნიონის[8]

---

[8] ტრედუნიონი – ინგლ. trade– ხელობა, პროფესია + union გაერთიანება – პროფესიული კავშირი.

(პროფესიული კავშირების) წევრი. როდესაც სასამართლომ 8 წლის კატორღა მიუსაჯა რამდენიმე მუშას მხოლოდ იმისათვის, რომ ისინი ტრედუნიონის წევრები იყვნენ, ტრედების ცენტრალურმა კავშირმა გადაწყვიტა გრანდიოზული მიტინგის მოწყობა გასამართლებულთა მხარდასაჭერად: მუშები შეიკრიბნენ ლონდონის მახლობლად, დაიყვნენ რაზმებად პროფესიების მიხედვით და გაემართნენ ქალაქის ცენტრისაკენ.

საპროტესტო დემონსტრაცია რამდენიმე დღე გაგრძელდა, მაგრამ უსახსრობის გამო დიდხანს უმუშევრად ყოფნა მუშებს არ შეეძლოთ; ამიტომ ტრედების ცენტრალური კავშირი მალე დაიშალა. მუშათა უმრავლესობას კვლავ საერთო დემოკრატიული რეფორმების იმედი ჰქონდა.

1836 წელს ლონდონში ჩამოყალიბდა მუშათა ასოციაცია წვრილბურჟუაზიული რადიკალის **უილიამ ლოვეტის** ხელმძღვანელობით. მათ შეიმუშავეს 6 პუნქტისაგან შემდგარი სახალხო ქარტია. შემდგომი ათი წლის (1838-1848) განმავლობაში ამ მოძრაობამ მიიღო ჩარტიზმის სახელწოდება (ინგლისური სიტყვისაგან Charter – ქარტია).

ჩარტისტები მოითხოვდნენ: 1. საყოველთაო საარჩევნო უფლებებს (თავდაპირველად ქალებისთვისაც, შემდეგში მხოლოდ მამაკაცებისათვის); 2. პარლამენტის ყოველწლიურ განახლებას; 3. ფარულ კენჭისყრას; 4. დეპუტატად არჩევისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმებას; 5. პარლამენტის დეპუტატების შრომის ანაზღაურებას; 6. ქვეყნის დაყოფას თანაბარ საარჩევნო ოლქებად. განზრახული იყო რეფორმების შესახებ პარლამენტში პეტიციის წარდგენა. გაბატონებული კლასების წარმომადგენლებმა ეს პროგრამა მიიჩნიეს „უაზრობად და საშიშად“ (თუმცა მოგვიანებით მუშათა ყველა მოთხოვნა განხორციელდა).

ლონდონის ასოციაციამ მთელს ქვეყანაში თავის მომხრეებს შორის გაავრცელა ქარტია. პოლიტიკურ რეფორმებს მუშები მიიჩნევდნენ ღრმა სოციალური ცვლილებების განხორციელებისათვის აუცილებელ წინაპირობად.

რადიკალები ეი. ბურჟუაზიის წარმომადგენლები მალე ჩამოშორდნენ ჩარტისტებს. სამაგიეროდ მათ უერთდებოდნენ ის ადამიანები, რომ-

ლებსაც პოლიტიკური რეფორმები არ სურდათ და უპირველესად ეკონომიკური ანუ „დანა-ჩანგლის“ საკითხები აწუხებდათ.

ჩარტისტული მოძრაობა სამრეწველო კრიზისებისა და უმუშევრობის დროს ძლიერდებოდა, რაც ძირითადად მასობრივ მიტინგებსა და პარლამენტში წარსადგენ პეტიციებზე ხელმომწერთა რიცხვის ზრდაში გამოიხატებოდა. 1839 წ. ლონდონში შეიკრიბა მუშათა პარლამენტი ეროვნული კონვენტის სახელწოდებით. მისი სხდომები ტარდებოდა სახელმწიფო პარლამენტის გვერდით შენობაში. პარლამენტის წევრები გაითიშნენ: ნაწილი მოითხოვდა მშვიდობიანი აგიტაციის გაგრძელებას (ესენი იყვნენ უფრო დამოუკიდებელი და უკეთესად ორგანიზებული მუშები) ე.ი. „**მორალური ძალით**“ თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებას; მათი ხელმძღვანელი იყო უილიამ ლოვეტი, ნაწილი კი (ღარიბი მუშები) – რევოლუციური ძალდატანების გამოყენებას. მათ „**ფიზიკური ძალის პარტიას**“ უწოდებდნენ. ამ პარტიის მემარცხენე ჯგუფებს **ჯულიან ჰარნი** მეთაურობდა.

კონსერვატორები მთავრობისაგან მოითხოვდნენ ჩარტისტების წინააღმდეგ განსაკუთრებული ზომების მიღებას, მაგრამ მთავრობის თავმჯდომარე როსელმა უარყო მათი მოთხოვნა იმ მოტივით, რომ დაბალ კლასებსაც ჰქონოდათ შეკრებებისა და სიტყვის თავისუფლების უფლება. ჩარტისტები ცდილობდნენ აჯანყების მოწყობას, მაგრამ მათ არც გეგმა ქონდათ და არც საჭირო სახსრები; მოხდა მხოლოდ რამდენიმე შეჯახება ჯართან და პოლიციასთან, რომლის შედეგად „ფიზიკური ძალის პარტიის“ მეთაურები დააპატიმრეს; კონვენტი დაიშალა და ჩარტისტული აგიტაცია თანდათან მინელდა.

**სამრეწველო ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ზრდა და პურის კანონის გაუქმება (1846).** სამრეწველო ბურჟუაზიის ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერების შედეგად, 30-იან წლებში, პურის კანონის გამო გამწვავდა ბრძოლა სამრეწველო ბურჟუაზიასა და ლენდლორდებს შორის.

პურზე მაღალი ფასები არ იყო ხელსაყრელი მრეწველებისათვის, რადგანაც ისინი იძულებულნი იყვნენ მუშებისათვის ხელფასები გაედიდებინათ. ყველა კლასის ცხოვრების გაუმჯობესების

მთავარ პირობად მრეწველების დიდ ნაწილს თავისუფალი ვაჭრობა ანუ ფრიტრედი მიაჩნდა. მათ ინტერესებს ყველაზე უკეთ გამოხატავდნენ ვიგების პარტია და განსაკუთრებით 1838 წ. მანჩესტერში შექმნილი პურის კანონის წინააღმდეგ ბრძოლის ლიგა, რომელსაც სათავეში ედგნენ რიჩარდ კობდენი და ჯონ ბრაიტი. „მანჩესტერელთა“ შეხედულებები, რომლებიც ანვითარებდნენ ა. სმითისა და დ. რიკარდოს მოძღვრებას, 40-70-იან წლებში გავრცელდა კონტინენტური ევროპის ქვეყნებშიც.

თავისუფალი ვაჭრობის იდეას პარლამენტში მცირერიცხოვანი მომხრეები ჰყავდა. ამიტომ მისი გამარჯვება განაპირობა ორი მთავარი ძალის — მიწათმფლობელებისა და მრეწველების ურთიერთშორის წინააღმდეგობამ; მათი ძალები დაახლოებით თანაბარი იყო და თავისუფალი ვაჭრობის პარტიის მხარდაჭერას ერთ-ერთი მათგანის უპირატესობის მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1841 წ. ლიბერალების ნაცვლად ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კონსერვატორები პილის ხელმძღვანელობით. მინისტრთა კაბინეტის ახალი ხელმძღვანელი დარწმუნდა თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობაში და დაუპირისპირდა თავისი პარტიის — კონსერვატორების უმრავლესობას, რომლებიც მიწათმფლობელთა ინტერესებს გამოხატავდნენ.

პურის კანონის გაუქმებას ხელი შეუწყო 1845 წლის შიმშილობამ ირლანდიაში, რომელიც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი საკვების — კარტოფილის დაავადებამ. მანჩესტერში შექმნილმა ლიგამ მოითხოვა ნებართვა უცხოეთის ქვეყნებიდან პურის თავისუფლად შემოტანისათვის. პარლამენტში ლიბერალებმა მხარი დაუჭირეს თავისუფალ ვაჭრობას. მაშინ პილმა წამოაყენა წინადადება პურის კანონის გაუქმებისა და საერთოდ თავისუფალი ვაჭრობის დაშვების შესახებ. ხანგრძლივი დებატების შემდეგ (103 დეპუტატი გამოვიდა სიტყვით) 1846 წ. პურის კანონი გააუქმეს.

**ჩარტისტული მოძრაობის დასასრული.** პურის კანონის გაუქმებით სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიამ, რომელიც ხელისუფლებაში 1832 წლიდან მოვიდა, სრულ გამარჯვებას მიაღწია. ამ დროიდან მათი ინტერესები მკვეთრად დაუპირისპირდა მუშათა მისწრაფებებს.

1848 წ. კონტინენტური ევროპის ქვეყნებში დაწყებულ რევოლუციებთან ერთად, ინგლისში კვლავ გამოცოცხლდა ჩარტისტების მოძრაობა. თებერვალში საფრანგეთში დაწყებული რევოლუციის გავლენით ჩარტისტების ბელადებმა მოითხოვეს მინისტრების გადადგომა, პარლამენტის დათხოვნა, ქარტიის მიღება. ლონდონში კვლავ შეიკრიბა ეროვნული კონვენტი, რომელმაც დაიწყო მოლაპარაკება საფრანგეთის ახალშექმნილი რესპუბლიკის (ანუ მეორე რესპუბლიკის) დროებით მთავრობასთან. გადაწყვიტეს კვლავ წარედგინათ პეტიცია პარლამენტში და მის მხარდასაჭერად მოეწყოთ დიდი დემონსტრაცია. განზრახული ჰქონდათ ლონდონის გარეუბანში შეკრება და შემდეგ პარლამენტისაკენ წასვლა; საბრძოლო ჯგუფები მზად იყვნენ ქუჩებში შეტაკებისათვის.

მთავრობამ განაცხადა, რომ მიტინგის ჩატარებას არ შეუშლიდნენ ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩარტისტები უარს იტყოდნენ პარლამენტისაკენ მსვლელობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებით მოხდა განხეთქილება. შედარებით რადიკალებმა უარი განაცხადეს მშვიდობიან დემონსტრაციაში მონაწილეობაზე; ამიტომ დემონსტრანტების მხოლოდ მცირე ნაწილმა წარადგინა პეტიცია პარლამენტში. ჰერცოგმა უელინგტონმა, რომელსაც მიანდეს ლონდონის სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობა, გააძლიერა ქალაქის მნიშვნელოვანი უბნებისა და შენობების დაცვა; მისი მოწოდების შემდეგ პოლიციის დაცვის რაზმებში საშუალო ფენების 15000 წარმომადგენელი ჩაეწერა. მაგრამ შეტაკებამდე საქმე არ მისულა. 1848 წლის ივლისში პარლამენტმა არ მიიღო პეტიცია.

ამდენი წარუმატებლობის შემდეგ მუშათა მოძრაობა თანდათანობით შენელდა და ახლა მასში მონაწილეობას იღებდნენ უმთავრესად უმუშევრები. ეკონომიკური სიდუხჭირის გამო, გაფიცვების დიდი ხნით მოწყობა მათ არ შეეძლოთ და იძულებულნი იყვნენ სამუშაოს დაბრუნებოდნენ. ისევე როგორც წინა წლებში (20-30-იანი წლები), ახლაც მუშათა მოძრაობა რევოლუციაში არ გადაიზარდა. გაღატაკებულ ირლანდიელთა დიდი რაოდენობა (ისინი ყველაზე აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩარტისტულ მოძრაობებში), აგრეთვე ბევრი ინგლისელი მუშა 1848 წლის შემდეგ ამერიკაში

გადასახლდა. ამასთანავე, ინგლისში დაიწყო სამრეწველო აღმავლობა, რის შედეგადაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კლასებს შორის ურთიერთობაში სიმშვიდემ დაისადგურა.

**მუშათა კავშირები. რეფორმების შეჩერება.** XIX საუკუნის 50-იან წლებში ინგლისში მუშათა გამოსვლები არ ყოფილა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ინგლისის ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარება; მრეწველობის ბევრ დარგში ხელფასები გაიზარდა; იქმნებოდა სამომხმარებლო კავშირები, რომლებიც აიაფებდნენ მუშათა პირველადი მოხმარების საქონელს. მუშათა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების შემცირებასთან ერთად, შეიცვალა მუშათა ორგანიზაციების ტაქტიკა.

აღიარეს რა საყოველთაო აჯანყების შეუძლებლობა, შედარებით რთული პროფესიების, ან როგორც მათ ინგლისში უწოდებდნენ „ნასწავლმა“ მუშებმა: მექანიკოსებმა, სტამბის მუშებმა, ქვით და ხით ხუროებმა, მეწაღლეებმა და ა.შ. დაიწყეს პროფესიების (ტრედების) მიხედვით გაერთიანება. პროფესიული კავშირების შექმნის ძირითადი მიზანი იყო საწარმოთა მფლობელების თვითნებობისაგან მათი წევრების დაცვა; სამრეწველო კრიზისების, უმუშევრობის, ავადმყოფობის ან სხვა გაჭირვების დროს მუშებისათვის დახმარების გაწევა; საწარმოს მეპატრონესთან მოსალაპარაკებლად ტრედები ირჩევდნენ წარმომადგენლებს და მოქმედებდნენ ერთიანი გეგმის მიხედვით. ტრედები ორი სახის კავშირებს (იუნიონებს) ქმნიდნენ: ერთიანდებოდნენ ან მოცემული ადგილის ყველა საწარმოს, ანდა სხვადასხვა ტერიტორიების (მთელი ინგლისის მაშსტაბითაც კი) საწარმოთა მუშები. ტრედებში გაერთიანების შემდეგ, მეწარმეებზე ზემოქმედებისათვის გაფიცვას მუშები უკიდურეს საშუალებად მიიჩნევდნენ. ზოგიერთი კავშირი ძალის გამოყენებას უმუშევრების საზღვარგარეთ გამგზავრებას ამჯობინებდა. ისინი იზიარებდნენ იმ აზრს, რომ საწარმოს მფლობელებსა და მუშებს შორის ყოველთვის შესაძლებელი და აუცილებელი იყო შეთანხმება. მათ მიზანს „კლასთა შორის ბრძოლის“ „სამრეწველო დიპლომატიით“ შეცვლა წარმოადგენდა. ამიტომ დიდი ხნის განმავლობაში ტრედები პოლიტიკაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ.

თანდათანობით ტრედუნიონები თვიოონ იქცეოდნენ დიდ პოლიტიკურ ძალად. თავიანთ კრებებზე მუშები ეუფლებოდნენ დებატებისა და არჩევნების წესებს. კაპიტალისტებთან დიდი დაპირისპირების დროს ნათლად ჩნდებოდა მუშათა კავშირების ძალა: როდესაც 1859 წელს ქვით და ხით ხუროებმა გაერთიანებული ძალით მოაწყვეს გაფიცვა 9 საათიანი სამუშაო დღის შემოღებისათვის, მათ მხარი დაუჭირეს სხვა პროფესიული კავშირების მუშებმა და ერთიანი ძალით აიძულეს მეწარმენი დათმობაზე წასულიყვნენ. ტრედუნიონები, რომლებიც თავიდან მხოლოდ ურიერთდახმარებას და დაზღვევას ითვალისწინებდნენ, ახლა იბრძვიან იმისათვის, რომ თითოეულ საწარმოში მუშებს ჰქონოდათ ნორმალური სამუშაო პირობები და სამუშაო დღის ერთიანი ხანგრძლივობა. მაგრამ მათ წინ ეღობებოდა 1825 წელს მიღებული კანონი გაფიცვების შესახებ, რომლის მიხედვით მუშებს შეეძლოთ თავიანთი მოთხოვნები წაეყენებინათ მეწარმეებისადმი, სამაგიეროდ მათ ეკრძალებოდათ ამ მოთხოვნების განხორციელებისათვის სხვების ძალით მომხრობა ან წაქეზებაც კი.

მოძველებული შრომითი კანონმდებლობის შესაცვლელად მუშათა კავშირების ხელმძღვანელებმა კვლავ პოლიტიკური გზა აირჩიეს. მათი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა პირველი ინტერნაციონალი (1864). ინგლისისათვის ისინი მთავარ პოლიტიკურ ამოცანად მიიჩნევდნენ პარლამენტში მუშათა დეპუტატების არჩევას. ამ მოძრაობას შედეგად მოჰყვა 1867 წლის მეორე საპარლამენტო რეფორმა.

1846 წ. პურის კანონის გაუქმების შემდეგ კონსერვატორებმა დიდი ხნით დაკარგეს ძალაუფლება. მცირე შესვენებით, ოცი წლის განმავლობაში (1846-1866), ლიბერალები იყვნენ ხელისუფლების სათავეში. საშინაო პოლიტიკაში ისინი უმოქმედობას იჩენდნენ, საგარეოში კი — პირიქით: ლიბერალი მინისტრი პალმერსტონი საფრანგეთის, გერმანიისა და რუსეთის მზარდი მრეწველობის მოსალოდნელი კონკურენციისაგან თავის დაცვას ძალის გამოყენებით ცდილობდა. მან 1848 წ. ხელი შეუწყო ლუი ფილიპეს დამხობას, ყირიმის ომში ნაპოლეონ III კავშირით ცდილობდა რუსეთის დასუსტებას, აგრეთვე საფრანგეთთან ერთად ომი დაიწყო ჩინეთის

წინააღმდეგ, იმისათვის, რომ ოპიუმის შესატანად ძალით გაეხსნა აღმოსავლეთის ნავსადგურები. ასეთი აგრესიული პოლიტიკის გამო პალმერსტონი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ინგლისის სამრეწველო წრეებში; კონსერვატორებიც ჩუმად მხარს უჭერდნენ მას, რაც განპირობებული იყო იმითაც, რომ ქვეყნის შიგნით ლიბერალები ყოველგვარ რეფორმას ეწინააღმდეგებოდნენ.

**მეორე საარჩევნო რეფორმა.** ჩარტისტების მოთხოვნამ საყოველთაო საარჩევნო უფლებების შემოღების შესახებ 60-იან წლებში კვლავ მოიპოვა პოპულარობა. პალმერსტონის გარდაცვალების შემდეგ (1865), მინისტრთა კაბინეტს სათავეში ჩაუდგა **რასელი**, ყველაზე პოპულარული მინისტრი კი **უილიამ გლადსტონი** გახდა. იგი პილთან ერთად თავისუფალი ვაჭრობის მომხრედ გამოდიოდა, შემდეგ დაუახლოვდა რადიკალებს და ბოლოს, ინგლისში დემოკრატიული რეფორმების ჩატარების მთავარი ორგანიზატორი გახდა.

როდესაც ტრედუნიონებმა თავისი აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობით საყოველთაო ყურადღება მიიპყრეს, ორივე პარტია, ლიბერალები და კონსერვატორები, მუშების თავის მხარეზე მიმხრობას ცდილობდნენ და ამ მიზნით ჰპირდებოდნენ მათ საარჩევნო უფლებების გაფართოებას.

1866 წ. გლადსტონმა პარლამენტში შეიტანა რეფორმის პროექტი, რომელიც საარჩევნო ქონებრივი ცენზის მნიშვნელოვან შემცირებას ითვალისწინებდა, განსაკუთრებით ქალაქის მცხოვრებლებისათვის. იგი ამბობდა: „ყველა ვინც არ არის უუნარო ან საშიში, მონაწილეობას უნდა იღებდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში“. პროექტის განხილვის დროს ლიბერალებს გამოეყო არისტოკრატთა ჯგუფი და მიუთითებდნენ რა გაფიცვებზე, მღელვარებებზე ირლანდიაში, ტრედუნიონების წარმატებებზე, აცხადებდნენ, რომ დემოკრატიულ გარდაქმნებს რევოლუცია მოჰყვებოდა. მათი წინააღმდეგობის გამო ლიბერალურმა სამინისტრომ დაკარგა უმრავლესობა, გადადგა და ისინი შეცვალეს კონსერვატორებმა, რომელთა შორის თავის პოპულარობით გამოირჩეოდა დიზრაელი. რეფორმის მომხრეთა მოძრაობა კი სულ უფრო ფართოვდებოდა. მანიფესტაციები და მასობრივი მიტინგები ტარდებოდა ტრედუნიონების ხელმძღვანელობით. ლონდონის

ჰაიდ-პარკში დანიშნული იყო გრანდიოზული მიტინგი. მთავრობას არ უნდოდა მისი ჩატარება და ამიტომ დაკეტა პარკი. მიტინგისათვის შეკრებილთა ნაწილს არ სურდა პოლიციასთან შეტაკება და წავიდნენ ახლომდებარე ტრაფალგარის სკვერისაკენ, მაგრამ დარჩენილებმა დაამტვრიეს ღობეები და შეცვივდნენ ჰაიდ-პარკში. მიტინგის ორგანიზატორებმა მთავრობას შესთავაზეს პოლიციის გაყვანა და პარკის დაცვა თვითონ იკისრეს. მთავრობა დათანხმდა და მანიფესტანტების ზეგავლენით დააჩქარა რეფორმა. აქტი რეფორმების შესახებ თემთა პალატამ მიიღო 1867 წლის აგვისტოში.

ლიბერალებმა პროექტს რამდენიმე მუხლი დაუმატეს, ამიტომ იგი გლადსტონის რეფორმად შეიძლება ჩავთვალოთ. 1832 წლის მსგავსად, არც ეს რეფორმა აკანონებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებას. ქალაქებისა და მჭიდროდ დასახლებული ადგილების სასარგებლოდ კვლავ წაართვეს ხმის უფლება რამდენიმე შემორჩენილ „დამპალ დაბას“, შეამცირეს ქონებრივი ცენზი და საარჩევნო ხმის უფლება გაავრცელეს სახლის მფლობელებსა და დამქირავებლებზე, რომლებიც იხდიდნენ გადასახადს ღარიბების სასარგებლოდ, აგრეთვე ბინის დამქირავებლებზე, თუ ისინი წლის განმავლობაში საარენდო გადასახადს იხდიდნენ 10 გირვანქა სტერლინგის რაოდენობით; სოფლად არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა არენდატორს, რომელთა მიწის წლიური შემოსავალი 12 გირვანქა სტერლინგი იყო. ამასთანავე შენარჩუნებულ იქნა ღია კენჭისყრის წესი (გააუქმეს 1872 წ.) და საარჩევნო ოლქების არათანაბარი განაწილება.

ამგვარად, მეორე საარჩევნო რეფორმა ხმის უფლებას აძლევდა არა მარტო წვრილ ბურჟუაზიას, არამედ მუშათა კლასის ზედა ფენასაც. მაგრამ ინგლისის მამაკაცთა 2/3-ს, აგრეთვე ქალებს, ხმის უფლება არ ეძლეოდათ. აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად რეფორმა მაინც დემოკრატიული მმართველობისაკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

**ირლანდია 1848 წლის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ.** საარჩევნო რეფორმასთან ერთდროულად ირლანდიაში რევოლუციური გამოსვლები მიმდინარეობდა. 1848 წ. შიმშილისა და გადასახლებებ-

ის შემდეგ ირლანდიაში პოლიტიკური ცხოვრება ჩაკვდა. მისი გამოცოცხლება დაიწყო 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც 1857/1858 წლებში ირლანდიელმა ემიგრანტებმა აშშ-ში დააარსეს ფარული საზოგადოება — „ირლანდიური რევოლუციური საძმო", რომელმაც შემდეგ მიიღო ფენიების ლეგენდარული სახელწოდება.[9] ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა შეიარაღებული აჯანყების გზით ინგლისისაგან ირლანდიის განთავისუფლებას და დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას. ფენიებმა კავშირი დაამყარეს სხვა ქვეყნების რევოლუციონერებთან, აჯანყება უნდა დაწყებულიყო ირლანდიასა და ინგლისის რამდენიმე პუნქტში ერთდროულად. მაგრამ ევროპიდან მათ ვერავითარი დახმარება ვერ მიიღეს, საკუთრივ ირლანდიაში კი სოფლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აჯანყების წინააღმდეგი იყო. მთავრობამ შეიტყო მოსალოდნელი აჯანყების შესახებ და დააპატიმრა რამდენიმე ხელმძღვანელი.

მიუხედავად იმისა, რომ მოძრაობამ მარცხი განიცადა, გლადსტონი დაჟინებით მოითხოვდა ირლანდიაში ძირეული რეფორმების გატარებას. ახალმა არჩევნებმა პარლამენტში ლიბერალებს მოუტანა გამარჯვება. ინგლისის საშუალო ფენებმა მხარი დაუჭირეს ტორებს, ხოლო ჩრდილო ინგლისის ქალაქებმა, რომლებიც ძირითადად მუშებით იყვნენ დასახლებული და დემოკრატიულმა შოტლანდიამ — ლიბერალებს. გამარჯვებული პარტიის ნახევარს რადიკალები შეადგენდნენ; მათგან რამდენიმე გლადსტონმა თავის ახალ სამინისტროში (1868-1874) შეიყვანა.

გლადსტონის ახალმა კაბინეტმა ირლანდიაში რეფორმების ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია. 1869 წელს მან აქ განახორციელა საეკლესიო რეფორმა; პროტესტანტიზმი მოსახლეობის 4/5 -სათვის უცხო იყო და, ამავე დროს, მისი შენახვა ირლანდიელ კათოლიკებს მძიმე ტვირთად აწვა. ახლა კი კათო-

---

[9] სავარაუდოა, რომ ფენიების სახელწოდება მიიღეს XVIII ს. ირლანდიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურის ფენ მაკუმჰოლის სახელის მიხედვით, ზოგიერთი მოსაზრებით კი — ფენიქსისაგან (ძველ საბერძნეთში ლეგენდარული ფრინველი, რომელიც სიკვდილის შემდეგ ცოცხლდებოდა) და ეს სახელწოდება უნდა ყოფილიყო განმათავისუფლებელი ბრძოლის უკვდავების სიმბოლო.

ლიკებმა სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს. ანგლიკანური ეკლესია ჰკარგავდა გაბატონებულ მდგომარეობას და თავისი შემოსავლების ნაწილს. ამ ღონისძიებამ რადენადმე შეასუსტა კათოლიკური სამღვდელოების ოპოზიცია. შემდეგ გლადსტონის ინიციატივით პარლამენტმა მიიღო კანონი მიწის შესახებ. ირლანდიის კათოლიკურ ნაწილში ფერმერებს, წვრილ არენდატორებს არ ჰქონდათ კანონით განმტკიცებული უფლებები მიწაზე. ამ კანონის შემდეგ კი მათ ისეთივე პირობები ექმნებოდათ, როგორიც ჰქონდათ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქში (ოლსტერში) მცხოვრებ ანგლიკანური სარწმუნოების მქონე მსხვილ ფერმერებს: თუ მიწის მფლობელი (ლენდლორდი) აყრიდა მიწიდან, მათ შეეძლოთ მოეთხოვათ იმ დანახარჯების სათანადო ანაზღაურება, რაც დასჭირდათ საარენდო მიწის დამუშავების კულტურის გაუმჯობესებისათვის. ამით უნდოდათ ფერმერების გულის მოგება და ირლანდიის მიწათმოქმედების წარმადობის ამაღლება. მაგრამ ირლანდიელთა უკმაყოფილებას უკვე ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული — რეფორმები დაგვიანებული აღმოჩნდა. 1870 წელს ირლანდიაში შეიქმნა ჰომრულის (თვითმმართველობა) პარტია (ასოციაცია), რომელიც საკუთარი პარლამენტის შექმნას მოითხოვდა ქვეყნისათვის აქტუალური საკითხების, განსაკუთრებით მიწის საკითხის გადასაჭრელად.

ირლანდიელი ხალხის ბრძოლა მიწისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მილიონობით მებრძოლი ადამიანისათვის მისაბაძ ნიმუშად და მაგალითად იქცა. სწორედ ამიტომ ქართული საზოგადოებრივი აზრის თვალსაჩინო წარმომადგენლები ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, გ. წერეთელი, ს. მესხი, ა. ჯორჯაძე და სხვები თავიანთ პუბლიცისტურ წერილებში მხურვალედ უჭერდნენ მხარს ირლანდიელი ხალხის გმირულ ბრძოლას ინგლისელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ.

# თავი III. საფრანგეთი 1815-1870 წლებში

ბურბონთა რესტავრაცია. 1814 წლის ქარტია. 1814 წლის აპრილში, ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდეგ, აღადგინეს ბურბონთა დინასტია (მეორედ ბურბონთა რესტავრაცია მოხდა 1815 წ. ვატერლოოსთან ნაპოლეონის საბოლოოდ დამარცხების შემდეგ). ტახტზე ავიდა დიდი რევოლუციის დროს გილიოტინირებული ლუი XVI ძმა ლუი XVIII.[10]

დიდმა რევოლუციამ საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები გამოიწვია: ძველი რეჟიმისათვის დამახასიათებელი წოდებებს შორის არსებული განსხვავება და პრივილეგიები მოისპო, დამკვიდრდა ადამიანთა უფლებრივი თანასწორობა. ხალხის დიდმა მასამ თავი დააღწია სიბნელეს და უუფლებობას. ესენი იყვნენ უპირველესად გლეხობა, რომელთა შორის ნახევარს წვრილი მესაკუთრეები შეადგენდნენ.

სამრეწველო რევოლუციამ ინგლისში მიწის წვრილი მესაკუთრეობა თითქმის მთლიანად მოსპო, საფრანგეთის რევოლუციამ კი პირიქით — მათი რაოდენობა 2-2 1/2 მილიონამდე გაზარდა. საფრანგეთის მოსახლეობის დემოკრატიულად განწყობილ ნაწილს ახლა შეადგენდნენ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომელთა უმრავლესობა მრეწველობასთან იყო დაკავშირებული, დანარჩენები სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის მრავალრიცხოვანი მოხელეები იყვნენ. ამავე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ სამრეწველო საწარმოთა მუშები; მათი რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა XIX ს. 10-20-იან წლებში, როდესაც პარიზში, საფრანგეთის ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში (განსაკუთრებით ნორ-

---

[10] ლუი XVI სიკვდილით დასჯის (1793 წ. 21 იანვარი) შემდეგ, მეამბოხე როიალისტებმა საზღვარგარეთ მეუფედ გამოაცხადეს მისი ვაჟი შარლ ლუი (1785-1795) ლუი XVII სახელით. იგი 1789 წ. უფროსი ძმის გარდაცვალების შემდეგ გახდა დოფინი (დოფინეს საგრაფოს საფრანგეთის მეფის სამფლობელოებისათვის შემოერთების შემდეგ (XIV ს.) საფრანგეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ტიტული. გაუქმდა 1830 წ.). რევოლუციის დროს, 1792 წლის 10 აგვისტოს სახალხო აჯანყების შემდეგ, მეფესა და დედოფალთან ერთად ციხეში ჩასვეს. 1793 წ. ივნისში ლუი შარლი აღსაზრდელად მეწაღე იაკობელს მიაბარეს. მისი გარდაცვალების შემდეგ გავრცელდა ლეგენდა იმის შესახებ, რომ თითქოსდა იგი ცოცხალი იყო. გამოჩნდნენ თვითმარქვიები, რომლებიც თავიანთ თავს ლუი XVII უწოდებდნენ.

მანდიაში, საფრანგეთის ფლანდრიასა და ელზასში) დიდი რაოდენობით დაარსებულ იქნა ფაბრიკები.

25 წლის განმავლობაში, რევოლუციის დაწყებიდან ნაპოლეონის დამარცხებამდე (1789-1814), საფრანგეთში ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: იყო კონსტიტუციური მონარქია, რესპუბლიკა საყოველთაო და შეზღუდული საარჩევნო უფლებებით, სამხედრო-ბიუროკრატიული იმპერია. ყველა ამ მკვეთრ ცვლილებებს შორის, რევოლუციის მთავარი მონაპოვარი სამოქალაქო თანასწორობა იყო; ამ მხრივ უკან — ძველისაკენ დაბრუნება შეუძლებლად მიაჩნდათ არა მარტო თვით საფრანგეთში, არამედ ევროპის ბევრ სხვა სახელმწიფოშიც; აბსოლუტური მონარქიის აღდგენა საფრანგეთში შეუძლებელი იყო.

ლუი XVIII კარგად იცოდა, რომ იგი უნდა შერიგებოდა ზოგიერთ იმ ცვლილებებს, რომლებიც ბურბონების განდევნიდან 22 წლის განმავლობაში საფრანგეთში მოხდა: მან ახალ მესაკუთრეებს დაუკანონა რევოლუციის დროს მოპოვებული ქონება, ხელუხლებლად დატოვა ნაპოლეონის კოდექსები და არ შეცვალა პერიფერიებში ნაპოლეონის ადმინისტრაცია. ასეთი პოლიტიკით მეფე ცდილობდა კომპრომისის მიღწევას ფეოდალურ არისტოკრატიასა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის. **ამ კომპრომისის გამოხატულება იყო 1814 წლის 4 ივნისის კონსტიტუციური ქარტია.**

ქარტიის მიხედვით ძველი თავადაზნაურობა იბრუნებდა თავის ტიტულებს, მაგრამ ამავე დროს ახალი თავადაზნაურობაც ინარჩუნებდა პრივილეგიებს. საფრანგეთში უნდა ყოფილიყო კონსტიტუციური წყობა, მაგრამ მონარქს დიდი უფლებები ეძლეოდა. მის კომპეტენციაში შედიოდა არმიასა და ფლოტში, სახელმწიფო აპარატში უმაღლეს თანამდებობებზე დანიშვნა, პალატების სესიებს შორის ერთპიროვნული ბრძანებების გამოცემა და ა.შ. ზედა პალატის — პერთა პალატის — წევრები სამეფო სახლის, მსხვილი მესაკუთრეების (უმეტესად მსხვილი მიწათმფლობელების), უმაღლესი სამღვდელოების, გენერლებისა და მარშლების წრიდან ინიშნებოდნენ; პერის წოდება მემკვიდრეობით გადადიოდა. ქვედა პალატის — დეპუტატთა პალატის — წევრებს მაღალი ქონებრივი საარჩევნო ცენ-

ზის (300 ფრანკი ამომრჩევლებისათვის და 1000 ფრანკი დეპუ-ტატებისათვის) საფუძველზე ირჩევდნენ.

მეფე ხალხს კონსტიტუციური ქარტიის ერთგულად დაცვას, პიროვნების, პრესის, სინდისის თავისუფლებას, მინისტრების პასუხ-ისმგებლობას და სხვ. ჰპირდებოდა. მაგრამ ეს დაპირებები ზოგად ხასიათს ატარებდა: ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ შესრულდებოდა ისინი. ძალიან მალე ცენზურა დააწესეს და პრესის თავისუფლება არ განხორციელებულა, მინისტრების დანიშვნის დროს მეფე პალატების უმრავლესობის აზრს ყურადღებას არ აქცევდა. მაგრამ მთავარი იყო ის, რომ ქვეყანაში ვერ დამყარდა პოლიტიკური წესრიგი, რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არჩევნებში მონაწილე-ობის უფლება არ ჰქონდათ. პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდ-ნენ საზოგადოების მცირერიცხოვანი ორი მდიდარი ფენის — მსხ-ვილი მიწათმფლობელების და მსხვილი კაპიტალისტების წარმომად-გენლები. ინგლისთნ ომის განმავლობაში და კონტინენტური ბლოკა-დის დროს, უცხოური საქონლის კონკურენციის არარსებობის პირობებ-ში, მათი საქონელი კარგად საღდებოდა. იმისათვის, რომ მიწისმ-ფლობელებისათვის შეენარჩუნებინათ მათი უპირატესობები, შემოსა-ტან მარცვლეულზე შემოიღეს საბაჟო გადასახადი. რაც უფრო და-ბლა ეცემოდა მარცვლეულზე ფასები ქვეყნის შიგნით, მით უფრო მატულობდა საბაჟო გადასახადი. დაახლოებით იგივე ხდებოდა ინგ-ლისში. ამავე უყურადღებოდ არ დარჩენიათ ფაბრიკა-ქარხნების მფლო-ბელთა ინტერესები: მაღალი ბაჟის გამო საზღვარგარეთიდან სა-ფრანგეთში არ შემოჰქონდათ რკინისა და მანუფაქტურის ნაწარმი.

მაგრამ თავადაზნაურებსა და ბურჟუაზიას შორის მაინც არსე-ბობდა წინააღმდეგობა. ძვირადღირებული პური არ იყო ხელსაყრე-ლი მრეწველებისათვის, რადგან ისინი იძულებულნი იყვნენ მუშებ-ისათვის ხელფასები გაედიდებინათ; იმპერიის პერიოდში დაწინაუ-რებული სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის წარმომად-გენლებიც შიშობდნენ: ბურბონებთან ერთად დაბრუნებულ ემიგრან-ტებს არ წაერთმიათ მათთვის მიწები და თანამდებობები. თავის მხრივ ემიგრანტები, რომლებმაც არაფერი არ დაივიწყეს და ვერც ვერაფერი ისწავლეს, შეუერთდნენ ძველ თავადაზნაურობას და

მოითხოვდნენ რევოლუციის მონაწილეების მკაცრად დასჯას, წართმეული ქონების დაბრუნებას. მათ მხარს უჭერდა ტახტის მემკვიდრე, უშვილო მეფის – ლუი XVIII ძმა, **გრაფი დ'არტუა**. მისი იმედი ჰქონდათ, აგრეთვე, საფრანგეთში ფარულად დაბრუნებულ იეზუიტებს და, საერთოდ, ახალი საეკლესიო წყობის (რომლის მიხედვით სამღვდელოება დაექვემდებარა სამოქალაქო ხელისუფლებას და დაკარგა გავლენა სკოლებზე) მოწინააღმდეგეებს.

**ემიგრანტული რეაქცია და ბურჟუაზიული ლიბერალიზმი.** რესტავრაციის დროს (რესტავრაციის-აღდგენის პერიოდი მოიცავს 1814-1830 წწ.) საფრანგეთი ორ მტრულ ბანაკად გაიყო. 1815 წ. მარტში, ნაპოლეონის კ. ელბიდან პარიზში დაბრუნების შემდეგ, კიდევ უფრო გაძლიერდა ეს მტრობა. იმპერატორს მხარს უჭერდნენ არა მარტო დემოკრატიულად განწყობილი ჯარის ნაწილები, არამედ ლიბერალური ბურჟუაზიაც, რომელსაც იგი კონსტიტუციას დაპირდა. მას მხარი დაუჭირეს რესპუბლიკელებმაც. ყველას, ვინც ნაპოლეონს მიემხრო, უნდა ჰქონოდათ მოკავშირეების სამხედრო ძალით დაბრუნებული ბურბონებისა და ემიგრანტების მხრიდან შურისძიების მოლოდინი. დამარცხებულებს აღიზიანებდათ ისიც, რომ 1815 წ. საფრანგეთი უფრო მძიმე პირობებში ჩავარდა: მას წაართვეს ტერიტორიების ნაწილი, მისგან ითხოვდნენ დიდ კონტრიბუციას და ქვეყანაში რჩებოდა გამარჯვებულთა ჯარები. **პატრიოტები აღშფოთებულნი იყვნენ იმითაც, რომ ბურბონები უცხო ძალის დახმარებით დაბრუნდნენ**; მათ ბრალს სდებდნენ საღვთო კავშირის ერთგულებაშიც. უკანასკნელი მოვლენების ფონზე, ნაპოლეონის ეპოქა და მისი პიროვნება აღიქმებოდა რომანტიულ ფერებში: დაივიწყეს მისი დესპოტიზმი და იმპერიის დიდძალი მსხვერპლი, იგონებდნენ მხოლოდ მის სახელოვან გამარჯვებებს და იმპერიის ეპოქის საფრანგეთის ძლიერებას; ასე იქმნებოდა ლეგენდები ნაპოლეონზე, როგორც დიდ დემოკრატზე, როგორც ხალხის მეგობარზე და ა.შ. ამ ლეგენდებს იჯერებდნენ სახელოვან მთავარსარდალთან ერთად მრავალჭირნახული და გამარჯვებებით გამოწვეული სიხარულის გამზიარებელი იმპერიის ოფიცრები და ჯარისკაცები, აგრეთვე ბევრი რესპუბლიკელი.

მეორეს მხრივ რეაქციონერები მოითხოვდნენ რევოლუციონერებისა და მეამბოხეების დაუყოვნებლივ დასჯას. მეორე რესტავრაციის შემდეგ, 1815 წელს, პალატის ახალ არჩევნებში, მათ დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს. სწორედ ამ ახლად არჩეულმა პალატამ მიიღო განსაკუთრებული კანონი, რომელიც აუქმებდა პიროვნების თავისუფლებას; ადმინისტრაციას უფლება მიეცა სასამართლოს გარეშე დაეპატიმრებინა და ციხეში ჩაესვა ნებისმიერი პირი, თუ იგი ეჭვმიტანილი იყო მეფის ოჯახის და არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებაში; ახალი კანონი ფაქტიურად აღადგენდა ძველი რეჟიმის დროს არსებულ lettres de cacht-ს[11]. მეორე კანონით დეპარტამენტებში იქმნებოდა საგანგებო სასამართლოები მათ დასასჯელად „ვინც ჯანყისათვის მოუწოდებდა“: ოფიცრების თავმჯდომარეობით, ნაფიც მსაჯულთა დაუსწრებლად, შეეძლოთ მიესაჯათ გადასახლება ან სიკვდილი და განაჩენი იქვე, 24 საათის განმავლობაში, მოეყვანათ სისრულეში. კანონს უკუქმედების ძალა მისცეს[12] იმისათვის, რომ 100 დღის ყველა მონაწილე დაესაჯათ. ასეთი სასამართლოებისაგან თავის დაღწევის მიზნით, მეორე რესტავრაციის დროს, ლუი XVIII ამნისტიას დაპირდა მსჯავრდადებულებს, მაგრამ პალატამ გასანთავისუფლებელთა სიიდან ამოიღო ბევრი პატიმარი, გადაასახლა ასი დღის აქტიური მოღვაწენი და „მეფის მკვლელები“, ე.ი. ცოცხლად დარჩენილი კონვენტის წევრები. ამ კანონის გარეშეც, საფრანგეთის სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით სამხრეთში, კერძო პირები სასტიკად უსწორდებოდნენ თავიანთ მოწინააღმდეგეებს: თეთრი ტერორის (ისინი მოქმედებდნენ ბურბონების თეთრი დროშით) მომხრეებმა დახოცეს დაპატიმრებული გენერლები და ოფიცრები, კლავდნენ და ძარცვავდნენ რევოლუციის დროს გამდიდრებულებს, ლიბერალებს და პროტესტანტებს.

პალატას უნდოდა აღედგინა ყველაფერი „რაც 1789 წელს

---

[11] lettres de cacht იყო ბეჭედდასმული და ხელმოწერილი შეუვსებელი ბლანკი, რომლის საშუალებით სახელმწიფო მოხელეთა გარკვეულ კატეგორიას შეეძლო თავის შეხედულებისამებრ ჩაეწერა მასში მისთვის არასასურველი პიროვნების გვარი და დაეპატიმრებინა იგი.

[12] ერთი და იგივე დანაშაულისათვის ორჯერ არ ისჯებიან.

დაანგრია დამფუძნებელმა კრებამ“, აკრძალა რევოლუციის დროს და ნაპოლეონის კოდექსით ნებადართული განქორწინება, აპირებდა სახალხო განათლების უწყების გაუქმებას და მოითხოვა ეროვნული ქონების დაბრუნება. მაგრამ ამ განზრახვას წინ აღუდგნენ პირები, რომელთა უმრავლესობა იმპერიის დროს მაღალი ჩინის მქონე მოხელეები იყვნენ. ინგლისელი ლორდებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის ზედა პალატამ დაიცვა რევოლუციის მონაპოვარი.

თვით მეფეს, რომელიც მოქმედებდა პრინციპით „ოღონდ ჯანყი ნუ იქნება“, არ სურდა მდგომარეობის გამწვავება. იგი იძულებული გახდა მოკავშირეები ზომიერ ლიბერალებში, 1814 წლის ქარტიის მომხრეებს შორის ეძებნა. ყველასათვის მოულოდნელად, ლუი XVIII „ჭირვეული“ პალატა დაითხოვა.

ახალ პალატაში, რომლის არჩევნებში პრეფექტებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს (მათ დავალებული ჰქონდათ მთავრობისათვის არასასურველი დეპუტატობის კანდიდატების „გაშავება“) უმრავლესობა ქარტიის მომხრეებს ეკუთვნოდათ. ოთხი წლის განმავლობაში მეფე ქვეყანას მართავდა ზომიერებზე დაყრდნობით; ფრანგებმა მოკავშირეებს გადაუხადეს კონტრიბუცია და მათმა ჯარებმა დატოვეს ტერიტორია.

**რეაქციის გაძლიერება 20-იან წლებში.** 1820 წ. დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. ესპანეთში დაწყებული რევოლუციისა და დეპუტატთა პალატის არჩევნებში ლიბერალების გამარჯვებით დაშინებულმა საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მკვეთრად შეცვალეს კურსი მარჯვნისაკენ. 1820 წ. 13 თებერვალს ერთმა პარიზელმა ხელოსანმა მოკლა ტახტის მემკვიდრე, მეფის ძმის გრაფ დ’არტუას შვილი. ამით ისარგებლეს უკიდურესმა როიალისტებმა და შეეცადნენ დაემხოთ მათთვის საძულველი სამინისტრო. მოხუცებულმა და დაუძლურებულმა ლუი XVIII დააკმაყოფილა მათი მოთხოვნა — მთავრობის თავმჯდომარედ დანიშნა ჰერცოგი რიშელიე, ემიგრანტი; იგი ალექსანდრე I დროს ნოვოროსიის მმართველი იყო. მიიღეს ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც არჩევნებში მიწათმფლობელი არისტოკრატიის როლს ზრდიდა. ლიბერალურ პროფესურას დევნიდნენ; რამდენიმე უნივერსიტეტი დახურეს. რეაქცია კიდევ უფრო გაძლიერდა 1821

წლის ბოლოს, როდესაც ულტრაროიალისტი, მსხვილი მიწათმფლობელი გრაფი ვილელი ჩაუდგა კაბინეტს სათავეში.

გამკაცრდა ცენზურა. დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო პრესის საშუალებით (ამბოხებისაკენ მოწოდება, ხალხში უკმაყოფილების გაღვივება და სხვ.), ირჩეოდა არა სამოქალაქო, არამედ პოლიციის სასამართლოში; გაზეთის გამოცემისათვის მთავრობის თანხმობა იყო საჭირო. სკოლებზე ზედამხედველობა ეპისკოპოსებს დაავალეს, ლიბერალ პროფესორებს, მათ შორის გიზოს, აუკრძალეს სორბონის უნივერსიტეტში ლექციების კითხვა. ბოლოს ულტრაროიალისტებმა მოითხოვეს საფრანგეთის შეერთება საღვთო კავშირთან და ესპანეთში რევოლუციის ჩასახშობად ჯარების გაგზავნა. ამ განზრახვის წინააღმდეგ გამოვიდა კონვენტის ყოფილი წევრი მანუელი. ამისათვის მას ჩამოართვეს დეპუტატის უფლებები. პროტესტის ნიშნად, ლიბერალებმა შეწყვიტეს პალატის სხდომებზე დასწრება.

ბურბონთა დინასტიის დამხობის მიზნით ჩამოყალიბდა **მასონებისა და კარბონარების**[13] რამდენიმე ფარული ორგანიზაცია. კარბონართა ვენტებში (უჯრედებში) შედიოდნენ უმეტესად ნაპოლეონის ყოფილი ოფიცრები, სტუდენტები, ადვოკატები, ვაჭრები, ლიბერალი მეწარმენი. ცენტრალური ვენტის შემადგენლობაში იყო დიდი რევოლუციის მონაწილე გენერალი ლაფაიეტი. კარბონართა გამოსვლები მთავრობამ მთელი სისასტიკით ჩაახშო. ვიწრო შეთქმულებითი ტაქტიკისა და ხალხის მასებისაგან´ მოწყვეტის გამო, მათი მარცხი მოულოდნელი არ იყო. ამას გარდა, კარბონართა რიგებში სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების ადამიანები იყვნენ გაერთიანებულნი, რაც მათ შორის წინააღმდეგობის საფუძველი გახდა. კარბონართა ნაწილი რესპუბლიკისათვის იბრძოდა, ნაწილი ნაპოლეონ I შვილის ტახტზე აყვანისათვის, უმრავლესობას ბურბონთა დინასტიის ორლეანელთა დინასტიით შეცვლა სურდა. ეს უკანასკნელნი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მსხვილ ბურჟუაზიასთან.

---

[13] კარბონარები (იტალ. carbonaro – მენახშირე), სამხრეთ იტალიაში XIX ს. დასაწყისში აღმოცენებული ამავე სახელწოდების ფარული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრები. კარბონარები ბრძოლის მეთოდად უპირატესად იყენებდნენ შეთქმულებას და ტერორს.

კარბონართა მოძრაობის განადგურების შემდეგ, საფრანგეთში კიდევ უფრო გაძლიერდა რეაქცია. საღვთო კავშირის გადაწყვეტილებით საფრანგეთის ჯარები 1823 წ. გაგზავნილ იქნენ ესპანეთში რევოლუციის ჩასახშობად. ესპანეთში ფეოდალურ-აბსოლუტისტური წყობილების აღდგენამ გავლენა იქონია საფრანგეთზე. 1824 წ. არჩევნებში ულტრაროიალისტებმა გაიმარჯვეს. ამავე წელს გარდაიცვალა ლუი XVIII და ტახტზე ავიდა „ემიგრანტთა მეფე" **გრაფი დ'არტუა-შარლ X.**

ემიგრანტები ახალი მეფისაგან მოელოდნენ რევოლუციის დროს დაკარგული ქონების ანაზღაურებას. მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარემ ვილელმა, სესხითა და გადასახადების გადიდების გზით, მათ მილიარდი ფრანკი მისცა.

რეაქციონერთა აღზევება ხალხში უკმაყოფილებას იწვევდა. სამღვდელოების სასკოლო განათლებაში ჩარევა, იეზუიტების ფარული საქმიანობის გააქტიურება და მათ მიერ კონგრეგაციების შექმნა, ულტრამონტანების გამომწვევი სიტყვები საეროსთან შედარებით საეკლესიო ხელისუფლების უპირატესობის შესახებ, — ყველაფერი ეს ბევრ ადამიანს აღიზიანებდა, იმათაც კი, ვინც მორწმუნე იყო, მაგრამ უნდოდათ ეკლესიის მოქცევა იმ ჩარჩოებში, რომლებიც ჩამოყალიბდნენ რევოლუციის დროს და ნაპოლეონის კონკორდატით. ეს ხალხი, ისევე როგორც ვილელის მიერ ემიგრანტების სასარგებლოდ დაწესებული გადასახადებით განაწყენებულნი, ოპოზიციას შეუერთდა. როდესაც მეფე ბურჟუაზიისაგან შედგენილ ეროვნულ გვარდიას ათვალიერებდა, მწყობრიდან ისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ქარტიას!", „ძირს ვილელი!". გაბრაზებულმა მეფემ გვარდია დაშალა. 1827 წლის არჩევნების დროს რეაქციული სამინისტროს ყველა მოწინააღმდეგე გაერთიანდა.

ვილელი იძულებული გახდა შვიდწლიანი მმართველობის შემდეგ გადამდგარიყო; ზომიერებისაგან შედგენილმა ახალმა სამინისტრომ განიზრახა წინასწარი ცენზურის გაუქმება. პრეფექტების ჩარევის გარეშე დეპუტატების არჩევა, სამღვდელოებისათვის სკოლებზე ზედამხედველობის უფლების ჩამორთმევა. მეფეს არ მოსწონდა ეს დათმობები; მას არ უნდოდა საზოგადოებრივი აზრისათვის ანგარი-

ში გაეწია. იგი ამბობდა: „სჯობს შეშა ვხერხო, ვიდრე ვიმეფო ინგლისის მეფის მსგავსადო“.

**ლიბერალური ოპოზიცია 20-იანი წლების ბოლოს. სოციალიზმის წარმოშობა.** არისტოკრატიული რეაქციის იდეოლოგების (ვიკონტი დ'ბონალდი, გრაფი ჟოზეფ დ'მესტრი, ვიკონტი შატობრიანი) წინააღმდეგ გამოვიდნენ ლიბერალური ბურჟუაზიის იდეოლოგები. მათ შორის გამოირჩეოდა ბენჟამენ კონსტანი. თავის საპარლამენტო სიტყვებში და პოლიტიკურ ბროშურებში იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მმართველობის საუკეთესო ფორმა კონსტიტუციური მონარქია იყო და რომ გაბატონებული მდგომარეობა უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას და არა თავადაზნაურობას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას კონსტანი ანიჭებდა პიროვნების თავისუფლებას. „მის (პიროვნების თავისუფლების — ვ.თ.) გარეშე არ არის არც მშვიდობა, არც ღირსება, არც ბედნიერება“, — ამბობდა იგი. მისი აზრით, სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს მეწარმეებისა და მუშების ურთიერთობებში, პოლიტიკური უფლებები უნდა ჰქონდეთ მხოლოდ მდიდრებს, რადგანაც მათ აქვთ სათანადო განათლება და არიან ქონებრივად დამოუკიდებელნი, ღარიბები კი, თუ მოიპოვებენ პოლიტიკურ უფლებებს, შეიძლება მათ ეს უფლებები მდიდრების საკუთრების მისატაცებლად გამოიყენონ.

რეაქციული თავადაზნაურობის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ცნობილი ისტორიკოსების **ო. ტიერრის, ფ. გიზოს, ფ. მინიესა და ა. ტიერის შრომებს.** ოგიუსტ ტიერრიმ მესამე წოდების ისტორიის შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა. დიდი თანაგრძნობით აღწერდა ის შუა საუკუნეებში გლეხების ბრძოლას თავისუფლებისათვის. ისტორიული პროცესის საფუძვლად მას კლასთა ბრძოლა მიაჩნდა (ამიტომ ამბობდა შემდეგში კ. მარქსი, რომ ისტორიაში კლასთა ბრძოლა ჩემზე ადრე რესტავრაციის პერიოდის ისტორიკოსებმა აღმოაჩინესო), მაგრამ კლასთა ბრძოლას იგი ხედავდა მხოლოდ თავადაზნაურებსა და ბურჟუაზიას შორის.

დაახლოებით ასეთივე პოზიცია ეკავა გამოჩენილ ისტორიკოსს, ლუი ფილიპეს დროის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს, გიზოს.

თავის წიგნებში „ცივილიზაციის ისტორია საფრანგეთში“ და „ცივილიზაციის ისტორია ევროპაში“, ნაშრომებში XVII ს. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ, საუნივერსიტეტო ლექციებსა და პოლიტიკურ ბროშურებში, გიზო მკაცრად აკრიტიკებდა თავადაზნაურთა პრივილეგიების დამცველებს, იცავდა საპარლამენტო წყობას და ამართლებდა ბურჟუაზიის ბრძოლას თავადაზნაურთა წინააღმდეგ ხელისუფლების მოპოვებისათვის. ტიერრისა და გიზოს ბევრ მოსაზრებას იზიარებდნენ მინიე და ტიერი; შემდეგში ტიერი ცნობილი რეაქციონერი, „პარიზის კომუნის ჯალათი“ გახდა.

ამ პერიოდის პოლიტიკურ ბრძოლებში თავისი ლექსებით აქტიურად მონაწილეობდა პოეტი ბერანჟე. იგი აკრიტიკებდა და დასცინოდა თავადაზნაურთა ქედმაღლობას, ყოფილ ემიგრანტთა პრეტენზიებს, მათ სიხარბეს და ამხელდა კათოლიკური სამღვდელოების (განსაკუთრებით იეზუიტების) მოღვაწეობის მანკიერ მხარეებს.

ამავე პერიოდში ყალიბდება სოციალ-რეფორმატორთა ანუ სოციალ-უტოპისტთა წრეები.[14] ერთ-ერთ ასეთ წრეს სათავეში ედგა **გრაფი სენ-სიმონი** (1760-1825). ახალგაზრდობაში იგი გატაცებული იყო ამერიკით, მონაწილეობას იღებდა ამერიკის კოლონიების ბრძოლაში დამოუკიდებლობისათვის და სთავაზობდა ჯ. ვაშინგტონს პანამის არხის გათხრის პროექტს. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს იგი გამდიდრდა, მაგრამ მალე დაკარგა შეძენილი ქონება. შემდეგ ნაპოლეონისა და რესტავრაციის პერიოდში, იგი წერდა წიგნებს და ბროშურებს, ადგენდა გეგმებს და მთავრობას აწვდიდა საზოგადოებრივი მმართველობის მოწყობის პროექტებს. ამ პროექტებში ბევრი უტოპიური, უცნაური ფანტაზია შერწყმული იყო ღრმა, ორიგინალურ მოსაზრებებთან.

თავდაპირველად სენ-სიმონი საზოგადოების სამართლიანად მოწყობაში მეცნიერებას წამყვან როლს ანიჭებდა. თანამედროვე სახელმწიფოებრივი წყობისათვის დამახასიათებელი ომები, ადამიანებს

---

[14] ნიკოლაძის შეხედულებით უტოპისტ-სოციალისტებისათვის დამახასიათებელია იდეალიზმი, მათ მიერ შემუშავებული იდეებისათვის გადამწყვეტი როლის მიკუთვნება. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ, როდესაც მათი იდეები მომწიფდება და ადამიანთა თავებს დაეუფლება, მაშინ თვით გამოჩნდებიან ის ადამიანები, რომლებიც ამ იდეებს გამოიყენებენ და მისი ნაყოფით დატკბებიან — წერდა იგი.

შორის წინააღმდეგობები, მატერიალური სიმდიდრის არათანაბარი განაწილება არამეცნიერული და არაგონივრულიაო, — აცხადებდა იგი. სიმდიდრე ცოდნასთან უნდა იყოს შერწყმული და საზოგადოების სათავეში უნდა იდგნენ არა დამპყრობლები და დიპლომატები (დიპლომატებში სენ-სიმონი გულისხმობდა სხვადასხვა მაქინაციებით დაწინაურებულ ადამიანებს — ვ.თ.), არამედ მეცნიერები.

ერთ-ერთ თავის ბროშურაში სენ-სიმონი სვამს კითხვას: რა გავლენას იქონიებს საფრანგეთზე 3000 საუკეთესო მეცნიერის, ტექნიკოსის, მხატვრის, მეწარმის და მუშის უეცარი სიკვდილი და რას მოუტანს მას 30000 პრინცის, სასახლის კარის მოხელის, მრჩევლის, სასულიერო პირის, სახელმწიფო მოხელის და მსხვილი მიწათმფლობელის სიკვდილი? უკანასკნელ შემთხვევაში დანაკლისი უმნიშვნელო იქნება, პირველში — შეუცვლელი, საფრანგეთი დაიღუპება. ამიტომ იმ ადამიანებმა, რომლებზეც დამოკიდებულია მთელი საზოგადოება, მუშებმა და მეწარმეებმა, „ინდუსტრიალებმა", უნდა მოიპოვონ გაბატონებული მდგომარეობა. ამასთანავე, სენ-სიმონს ჰგონია, რომ მუშებისა და საწარმოთა მფლობელების ინტერესები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს; პირიქით, ბანკირები, ფაბრიკების მფლობელები, ვაჭრები, მოხვდებიან რა სახელმწიფოს სათავეში, გაუმჯობესებენ მუშების ყოფა-ცხოვრების პირობებს. მთავარი ამოცანაა არა საუკეთესო კონსტიტუციის მიღება, არამედ სოციალური საკითხის გადაწყვეტა, ე.ი. სანიმუშო საზოგადოებრივი წყობის შექმნა. შუა გზაზე შეჩერებული რევოლუცია უნდა დავამთავროთ: 1789 წ. გამოცხადდა თანასწორობა, მაგრამ იგი მატერიალურად არ იქნა უზრუნველყოფილი. ყველაზე მრავალრიცხოვანი და ღარიბი კლასის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესდეს; ამ პრობლემაზე ზრუნვა ყველა ადამიანის მოვალეობაა და იგი უნდა გახდეს კაცობრიობის ახალი რელიგია; სენ-სიმონმა მას „ახალი ქრისტიანობა" უწოდა.

სენ-სიმონის მიმდევრებმა იგი აღიარეს ახალ სოკრატედ, მოსედ და ქრისტეს მსგავსად. აქამდე, ამბობდნენ სენ-სიმონისტები, თითოეული პიროვნება თავის ინტერესებს თვითონ იცავდა, რაც ძლიერებს სუსტის დაჩაგვრის კარგ შესაძლებლობებს უქმნიდა; შეუზღუდავი კონკურენცია, კლასებისა და ჯგუფების ურთიერთბრძოლა ამუხრუ-

ჭებს კულტურის განვითარებას. ჩვენს დრომდე ადამიანი ადამიანს ექსპლუატაციას უწევდა და ამიტომ არსებობს დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმები – მონობა, ბატონყმობა, დაქირავებული შრომა. ამიერიდან ადამიანი ექსპლუატაციას გაუწევს მხოლოდ ბუნებას. ამ მიზნით საზოგადოება უნდა გაერთიანდეს კავშირებად, ასოციაციებად, ერთობლივი შრომა უნდა მოეწყოს ისე, რომ თითოეულმა შესძლოს თავისი უნარის მიხედვით მიიღოს ანაზღაურება. იმისათვის, რომ შეიქმნას საზოგადოებრივი კაპიტალი დიდი რაოდენობით, აუცილებელია მემკვიდრეობის გაუქმება; ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, მისი ქონება უნდა გადავიდეს მშრომელთა მასის სარგებლობაში.

სენ-სიმონი და მისი მიმდევრები დასახული მიზნების მიღწევას ცდილობდნენ მშვიდობიანი და არა რევოლუციური მეთოდებით.

დაახლოებით ამავე პერიოდში სოციალისტურ თეორიას ანვითარებდა შარლ ფურიე (1772-1837). იგი წარმოშობით პროვინციული ბურჟუაზიული ოჯახიდან იყო და თვითონაც დიდხანს მუშაობდა სავაჭრო დაწესებულებებში.

აკრიტიკებდა რა არსებულ წყობილებას, ფურიე აღნიშნავდა, რომ ერთი მუჭა მდიდრები კიდევ უფრო მდიდრდებიან, ხოლო ერის უმრავლესობა სულ უფრო მეტად ეშვება სიღატაკის უფსკრულში.

ფურიემ შეიმუშავა ახალი საზოგადოებრივი წყობის დაწვრილებითი გეგმა. მისი ძირითადი საფუძველი უნდა ყოფილიყო ფალანგა – თემი, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ფალანგაში ერთად უნდა ყოფილიყვნენ მშრომელები და კაპიტალისტები. ფალანგის წევრები, თავის სურვილისამებრ, იყოფოდნენ საწარმოო ჯგუფებად (სერიებად). ფალანგაში საწარმოო პროცესების ორგანიზაციის საფუძველი უნდა ყოფილიყო შრომის მიმზიდველობისა და შრომითი შეჯიბრების იდეა. ფალანგის საერთო შემოსავალი ორ ნაწილად იყოფოდა; ერთი ხმარდებოდა საზოგადო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (მაგ. შრომისუუნარო წევრების დასახმარებლად), მეორე, წარმოების დანახარჯების გამოკლებით, სამად ნაწილდებოდა – კაპიტალს, ტალანტსა და შრომას შორის.

ფალანგის ცენტრი უნდა ყოფილიყო დიდი სასახლეები – ფალანსტერები. უნდა დაეარსებინათ საზოგადოებრივი სასადილოები. ქალი ფალანგის სრულუფლებიან წევრად ითვლებოდა. სხვა საგნებთან ერთად, ბავშვებისათვის უნდა ესწავლებინათ ხელოსნობა, დაესაქმებინათ ფიზიკურად, განევითარებინათ მათში საზოგადოებრივი სასარგებლო ჩვევები.

ფურიეს სჯეროდა, რომ ახალი წყობის სარგებლიანობა და უპირატესობა დაარწმუნებდა ყველას – არა მარტო მშრომელებს, არამედ კაპიტალისტებსაც – მისი პროექტისათვის მხარდაჭერის აუცილებლობაში. როდესაც ფალანგები გავრცელდება მთელს მსოფლიოში, ისინი შეცვლიან მის სახეს, – ამტკიცებდა ფურიე; იქნება საერთო ენა, საერთო ვალუტა, ზომა-წონის საერთო სისტემა; შეიცვლება კლიმატური პირობები, გაჩნდებიან მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშები. ისევე როგორც სენ-სიმონი, ფურიეც რევოლუციურ მეთოდებს უარყოფითად ეკიდებოდა. ყოველდღე, გარკვეულ საათს, ის უცდიდა „განათლებული მილიონერის“ მოსვლას, რომელიც მისცემდა მას პირველი ფალანგის დაარსებლად აუცილებელ თანხას. იგი ისე გარდაიცვალა, რომ მასთან ამ მიზნით არავინ არ მისულა.

სენსიმონისტების და ფურიეს იდეები თავდაპირველად ვრცელდებოდა მხოლოდ ბურჟუაზიას შორის, თუმცა მათი მომხრეები უპირველეს მიზნად ისახავდნენ მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. თავად მუშები ახალი საზოგადოებრივი წყობის შესახებ სხვადასხვა მოძღვრებებში ნაკლებად ერკვეოდნენ, მაგრამ სადაც ისინი მრავალრიცხოვანი იყვნენ, მაგ. პარიზში და ლიონში, აყენებდნენ მოთხოვნებს თავიანთი ყოფის გაუმჯობესებისათვის. 1830 წლის ივლისის რევოლუციაში, რომელმაც დაამხო ბურბონები, მუშები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ.

**1830 წ. ივლისის რევოლუცია.** წინააღმდეგობები ბურბონთა დინასტიასა და საზოგადოების დიდ ნაწილს შორის თანდათანობით ძლიერდებოდა. შარლ X დათხოვა ზომიერი მინისტრები და მმართველობა ჩააბარა თავად პოლინიაკს, შეზღუდული მსოფლმხედველობის ადამიანს, კათოლიკური კონგრეგაციის წევრს, რომელიც მზად იყო იმისათვის, რომ მონარქიის დასაცავად მოეხდინა გადატრიალება.

ლიბერალური პარტიის პერიოდიკაში უკვე აშკარად გაისმოდა მოწოდებები ბურბონების დასამხობად, მხოლოდ არა ძალით, არამედ დაახლოებით ისე, როგორც ინგლისში 1688 წ. უსისხლო რევოლუციამ შეწყვიტა სტიუარტების მონარქიის გამგებლობა; მთავრობის გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენების მიზნით, ისინი მოუწოდებდნენ ხალხს გადასახადები არ გადაეხადათ. მსხვილი კაპიტალის მფლობელებმა, ფინანსისტებმა და ბანკირებმა უკვე შეარჩიეს თავიანთი კანდიდატურა ლუი ფილიპე ორლეანელის სახით, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს იაკობელთა კლუბის წევრი იყო. სტუდენტებისა და პარიზის მუშათა წრიდან შეიქმნა რესპუბლიკური პარტია, რომელიც მზად იყო შეიარაღებული აჯანყებისათვის; ისინი გენერალ ლაფაიეტის გარშემო იყრიდნენ თავს.

1830 წლის პალატის არჩევნებში ლიბერალებმა დიდი უპირატესობა მოიპოვეს. მაშინ შარლ X განიზრახა გადატრიალების მოწყობა. ქარტიაში იყო მუხლი, რომელიც უფლებას აძლევდა მეფეს გამოეცა ბრძანებები „კანონების დაცვისა და სახელმწიფოს უშიშროებისათვის". მეფემ და მინისტრებმა ეს უფლება გაიგეს ისე, თითქოს მათ კონსტიტუციის შეცვლა შეეძლოთ. დაითხოვეს ახალარჩეული პალატა, შეცვალეს საარჩევნო კანონი მიწის მფლობელთა სასარგებლოდ და გააუქმეს პრესის თავისუფლება.

1830 წლის 26 ივლისს, აკრძალული ათი დიდი გაზეთის ჟურნალისტებმა, პროვინციებში დააგზავნეს პროტესტი, შედგენილი ა. ტიერის მიერ. მასში ნათქვამი იყო: „მთავრობამ დაარღვია კანონი... და პრესის წარმომადგენლებმა... უნდა უჩვენონ მოქალაქეებს წინააღმდეგობის მაგალითი". პრესა, დეპუტატები და ბურჟუაზიის ბელადები მოუწოდებდნენ წინააღმდეგობებისაკენ, მაგრამ პრაქტიკული მოქმედებისათვის, მათ არავითარი საშუალებები არ გააჩნდათ. ქუჩებში გამოვიდნენ ასოთამწყობები, რომლებმაც გაზეთების დახურვის გამო სამუშაო დაკარგეს, ფაბრიკების მუშები, რომლებიც მეწარმეებმა დაითხოვეს და დაპირდნენ გაცდენილი დღეების ანაზღაურებას, თუ ისინი ბრძოლაში ჩაებმებოდნენ. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიის დეპუტატები და ჟურნალისტები ლიბერალ ბანკირ ლაფიტთან ბჭობდნენ, მუშათა განწყობით ისარგებლა კარგად ორ-

განიზებულმა და შეიარაღებულმა რესპუბლიკურმა პარტიამ. პარიზის ვიწრო ქუჩებში ბარიკადები აღმართეს და იქიდან თავს ესხმოდნენ მეფის მცირერიცხოვან ჯარებს. მეფე ამ დროს პარიზში არ იმყოფებოდა და არც არავითარი ღონისძიება არ მიუღია. ჯარისკაცების ნაწილს საერთოდ არ სურდა ბრძოლებში მონაწილეობის მიღება. **აჯანყების დაწყებიდან მესამე დღეს 1830 წლის 30 ივლისს, აიღეს მეფის ტიულრის სასახლე და ამით დამთავრდა ყველაფერი.**

პარიზელი სტუდენტებისა და მუშების გამარჯვებით ბურჟუაზიამ ისარგებლა. შეიქმნა დროებითი მთავრობა, სამხედრო მინისტრად დანიშნეს ლაფაიეტი. შარლ X განიზრახა დროებით მთავრობასთან მოლაპარაკება, მაგრამ უკვე გვიან იყო. დეპუტატების უმრავლესობამ ლუი ფილიპეს დაუჭირა მხარი. თავდაპირველად იგი მეფისნაცვლად გამოაცხადეს. მანიფესტში ის ხალხს ჰპირდებოდა 1814 წლის ქარტიის ცხოვრებაში გატარებას. **1830 წლის 2 აგვისტოს შარლ X ტახტიდან გადადგა -თავისი შვილიშვილის სასარგებლოდ, მაგრამ ხალხს ბურბონების გაგონებაც არ სურდა. დეპუტატთა პალატამ ლუი ფილიპე ორლეანელი მეფედ გამოაცხადა.** შარლ X ინგლისში გაიქცა. რესპუბლიკელები მოვლენების ამგვარი განვითარებით უკმაყოფილონი იყვნენ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ დროებით შერიგებოდნენ მონარქიას, მითუმეტეს, რომ პარიზში კვლავ შეიარაღდა შარლ X მიერ დაშლილი მდიდარი ბურჟუაზიისაგან შედგენილი ეროვნული გვარდია.

პალატამ ცვლილებები შეიტანა 1814 წლის ქარტიაში: მეფის ტიტულს დაუმატეს სიტყვები „ხალხის ნებით"; მეფეს ეკრძალებოდა ბრძანებებით ძირითადი კანონების გაუქმება ან მათი შესრულებისაგან ვინმეს განთავისუფლება; ცენზურა „სამუდამოდ" გაუქმდა, პრესის დანაშაული, ისევე როგორც პოლიტიკური საქმეები, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უნდა განეხილა. მაგრამ პოლიტიკური მოწყობის ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც არჩევნებს ეხებოდა, მცირეოდენ შეიცვალა: საარჩევნო ცენზი 300 ფრანკიდან 200-მდე შეამცირეს, რის შედეგად ამომრჩეველთა რაოდენობა 100000-ით გაიზარდა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ პოლიტიკური ცხოვრების მიღმა რჩებოდა.

1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბებულ ხელისუფლებას პროვინციები, რომლებსაც არც დამოუკიდებლობა და არც თვითმმართველობა არ გააჩნდათ, დამორჩილდნენ. ქალაქის მოსახლეობა მიესალმებოდა გადატრიალებას, მიწათმფლობელები ვერ ბედავდნენ წინააღმდეგობის გაწევას, გლეხობა გულგრილი დარჩა. მაგრამ იმისათვის, რომ ერთგული სამოხელეო აპარატი ჰყოლოდა, მთავრობამ მათი რიგები „გაწმინდა" – პროვინციების 78 მმართველიდან, რომლებიც უმეტესად მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ, 76 შეცვალეს.

1830 წლის გადატრიალებამ მსხვილ ბურჟუაზიას ტრიუმფალური გამარჯვება მოუტანა. მთავარი სახელმწიფო თანამდებობები დაიკავეს კაპიტალის მფლობელებმა ან მათმა მხარდამჭერებმა საშუალო კლასიდან (გიზო, ტიერი). თვით მეფე, ცხოვრების სტილით და შეხედულებებით, ამავე ფენას მიეკუთვნებოდა. გამოირჩეოდა რა ვაჭრული მომჭირნეობით, მან მეფედ კურთხევის დღეს მთელი თავისი ქონება შვილებს გაუფორმა, თვითონ კი დეპუტატებს თხოვდა პენსიებსა და საჩუქრებს. ხალხში პოპულარობის მოპოვებისათვის, ის გაცვეთილი კოსტიუმითა და ფეხით სეირნობდა, ხელს ართმევდა ეროვნულ გვარდიელებს და სვამდა მუშებთან ერთად.

რესტავრაციის დროს საფრანგეთი ევროპის მთავრობების რეაქციული პოლიტიკის ერთგული გამტარებელი იყო. 1830 წლის ივლისის გადატრიალებამ შეცვალა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა და მისდამი ევროპის ქვეყნების დამოკიდებულება. ამ რევოლუციის გავლენით სახალხო მოძრაობებს ადგილი ჰქონდა ბელგიაში, პოლონეთში, გერმანიასა და იტალიაში. ბელგია გამოეყო ნიდერლანდების სამეფოს და დამოუკიდებლობა გამოაცხადა; რუსეთისაგან გამოყოფის მიზნით პოლონეთში მოხდა აჯანყება. ევროპის რევოლუციურ მოძრაობებს საფრანგეთში ბევრი მომხრე ჰყავდა.

თავის მხრივ რუსეთი, ავსტრია და პრუსია ეჭვის თვალით უყურებდნენ საფრანგეთის ახალ მთავრობას. ამან აიძულა ლუი ფილიპე დაახლოვებოდა ინგლისს, ევროპის ერთადერთ მსხვილ სახელმწიფოს, სადაც პარლამენტური წყობა იყო. ინგლისმა და საფრანგეთმა, საღვთო კავშირის საწინააღმდეგოდ, დაიწყეს იმ ქვეყნების

საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკის განხორციელება, სადაც სახალხო მოძრაობები მიმდინარეობდა. ასეთი პოლიტიკა დიდად დაეხმარა ბელგიის რევოლუციას: დასავლეთის მთავრობებმა მხარი დაუჭირეს ბელგიის დამოუკიდებლობას, მაგრამ პოლონეთის მიმართ ჩაურევლობამ, მისი ბედის ანაბრად დატოვებამ, გაუადვილა რუსეთს აჯანყების ჩახშობა.

**ბურჟუაზიული რეაქცია.** მსხვილი ბურჟუაზიის უმრავლესობას ქვეყნის შიგნითაც უნდოდა რევოლუციური მოძრაობების შეჩერება; ზოგიერთები კი (გიზო, პერიე) მოითხოვდნენ რესპუბლიკელების წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელებას. მაგრამ რადგანაც ბურჟუაზია სწორედ მათი წყალობით მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, ამიტომ იგი იძულებული იყო ზოგიერთ დათმობებზე წასულიყო: გაიღეს თანხები ივლისის რევოლუციის დროს დაღუპულთა სასარგებლოდ და ყოფილ ბასტილიის მოედანზე აღმართეს სვეტი იმ მოქალაქეთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც დაიღუპნენ სამოქალაქო თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მეფემ აუდიენციაზე მიიღო ადრე პოლიტიკური დანაშაულისათვის დაზარალებულები.

ამავე დროს, თავი იჩინა 1830 წლის ივლისის რევოლუციის მძიმე შედეგებმა. ბევრი საწარმო გაჩერდა. ლაფიტი გაკოტრდა და დახურა თავისი ბანკი; უხელფასოდ დარჩენილი მუშები მანიფესტაციებს აწყობდნენ; მოსახლეობა ტოვებდა დედაქალაქს. მინისტრთა კაბინეტის ახალმა თავმჯდომარემ კაზიმირ პერიემ დაიწყო „წესრიგის დამყარება“. მან აკრძალა ქუჩებში შეიარაღებული შეკრებები, მიიღო კანონი, რომელიც სახელმწიფო მოხელეებს არ აძლევდა პოლიტიკურ კავშირებში მონაწილეობის უფლებას და გაართულა გაზეთების გამოცემა. პერიეს გარდაცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრეებმა სამინისტროში, გიზომ, ტიერმა და სხვებმა გააგრძელეს მკაცრი პოლიტიკის კურსი. თავის მხრივ ივლისის მონარქიის მოწინააღმდეგეები, ლეგიტიმისტები ე.ი. ბურბონების მომხრეები და განსაკუთრებით რესპუბლიკელები, ზედიზედ აწყობდნენ აჯანყებებს. რესპუბლიკელებმა კვლავ შექმნეს ფარული კავშირები, რომლებიც არაერთი დარბევის შემდეგ მაინც აგრძელებდნენ საქმიანობას („ხალხის მეგობართა საზოგადოება“, „ადამიანის უფლებათა საზოგადოება“,

„წელიწადის დრონი“ და სხვ.). მათ უერთდებოდნენ სტუდენტთა და მუშათა ჯგუფები, აგროვებდნენ იარაღს და ემზადებოდნენ ახალი გამოსვლებისათვის.

მუშათა დიდი გამოსვლები მოხდა ლიონსა და პარიზში; ლიონელი ფეიქრები უკმაყოფილონი იყვნენ ხელფასების შემცირებით და უმუშევრობის ზრდით. როდესაც მეპატრონეებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნა, მაშინ 1831 წლის ნოემბერში აჯანყებამ იფეთქა. მუშებს მოჰქონდათ შავი დროშა, სასოწარკვეთილების დროშა, რომელზეც ეწერა: „ვიცხოვროთ შრომით, ან დავიხოცოთ ბრძოლაში!“ რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქი აჯანყებულთა ხელში იყო. მაგრამ შემდეგ ეროვნულმა გვარდიამ და ჯარებმა აჯანყება ჩაახშეს.

სამი წლის შემდეგ, 1834 წლის აპრილში ლიონში დაიწყო მუშათა ახალი აჯანყება, რომელმაც გამოძახილი ჰპოვა პარიზსა და სხვა ქალაქებში. ქუჩებში კვლავ სისხლისმღვრელი ბრძოლები გაიმართა. მთავრობამ 200-მდე კაცი დააპატიმრა და სახელმწიფო წესრიგის დარღვევისათვის სასამართლოს გადასცა. შემდეგ გამოსცა ე.წ. სექტემბრის კანონები (1835), რომლებიც ფაქტიურად აუქმებდნენ 1830 წ. დაპირებულ პოლიტიკურ თავისუფლებებს: მოსამართლეებს უფლება ეძლეოდათ დაუსწრებლად გაესამართლებინათ პოლიტიკური დანაშაულისათვის დაპატიმრებული პირი, მკაცრი სასჯელი დააწესეს პრესის საშუალებით მეფის შეურაცხმყოფელთათვის, კლასების ერთმანეთზე წაქეზებისა და კერძო საკუთრების პრინციპის უარყოფისათვის. ხელისუფლება მკაცრად იცავდა ამ კანონებს.

**მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობა.** სექტემბრის კანონებმა გამოამჟღავნა მჭიდრო კავშირის არსებობა ივლისის მონარქიასა და ბურჟუაზიის ზედაფენას შორის. ხელისუფლება ყოველმხრივ უჭერდა მხარს კაპიტალისტებს. იმისათვის, რომ დეპუტატთა პალატაში მორჩილი უმრავლესობა ჰყოლოდა, მსხვილი საწარმოების მფლობელებს მთავრობა სხვადასხვა სიკეთეს პირდებოდა; მათი ინტერესების შესაბამისად ცდილობდა მოეწყო საგადასახადო სისტემა და საბაჟო საქმე; მდიდრებს შეეძლოთ თავი გამოესყიდათ სამხედრო ვალდებულებისაგან. მთელი

რიგი პრივილეგიების მიუხედავად, საფრანგეთის ბურჟუაზია ვერ ავლენდა სათანადო ენერგიასა და გერგილიანობას, მისთვის ჯერ კიდევ უცხო იყო თავისუფალი ვაჭრობის იდეა.

მთავრობა და კაპიტალისტები მუშათა ინტერესებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. როდესაც ერთხელ მუშათა დეპუტაციამ მეფეს მოახსენა მათი მძიმე მდგომარეობის შესახებ, მან განაცხადა: „მე შემიძლია თქვენთან ერთად მხოლოდ მწარედ ამოვიოხრო!" ხელისუფლება და პარლამენტი არ ფიქრობდნენ რეფორმებზე. ინგლისისაგან განსხვავებით, საფრანგეთში არაფერი არ გაკეთებულა ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვისათვის: საწარმოთა მფლობელები მკაცრად იცავდნენ კანონს, რომელიც მუშებს კავშირებში გაერთიანებას უკრძალავდა; მათ არ შეეძლოთ ურთიერთდამხმარე სალაროების შექმნა. გაბატონებული კლასის ინტერესებს იცავდა ეროვნული გვარდია, რომელიც ქალაქის საშუალო ფენების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა.

მრავალი სისხლისღვრის, სასამართლო პროცესების და დაუსრულებელი დაპატიმრებების შემდეგ, მსხვილმა ბურჟუაზიამ, მიაღწია თავის საწადელს. 30-იანი წლების ბოლოს შეწყდა მუშათა და რესპუბლიკელთა გამოსვლები; მათი ბელადები ზოგი გადაასახლეს, ზოგი დაიჭირეს. ერთი შეხედვით ჩანდა, თითქოს, ქვეყანაში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი სიწყნარე მომავალი სოციალური კატაკლიზმების წინ.

**გიზოს სამინისტრო.** ივლისის მონარქიის ბოლო რვა წლის განმავლობაში (1840-1848) პირველი მინისტრი იყო ცნობილი ისტორიკოსი გიზო. თავდაპირველად ფორმალურად მას ეკავა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი, მაგრამ ფაქტიურად მინისტრთა კაბინეტს განაგებდა, 1847 წ. სექტემბრიდან კი ოფიციალურად გახდა მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე. გიზო პირადად უანგარო იყო, მაგრამ იმისათვის, რომ დეპუტატთა პალატაში მორჩილი უმრავლესობა ჰყოლოდა, პრეფექტების საშუალებით ხმების მოსყიდვაზე თვალებს ხუჭავდა. „კმაყოფილები" (ასე უწოდებდნენ ჟურნალისტები ყველაზე დამყოლ დეპუტატებს) პირველი მინისტრის საიმედო დასაყრდენები იყვნენ.

ყოფილი ლიბერალის, შემდეგ კი კონსერვატორის, გიზოს ხელისუფლების სათავეში მოსვლა ნიშნავდა ივლისის მონარქიის მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის მარჯვნივ გადახრას. საერთაშორისო საქმეებში ეს გადახრა გამოიხატებოდა საფრანგეთის მოწინააღმდეგეებისადმი, მისი სავაჭრო კონკურენტებისადმი დათმობებში. საფრანგეთმა სცნო ინგლისის უპირატესობები ახლო აღმოსავლეთში და შემდეგისათვის გადადო თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელება ეგვიპტეში, სირიასა და მაროკოში. ინგლისის მიმართ დამთმობლობა გამოავლინა საფრანგეთმა კუნძულ ტაიტისათვის კონფლიქტში (1843-1845). 1846 წ. გიზოს მთავრობა დათანხმდა პოლონეთის დამოუკიდებლობის უკანასკნელი კერის — კრაკოვის ავსტრიის იმპერიასთან მიერთებას.

საშინაო პოლიტიკაში გიზო ყოველგვარი საარჩევნო და საპარლამენტო რეფორმის სასტიკი წინააღმდეგი იყო. საყოველთაო საარჩევნო უფლების მომხრეებს მან უპასუხა: „შეეცადეთ გამდიდრდეთ შრომით და თქვენც გახდებით ამომრჩეველი“.

გიზოს რეაქციულმა პოლიტიკამ გააძლიერა სამრეწველო ბურჟუაზიას შორის ოპოზიციური განწყობა და საფრანგეთის მშრომელი მოსახლეობის უკმაყოფილება. ქალაქის მცხოვრებთა საშუალო ფენებმა, რომლებიც ჩამოცილებულნი იყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებას, ხმა ამოიღეს საარჩევნო რეფორმის სასარგებლოდ. ეროვნული გვარდიის აღლუმზე მეფემ გაიგონა ხალხის შეძახილი: „გაუმარჯოს რეფორმას“! მისი ბრძანებით აღლუმის დათვალიერება შეწყდა. ლიტერატურაში კვლავ დაუბრუნდნენ დიდ რევოლუციას, მოითხოვდნენ მის გაგრძელებას და გამეორებას. რესტავრაციის პერიოდში თუ აიდიალებდნენ 1789 წელს და ეროვნულ კრებას, ახლა ადიდებდნენ 1793 წელს, კონვენტსა და რესპუბლიკას. ლამარტინმა დაწერა „ჟირონდისტების ისტორია“, ლუი ბლანი „რევოლუციის ისტორიაში“ იაკობელებს ახასიათებდა, როგორც ძმობის დიადი იდეის მატარებლებს. მსგავსი შეხედულებები იმდროინდელ სხვა ავტორთა ნაშრომებშიც გვხვდება.

**ბურჟუაზიული რადიკალიზმი და სოციალისტური მოძღვრება.** ბურჟუაზიის განათლებულ და მოწინავე იდეების მქონე ნაწილს

შორის იზრდება პროტესტი მეშჩანობის, ვიწრო ვაჭრული სულის, სამრეწველო და საქმიანი წრეების, ბანკირების, მედუქნეების წინააღმდეგ, რომლებმაც ხელისუფლება მოიპოვეს. ახალგაზრდა ლიტერატორები და მხატვრები, პარიზის ლათინური კვარტლის სტუდენტები თავიანთ შეკრებებზე, ბალებზე და თეატრალურ წარმოდგენებზე ამათრახებდნენ გონებრივ შეზღუდულობასა და პედანტურ თვითკმაყოფილებას; ჩაცმულობაში, მანერებში, მეტყველებაში კვლავ გამოჩნდა იაკობელთა სახეები.

ახლად აღორძინებულ საფრანგეთის დემოკრატიას უერთდებოდნენ ემიგრანტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, განსაკუთრებით პოლონეთიდან, იტალიიდან და გერმანიიდან. პარიზი გახდა რესპუბლიკური იდეების პროპაგანდის ცენტრი; აქ თავს იყრიდნენ დევნილი პარტიების ლიდერები; ევროპის ქვეყნებში რევოლუციების მომზადების მიზნით, აქ იბეჭდებოდა ლიტერატურა გერმანულ, იტალიურ და სხვა ენებზე.

იმავდროულად შეიმჩნეოდა ძლიერი მოძრაობები მუშებს შორის, რომელთა რიცხვი საფრანგეთში იზრდებოდა ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად. 30-იან წლებში ლიონელ ფეიქართა აჯანყების დამარცხების შემდეგ, ბევრი მიემხრო იმ აზრს, რომ უპირველესად საჭიროა სოციალური საკითხების გადაჭრა, შემდეგ კი პოლიტიკური რეფორმების ჩატარება (პირველად ეს მოსაზრება სენ-სიმონმა გამოთქვა). სენ-სიმონისტებსა და ფურიერისტებთან ერთად, 40-იან წლებში ჩამოყალიბდა ორი მიმდინარეობა — **პრუდონისა და ლუი ბლანის.** პიერ-ჟოზეფ პრუდონი (1809-1865) არ იყო სოციალისტი. ის აკრიტიკებდა არსებულ ეკონომიკურ წყობას, რომელიც ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის სიმდიდრის თანაბარ განაწილებას. რა არის საკუთრება? — სვამდა კითხვას პრუდონი 1840 წ. გამოცემულ ამავე სახელწოდების ბროშურაში და პასუხობდა: „საკუთრება ქურდობაა". მაგრამ იგი არ უარყოფდა ყოველგვარ საკუთრებას, ის გამოდიოდა მხოლოდ სავახშო და საბანკო კაპიტალის წინააღმდეგ. პრუდონი უარყოფდა რევოლუციურ ბრძოლას და გაფიცვების წინააღმდეგი იყო.

ლუი ბლანი (1811-1882), პუბლიცისტი, ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე, თავის ნაშრომში „შრომის ორგანიზაცია" აყენებ-

და წინადადებას სახელმწიფოს კაპიტალით საზოგადოებრივი სახელოსნოების შექმნის შესახებ, რომლებიც თანდათანობით შეავიწროვებდნენ, შემდეგ კი მთლიანად გამოდევნიდნენ კერძო კაპიტალისტურ საწარმოებს და თვითონ ჩაუდგებოდნენ სათავეში წარმოების ორგანიზაციას. ამგვარად წარმოედგინა მას სოციალიზმზე მშვიდობიანი გადასვლა.

**კათოლიკობის აღორძინება.** ამავე დროს ფეხს იკიდებდა სრულიად ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა — შეიქმნა ძლიერი კათოლიკური პარტია. დიდმა რევოლუციამ თითქოს მოსპო კათოლიკური ეკლესიის ორგანიზაცია; ეკლესიამ დაკარგა თავისი სამფლობელოები, შემოსავლები. ნაპოლეონმა სამღვდელოება სახელმწიფო მოხელეებად გადააქცია, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ მთავრობაზე და არავითარი გავლენა არ ჰქონდათ საზოგადოებაზე: სკოლები მათ ჩამოაცილეს და სწავლება საერო დაწესებულებების ხელში გადავიდა.

ბურბონების რესტავრაციის დროს პაპმა პიუს VII, რომელიც ნაპოლეონს ტყვედ ჰყავდა, დაიბრუნა საეკლესიო ოლქი და 1814 წელს აღადგინა იეზუიტების ორდენი, რომელიც ევროპის სახელმწიფოებთან შეთანხმებით 40 წლის წინ გააუქმეს. მან კვლავ მოითხოვა მორწმუნეებისაგან უსიტყვო მორჩილება და გააკრიტიკა 1814 წლის ქარტია იმიტომ, რომ მასში არ მოიხსენიებოდა ღმერთი, აცხადებდა სინდისის და პრესის თავისუფლებას, რაც პაპის აზრით „რწმენის სიწმინდესა და ზნეობას შერყვნიდა". ამ დროიდან პაპები თავიანთ ენციკლიკებში[15] განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ განმათავისუფლებელ იდეებს და კონსტიტუციურ მმართველობას, დემოკრატიას და მეცნიერულ იდეებს.

არა მარტო გაუნათლებელი მასები თანაუგრძნობდნენ საეკლესიო ხელისუფლებას. ბევრი განათლებული და მდიდარი ადამიანი, რევოლუციური იდეებით შეშინებული, ეკლესიაში ეძებდა დაცვას და სანიმუშოდ მიიჩნევდა ბრმა მორჩილებაზე დაფუძნებულ მის ორგანიზაციას. ისინი ამტკიცებდნენ, რომ საუკუნეების განმავლო-

---

[15] ენციკლიკა — რომის პაპების მიმართვა კათოლიკური სამღვდელოებისადმი ანდა ყველა მორწმუნისადმი რელიგიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მორალურ და სხვა საკითხებზე. ენციკლიკა იგივეა, რაც პაპის ბულა, მხოლოდ განკუთვნილია ყველასათვის დასაგზავნად.

ბაში ეკლესიის მფარველობაში მყოფი პიროვნება, თუ დარჩება საკუთარი ძალისა და გონების ამარა, აუცილებლად დაიღუპება, მას უიმედობა მოიცავს და მორალურად გადაგვარდება. საჭიროა უზენაესი, ზეცასთან მისტიურად დაკავშირებული ძალა, საჭიროა თეოკრატია (ღვთაებრივი ავტორიტეტით მოსილი ძალაუფლება), რათა უძლურ, დაბეჩავებულ ადამიანს უჩვენოს მისი ადგილი და შეაგნებინოს მისი მოვალეობა ამქვეყნიურ ცხოვრებაში. თანამედროვე საზოგადოების ანარქიას, მის დაშლას და დაქუცმაცებას უნდა დავუპირისპიროთ შეურყეველი ავტორიტეტი. ასეთ აზრებს იზიარებდნენ დემოკრატიული შეხედულებების მქონე და მეცნიერულად განათლებული მრავალი ადამიანი, რაც ხელს უწყობდა კათოლიკობის აღორძინებას.

მასებზე გავლენის მოპოვებისათვის ეპისკოპოსებს და მღვდლებს, ქადაგებების გარდა, ახლა შეეძლოთ ესარგებლათ პროპაგანდის ისეთი მძლავრი საშუალებით, როგორიც არის პრესა. და სამღვდელოებაც მოხერხებულად იყენებდა ამ შესაძლებლობას.

დიდ რევოლუციამდე კათოლიკური ეკლესია ურჩი პირების დასასჯელად ხშირად იშველიებდა „საერო ხმალს", მაგრამ მაშინ საერო ხელისუფლებას ეშინოდა სამღვდელოებისა და ეხმარებოდა მას. ახლა, XIX საუკუნეში, ეკლესიისადმი გულგრილად განწყობილი საერო მმართველობის დახმარება კათოლიკებისადმი არ იყო მომგებიანი; პირიქით, უკეთესი იქნებოდა მისი მეთვალყურეობისაგან განთავისუფლება. საფრანგეთში, აგრეთვე ბელგიასა და ირლანდიაში, კათოლიკებმა წამოაყენეს წინადადება ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ. ისინი მოითხოვდნენ ეკლესიისათვის ისეთივე უფლებებს, როგორიც ჰქონდათ ყველა საზოგადოებრივ გაერთიანებებს.

მთავრობების წინააღმდეგ ბრძოლაში სხვადასხვა ქვეყნების კათოლიკებმა საჭიროდ მიიჩნიეს საერთო ხელმძღვანელობით თავიანთი ძალების გაერთიანება. პაპის ხელისუფლება, რომელიც ძლიერ დასუსტდა XVIII საუკუნეში, XIX საუკუნეში კვლავ ძლიერდება; ყველა კათოლიკე ულტრამონტანი, პაპის ერთგული მსახური იყო.

ამავე დროს კათოლიკობა გახდა არა მარტო უფრო მონარქიული, არამედ უფრო დემოკრატიულიც. სამღვდელოების დაბალი ფენების წარმომადგენლები, რომლებიც კარგად იცნობდნენ უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ქადაგებენ დემოკრატიულ იდეებს და ზოგიერთი მათგანი რესპუბლიკელადაც კი იქცა.

**საფრანგეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა.** საფრანგეთის მეორე იმპერიის დროებით განმტკიცებას დიდად შეუწყო ხელი მისმა საგარეო პოლიტიკურმა წარმატებებმა 50-იან წლებში. **ნაპოლეონ III**[16] ირწმუნებოდა, რომ იმპერია მშვიდობის გარანტი იქნებოდა, მაგრამ მთავრობის საგარეო პოლიტიკა საწინააღმდეგოს მეტყველებდა. მეორე იმპერია მრავალრიცხოვან ომებს აწარმოებდა მსხვილი ბანკირებისა და მსხვილი მრეწველების სასარგებლოდ. დაპყრობითი ომებით დაინტერესებული იყო სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყნებზე იოლი გამარჯვებებით წარმატებების მოსურნე მხედრიონი. ნაპოლეონ III მთავრობის აგრესიული ავანტიურების მიზანი იყო, აგრეთვე, ქვეყნის შიგნით მისი ხელისუფლების განმტკიცება.

თავდაპირველად ნაპოლეონ III, ინგლისთან კავშირში, გადაწყვიტა ევროპული რეაქციის დასაყრდენზე, „ევროპის ჟანდარმზე", რუსეთზე თავდასხმა. საფრანგეთმა და ინგლისმა თურქეთის დასახმარებლად შავ ზღვაზე გაერთიანებული სამხედრო ფლოტი გაგზავნეს, ხოლო ყირიმში — სახმელეთო ჯარები.

**ყირიმის ომის (1853-1856)** შედეგებმა განამტკიცეს მეორე იმპერიის პოზიციები ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო საქმეებში, თუმცა რუსეთზე გამარჯვებით მთავარი სარგებელი ინგლისმა

---

[16] ნაპოლეონ III — ნაპოლეონ I-ის ძმისშვილი, პრინცი ლუი ბონაპარტე. ხელისუფლებაში მოვიდა ლუი ფილიპეს შემდეგ 1848 რევოლუციის წყალობით. იგი იმპერატორად გამოაცხადეს 1852 წელს, სახელმწიფო გადატრიალებიდან ერთი წლის თავზე (ამის შესახებ დაწერილებით იხ. თავი VI, 1848-1849 წწ. რევოლუციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში, გვ.116). რაც შეეხება ნაპოლეონ II-ეს, ამ სახელს ატარებდა ნაპოლეონ I-ის ადრე გარდაცვლილი შვილი (გარდაიცვალა 21 წლის ასაკში (1811-1832), რაიხშტადტის ჰერცოგი 1818 წლიდან). 1815 წელს ნაპოლეონ I ტახტიდან გადადგა თავისი ვაჟის სასარგებლოდ და იგი ნაპოლეონ II-ის სახელით იმპერატორად გამოაცხადა. მართალია, ამ აქტს პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ბონაპარტისტები ნაპოლეონ II-ს საფრანგეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თვლიდნენ. იგი გარდაცვალებამდე თავისი პაპის, ავსტრიის იმპერატორის, ფრანც I-ის კარზე ცხოვრობდა.

ნახა. 1856 წლის პარიზის ზავის შემდეგ ნაპოლეონ III ევროპის კონტინენტზე ყველაზე ძლიერ მონარქად მიაჩნდათ. ჰეგემონია საფრანგეთმა მოიპოვა. მაგრამ ბონაპარტისტული რეჟიმი არ იყო მყარი. 1857 წ. საფრანგეთში დაიწყო მწვავე ეკონომიკური კრიზისი, რომელიც შემდეგ მოედო ევროპის სხვა ქვეყნებს და აშშ-ს. მან გამოიწვია საზოგადოებრივი უკმაყოფილების ზრდა. ბონაპარტისტული გადატრიალებიდან პირველად საკანონმდებლო კორპუსში აირჩიეს ხუთი დეპუტატი – რესპუბლიკელი (ჟიულ ფავრი და სხვები).

1849 წ. რომში რევოლუციის ჩახშობისათვის შურისძიების მიზნით, 1858 წ. 14 იანვარს იტალიელმა რევოლუციონერმა ორსინიმ პარიზში ნაპოლეონ III მოაწყო თავდასხმა. იმპერატორი გადარჩა. ორსინი სიკვდილით დასაჯეს. მთავრობამ ეს თავდასხმა გამოიყენა რესპუბლიკელების წინააღმდეგ რეპრესიების დასაწყებად, თუმცა ისინი სრულიად უდანაშაულონი იყვნენ. დემოკრატიული შეხედულებების მქონე ასეულობით ადამიანი დააპატიმრეს და კოლონიებში გადაასახლეს.

ორსინის თავდასხმამ, რომელიც ლონდონიდან ჩამოვიდა ინგლისში დამზადებული ბომბებით, მკვეთრად გააუარესა ინგლისსაფრანგეთის ურთიერთობები. ამან ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას. 1859 წ. 3 მარტს ხელი მოაწერეს საფრანგეთ-რუსეთის ფარულ შეთანხმებას, რომლის მიხედვით საფრანგეთის მთავრობა ვალდებულებას იღებდა ხელი შეეწყო რუსეთისათვის 1856 წლის პარიზის ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის (რუსეთს ეკრძალებოდა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა) გაუქმებაში. თავის მხრივ, მეფის მთავრობა პირდებოდა საფრანგეთს ნეიტრალიტეტის დაცვას ავსტრიასთან მოსალოდნელ ომში.

1858 წ. კავურის ინიციატივით დადებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნაპოლეონი სარდინიის მეფეს ვიტორიო ემანუილს პირდებოდა დახმარებას ავსტრიის წინააღმდეგ ომში, სამაგიეროდ მოითხოვდა სავოიას და ნიცას. როდესაც ომი დაიწყო, ნაპოლეონ III სარდინიის დასახმარებლად დასძრა თავისი სამხედრო ნაწილები და პირობა დადო, რომ არ შეწყვეტდა ომს მანამდე, სანამ არ

გაათავისუფლებდა ჩრდილოეთ იტალიას ადრიატიკის ზღვამდე. ორ გადამწყვეტ ბრძოლაში — მაჯენტასთან და სოლფერინოსთან ავსტრიელები დამარცხდნენ. ამის შემდეგ ნაპოლეონ III მოულოდნელად შეწყვიტა სამხედრო მოქმედებები და სასწრაფოდ დაუზავდა ავსტრიის იმპერატორს.

იტალიელი ხალხის მიმართ ეს ვერაგული ნაბიჯი ნაპოლეონ III გადადგა იმიტომ, რომ საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას არ სურდა გაერთიანებული იტალიის სახით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ახალი დიდი სახელმწიფოს შექმნა; ამასთანავე, ეშინოდა, რომ ავსტრიის მხარეზე ომში არ ჩაბმულიყვნენ პრუსია და სხვა გერმანული სახელმწიფოები.

ზავის პირობებით ლომბარდია განთავისუფლებულ იქნა ავსტრიელთაგან, მაგრამ ვენეცია ავსტრიას დარჩა. სავოია და ნიცა საფრანგეთმა შეიერთა.

ევროპის გარდა, მეორე იმპერია კოლონიების მოპოვებისათვის 50-იან წლებში ომებს აწარმოებდა აფრიკაში და აზიაში: ალჟირში, ჩინეთში[17] (1860 წ. ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა გაძარცვეს და შემდეგ დაწვეს ჩინეთის იმპერატორების საზაფხულო სასახლე, გაანადგურეს უნიკალური ხელნაწერები და წიგნები), ინდოჩინეთში (დაიკავეს საიგონი, კოხინხინა[18]) და დაამყარეს პროტექტორატი კამპუჩიაზე.

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან ბონაპარტისტული რეჟიმის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. იმპერიის შინაგანი კრიზისი გაამწვავა საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობამ.

1862 წ. ნაპოლეონ III მთავრობამ წამოიწყო ახალი კოლონიური ავანტიურა. საფრანგეთმა ინგლისთან და ესპანეთთან ერთად ჯარები გაგზავნა მექსიკაში რესპუბლიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებული რეაქციონერებისა და კლერიკალების დასახმარებლად. ექსპედიცია მექსიკაში მოეწყო ფრანგი ბანკირების მოთხოვნით. მათ

---

[17] აურაცხელი სიმდიდრის მქონე ჩინეთი ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, კოლონიზატორებისათვის ისეთივე მიმზიდველი იყო შორეულ აღმოსავლეთში, როგორც თურქეთი ახლო აღმოსავლეთში.

[18] კოხინხინა — ამჟამად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია ნამბო.

არ უნდოდათ იქ დაბანდებული კაპიტალის დაკარგვა. ექსპედიციას მხარს უჭერდა აგრეთვე ფრანგი მრეწველების დიდი ნაწილი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მექსიკის ბუნებრივი სიმდიდრეების (თუთია, ტყვია, ვერცხლი და ა.შ.) ხელში ჩაგდებით. 1863 წ. საფრანგეთის ჯარებმა მარშალ ბაზენის ხელმძღვანელობით დაიკავეს მექსიკის დედაქალაქი და დაამხეს რესპუბლიკური წყობა. მექსიკის ტახტზე დასვეს ნაპოლეონ III და პაპის პიუს IX პროტეჟე ავსტრიელი ერცჰერცოგი მაქსიმილიანე.

„მექსიკის იმპერიამ" დიდხანს ვერ იარსება. 1867 წ. საფრანგეთის ჯარებმა დატოვეს მექსიკა, რის შემდეგაც რესპუბლიკელებმა დაამარცხეს მონარქისტები. იმპერატორი მაქსიმილიანე დახვრიტეს. მექსიკის ექსპედიციის კრახი მეორე იმპერიის პრესტიჟისათვის მძიმე დარტყმა იყო.

ამავე დროს, მკვეთრად გამწვავდა ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა. ამის მიზეზი იყო ნაპოლეონ III დაპყრობითი გეგმები ევროპაში, აგრეთვე საფრანგეთის შეჭრა ინდოჩინეთში და ეგვიპტეში საფრანგეთის კონტროლის დაწესების მცდელობა. ფრანგი ინჟინრის ლესეპსის პროექტით 1869 წ. გაიჭრა სუეცის არხი, რომელიც თავდაპირველად ფრანგების ხელში მოექცა, რასაც ვერ ურიგდებოდა ინგლისი. გაუარესდა საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობაც. მეორე იმპერია 1856 წ. პარიზის ზავის გაუქმების წინააღმდეგი იყო, თურქეთს და რუმინეთს აქეზებდა რუსეთის წინააღმდეგ, ცდილობდა გამოეყენებინა რუსეთის საზიანოდ 1863 წ. აჯანყება პოლონეთში.

საფრანგეთს არც იტალიასთან ჰქონდა კარგი დამოკიდებულება. 1849 წლიდან ფრანგული გარნიზონი რომში იმყოფებოდა, იცავდა პაპის საერო ხელისუფლებას და ამით ხელს უშლიდა იტალიის გაერთიანებას. 1866 წლის ბოლოს ფრანგმა ჯარისკაცებმა დატოვეს რომი, მაგრამ 1867 წ. ისინი კვლავ გააგზავნეს იტალიაში იმისათვის, რომ შეეჩერებინათ გარიბალდის მორიგი შეტევა რომზე. იტალიაში საფრანგეთის ჟანდარმულმა როლმა ფრანგი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის აღშფოთება გამოიწვია.

საფრანგეთის მხსვილი ბურჟუაზია და ნაპოლეონ III მთავრობა ესწრაფვოდნენ რკინის მადნით მდიდარი ლუქსემბურგის საჰერცოგ-

ოს დაპყრობას, რაინის მარცხენა ნაპირის მიწების საფრანგეთთან მიერთებას, პრეტენზიას აცხადებდნენ ბელგიაზე. ეს აგრესიული გეგმები პრუსიისა და ინგლისის სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებოდა. მათ არ უნდოდათ ევროპაში საფრანგეთის გაძლიერება. მართალია, 1865 წ. ბისმარკი დაპირდა ნაპოლეონ III ტერიტორიულ კომპენსაციას იმ შემთხვევაში, თუ იგი პრუსიის მომავალ ომში ავსტრიასთან ნეიტრალიტეტს დაიცავდა, მაგრამ შემდეგ მან დანაპირები არ შეასრულა, იმპერატორი პირშიჩალაგამოვლებული დატოვა. ამის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა ურთიერთობა საფრანგეთსა და პრუსიას შორის.

1867 წ. ზალცბურგში ნაპოლეონ III და ფრანც იოზეფ I შეხვედრის შემდეგ პრუსიის წინააღმდეგ საფრანგეთისა და ავსტრიის დაახლოების პერსპექტივა გაჩნდა. 1869 წ. შემუშავებულ იქნა ავსტრია-საფრანგეთ-იტალიის კავშირის პროექტი, მაგრამ იგი არ განხორციელებულა. კრახი განიცადა საფრანგეთის დიპლომატიის მცდელობამ გამოეყენებინა წინააღმდეგობანი პრუსიასა და ბავარიას შორის და ჩრდილო გერმანიის კავშირის საპირისპიროდ საფრანგეთის პროტექტორატით შეექმნათ სამხრეთგერმანული კავშირი. საფრანგეთის ბურჟუაზია შიშით ადევნებდა თვალს პრუსიის წარმატებებს გერმანიის გაერთიანების საქმეში და საყვედურობდა ნაპოლეონ III მთავრობას იმისათვის, რომ იგი სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდა გერმანიის ძლიერ მილიტარისტულ სახელმწიფოდ გადაქცევას.

**მეორე იმპერიის საშინაო პოლიტიკა.** ნაპოლეონ III მთავრობის ძირითადი დასაყრდენი იყო კათოლიკური სამღვდელოება, რომელიც მოხერხებულად იყენებდა მოსახლეობის კონსერვატიულ განწყობილებას, მათ უარყოფით დამოკიდებულებას ყოველგვარი გადატრიალებებისადმი და სიმშვიდის შენარჩუნების სურვილს. თავდაპირველად სამრეწველო ბურჟუაზია კმაყოფილი იყო იმპერატორის საშინაო და საგარეო პოლიტიკით, რაც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მათი საქმიანობის წარმატებებს. 1860 წ. ნაპოლეონმა დადო სავაჭრო შეთანხმება ინგლისთან, რომლის მიხედვით ორივე მხარე მთელ რიგ საქონელზე საბაჟო გადასახადებს ამცირებდა. ამ ხელშეკრულების

დადებიდან 5-6 წლის შემდეგ საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის საქონელბრუნვა გაორმაგდა.

მთავრობის საშინაო პოლიტიკაც სტიმულს აძლევდა საფრანგეთის მრეწველობის აღმავლობას, სარკინიგზო გზების მშენებლობას, სავაჭრო-საფინანსო საქმიანობის განვითარებას. დიდი ყურადღება ექცეოდა პარიზის კეთილმოწყობას; მის სხვადასხვა უბნებში, განსაკუთრებით მუშათა ძველ კვარტლებში, დაანგრიეს საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლები და ვიწროს ნაცვლად გააშენეს ფართო ხეივნები. თანამედროვეებმა შენიშნეს, რომ ქალაქის კეთილმოწყობის გარდა, ეს ღონისძიებები მიზნად ისახავდნენ საბარიკადო ბრძოლებისათვის ხელსაყრელი პირობების მოსპობას. საკუთარი მრეწველობის მიღწევებით, თავისი გამოფენებით, დოლებით, თეატრებით, დღესასწაულებით, სასახლის კარის ბრწყინვალებით პარიზი იმპერიის პერიოდში უამრავ უცხოელს იზიდავდა; მაგრამ ესენი იყვნენ არა ემიგრანტები და რესპუბლიკელები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან, რომლებიც 40-იან წლებში საფრანგეთში ეძებდნენ თავშესაფარს და თავიანთი საქმიანობისათვის ხელსაყრელ პირობებს, არამედ ტურისტები და გართობის მოყვარულნი, მოთამაშეები და სპეკულიანტები; მათ შორის ბევრი იყო რუსი თავადაზნაური, რომლებიც 1861 წლის რეფორმის შედეგად გლეხთა გამოსასყიდის სახით მიღებულ ფულს საზღვარგარეთ ფლანგავდნენ.

ავანტიურისტები და საეჭვო რეპუტაციის მქონე საქმოსნები, რომლებმაც ნაპოლეონთან ერთად ჩაიგდეს ხელში ძალაუფლება, ყოველნაირად ახალისებდნენ მასებში მდაბალი გრძნობების გაღვივებას. დამოუკიდებელი მოაზროვნეები იდევნებოდნენ. ცნობილი ისტორიკოსები მიშლე და კინე იძულებული გახდნენ შეეწყვიტათ ლექციების კითხვა და დაეტოვებინათ საფრანგეთი. ცენზურის გამკაცრების გამო, პრესაში იბეჭდებოდა პუბლიკაციები წვრილმან და უხამს თემებზე.

ის საფრანგეთი, რომელიც ყველა თავისუფლებისმოყვარე ადამიანისათვის ითვლებოდა აღთქმულ ქვეყნად, „მეორე სამშობლოდ" (ჰაინეს სიტყვებია), უკვე აღარ არსებობდა. რესპუბლიკური იდეები მხოლოდ ფრანგი ემიგრანტების ნაშრომებში გვხვდებოდა, მაგრამ

მათ შემოტანას ქვეყნის შიგნით ადმინისტრაცია სასტიკად კრძალავდა; რესპუბლიკური პარტიის წევრობა მეტად სახიფათო იყო. მას შემდეგ, რაც იტალიელმა პატრიოტმა ორსინიმ 1858 წ. წარუმატებელი თავდასხმა მოაწყო ნაპოლეონ III 1849 წელს რომში რევოლუციის ჩახშობისათვის, მიიღეს კანონი „საზოგადოებრივი უშიშროების შესახებ", რომლის საფუძველზე შინაგან საქმეთა მინისტრმა უფლება მისცა პრეფექტებს ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დაეპატიმრებინათ ადრე პოლიტიკური ბრალდებით მსჯავრდადებულნი.

აღნიშნული შეზღუდვების მიუხედავად, 1858 წ. საკანონმდებლო კორპუსში ხუთი რესპუბლიკელი დეპუტატი აირჩიეს, რაც ოპოზიციის მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

ნაპოლეონ III ცდილობდა მუშათა კლასის თავის მხარეზე მიმხრობას. ამ მიზნით იგი ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობისას საპატიმროში დაწერილ თავის ნაშრომებში გამოთქმული ბუნდოვანი სოციალისტური იდეებით. მისი მმართველობის დროს დააარსეს სადაზღვევო სალაროები ხანშიშესული მუშებისათვის პენსიების მისაცემად, გარდაცვლილ მუშათა ოჯახების დასახმარებლად. თავისი მმართველობის ბოლო წლებში ნაპოლეონი აპირებდა მუშათა სავალდებულო დაზღვევის შემოღებას. 1864 წ. მან გააუქმა 1791 წ. მიღებული კანონი (ლე შაპელიეს კანონი), რომელიც მუშებს კავშირების შექმნას უკრძალავდა.

ეს ღონისძიებები არ იყო საკმარისი მუშათა მხარდასაჭერად. მათი უმრავლესობა რესპუბლიკელებს ემხრობოდა; მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ადვოკატისა და ჟურნალისტის გამბეტას მიერ შედგენილი პროგრამა (მას ბელვილის პროგრამასაც უწოდებდნენ, მუშათა იმ გარეუბნის სახელის მიხედვით, სადაც პირველად შეიქმნა იგი).

**მეორე იმპერიის დაცემა.** 60-იან წლებში ოპოზიციის ძალები თანდათან ძლიერდებიან, რასაც ხელს უწყობდნენ იმპერიის სამხედრო და დიპლომატიური წარუმატებლობები. აშშ-ს სამოქალაქო ომში (1861-1865) საფრანგეთმა მხარი დაუჭირა სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს (სამხრეთელები ამარაგებდნენ ბამბით საფრანგეთ-

ის მრეწველობას), რამაც შემდეგში გაართულა მისი ურთიერთობა აშშ-თან.

ნაპოლეონი ევროპაშიც არათანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებდა: ხან სახელმწიფოებს სთავაზობდა კონგრესის მოწვევას განიარაღების პრობლემაზე, ხან ბელგიის საფრანგეთთან მიერთებას ცდილობდა, ხან კი — 1814 წ. დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. მაგრამ ამ დროისათვის საფრანგეთის არმია იმდენად იყო დასუსტებული, რომ ამ ამოცანათაგან ვერც ერთს ვერ გადაჭრიდა; გერმანიისა და იტალიის გაერთიანებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი მის გარეშე წყდებოდა, საფრანგეთი პასიური მეთვალყურის როლით კმაყოფილდებოდა. ამიტომ უწოდა ბისმარკმა იმპერატორს „შეუცნობელი არარაობა“.

ხელისუფლების შენარჩუნებისათვის, ნაპოლეონმა ოპოზიციას ბევრი რამ დაუთმო: დეპუტატთა პალატას შეეძლო მოესმინა მინისტრების ანგარიშები, გაადვილდა გაზეთების გამოცემა, სახელმწიფო მოხელის თანდასწრებით შეიძლებოდა კრებების მოწვევა. მაგრამ ამ დათმობებს არ შეეძლო შეეჩერებინა ოპოზიციური მოძრაობების განვითარება. ოპოზიციურ მოძრაობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბურჟუაზიული ინტელიგენციის მოწინავე ნაწილის წარმომადგენლები. ახლად დაარსებული გაზეთები იმპერიისადმი კიდევ უფრო მეტ შეურიგებლობას ამჟღავნებდნენ; ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა როშფორის მიერ 1868 წ. დაარსებული გაზეთი „ფანარი“.

საკანონმდებლო კორპუსის 1869 წლის არჩევნებმა ოპოზიციას მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა — 7,8 მლნ. ამომრჩევლიდან 3,3 მლ-მა მათ მისცა ხმა. არჩევნების შედეგებით შეშინებულმა მთავრობამ 1870 წ. 2 იანვარს ახალი „ლიბერალური“ კაბინეტი ჩამოაყალიბა ემილ ოლივიეს ხელმძღვანელობით; მაგრამ ვერც ამ კაბინეტმა შეძლო საზოგადოებრივი უკმაყოფილების ზრდის შეჩერება. 1870 წ. თებერვალსა და მაისში პარიზის მუშათა კვარტლებში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ მღელვარებებს, რომლებიც ზოგჯერ პოლიციასთან შეტაკებით მთავრდებოდა.

იმისათვის, რომ თავისი შერყეული მდგომარეობა განემტკიცე-

ბინა, მთავრობამ განიზრახა პლებისციტის ჩატარება. იგი მოეწყო 1870 წლის 8 მაისს. პლებისციტის შედეგები ასეთი იყო: მთავრობას მხარი დაუჭირა 7,3 მილიონმა კაცმა, 1,5 მლნ. წინააღმდეგი იყო, 1,8 მლნ. არ მიიღო მასში მონაწილეობა. ხმების უმრავლესობის მოპოვების მიზნით, ბონაპარტისტული მთავრობა ქვეყანაში ავრცელებდა ბროშურებს, რომლებშიც ლანძღავდა დემოკრატებს და სოციალისტებს.

საფრანგეთში პოლიტიკური მდგომარეობა თანდათანობით იძაბებოდა. მეორე იმპერიის რეჟიმმა ამოწურა ლავირების შესაძლებლობა. მთავრობის მიერ ჩატარებული რეფორმები ვერ ცვლიდნენ ნაპოლეონ III რეჟიმის რეაქციულ არსს. ახლოვდებოდა ახალი რევოლუცია, რომელსაც უნდა მოესპო დრომოჭმული ბონაპარტისტული პოლიტიკურ-ბიუროკრატიული დიქტატურა. ეს **რევოლუცია მოხდა 1870 წლის 4 სექტემბერს**, მას შემდეგ, რაც პრუსიასთან ომში სასტიკად დამარცხებული ნაპოლეონ III ტყვედ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს. რევოლუციამ დაამხო მეორე იმპერია, დამყარდა მესამე რესპუბლიკა.

# თავი IV. ავსტრია 1815-1867 წწ.

მრავალეროვანი ჰაბსბურგთა მონარქია 1815 წლის შემდეგ. ვენის კონგრესის შემდეგ ავსტრიის სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა იმპერატორი ფრანც I, დასახლებული იყო სხვადასხვა ხალხებით. მათ მმართველობაც ერთმანეთისაგან განსხვავებული ჰქონდათ. იმპერიის ტერიტორიის დაყოფა ხუთ ნაწილად შეიძლებოდა.

I. ჰაბსბურგთა დინასტიის სამემკვიდრეო მიწები — ზემო და ქვემო ავსტრია, ზალცბურგი, ტიროლი, შტირია, სადაც უმეტესობა ავსტრიელები იყვნენ; შტირიისა და კარინტიის სამხრეთი ნაწილები, კრაინა, ჰერცი, ისტრია, სადაც სლოვენები და ნაწილობრივ ხორვატები ცხოვრობდნენ. ამას გარდა ისტრიაში, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, უმეტესად ქალაქებში, აგრეთვე ტიროლის სამხრეთ ნაწილში იტალიელებით დასახლებული ადგილები იყო.

II. ლომბარდია-ვენეციის სამეფო, რომელიც იტალიელებით იყო დასახლებული.

III. ჩეხეთის მიწების (მაშინდელი ოფიციალური დასახელებით ბოჰემია) სამეფო, რომელიც სამი პროვინციისაგან — ჩეხეთის, მორავიისა და ავსტრიის სილეზიისაგან შედგებოდა. ამ ტერიტორიებზე ჩეხები და სლოვაკები ჭარბობდნენ, მაგრამ გერმანიასთან ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში ბევრი გერმანელი ცხოვრობდა.

IV. გალიცია, რომლის დასავლეთი ნაწილი დასახლებული იყო უმეტესად პოლონელებით, აღმოსავლეთი კი — უკრაინელებით (რუსინებით). ბუკოვინაშიც უკრაინელები ჭარბობდნენ.

V. „წმ. სტეფანეს გვირგვინის“ მიწები, რომელიც მოიცავდა უნგრეთის სამეფოს, ტრანსილვანიის სამთავროს, ხორვატიისა და სლავონიის სამეფოებს და სერბეთის პროვინციას — ვოევოდინას. საკუთრივ უნგრეთში მოსახლეობის უმრავლესობა უნგრელებისაგან (მადიარებისაგან) შედგებოდა, იყო, აგრეთვე გერმანული დასახლებებიც. მორავიასთან ახლომდებარე ჩრდილო-დასავლეთ ოლქებში მოსახლეობის მეტი წილი სლოვაკებისაგან შედგებოდა, ხორვატიასა და სლავონიაში ცხოვრობდნენ ხორვატები და ნაწილობრივ, სერბები.

XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ავსტრიის იმპერიაში სულ 34 მლნ. კაცი ცხოვრობდა. ამათგან დაახლოებით ნახევარი — 16 მლნ. სლავი იყო. 11 მლნ. შეადგენდნენ უნგრელები, იტალიელები, რუმინელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები, 7 მილიონს — საკუთრივ ავსტრიელები და გერმანელები.

ავსტრიის იმპერიაში შემავალ ხალხებს, ბუნებრივია, ჰქონდათ დამოუკიდებლობის, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის სურვილი. ამიტომ იმპერიის მთავრობა ცდილობდა არსებული წეს-წყობილების ძალით შენარჩუნებას. ამ მიზნით იგი ხშირად მიმართავდა იმპერიაში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შორის ეროვნული შუღლის გაღვივებისა და ურთიერთწასისიანების პოლიტიკას, რაც „მეტერნიხის სისტემის" განუყოფელი შემადგენელი ნაწილი იყო. იმპერატორი ფრანც I ცინიკურად აცხადებდა: „მე ვნიშნავ უნგრელებს იტალიაში, იტალიელებს უნგრეთში. თითოეული მათგანი დარაჯობს თავის მეზობელს. მათ არ ესმით ერთმანეთის და სძულთ ერთიმეორე, რაც ხელს უწყობს წესრიგისა და საყოველთაო მშვიდობის დამყარებას". ასეთი „მოხერხებული" პოლიტიკის წყალობით, ავსტრიის მთავრობა ახერხებდა მრავალეროვანი იმპერიის არაავსტრიელი ხალხებისათვის ვენიდან თავს მოეხვია თავისი ნება, რაშიც მას დიდ დახმარებას უწევდნენ უპირველესად საკუთრივ ავსტრიულ პროვინციებში მცხოვრები მემამულეები. ამ საქმეში მათ არ ჩამორჩებოდნენ სხვა ხალხების გაბატონებული კლასების წარმომადგენლებიც, რომლებიც თავიანთი ქონებისა და უფლებების შენარჩუნების საიმედო გარანტად ჰაბსბურგთა იმპერიის არსებობას მიიჩნევდნენ.

ეროვნული ჩაგვრა ჩვეულებრივ შერწყმული იყო კლასობრივთან. ჩეხეთში მსხვილი ბურჟუაზია იყო გერმანული, არისტოკრატია — გაგერმანელებული. უნგრეთის სამეფოში, რომელიც დასახლებული იყო სერბებითა და რუმინელებით, მემამულეები იყვნენ უნგრელები, გლეხები კი მიეკუთვნებოდნენ ჩაგრულ ერებს.

ბიუროკრატიული აპარატის დახმარებით, რომელიც მხოლოდ ავსტრიელების, გერმანელებისა და გაგერმანელებული სხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, ჰაბსბურგები ცდილობდნენ თავიანთი მრავალეროვანი ქვეშევრდომების მორჩილებაში მოყვანას.

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან შედარებით, ავსტრიის იმპერიაში პოლიტიკური და სულიერი ჩაგვრა ყველაზე მძიმე იყო

**აგრარული ურთიერთობები. მრეწველობის განვითარება.** 1781 წელს ჰაბსბურგთა „სამემკვიდრეო მამულებში" გლეხები პირადად მებატონისაგან თავისუფალი გახდნენ, მაგრამ ძირითადი ფეოდალური ვალდებულებები მაინც შენარჩუნებულ იქნა. მემამულეები ძველებურად განაგებდნენ თავიანთ სამფლობელოებში სასამართლო და პოლიტიკურ საქმეებს. გლეხები იხდიდნენ მრავალრიცხოვან სახელმწიფო და ადგილობრივ გადასახადებს, მაგ. მორავიაში მათი რაოდენობა 242-ს აღწევდა.

იმპერიის აღმოსავლეთ ოლქებში მემამულეები ნადელებს ართმევდნენ გლეხებს და ამ მიწებზე აწყობდნენ კაპიტალისტურ მეურნეობებს. მცირემიწიანობის გამო ფეოდალური ჩაგვრა განსაკუთრებით გაძლიერდა უნგრეთში. უნგრეთში, ხორვატიასა და სლავონიაში 620 ათასი გლეხის ოჯახი ფლობდა მიწას, 912 ათასი კი უმიწოდ იყო.

ფეოდალური ურთიერთობების ხელშემშლელი პირობების მიუხედავად, ავსტრიის იმპერიაში მემამულურ მეურნეობებში თანდათანობით ფეხს იკიდებდა კაპიტალისტური წარმოება — აარსებდნენ ღვინის, არყისახდელ, შაქრის მწარმოებელ და ხის სახერხ ქარხნებს, უმჯობესდებოდა მიწის დამუშავების კულტურა, პროგრესულად მოაზროვნე ფეოდალების ნაწილი უკვე ფიქრობდა იძულებითი შრომის დაქირავებულით შეცვლის თაობაზე.

'მეტერნიხის სისტემას" არ შეეძლო დაეთრგუნა კაპიტალისტური წარმოების ზრდა. მანუფაქტურების რიცხვი იზრდებოდა, ამასთანავე, მატულობდა ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობაც. 40-იანი წლების დასაწყისში ავსტრიის იმპერიაში 135 ფაბრიკა იყო.

ვენა გადაიქცა მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრად. აქ განსაკუთრებით ყურადღება ეთმობოდა აბრეშუმის ქსოვილების წარმოებას, ამზადებდნენ აგრეთვე ფუფუნების საგნებს, ავეჯს, მზა ტანსაცმელს და ა.შ. იმპერიის ცალკეულ ნაწილებში ვითარდებოდა მაუდის, ქიმიური საღებავების, ჩითის, სამთო საქმისა და მანქანათმშენებელი მრეწველობა.

მრეწველობის განვითარება, ქალაქებისა და სოფლად სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა იწვევდა საშინაო ბაზრის გაფართოებას, მაგრამ ფეოდალური საფუძვლების არსებობა აფერხებდა ამ პროცესს. მთავრობის სამრეწველო პოლიტიკაც არ უწყობდა ხელს საწარმოო ძალების განვითარებას. ავსტრიაში ჯერ კიდევ მოქმედებდნენ ზოგიერთი ამქრული შეზღუდვები.

ავსტრიის მთავრობის საბაჟო პოლიტიკა აფერხებდა ეკონომიკურ პროცესებს, რადგანაც მაღალი საბაჟო გადასახადები ფაქტიურად აძნელებდა ნედლეულის შემოტანას და ხელს უწყობდა კონტრაბანდას, ამასთანავე, ადგილობრივ მრეწველობას იცავდა უფრო განვითარებული გერმანული მრეწველობის კონკურენციისაგან. სწორედ ამ მიზნით, ავსტრიის იმპერია არ შევიდა პრუსიის მიერ შექმნილ საბაჟო კავშირში. ეს კი აძნელებდა იმპერიის საქმიან კავშირს სამხრეთგერმანულ სახელმწიფოებთან.

ავსტრიის მთავრობა 30-იანი წლების ბოლომდე არ ზრუნავდა რკინიგზის მშენებლობაზე. იმპერატორ ფრანცს ეშინოდა, რომ რკინიგზას „რევოლუცია არ შემოყოლოდა ქვეყანაში". ასეთი დამოკიდებულების გამო, 1850 წლისათვის ავსტრიის იმპერიაში სარკინიგზო ქსელის სიგრძე 1,5 ათას კილომეტრს არ აღემატებოდა, თუმცა პირველი (კერძო) რკინიგზა ჯერ კიდევ 1832 წელს გაიყვანეს, უფრო ადრე, ვიდრე გერმანიაში. 40-იან წლებამდე არც სამდინარო ტრანსპორტი იყო განვითარებული.

საერთოდ, ავსტრიის იმპერია ევროპის სხვა ქვეყნებთან (ინგლისი, საფრანგეთი, პრუსია) შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი იყო; კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება კი კარგ საფუძველს ქმნიდა მრავალეროვან იმპერიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობებისათვის, განსაკუთრებით ჩეხეთსა და უნგრეთში.

**ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეროვნული აღორძინება.** XVIII საუკუნეში ჩეხეთმა დაკარგა ყოველგვარი დამოუკიდებლობა და იგი გადაიქცა ავსტრიის იმპერიის პროვინციად, სადაც ძალით გაგერმანელების პოლიტიკა ინტენსიურად ტარდებოდა. ჩეხეთის სამეფოს სამი შემადგენელი ნაწილი — ჩეხეთი, მორავია და ავსტრიის სილეზია ფაქტიურად ცალ-ცალკე არსებობდა.

XIX საუკუნეში ჩეხეთის ეროვნული აღორძინების საფუძველი იყო კაპიტალისტური განვითარება და ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბება. ჩეხი მეცნიერები, ფილოლოგები იუნგმანი (1773-1847), ვ. ჰანკა (1791-1861), ისტორიკოსი ფ. პალაცკი (1798-1876) და სლოვაკები — პ. შაფარიკი (1795-1861), პოეტი იან კოლარი (1793-1852), თავიანთი ნაშრომებით საფუძველს უყრიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ჩეხეთში ეროვნული ხელოვნებისა და კულტურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პრაღაში ეროვნული მუზეუმის, ბიბლიოთეკის, თეატრისა და 1831 წელს პალაცკის ინიციატივით გამომცემლობა „მატიცას“ დაარსებამ.

XIX საუკუნეში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა უნგრეთის ჩრდილოეთი ოლქების სლოვაკი მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნება. 20-იან წლებში ბრატისლავაში შეიქმნა სტუდენტური საზოგადოება „ლიტერატურული ერთობა“, რომელიც სლავი ხალხების ენისა და ლიტერატურის შესწავლას ისახავდა მთავარ მიზნად. შემდგომში ამ საზოგადოებაში წამყვან როლს ასრულებდა ფილოლოგი ლუდვიგ შტური (1815-1856).

ეროვნული თვითშეგნების ზრდას თან მოჰყვა პოლიტიკური ბრძოლების გამწვავება, რასაც მძლავრი ბიძგი მისცა, აგრეთვე, 1830 წლის საფრანგეთის ივლისის რევოლუციამ და ამავე წლის ნოემბერში პოლონეთის აჯანყებამ. 1830 წლის მოვლენების შთაბეჭდილებებით პოეტმა კ. საბინამ პრაღაში ჩამოაყალიბა ფარული სტუდენტური საზოგადოება „ჩეხური კლუბი“, ბრატისლავაში კი სტუდენტმა დემოკრატებმა — ფარული საზოგადოება „თანადგომა“ და დაამყარეს კავშირი პოლონელ აჯანყებულებთან.

ეროვნული თანასწორობისათვის ბრძოლის პერიოდში, 40-იან წლებში, ჩეხეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში თანდათანობით გამოიყო ორი პოლიტიკური მიმდინარეობა: ზომიერი ბურჟუაზიულ-ლიბერალური და რადიკალ-დემოკრატიული. პირველს ხელმძღვანელობდნენ ისტორიკოსი ფ. პალაცკი, ადვოკატი რიგერი და პუბლიცისტი კ. ჰავლიჩეკი. ისინი გამოხატავდნენ ჩეხი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის შეძლებული ნაწ-

ილისა და წვრილი და საშუალო მემამულეების ნაწილის ინტერესებს. ისინი ეროვნული ინტერესების განხორციელებისათვის იბრძოდნენ რეფორმების გზით. ხოლო ფ. პალაცკი და სხვა ლიბერალები იღწვოდნენ ჰაბსბურგთა იმპერიაში ეროვნული ავტონომიის მოპოვებისათვის.

რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მომხრენი მოითხოვდნენ არა მარტო სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობას, არამედ საყოველთაო საარჩევნო უფლებებს და ა.შ. 1846 წ. აპრილში შეიქმნა ფარული რევოლუციურ-დემოკრატიული საზოგადოება „რიპილი", რომლის სათავეში იდგნენ კარელ საბინა, ემანუილ არნოლდი, იოზეფ ფრიჩი და სხვები. ამ ორგანიზაციას სახელწოდება შეურჩიეს ირლანდიელი „რიპილერების" ასოციაციით, რომლებიც იბრძოდნენ ინგლისელების ბატონობისაგან თავის დაღწევისათვის. ჩეხი რიპილისტები, რომელთა შორის იყვნენ ჩეხურ მიწებზე მცხოვრები გერმანელი დემოკრატები, მიზნად ისახავდნენ დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას, თავადაზნაურთა პრივილეგიების გაუქმებას, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებას. რიპილერები წარმოადგენდნენ ჩეხეთის საზოგადოებრივი მოძრაობის ყველაზე პროგრესულ მიმდინარეობას.

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა უნგრეთის სამეფოში.** იმპერიის არაავსტრიელი მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით არა თუ არ ჩამორჩებოდა საკუთრივ ავსტრიელებს, არამედ უსწრებდა კიდეც მათ (მაგ. ჩეხები). ამიტომ კაპიტალიზმის განვითარების პროცესი იწვევდა ცენტრიდანული ძალების გააქტიურებას. თუმცა იმპერატორი ფრანც I „საღვთო კავშირის" შექმნის შემდეგ დარწმუნებული იყო, რომ მისი და მეტერნიხის მმართველობის პერიოდში იმპერიას დაშლის საფრთხე არ ემუქრებოდა.

დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის სურვილი ყველაზე ადრე შეიმჩნეოდა უნგრეთში. „წმ. სტეფანეს გვირგვინის" მიწები, იმპერიის სხვა ნაწილებთან შედარებით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო. აქ ფეოდალურ ჩაგვრას თან ერთვოდა ეროვნული ჩაგვრა. უნგრეთის ჩრდილოეთში მოსახლეობის უმრავლესობას

სლოვაკები შეადგენდნენ, აღმოსავლეთში — რუმინელები, სამხრეთში სერბები და ხორვატები. უნგრეთის გაბატონებული წრეები ცდილობდნენ ამ ხალხების ასიმილირებას და მკაცრად ახშობდნენ მათი ეროვნული თვითმყოფადობის ყოველგვარ გამოვლინებას, სლავებს, ვლახელებსა და მოლდაველებს ძალით ახვევდნენ თავს თავიანთ ენას და კულტურას.

30-იან წლებში უნგრეთში ჩამოყალიბდა ჰაბსბურგთა აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მიმართული ზომიერი ლიბერალური ოპოზიცია მიკლოშ ვეშელენის ხელმძღვანელობით. ოპოზიციონერები ძირითად მიზნად ისახავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და ფეოდალური ურთიერთობების ლიკვიდაციას, მაგრამ არ უნდოდათ გლეხებისათვის პოლიტიკური უფლებების მიცემა. მათი პროექტის მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ მხოლოდ თავადაზნაურებს, ვაჭრებს, მრეწველებს და ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. სასახლის კარისა და მსხვილი მემამულეების წინააღმდეგობის გამო ეს პროექტი არ იქნა მიღებული და სეიმი დაკმაყოფილდა იმით, რომ გლეხები გაანთავისუფლა ზოგიერთი ვალდებულებებისაგან.

ლიბერალური მოძრაობა განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც მას სათავეში ჩაუდგა ადვოკატი და პუბლიცისტი ლაიოშ კოშუტი (1802-1894). 1836 წელს მთავრობამ დაითხოვა მორიგი სეიმი და კოშუტი სხვა ოპოზიციონერებთან ერთად დააპატიმრა. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ, 1841 წელს მან დააარსა „პეშტის გაზეთი", რომლის ფურცლებზე გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში, იგი მოითხოვდა ბურჟუაზიული რეფორმების ჩატარებას, ფეოდალური ვალდებულებებისაგან გამოსყიდვის გზით გლეხთა განთავისუფლებას. 1844 წ. კოშუტის ხელმძღვანელობით შეიქმნა „უცხოეთის საქონლის კონკურენციისაგან სამამულო მრეწველობის დაცვის საზოგადოება". ამ დროს კოშუტი არ გამოდიოდა ჰაბსბურგებთან ყოველგვარი კავშირების გაწყვეტის მომხრედ. მიუხედავად ამისა, მისმა ბრძოლამ იმპერიის წინააღმდეგ მას საყოველთაო აღიარება და ხალხის მხარდაჭერა მოუპოვა,

ლიბერალურ მოძრაობასთან ერთად უნგრეთში თანდათანობით ვითარდებოდა რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომ-

ლის მთავარი წარმომადგენლები იყვნენ **მიხაი ტანჩიჩი** (1799-1884) და **შანდორ პეტეფი** (1823-1849).

გამოჩენილმა უნგრელმა პოეტმა შანდორ პეტეფიმ მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნა ხალხის უანგარო სამსახურს. თავის პოემებში იგი მოუწოდებდა ჰაბსბურგთა უღლისა და ფეოდალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პეტეფისთან ერთად მიხაი ტანჩიჩი უნგრელი რევოლუციონერი დემოკრატების თვალსაჩინო წარმომადგენელია. თავის მრავალრიცხოვან პამფლეტებში, სტატიებსა და წიგნებში იგი მოუწოდებდა ჰაბსბურგთა ძალმომრეობის წინააღმდეგ. ამიტომ მან მრავალი წელი საპყრობილეებში გაატარა. ვერ შესძლო რა სეიმის ოპოზიციური უმრავლესობის დამორჩილება, ავსტრიის მთავრობა რეპრესიების გზას დაადგა, რამაც, ჯერ კიდევ 1848 წლამდე, ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაცია უკიდურესად დაძაბა.

**მდგომარეობა გალიციაში და უნგრეთის სლავურ ოლქებში. ილირიზმი.** გალიციაში, რომლის 2/3 დასახლებული იყო უკრაინელებით (რუსინებით) და 1/3 პოლონელებით, თანდათანობით ვითარდებოდა დამოუკიდებელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1830 წლის აჯანყების ჩახშობის შემდეგ, პოლონელებმა ეროვნული მოძრაობის ცენტრი გადაიტანეს პოზნანის პროვინციებში და ავსტრიაში.

ავსტრიელები გალიციაში ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ უკრაინელებსა და პოლონელებს იმისათვის, რომ უფრო ადვილად ჩაეხშოთ ამ ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1846 წ. კრაკოვში აჯანყდნენ პოლონელები. მეტერნიხმა ეს აჯანყება ჩაახშო და კვლავ ნაცად ხერხს მიმართა: შეეცადა უკრაინელი მოსახლეობის გამოყენებით პოლონელთა ანტიავსტრიული მოძრაობის განადგურებას. იცოდა რა უკრაინელი გლეხების სიძულვილის შესახებ პოლონელი ფეოდალების მიმართ, მთავრობა ავრცელებდა ხმებს, თითქოს აჯანყებულები გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგნი იყვნენ. ასეთ პროვოკაციას სათანადო შედეგები მოჰყვა: რამდენიმე დღის განმავლობაში ტარნოვსკისა და მეზობელ რაიონებში გლეხები კლავდნენ და სცემდნენ პოლონელ მემამულეებს, ანადგურებდ-

ნენ მათ კარ-მიდამოს, ადმინისტრაცია კი არ ცდილობდა წესრიგის დამყარებას. ამ მოვლენებმა მთელი ევროპის აღშფოთება გამოიწვია.

სხვა სლავურ ოლქებში, ფეოდალური ჩაგვრის მიუხედავად, არისტოკრატიამ და ხალხმა შესძლეს აბსოლუტიზმის წინააღმდეგ გაერთიანება. სლავების ეროვნული მოძრაობა თითქმის მთელ იმპერიას მოედო. მორავიასაგან განსხვავებით, რომელიც ბურჟუაზიის მცირერიცხოვნობისა და მოსახლეობის დიდი ნაწილის ჩამორჩენილობის, აგრეთვე ვენასთან ტერიტორიული სიახლოვის გამო შედარებით განზე იდგა, ხორვატიის დედაქალაქი ზაგრები გახდა ცენტრი, საიდანაც იმპერიის საწინააღმდეგო აგიტაციას ეწეოდნენ დალმაციაში, ისტრიაში, კარინტიაში, კრაინასა და სხვა მხარეებში. აქაური სლავები, ჩეხების მსგავსად, დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ შინაური მტრების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებისათვის აუცილებელი იყო ურთიერთშორის არსებული შუღლის დაძლევა და პანსლავიზმის დროშის ქვეშ გაერთიანება. ამ იდეის განხორციელებისათვის დიდი მუშაობა ჩაატარა პუბლიცისტმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ლიუდევიტ გაიმ (1809-1872). მან შესძლო თავის გარშემო დაერაზმა ხორვატიის, სერბეთისა და სლოვენიის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები და საფუძველი ჩაეყარა ე.წ. ილირიზმისათვის[19] — ხორვატიის ეროვნული მოძრაობისათვის, რომელიც ითვალისწინებდა აგრეთვე ყველა სამხრეთ სლავთა გაერთიანებას. გაი და ილირიზმის სხვა მოღვაწენი არ გამოდიოდნენ იმპერატორის წინააღმდეგ და მოითხოვდნენ მხოლოდ პოლიტიკურ და კულტურულ ავტონომიას ჰაბსბურგთა იმპერიაში. უფრო მეტიც, უნგრეთის თავადაზნაურთა დიდმპყრობელური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით, სამხრეთ სლავთა გაბატონებული კლასების გარკვეული ნაწილი ხსნას იმპერიის განმტკიცებაში ხედავდა. მათი ასეთი ტენდენცია მომავალი 1848 წლის რევოლუციისათვის მეტად საშიში იყო.

---

[19] ილირიზმი — საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოძრაობა XIX ს. 30-40-იან წლების ხორვატიაში, სლოვენიაში და სხვა სამხრეთ-სლავურ ოლქებში. ილირიზმის წამყვანი იდეა იყო „დიდი ილირიის“ სახელმწიფოს შექმნა, რომელშიც გაერთიანდებოდა მთელი სამხრეთ სლავური და ნაწილობრივ არასლავური ოლქები. ამ ოლქების მოსახლეობას ილირიზმის მიმდევრები ძველი ილირიელების შთამომავლებად თვლიდნენ.

**ავსტრიის იმპერია 1848 წლის რევოლუციის დაწყებამდე.** 1848 წლის რევოლუციის წინ ეროვნულ ნიადაგზე დაძაბულობა შეიმჩნეოდა ავსტრიის იმპერიის მთელს ტერიტორიაზე — უნგრეთში, ჩეხეთში, გალიციაში, ლომბარდიასა და ვენეციაში. საკუთრივ ავსტრიაში და ვენაშიც კი იზრდებოდა ოპოზიციური განწყობილება. მოითხოვდნენ ფეოდალური ვალდებულებების გაუქმებას (გამოსყიდვით), საარჩევნო უფლებების გაფართოებას და ქვეყნის ბიუჯეტის სეიმზე დამტკიცებას.

ოპოზიცია არ იყო ერთგვაროვანი. მრეწველები და მსხვილი მემამულეების ნაწილი აღიარებდნენ რეფორმების ჩატარების აუცილებლობას და იზიარებდნენ ზომიერ-ლიბერალურ შეხედულებებს, იყვნენ, აგრეთვე, რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობის მომხრენიც, განსაკუთრებით ვენაში. ამ უკანასკნელთა შეხედულებებს მხარს უჭერდა სტუდენტობა, რომლებიც მძიმე მატერიალურ პირობებში ცხოვრობდნენ. სტუდენტთა წრეებში კითხულობდნენ და მსჯელობდნენ ჰაინეს, ბიორნეს და სოციალ-უტოპისტების პუბლიცისტურ ნაწარმოებებზე.

იმპერიაში არსებული წინააღმდეგობები თავის გამოხატულებას პოულობდნენ გლეხთა და ქალაქის პლებსის გამოსვლებში. მოუსავლიანობა, სიძვირე, უმუშევრობა, რასაც ადგილი ჰქონდა 1846-1847 წწ. კიდევ უფრო ამძაფრებდა არსებული წყობისადმი სიძულვილს.

ამგვარად, 40-იანი წლების ბოლოს, ავსტრიის იმპერიაში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, რომლის ძირითადი მიზეზი იყო წინააღმდეგობები ბურჟუაზიული განვითარების მოთხოვნებსა და არსებულ ფეოდალურ-აბსოლუტისტურ წყობას შორის.

გერმანიისაგან განსხვავებით, სადაც ეროვნული საკითხის ძირითადი არსი ქვეყნის გაერთიანება იყო, ავსტრიის იმპერიაში პირიქით — ეროვნული საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა იმპერიაში გაერთიანებული ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებით.

**ავსტრიის იმპერია 1848-1849 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ.** 1848-1849 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ავსტრიის იმპერიაში კაპიტალიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობები

შეიქმნა, მაგრამ მიწათმფლობელ არისტოკრატიას მაინც არ სურდა თავისი პრივილეგიების დათმობა. მათი დაჟინებული მოთხოვნით 1856 წ. გააუქმეს 1849 წ. კონსტიტუცია, რომელიც ზედმეტად რადიკალურად მიაჩნდათ. პროვინციული წოდებრივი სეიმების მნიშვნელობა მინიმუმამდე დავიდა. სახელმწიფო დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ აპარატში და სასამართლოში ოფიციალურ ენად გერმანული ენა გამოაცხადეს. სკოლებშიც სწავლება გერმანულ ენაზე იყო. ჰაბსბურგთა აბსოლუტიზმი აღადგინეს. იმპერიაში ძალით მოქცეული ხალხები — ჩეხები, სლოვაკები, ხორვატები, სერბები და სლოვენები, უკრაინელები და პოლონელები, იტალიელები და რუმინელები — განიცდიდნენ მძიმე ეროვნულ ჩაგვრას.

უნგრეთი ოკუპირებული იყო ავსტრიის ჯარების მიერ. მასობრივად ხოცავდნენ უნგრეთში რევოლუციის მონაწილეებს. სიკვდილით დასაჯეს უნგრეთის ჰონვედის 13 გენერალი და უნგრეთის პირველი პრემიერ-მინისტრი ბატიანი. ქვეყანა დაყვეს ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელთა სათავეში ავსტრიელი მოხელეები დააყენეს, პარლამენტი დაშალეს, სასტიკად აკრძალეს ეროვნული ემბლემების ტარება.

ხორვატია და სლავონია, რომლებიც ადრე უნგრეთის სამეფოს ეკუთვნოდნენ, უშუალოდ ავსტრიის ადმინისტრაციას დაუქვემდებარეს; სლავური მიწები (ტემეშის ბანატი, სერბეთის ვოევოდინა) და ტრანსილვანია ჩამოაცილეს უნგრეთს.

ავსტრიის იმპერიაში რეაქციის მძინვარებასთან ერთად ძლიერდებოდა კლერიკალიზმი. XIX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში მთავრობის განკარგულებით იეზუიტებს თავისუფალი საქმიანობის ნება დართეს და კათოლიკური დღესასწაულების აღნიშვნა სავალდებულო გახადეს.

1855 წელს ავსტრიის მთავრობასა და ვატიკანს შორის დაიდო შეთანხმება (კონკორდატი). იმპერიის კათოლიკურმა სამღვდელოებამ ვატიკანთან უშუალო ურთიერთობის უფლება მიიღო. საეკლესიო ქონება ეპისკოპოსების კონტროლს დაექვემდებარა. კათოლიკე პრელატებმა გააძლიერეს სკოლებზე და პრესაზე ზედამხედველობა.

აბსოლუტური რეჟიმი და მკაცრი რეპრესიების პოლიტიკა ავსტრი-

ის იმპერიაში შემავალი ხალხების პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების აღშფოთებას იწვევდა.

**ავსტრიის იმპერიის სოციალ-ეკონომიკური განვითარება XIX ს. 50-60-იან წლებში.** კონტრრევოლუციის ძალებმა ვერ შესძლეს ფეოდალური წესწყობილების აღდგენა ავსტრიის იმპერიაში. მემამულეები იძულებულნი იყვნენ გამოსასყიდი თანხის მიღების შემდეგ გაეთავისუფლებინათ გლეხები ფეოდალური ვალდებულებებისაგან, თუმცა მიწების დიდი ნაწილი მაინც მათ დარჩათ.

სოფლად ფეოდალური წესების ლიკვიდაცია ხელს უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას. 50-იანი წლების დასწყისში ავსტრიის იმპერიაში ლიკვიდირებულ იქნა საბაჟო საზღვრები; საგარეო ვაჭრობის ბევრი შეზღუდვა გააუქმეს; გაიზარდა ქვანახშირზე და რკინის მადანზე მოთხოვნილება; მნიშვნელოვნად განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, სოფლის მეურნეობის პროდუქტების, გადასამუშავებელი და ფუფუნების საგნების წარმოება, სარკინიგზო მშენებლობა. რკინიგზის ქსელის საერთო სიგრძე 1840 წ. 144 კმ. შეადგენდა, 1870 წ. კი – 6,1 ათას კმ-ს.

ავსტრიის სხვადასხვა ნაწილში კაპიტალიზმი არათანაბრად ვითარდებოდა. იმ დროს, როდესაც ქვედა ავსტრიაში და ჩეხეთში საფაბრიკო წარმოებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, დალმაცია, გალიცია, ბუკოვინა და სხვა მხარეები ეკონომიკურად ჩამორჩენილები იყვნენ; ჰაბსბურგთა მონარქიის მმართველი წრეები ცდილობდნენ ამ მიწების აგრარულ დანამატად გადაქცევას.

ეროვნული ჩაგვრისა და სოფლად ფეოდალური გადმონაშთების არსებობის გამო, უნგრეთში კაპიტალიზმის განვითარება ფერხდებოდა. ისევე როგორც ავსტრიაში, აქაც ფეოდალური ვალდებულებები მაღალი გამოსასყიდის საფუძველზე იქნა გაუქმებული. „განთავისუფლებული“ გლეხების 60% უმიწოდ დარჩა. სათემო მიწების დიდი ნაწილი მემამულეებმა დაიტაცეს, რაც ხელს უწყობდა გლეხთა პაუპერიზაციას.

1848-1849 წწ. რევოლუციის დამარცხების მიუხედავად, უნგრეთში შედარებით კარგი პირობები შეიქმნა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. აქ უმეტესად გავრცელებული იყო

კვების პროდუქტების საწარმოები — შაქრის, არყის, ლუდის სახარში ქარხნები და სხვა. სარკინიგზო ქსელის განვითარებასთან ერთად დაჩქარდა სამთოდამამუშავებელი და მეტალურგიული მრეწველობის ზრდაც. ბუდაპეშტში დაარსებულ იქნა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი და საჩამომსხმელო ქარხნები, გემთ-საშენი მრეწველობის რამდენიმე საწარმო და სხვ.

შედარებით ნელი ტემპით ვითარდებოდა უნგრეთში საფეიქრო მრეწველობა, რომელიც ვერ უძლებდა ავსტრიისა და ჩეხეთის მრეწველობის ნაწარმის კონკურენციას.

ავსტრიაში და უნგრეთში კაპიტალიზმის ზრდასთან ერთად გაძლიერდა ეროვნული ჩაგვრა, რასაც მოჰყვა ჩაგრული ხალხების ეროვნული მოძრაობების გააქტიურება. ამ მხრივ გამოირჩეოდა უნგრეთი: მადიარები განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას ავსტრიის იმპერიის მმართველი წრეების მხრიდან, თავის მხრივ უნგრეთის მქონებელი კლასები ჩაგრავდნენ მათი ბატონობის ქვეშ მყოფ ხალხებს — სლოვაკებს, უკრაინელებს და სხვ. უნგრეთის მცხოვრებთა ნახევარი უნგრელი იყო, დაახლოებით 9,5% — ავსტრიელი, ხოლო 36% — სლავური და რომანული წარმოშობის ხალხები. სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობების გამწვავება ავსტრიის იმპერიაში ხელს უწყობდა პოლიტიკური კრიზისის ზრდას.

**ავსტრიის იმპერიის საგარეო პოლიტიკა 50-იან წლებში.** 50-იანი წლების დასაწყისში კვლავ გამწვავდა ბრძოლა ავსტრიასა და პრუსიას შორის გერმანიის კავშირში ლიდერობისათვის. თავისი პოზიციების გასაძლიერებლად პრუსიამ წამოაყენა ე.წ. პრუსიული უნიის პროექტი, რომლის მიხედვით მისი მეთაურობით უნდა გაერთიანებულიყვნენ: საქსონია, ჰანოვერი და სხვა გერმანული სახელმწიფოები. მეფის რუსეთის წინააღმდეგობის გამო პრუსია იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ განზრახვაზე.

ავსტრიასა და პრუსიას შორის მალე ახალი კონფლიქტი წარმოიშვა; მოსალოდნელი აჯანყების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით, როდესაც პრუსიამ ჯარები შეიყვანა პატარა გერმანულ სახელმწიფო ჰესენში, ავსტრიამ მტკიცე პროტესტი განაცხადა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1850 წ. ნოემბერში ოლომოუცში (მორავიაში)

გაიმართა რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენელთა თათბირი; აქ მიღებული დადგენილების თანახმად, პრუსიის მინისტრი მანტაიფელი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ჰესენში ავსტრიის ჯარების შეყვანაზე და ეცნო ავსტრიის წამყვანი როლი საკავშირო სეიმისა და გერმანიის კავშირის აღდგენის საქმეში.

ავსტრიის მთავრობას სურდა გერმანიის საბაჟო კავშირის დაშლა და ახალი საბაჟო გაერთიანების შექმნა, რომელშიც გადამწყვეტი სიტყვა ექნებოდა არა პრუსიას, არამედ ავსტრიას; ამ ცდამ კრახი განიცადა.

ყირიმის ომში (1853-1856) ავსტრიის იმპერია უშუალო მონაწილეობას არ იღებდა, მაგრამ ინგლისსა და საფრანგეთს ეხმარებოდა. მოლდავეთიდან და ვლახეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის შემდეგ (1854 წ. ივლისი), ავსტრიამ მყისვე დაიკავა ეს სამთავროები.

ყირიმის ომის შედეგები არახელსაყრელი იყო ავსტრიის იმპერიისათვის; გაუარესდა მისი ურთიერთობები მეფის რუსეთთან.

საფრანგეთმა გამოიყენა ავსტრიის იზოლაცია და დაიწყო მის წინააღმდეგ იტალიაში ომისათვის მზადება; 1859 წ. აპრილში დაიწყო საფრანგეთისა და პიემონტის ომი ავსტრიის წინააღმდეგ. ავსტრიის იმპერიის მხრიდან ეს იყო დაპყრობითი, რეაქციული ომი, იტალიის მხრიდან კი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი. ნაპოლეონ III მთავრობა ცდილობდა თავის თავზე შეექმნა ჩაგრული ხალხების მფარველის შთაბეჭდილება, მაგრამ მალე გამომჟღავნდა იტალიელების მიმართ მისი მოღალატეობა. მას შემდეგ, რაც ავსტრიამ მძიმე მარცხი განიცადა მაჯენტასთან (4 ივნისი) და სოლფერინოსთან (24 ივნისი), იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შიშით საფრანგეთის მთავრობამ ავსტრიასთან დადო წინასაზავო შეთანხმება (1859 წ. ივლისი). ნაპოლეონ III პიემონტს „დაუთმო“ ავსტრიის ბატონობისაგან განთავისუფლებული ლომბარდია, საფრანგეთს კი „კომპენსაციის“ სახით შეუერთა იტალიის ტერიტორიები — სავოია და ნიცა.

**პოლიტიკური კრიზისი ავსტრიის იმპერიაში 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში.** 1859 წ. ომში დამარცხებამ კიდევ უფრო შეარყია იმპერიის ჩაგრულ ხალხებზე ავსტრიის

ბატონობა. წარუმატებელი ომებისა და 1857 წ. ეკონომიკური კრიზისის გავლენით ხალხთა მასების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მოიშალა საფინანსო სისტემა. ქვეშევრდომული სულისკვეთებით გამსჭვალული ავსტრიის ბურჟუაზიას შორისაც კი ოპოზიციურმა განწყობილებამ იმძლავრა.

მრავალეროვან ჰაბსბურგთა იმპერიაში ყველა შიდა წინააღმდეგობანი გამწვავდა. უკვე 1859 წ. ომის დროს უნგრეთში უარს ამბობდნენ ავსტრიის არმიაში გაწვევაზე.

ავსტრიის იმპერიაში რევოლუციური სიტუაცია მწიფდებოდა. ბუდაპეშტში და უნგრეთის სხვა ქალაქებში ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებშიც მოუწოდებდნენ მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ყველგან ეწყობოდა დემონსტრაციები, რომლებიც ზოგჯერ მთავრობის ჯარებთან შეტაკებით მთავრდებოდა. უნგრეთის რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებით 1860 წლის 15 მარტს პეშტში მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია. სხვებთან ერთად ამ დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს ცნობილი უნგრელი რევოლუციონერი დემოკრატი მიხაი ტანჩიჩი.

კიდევ უფრო გამწვავდა კლასობრივი ბრძოლები უნგრეთის სოფლებში. გლეხები გამოდიოდნენ მრავალრიცხოვანი გადასახადების, აგრეთვე მემამულეების მიერ სათემო მიწებისა და საძოვრების მიტაცების წინააღმდეგ. არნახული მასშტაბებით გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობები ავსტრიის იმპერიის სხვა ჩაგრულ ხალხებშიც.

გართულებული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, ჰაბსბურგთა მთავრობამ განახორციელა ზოგიერთი პოლიტიკური მანევრი. იგი იმედოვნებდა უნგრეთის ფეოდალურ არისტოკრატიასთან, აგრეთვე იმპერიაში ძალით მოქცეული სხვა ხალხების მსხვილ მიწისმფლობელებთან შეთანხმებით შეექმნა მოჩვენებითი დათმობების ილუზია და ამგვარად, ქვეყანაში შეეჩერებინა რევოლუციური აღმავლობა. 1860 წ. 20 ოქტომბერს გამოქვეყნებული იქნა ე.წ. „ოქტომბრის დიპლომი“ — მთავრობის განკარგულება ფედერალური კონსტიტუციის შემოღების შესახებ. ამ განკარგულების თანახმად, იმპერატორს აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა განეხორციელებინა ცალკეული მიწების ლანდტაგებთან და იმპერიის გაერთიანებული

საბჭოს — რაიხსრატის წარმომადგენლებთან ერთად. საკანონმდებლო საქმიანობას ფეოდალური არისტოკრატია განაგებდა; მართვის სადავეებს მსხვილ ბურჟუაზიასაც კი არავინ აკარებდა.

სლავურ მიწებთან შედარებით „ოქტომბრის დიპლომი“ ზოგიერთ უპირატესობებს აძლევდა უნგრეთს. ის აღადგენდა ადგილობრივ წარმომადგენლობით დაწესებულებებს და უნგრულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა.

ფედერალური კონსტიტუციის შემოღების მცდელობას უარყოფითად შეხვდა არა მარტო ავსტრიის მსხვილი ბურჟუაზია, არამედ უნგრეთის საშუალო მემამულეებიც. ეს უკანასკნელნი უკმაყოფილონი იყვნენ უნგრეთისადმი მცირეოდენი დათმობების გამო. მთელს უნგრეთში დაიწყო მასობრივი მოძრაობები, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ იმ კანონების აღდგენას, რომლებიც 1848-1849 წწ. რევოლუციის დროს იქნა მიღებული, აგრეთვე უნგრეთის პარლამენტის მოწვევას და ავსტრიის პოლიციისა და ჟანდარმერიის ქვეყნიდან გაყვანას.

ავსტრიის იმპერიის მთავრობა ცდილობდა პოლიტიკური კრიზისიდან თავის დაღწევას. ამ მიზნით მან ზოგიერთი რამ დაუთმო ლიბერალებს. მთავრობის მეთაურმა ფონ შმერლინგმა 1861 წ. მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომელიც კვეცავდა ჩაგრული ხალხების უფლებებს და აძლიერებდა ავსტრიულ ცენტრალიზმს. რაიხსრატის არჩევნები უნდა ჩატარებულიყო რეაქციული საარჩევნო კანონის საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფდა მასში ფეოდალური არისტოკრატიისა და მსხვილი ბურჟუაზიის ბატონობას.

1861 წ. კონსტიტუციამ უნგრეთში საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. ხალხთა მასების განმათავისუფლებელი ბრძოლების შემდგომი აღმავლობის შიშით, ფერენც დეაკი და მისი მომხრეები ცდილობდნენ შეთანხმებას ავსტრიის მთავრობასთან.

უნგრეთის ლიბერალურ თავადაზნაურობას, სახალხო მოძრაობის მოსალოდნელი გაძლიერების გამო, არ სურდა მოსახლეობის დაბალ ფენებზე დაყრდნობა, რაც ასუსტებდა განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებს. 1861 წ. 25 აგვისტოს უნგრეთის პარლამენტი დაითხოვეს. უნგრელების მონაწილეობის გარეშე ვენაში რაიხ-

სრატმა დაამტკიცა ბიუჯეტი, რომელშიც არ იყო გათვალისწინებული უნგრეთის ინტერესები.

1861 წლის ცენტრალისტური კონსტიტუციით უკმაყოფილო იყვნენ ავსტრიის იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხებიც. ჩეხმა და პოლონელმა დეპუტატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს ავსტრიის რაიხსრატი. ხორვატიის, ტრანსილვანიისა და ვენეციის წარმომადგენლებმა საერთოდ არ მიიღეს მონაწილეობა რაიხსრატის არჩევნებში; ამის გამო, მის შემადგენლობაში 343 დეპუტატის ნაცვლად აღმოჩნდა 120 დეპუტატი.

დარწმუნდნენ რა თავის უუნარობაში, გადაეწყვიტათ ღრმა ეროვნული წინააღმდეგობები და დაეძლიათ იმპერიის შინაგანი კრიზისი, ავსტრიის მმართველი წრეები ცდილობდნენ უნგრელ მემამულეებთან შეთანხმების დაჩქარებას. ამას აიძულებდა მათ, აგრეთვე, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა შლეზვიგისა და ჰოლშტაინისათვის ომის შემდეგ. ეს ომი, რომელიც 1864 წ. პრუსიამ დაიწყო დანიის წინააღმდეგ (მასში ავსტრიაც იღებდა მონაწილეობას), დამთავრდა დანიის დამარცხებით. მას ჩამოაცილეს შლეზვიგი და ჰოლშტაინი. ამ ომის წარმატებით დამთავრება ბისმარკმა გამოიყენა ახალი ომის პროვოცირებისათვის ავსტრიის წინააღმდეგ. ამისათვის პრუსიამ კავშირი დადო იტალიასთან და შეეცადა მოსალოდნელ ომში საფრანგეთის ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას.

1865 წ. დეკემბერში უნგრეთის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება დაედოთ შეთანხმება ავსტრიასთან ფერენც დეაკისა და მისი მომხრეების პროგრამის საფუძველზე. ეს პროგრამა ითვალისწინებდა ავსტრია-უნგრეთის დუალისტური სახელმწიფოს შექმნას. მაგრამ 1866 წ. ივნისში დაიწყო ავსტრია-პრუსიის ომი და ავსტრიისა და უნგრეთის ურთიერთობის საკითხი კვლავ ღიად დარჩა.

**ავსტრიის დამარცხება 1866 წ. ომში.** 1866 წლის ივლისში ავსტრიის არმიამ მძიმე მარცხი განიცადა **სადოვასთან.** 26 ივლისს ავსტრია იძულებული გახდა ზავი დაედო პრუსიასთან. აგვისტოში პრაღაში დადებული სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე ავსტრიამ დაკარგა თავისი უკანასკნელი სამფლობელოები იტალიაში.

როგორც იქნა, ვენეცია შეუერთდა იტალიის დანარჩენ მიწებს.

ომში ავსტრიის დამარცხების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო სხვა ქვეყნებთან და, უპირველეს ყოვლისა, პრუსიასთან შედარებით, მისი ეკონომიკური ჩამორჩენილობა.

სამხედრო თვალსაზრისით ავსტრიას ასუსტებდა ეროვნული წინააღმდეგობები და ქვეყანაში ანტიავსტრიული განწყობილებების ზრდა. იმპერიის ჩაგრული ხალხების ბევრმა წარმომადგენელმა უარი განაცხადა ომში მონაწილეობის მიღებაზე.

**1866 წ. ომში დამარცხების შემდეგ ავსტრია საბოლოოდ ჩამოშორდა გერმანიის გაერთიანების საქმეს.** იგი არ შეიყვანეს ჩრდილო გერმანიის კავშირში, რომელიც პრუსიის ხელმძღვანელობით შეიქმნა 1866 წლის აგვისტოში. ამგვარად, გერმანიის გაერთიანების პრობლემის გადაწყვეტაში ჰეგემონობა პრუსიის მმართველმა წრეებმა მოიპოვეს.

**ავსტრია-უნგრეთის კომპრომისი 1867 წელს.** ავსტრია-უნგრეთის 1867 წლის კომპრომისით ავსტრიის იმპერიის ნაცვლად იქმნებოდა **ავსტრია-უნგრეთის დუალისტური**[20] მონარქია. ავსტრია და უნგრეთი — ცისლაიტანია და ტრანსლაიტანია ( მდ. ლაიტა ჰყოფდა მათ ორ ნაწილად) ერთიანი სახელმწიფოს ორი ნაწილი კი არ იყო, არამედ ორი დამოუკიდებელი თანაბარუფლებიანი სახელმწიფოს გაერთიანება. ცისლაიტანიაში შედიოდნენ ავსტრია, ჩეხეთი, მორავია, სილეზია, დალმაცია, გალიცია, ბუკოვინა, კრაინა, ჰერცი, ისტრია და ტრიესტი. ტრანსლაიტანიაში შედიოდნენ: უნგრეთი, სლოვაკეთი, იმიერკარპატების უკრაინა, პორტი ფიუმე, აგრეთვე ხორვატია, სლოვენია და ტრანსილვანია.

ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს სათავეში იდგა ავსტრიის იმპერატორი, რომელიც იმავდროულად უნგრეთის მეფის ტიტულს ატარებდა. უნგრეთს ჰყავდა თავისი პარლამენტი (სეიმი და მთავრობა). ავსტრიას და უნგრეთს ჰქონდათ სამი საერთო სამინისტრო — საგარეო საქმეთა, სამხედრო და საზღვაო და ფინანსთა. ავსტრიასა

---

[20] დუალიზმი (ლათ. duo — ორი) გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორიც შეიქმნა ჰაბსბურგთა სამფლობელოებში 1867 წლიდან 1918 წლის ნოემბრამდე. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის დაშლამდე. 1867 წლიდან ამ მონარქიას უწოდებდნენ არა ავსტრიის იმპერიას, არამედ ავსტრია-უნგრეთის იმპერიას.

და უნგრეთს შორის დადგენილი საავჭრო და საბაჟო ურთიერთობანი უნდა განახლებულიყო ყოველ ათ წელიწადში; საფინანსო შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავდა თითოეული სახელმწიფოს საგადასახადო ვალდებულებას საერთო ხარჯების დასაფარავად, ამავე ვადით იყო დადებული. თუ ორივე ქვეყნის პარლამენტები ვერ მორიგდებოდნენ ხელშეკრულებების განახლების თაობაზე, მაშინ იმპერატორი კისრულობდა მათ შორის შუამავლის როლს; მისი გადაწყვეტილება ძალაში იყო მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, მაგრამ ამ დროის გასვლის შემდეგ, იგი შეიძლება განახლებულიყო.

ავსტრია-უნგრეთის კომპრომისის შემდეგ ჩატარდა ლიბერალური რეფორმები ავსტრიაში. 1867 წ. მიღებული კონსტიტუცია აფართოებდა რაიხსრატის უფლებებს, აწესებდა საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ცნობდა სამოქალაქო ქორწინების კანონიერებას და ა.შ. ამ ლიბერალური გარდაქმნების მიუხედავად, ავსტრიის პოლიტიკურ ცხოვრებაში ფეოდალური გადმონაშთები მაინც რჩებოდა. მაგ. რაიხსრატის სესიებს შორის იმპერატორს შეეძლო გამოეცა საგანგებო ბრძანებები. რიახსრატის ზედა პალატა შედგებოდა ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც მემკვიდრეობით ან სიცოცხლის განმავლობაში ფლობდნენ თავიანთ თანამდებობებს. ქვედა პალატა აერთიანებდა ცალკეული მიწების წარმომადგენლებს, რომლებიც ამ მიწების სეიმებსა და ლანდტაგებში არჩეული იყვნენ მაღალი ასაკობრივი და ქონებრივი ცენზის საფუძველზე. პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ კათოლიკური ეკლესიის პრელატებს.

1867 წლის კომპრომისის შემდეგ უნგრეთში დაჩქარდა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება. უნგრეთის მმართველმა წრეებმა უფრო მეტი თავისუფლება მიიღეს საშინაო საქმეების გადაწყვეტისათვის, მაგრამ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ისინი მაინც ბოლომდე ვერ განთავისუფლდნენ ავსტრიაზე დამოკიდებულებისაგან. დუალისტური მმართველობა იმპერიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მხოლოდ მას შემდეგ, როცა 1871 წ. უნგრელი ანდრაში დანიშნეს საგარეო საქმეთა მინისტრად და, ამგვარად, უნგრეთი გახდა მონარქიის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი.

# თავი V. გერმანული სახელმწიფოები 1815-1848 წლებში

**გერმანია ვენის კონგრესის შემდეგ. გერმანიის კავშირი.** ვენის კონგრესის შემდეგ გერმანიის პოლიტიკური გეოგრაფია მეტად რთული იყო. ძალთა თანაფარდობა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის დიდად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. გერმანიის კავშირში, რომელიც შეიქმნა ვენის კონგრესზე, გაერთიანებული იყო 34 სახელმწიფო და 4 თავისუფალი ქალაქი: ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი და მაინის ფრანკფურტი. გერმანიის კავშირის სრულუფლებიანი წევრები იყვნენ ინგლისის, დანიისა და ნიდერლანდების მონარქები, რომლებიც იმავდროულად ითვლებოდნენ შესაბამისად ჰანოვერის, ჰოლშტაინისა და ლუქსემბურგის მეფეებად. გერმანიის კავშირში შევიდნენ ავსტრიისა და პრუსიის მხოლოდ ის ტერიტორიები, რომლებიც ადრე გაერთიანებული იყვნენ გერმანიის იმპერიაში. ავსტრიისა და პრუსიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი კავშირის გარეთ დარჩა (ავსტრიის იმპერატორის სამფლობელოები — უნგრეთის სამეფო, ლომბარდია-ვენეციის სამეფო და გალიცია; პრუსიის მეფის სამფლობელოები — აღმოსავლეთი პრუსია და პოზნანი). ავსტრიის იმპერიაში შემავალი ჩეხეთი და მორავია გერმანიის კავშირში გააერთიანეს. ბევრი ამ სახელმწიფოების ტერიტორიები არ წარმოადგენდნენ მთლიან ერთეულს. ისინი დანაწილებული იყვნენ სხვადასხვა მონარქების სამფლობელოებს შორის.

გერმანიის კავშირი წარმოადგენდა ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სუსტ კონფედერაციულ გაერთიანებას. კავშირის წევრების უმაღლესი ორგანო იყო საკავშირო სეიმი (ბუნდესტაგი) — ცალკეული გერმანული სახელმწიფოების მეთაურთა წარმომადგენლობითი საბჭო. კავშირს არ გააჩნდა არც საერთო სასამართლო ორგანო, არც საერთო დიპლომატიური წარმომადგენლობა, არც საერთო ჯარი (მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილება მოგვიანებით მიიღეს, მაგრამ იგი არ განხორციელებულა). სეიმის გადაწყვეტილება სავალდებულო იყო კავშირის წევრებისათვის მხოლოდ

იმ შემთხვევაში, თუ მას ეთანხმებოდა მასში შემავალი ყველა სახელმწიფო.

გერმანიის კავშირში ავსტრია ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას. მისი წარმომადგენელი კავშირის უცვლელი თავმჯდომარე იყო, სეიმის სხდომები კი ტარდებოდა მაინის ფრანკფურტში მდებარე ავსტრიის საელჩოში.

გერმანიის კავშირმა, უარყოფითი მხარეების მიუხედავად, მაინც დადებითი როლი შეასრულა გერმანელი ხალხის ცხოვრებაში. მისი წყალობით თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში შენარჩუნებულ იქნა მშვიდობა, რამაც ხელი შეუწყო მასში შემავალი ქვეყნების მატერიალური კეთილდღეობის ზრდას. ეს კი თავისთავად ბიძგს აძლევდა შემდგომში რეფორმების გატარებას და განაპირობებდა სახელმწიფოების პოლიტიკურ გავლენას.

**პრუსია 1815 წლის შემდეგ.** გერმანიის კავშირში თავისი მნიშვნელობით და ტერიტორიის სიდიდით მეორე სახელმწიფო იყო პრუსია, რომელიც შედგებოდა ორი ნაწილისაგან: აღმოსავლეთის ექვსი და დასავლეთის ორი პროვინციისაგან. აღმოსავლეთ ნაწილში შედიოდნენ: ბრანდენბურგი, პომერანია, სილეზია, დასავლეთი და აღმოსავლეთი პრუსია, საქსონია და პოზნანი, დასავლეთ ნაწილში კი — რაინის პროვინცია და ვესტფალენი. ორივე ეს ნაწილი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. დასავლეთის პროვინციები ეკონომიკურად უფრო განვითარებული იყვნენ. აქ უკვე აღარ არსებობდა ბატონყმობა და ვითარდებოდა ბურჟუაზიული ურთიერთობები. შედარებით ჩამორჩენილ აღმოსავლეთის პროვინციებში კი პირიქით, შტეინისა და ჰანდენბერგის რეფორმების მიუხედავად, გაბატონებული იყო ფეოდალური მეურნეობა, ხალხი უკიდურეს სიდუხჭირეს განიცდიდა, განსაკუთრებით, შემოერთებულ პოლონურ მიწებზე — პოზნანსა და სილეზიაში მცხოვრებნი.

პრუსიის ცალკეულ ნაწილებს შორის სამეურნეო კავშირები არ არსებობდა. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რელიგიურ განსხვავებას მონარქიის ორ ნაწილს შორის: აღმოსავლეთში ბატონობდა პროტესტანტიზმი, დასავლეთში — კათოლიციზმი. ნაპოლეონზე გამარ-

ჯვების შემდეგ, პრუსიის მეფემ ფრიდრიხ-ვილჰელმ III დანაპირები კონსტიტუციის ნაცვლად მხოლოდ რვა პროვინციაში დააფუძნა წარმომადგენლობითი ორგანოები — ლანდტაგები, რომლებიც ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებული და ჰქონდათ მარტო სათათბირო უფლებები. შეიქმნა აგრეთვე სათათბირო საბჭო, რომელშიც ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები შედიოდნენ. საზოგადოებამ სულ მალე ზურგი აქცია ამ არისტოკრატიულ საკრებულოებს, რადგანაც ისინი არ გამოხატავდნენ ხალხების ეროვნულ ინტერესებს და მთავრობისადმი მლიქვნელურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ.

**სხვა გერმანული სახელმწიფოები 1815 წლის შემდეგ.** ჩრდილოეთ გერმანიის პატარა სახელმწიფოებში, კერძოდ, მეკლენბურგში, ოლდენბურგში, ბრაუნშვაიგში და ჰესენ-კასელში, ისევე როგორც პრუსიაში, 1815 წლის შემდეგ გაიმარჯვა უკიდურესმა ფეოდალურმა რეაქციამ, ყველგან აღადგინეს ფეოდალური ვალდებულებები და გადასახადები. ჰანოვერში და საქსონიაში კვლავ შეიქმნა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები — ლანდტაგები. მხოლოდ თიურინგიის საჰერცოგოებში (საქსენ-ვაიმარში და საქსენ-მაინინგენში) შემოიღეს ახალი კონსტიტუციური წესები.

ოთხ სამხრეთგერმანულ სახელმწიფოში — ბავარიაში, ვიურტემბერგში, ჰესენ-დარმშტადტში და ბადენში, სადაც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ და ნაპოლეონის ბურჟუაზიულმა კანონმდებლობამ თავისი კვალი დატოვა, ფეოდალური ურთიერთობები ვერ აღსდგა ძველებური ფორმითა და მასშტაბებით. ადგილობრივი ბურჟუაზიის მოთხოვნების შესაბამისად ამ სახელმწიფოებში 1817-1820 წწ. მიიღეს კონსტიტუციები, რომელთა მიხედვით იქმნებოდა ორი პალატა და წესდებოდა ამომრჩევლებისა და დეპუტატებისათვის მაღალი ქონებრივი ცენზი. კონსერვატულობისა და შეზღუდულობის მიუხედავად, ამ კონსტიტუციების შემოღება მაინც წინგადადგმული ნაბიჯი იყო სამხრეთგერმანული სახელმწიფოების ბურჟუაზიულ მონარქიად გარდაქმნის გზაზე.

**გერმანიის ეკონომიკური განვითარება 1815-1847 წლებში. სოფლის მეურნეობა და მრეწველობა.** XIX საუკუნის პირველ ორ

ათეულ წლებში გერმანული სახელმწიფოების ეკონომიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. გერმანია აგრარული ქვეყანა იყო, რომლის მოსახლეობის 3/4 სოფლად ცხოვრობდა და სოფლის მეურნეობით იყო დასაქმებული. ქალაქების უმეტესობა 4-5 ათას სულს ითვლიდა და შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრებით გამოირჩეოდა. მხოლოდ ბერლინში იყო 100000-ზე მეტი მცხოვრები, ბრესლავლში და კენიგსბერგში — 50000-ზე მეტი.

მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი პრუსიელი იუნკრების ხელში იყო. პრუსიის სამთავრობო დეკლარაციის (1816) თანახმად, რომელიც ავსებდა **შტეინისა** და **ჰარდენბერგის** კანონმდებლობას, თავიანთი ვალდებულებების გამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ იმ მდიდარ გლეხებს, რომლებსაც ჰყავდათ სამუშაო საქონლის გარკვეული რაოდენობა და შეტანილი იყვნენ საგადასამხდელო სიებში. 1848 წლისათვის პრუსიაში ფეოდალური ვალდებულებებისაგან დაიხსნა თავი მდიდარი გლეხების 6/7 და ღარიბების უმნიშვნელო ნაწილმა. გლეხთა განთავისუფლების შედეგად მიღებული თანხებით პრუსიელ იუნკრებს თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე გადაჰყავდათ, სულ უფრო დიდი რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ შრომას და, ამგვარად, ხელს უწყობდნენ სოფლად კაპიტალიზმის განვითარებას.

პრუსიის რაინის პროვინციაში ფეოდალური წესები ჯერ კიდევ საფრანგეთის ბატონობის პერიოდში გააუქმეს. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ გერმანიის პატარა სახელმწიფოებში საფრანგეთის გავლენით საგლეხო რეფორმები უფრო რადიკალური ფორმებით გატარდა, ვიდრე პრუსიაში და ამიტომ, 20-იან წლებში, ფეოდალური ვალდებულებებისაგან აქაური გლეხობა თითქმის თავისუფალი იყო. სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებას შედეგად მოჰყვა გლეხთა სოციალური დიფერენციაცია. უკვე XIX საუკუნის დასაწყისში სოფლად გაჩნდნენ კულაკები (გროსბაუერები), გლეხობის ძირითადი მასა კი ღატაკდებოდა, მათი გარკვეული ნაწილი ტოვებდა სოფელს და მიდიოდა ქალაქად სამუშაოს საძებნელად.

XIX საუკუნის დასაწყისში გერმანიაში ძირითადად ხელოს-

ნური მრეწველობა იყო, თუმცა ზოგიერთ დარგებში მანუფაქტურული საწარმოებიც არსებობდა. 30-40-იან წლებში დაარსდა პირველი მსხვილი საფაბრიკო საწარმოები, მაგრამ სამრეწველო რევოლუცია, რომელიც დაიწყო 30-იან წლებში, გერმანიაში მთელ რიგ სიძნელეებს აწყდებოდა. პოლიტიკური დაქუცმაცებულობა ხელს უშლიდა ერთიანი ეროვნული ბაზრის ჩამოყალიბებას. სოფლად ფეოდალური წესების არსებობა აფერხებდა თავისუფალი მუშახელის შექმნას და აქვეითებდა გლეხობის მსყიდველობით უნარს. შიდა საბაჟო საზღვრები, წონის, ზომისა და ფულის ერთეულის სხვადასხვაობა, ერთიანი სავაჭრო კანონმდებლობის უქონლობა ხელს უშლიდა ვაჭრობის განვითარებას.

ხელშემშლელი ფაქტორების მიუხედავად, მრეწველობის გარკვეულ აღმავლობას მაინც ჰქონდა ადგილი. ჯერ კიდევ მანუფაქტურულ სტადიაზე სამრეწველო განვითარების ტემპით გერმანიაში გამოირჩეოდა სამი რაიონი: 1. საქსონიის სამეფო. ქ. ხემნიცს „გერმანიის მანჩესტერს“ უწოდებდნენ; 2. XVIII საუკუნეში ფრიდრიხ II მიერ ავსტრიისაგან წართმეული პოლონეთის ტერიტორია სილეზია, სადაც თავდაპირველად განვითარებული იყო ტილოს, შემდეგ კი ბამბეულის წარმოებაც; 3. პრუსიის რაინისა და ვესტფალენის პროვინციები, სადაც მრეწველობის ზრდას ხელს უწყობდა ფეოდალური უღლისაგან განთავისუფლებული მოსახლეობისა და ქვანახშირით მდიდარი რურისა და ზაარის საბადოების არსებობა.

პრუსიის დედაქალაქი ბერლინი უკვე 40-იანი წლების ბოლოსათვის წარმოადგენდა გერმანიის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო-სამრეწველო ცენტრს. 1846 წლისათვის ბერლინის 400000 მოსახლეობიდან 70 ათასი დაქირავებული მუშა იყო; ისინი დასაქმებული იყვნენ არა მარტო მანუფაქტურული ტიპის საწარმოებში, არამედ მსხვილ ფაბრიკებსა და ქარხნებშიც, მაგ., ბორზიგის ქარხანაში, სადაც 1847 წელს 67 ორთქმავალი გამოუშვეს.

მნიშვნელოვანი ტექნიკური წარმატებები იქნა მიღწეული სატრანსპორტო მრეწველობაში. 1824 წელს მდ. რაინზე გამოჩნდნენ პირველი ორთქმავალი გემები, პირველი რკინიგზა ნიურნბერგიდან ფიურტამდე გაიხსნა 1835 წელს, 40-იან წლებში კი სარკინიგზო

მშენებლობამ ფართო ხასიათი მიიღო: პერიფერიები დაუკავშირდნენ ცენტრს, დიდი ქალაქები – ერთმანეთს. იმავდროულად გაიზარდა გზატკეცილების ქსელი, რაც აუცილებელი იყო მცირე გერმანული სახელმწიფოების პრუსიასთან დასაკავშირებლად, რათა პრუსიას გაადვილებოდა თავისი ჰეგემონობით საბაჟო კავშირის შექმნა.

მიღწეული წარმატებების მიუხედავად, 1848-1849 წწ. რევოლუციამდე სამრეწველო განვითარების დონით გერმანია ჩამორჩებოდა ინგლისსა და საფრანგეთს.[21]

**საბაჟო კავშირის შექმნა.** 1818 წელს პრუსიაში პირველად შემოიღეს საერთო საბაჟო ტარიფები. მოგვიანებით პრუსიის მთავრობა შეეცადა მოესპო საბაჟო ბარიერები პრუსიის სამფლობელოებსა და მეზობელ გერმანულ სახელმწიფოებს შორის და შეექმნა ერთიანი საბაჟო საზღვარი. 1834 წლისათვის საბაჟო კავშირი აერთიანებდა 18 სახელმწიფოს 23 მლნ. მცხოვრებით. პრუსიას ამ კავშირში წამყვანი როლი ეკავა, რამაც განაპირობა შემდეგ გერმანიაში პოლიტიკური ჰეგემონობისათვის ავსტრიასთან მისი ბრძოლის შედეგი. საბაჟო კავშირის გარეთ დარჩნენ ჩრდილოეთის ზღვის მიმდებარე ცალკეული გერმანული სახელმწიფოები: ჰანოვერი, ჰანზას ქალაქები, ჰოლშტაინი, ოლდენბურგი და მეკლენბურგი.

საბაჟო კავშირი დიდად უწყობდა ხელს საშინაო ბაზრის გა-

---

[21] გერმანიაში კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარების აუცილებელობას ბევრი იმდროინდელი თვალსაჩინო მეცნიერი ასაბუთებდა. მათ შორის გამოირჩეოდა ეიურტემბერგელი დეპუტატი და პროფესორი ფრიდრიხ ლისტი (1789-1846). იგი მთავრობასთან ოპოზიციის გამო ჯერ ციხეში იჯდა, შემდეგ კი ქვეყნიდანაც განდევნეს. 30-იან წლებში ლისტი გერმანიაში დაბრუნდა და დაიწყო ზრუნვა ეროვნული მრეწველობის განვითარებისათვის. იგი არ იზიარებდა ა. სმიტის მოძღვრებას თავისუფალი ვაჭრობისა და ინდივიდუალური თავისუფლების შესახებ. ზოგადსაკაცობრიო ინტერესები ბუნდოვანია, პირადი – ვიწრო და შემთხვევითი; ადამიანი უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ეროვნულ ინტერესებს; ამიტომ პოლიტიკური ეკონომიკა უნდა იწოდებოდეს ეროვნულ ეკონომიკად. ერის კეთილდღეობა დამოკიდებულია არა ვაჭრობაზე, არამედ საწარმოო ძალების განვითარებაზე. საწარმოო ძალების განვითარების დონე, თავის მხრივ, განპირობებულია არა მხოლოდ შრომისმოყვარეობით, ცალკეულ პირთა განათლების დონით, ქვეყანაში ბუნებრივი რესურსებისა და კაპიტალის რაოდენობით, არამედ, აგრეთვე, საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობით, რომელიც უზრუნველყოფს ერის დამოუკიდებლობას და ძლიერებას.

ლისტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რკინიგზების მშენებლობას. სამამულო მრეწველობის განვითარებისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო თავისუფალ ვაჭრობაზე უარის თქმა და მფარველობითი ბაჟების შემოღება.

ფართოებას და გერმანიის მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

**პოლიტიკური რადიკალური მოძრაობები და რეაქცია გერმანიაში.** ნაპოლეონის განდევნის შემდეგ გერმანიის კავშირის სახელმწიფოებში და განსაკუთრებით პრუსიაში, სადაც განმათავისუფლებელი ომის დროს ყველაზე მეტად განვითარდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რეაქცია გაძლიერდა. გერმანელ პატრიოტებს სურდათ ერთიანი სახელმწიფოს შექმნა და უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ კავშირის მიმართ. შტეინს უნდოდა საერთო პარლამენტის არჩევა და პროტესტს აცხადებდა ძველი დინასტიების შენარჩუნების გამო, რადგანაც ისინი ხელს უწყობდნენ ქვეყნის დაქუცმაცებულობას. არსებული მდგომარეობით კიდევ უფრო მეტად იყვნენ შეწუხებულნი ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები. ისინი თანაუგრძნობდნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებს და აღიარებდნენ ხალხის უზენაეს უფლებებს. თავიანთი შეხედულებების აშკარად გამოხატვა მათ შეეძლოთ მხოლოდ სამხრეთ გერმანიის კონსტიტუციურ სახელმწიფოებში, სადაც ჯერ კიდევ იყო პრესის თავისუფლება, თუმცა მათ გერმანიის გაერთიანებისათვის არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ. სამხრეთ გერმანიის ლიბერალებს არ სურდათ მიემართათ ორი ძლიერი სახელმწიფოსათვის — პრუსიისა და ავსტრიისათვის იქ არსებული აბსოლუტური მმართველობის გამო; იმისათვის, რომ თავიანთ ქვეყნებში შეენარჩუნებინათ კონსტიტუციური დაწესებულებები, ისინი იძულებულნი გახდნენ განეხორციელებინათ პარტიკულიარისტული პოლიტიკა. გერმანელ მიწათმფლობელებსა და მრეწველებს შორის მცირე რაოდენობით მოიძებნებოდნენ განათლებული და დამოუკიდებელი შეხედულებების მქონე ადამიანები, ამიტომ საკანონმდებლო ორგანოებში ძირითადად წარმოდგენილნი იყვნენ მთავრობის მოხელეები, რომელთა შორის ბევრი ლიბერალურ პოზიციებზე იდგა; მთავრობა მაინც ახერხებდა მათ მოთოკვას დაშინებისა და იძულების გზით.

შედარებით რადიკალური მიმართულებები შეიმჩნეოდა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლამ და რელიგიურმა განწყობამ მათ ჩამოუყალიბა გერმანულ-ქრისტიანული ყოფის განსაკუთრებული იდეალი; ისინი ოცნებობდნენ ძველი

გერმანული ცხოვრების აღდგენაზე, ურყევი მტკიცე ხასიათის, დიდი ფიზიკური ძალისა და კეთილშობილი ადამიანებისაგან შემდგარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე. ძველი სათეისტომოების პარალელურად სტუდენტებმა შექმნეს საერთო გერმანული სტუდენტური რაზმები (Burschencshaft. ამ რაზმებს შემოკლებით ბურშებს უწოდებდნენ), რომელთა ძირითადი დანიშნულება იყო ეროვნული გრძნობების გაღვივება-განვითარება. ამ რაზმების ცენტრი იყო ქ. იენის უნივერსიტეტი, რომელიც მდებარეობდა საქსენ-ვაიმარის საჰერცოგოში, რომლის მფლობელი დიდ დახმარებას უწევდა ჰერდერს, გოეთესა და შილერს; მან პირველმა შემოიღო კონსტიტუცია და თავისუფალი პრესა გერმანიაში. სტუდენტები პერიოდულად იკრიბებოდნენ დიდ მხიარულ დღესასწაულებზე, მღეროდნენ პოპულარულ ჰიმნებსა და სიმღერებს, აწყობდნენ სიმბოლურ დემონსტრაციებს.

რეფორმაციის სამასი წლისთავის (1517-1817) და ნაპოლეონზე ლაიპციგთან გამარჯვების აღსანიშნავად, ვარტბურგის ციხე-სიმაგრეში, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა ვორმსიდან გამოქცეული ლუთერი, სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა დელეგატებთან ერთად, შეიკრიბნენ ლიბერალური პროფესორები და ჟურნალისტები. პატრიოტული სიტყვების შემდეგ, ლუთერის მიბაძვით, რომელმაც დაწვა პაპის ბულა, დაწვეს მათთვის მიუღებელი წიგნები, მათ შორის ჰალერის „რესტავრაცია“ და პრუსიის ჟანდარმერიის წესდება, აგრეთვე ავსტრიული კაპრალის ჯოხი.

ძალიან მცირე რაოდენობით იყო ჭეშმარიტად ახალგაზრდული პოლიტიკური წრეები, ისეთები, როგორებიც იყვნენ „რუხები“ და უფრო რადიკალური „შავები“, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ შეთქმულების მოწყობა, გერმანიის ერთიანობისა და თავისუფლების მოწინააღმდეგეთა განადგურება და შეიმუშავეს რესპუბლიკური სულისკვეთებით გამსჭვალული კონსტიტუცია. მაგრამ ამ ჯგუფებს არ გააჩნდათ მოქმედების კონკრეტული გეგმა და არც საჭირო სახსრები იმისათვის, რომ დაეწყოთ რაიმე მოძრაობა.

1818 წელს იენაში შეიქმნა სრულიად გერმანიის სტუდენტთა კავშირი, რომლის მთავარ მიზანს შეადგენდა ბრძოლა გერმანიის ეროვნული ერთიანობისა და მისი პოლიტიკური თავისუფლებისათვის.

ამ ახალ კავშირში მთავარ როლს ასრულებდა ახალგაზრდა დოცენტი, დემოკრატი და რესპუბლიკელი კარლ ფოლენი. 1818 წელს მან თავის ძმასთან ერთად ჩამოაყალიბა საიდუმლო შეთქმულთა წრე, რომლის წევრები აქტიურად გამოდიოდნენ ყველა ჯურის ეროვნული მოღალატეების წინააღმდეგ. 1819 წელს კ. ფოლენთან დაახლოებულმა სტუდენტმა კარლ ზანდმა ხანჯლით მოკლა რეაქციონერი დრამატურგი კოცებუ, რომელიც საიდუმლო ცნობებს აწვდიდა ალექსანდრე I – რუსეთის იმპერატორს – გერმანელ სტუდენტთა მოძრაობის შესახებ. ეს ტერორისტული აქტი გამოიყენა საბაბად მეტერნიხმა რეაქციის გასაძლიერებლად. გერმანიის სახელმწიფოთა მმართველები შეთანხმდნენ განეხორციელებინათ მათ მიერ კარლსბადში (ახლანდელი კარლოვი ვარი) მიღებული დადგენილებები: განზრახული იყო „ბურშების“ დაშლა და თითოეულ უნივერსიტეტში კურატორების (ზედამხედველების) თანამდებობების შემოღება სტუდენტებსა და პროფესორებზე თვალყურის სადევნებლად; წინასწარი ცენზურის დაწესება ყველა ბეჭდურ გამოცემაზე. გერმანიის კავშირის განსაკუთრებულ კომისიას უნდა შეესწავლა საკითხი რევოლუციური მოძრაობებისა და „დემაგოგიური საზოგადოებების“ საქმიანობის შესახებ. მეტერნიხი განსაკუთრებით ცდილობდა სამხრეთ-გერმანულ სახელმწიფოებში კონსტიტუციების გაუქმებას. მიუხედავად იმისა, რომ კომისიამ რევოლუციური შეთქმულების ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინა, მთავრობებმა მაინც მიიღეს ზომები ახალგაზრდა პატრიოტთა წინააღმდეგ: პრუსიაში რამდენიმე სტუდენტი დააპატიმრეს ძველი იმპერიის ფერების – შავი-წითელი-ყვითელი ნიშნების ტარებისათვის.

**პრუსიის მეფე ფრიდრიხ-ვილჰელმ III**, რომელიც ვატერლოოს ბრძოლის წინ ხალხს კონსტიტუციის მიღებას აღუთქვამდა, არც კი აპირებდა პარლამენტის მოწვევას. მთავრობამ რვა წლის განმავლობაში რამდენიმე კომისია შეცვალა, რომლებსაც უნდა შეემუშავებინათ სახალხო წარმომადგენლობის (პარლამენტის) მოწვევის პირობები. ბოლოს, როგორც იქნა, მიიღეს უბადრუკი გადაწყვეტილება – დააარსეს მხოლოდ პროვინციული ლანდტაგები ე.ი. პრუსიის სამეფოს 8 ოლქში უნდა შექმნილიყო საკრებულოები, რომლებშიც წარმოდგე-

ნილი იქნებოდნენ სამივე წოდების: თავადაზნაურების, მოქალაქეების (ბიურგერების) და გლეხების დეპუტატები. დააწესეს ქონებრივი ცენზი; სხდომები უნდა ყოფილიყო დახურული. ლანდტაგები განაგებდნენ გზებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების საქმეებს; მათ შეეძლოთ გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ადგილობრივი კანონების მიმართ; თავიანთ მოსაზრებებს ისინი აგზავნიდნენ ბერლინში, სადაც იმყოფებოდა განსაკუთრებული კომისია. მართვა-გამგეობის ყველა საქმე ძველებურად სახელმწიფო მოხელეების ხელში იყო. ზემოთ ჩამოთვლილი დათმობები მთავრობას საკმარისად მიაჩნდა; საერთო სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემუშავება არ შეუძლიათ ქვეშევრდომებს მათი შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების გამო, — აცხადებდა პრუსიის მთავრობის ერთი მინისტრი. ისეთი დიდი ფილოსოფოსიც კი, როგორიც იყო ჰეგელი, ამართლებდა პრუსიაში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობას.

ჰეგელი (1770-1831), ისევე როგორც მისი მეგობარი ფილოსოფოსი და პოეტი შელინგი, წარმოშობით სამხრეთ გერმანიიდან (შვაბები) იყვნენ. ისინი მოიხიბლნენ საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეებით. შელინგმა გერმანულად თარგმნა მარსელიეზა. ჰეგელი ტიუბინგენში თავისუფლების ხეს რგავდა და წარმოსთქვამდა იაკობინურ სიტყვებს. ნაპოლეონის მიერ პრუსიელების განადგურებიდან 12 წლის შემდეგ, იგი, იენის უნივერსიტეტის პროფესორი, გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა საკუთარი სამშობლოს მიმართ და აღფრთოვანებული იყო ნაპოლეონით, რომელსაც მიიჩნევდა „მსოფლიო სულის“ განსახიერებად.

ორივე ფილოსოფოსი ნაპოლეონის ომების შემდეგ არსებული სახელმწიფო წყობის მსახური გახდა. შელინგი ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მიიჩნევდა ცოდვებისა და ბოროტებისაგან განწმენდას და ცხოვრების მატერიალურ მხარეზე ზრუნვას ღმერთისაგან განდგომად თვლიდა. ჰეგელი თავის „სამართლის ფილოსოფიაში“ სახელმწიფოს ღმერთთან აიგივებს. სახელმწიფო, ისევე როგორც სამყარო, ღვთაებრივი ძალით იმართება, — ამბობს იგი. ამიტომ ვინც ცდილობს მის (სახელმწიფოს) დანგრევას, იგი ღმერთის ნების

წინააღმდეგია. სახელმწიფოს ისევე უნდა ვეთაყვანოთ, როგორც ღმერთს, — აცხადებდა ჰეგელი. ცხადია, ასეთი მსოფლმხედველობის მქონე ფილოსოფოსი რევოლუციებისა და რევოლუციონერების წინააღმდეგი იქნებოდა.

პრუსიელი ბიუროკრატები, მინისტრები და საიდუმლო მრჩევლები, დიდად აფასებდნენ ჰეგელის ავტორიტეტს, ხედავდნენ რა მასში არსებული სახელმწიფოებრივი წყობის ერთგულ დამცველს. „სამართლის ფილოსოფიი"-ს შესავალში არის ასეთი ფრაზა: „ყველაფერი, რაც არსებობს, გონივრულია".

არ შეიძლება ჰეგელის მოძღვრების ცალმხრივი შეფასება. მის ნააზრევში განვითარება ჰპოვა XVIII საუკუნის ფრანგი განმანათლებლების ბევრმა პროგრესულმა იდეამ: ჰეგელი დიდად აფასებდა ადამიანის გონებას; მსოფლიო კულტურის ისტორიას იგი განიხილავდა როგორც აზრის განუწყვეტელი ცვალებადობის შედეგს; უცვლელი დოგმატები არ არსებობენ. ჰეგელის ამ და სხვა მოსაზრებებს, მისი გარდაცვალების შემდეგ, გერმანიაში, ბევრი რადიკალური და დემოკრატიული მიმდინარეობების მომხრენი გამოუჩნდნენ.

**რევოლუციურ-დემოკრატიული გამოსვლები 30-იანი წლების დასაწყისში.** ფეოდალურ-მონარქისტულ რეაქციას, რომელიც გერმანიაში გაბატონდა 1815 წლის შემდეგ, არ შეეძლო შეეჩერებინა ოპოზიციური ძალების ზრდა.

საფრანგეთის 1830 წლის ივლისის რევოლუციამ დიდი გავლენა იქონია გერმანიაზე. მღელვარებებს ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა გერმანულ სახელმწიფოში. მათ ჩასახშობად ზოგან (მაგ. ჰესენ-დარმშტადტში) მთავრობას სამხედრო ძალის გამოყენებაც კი დასჭირდა.

საფრანგეთის ივლისის რევოლუციის გავლენით ბავარიის ქ. პფალცში, ჰამბახის ციხის ნანგრევებთან, 1832 წლის 27 მაისს ჩატარდა მასობრივი სახალხო დემონსტრაცია. დემონსტრანტები მოითხოვდნენ ბურჟუაზიული რეფორმების ჩატარებას და ეროვნულ გაერთიანებას. მათი შავი-წითელი-ყვითელი დროშები ქვეყნის გაერთიანების მოთხოვნის მაჩვნებელი იყო.

პრუსიაში, პოლიციელთა მძლავრობის გამო, სახალხო მღელვარებები შედარებით სუსტი იყო, თუმცა 1830 წლის სექტემბერში ბერლინში მოეწყო დიდი დემონსტრაცია, რომლის მონაწილენი მოითხოვდნენ კონსტიტუციას, პრესის თავისუფლებას და წარმომადგენლობითი დაწესებულებების შექმნას.

1832 წლის აპრილში სტუდენტებმა გამოსვლა მოაწყეს მაინის ფრანკფურტში, სადაც იმყოფებოდა საკავშირო სეიმის რეზიდენცია. 1833 წლის აპრილის დასაწყისში სტუდენტმა შეთქმულებმა და მათთან შეერთებულმა პოლონელმა ემიგრანტებმა განიზრახეს ფრანკფურტის სადარაჯო შენობების (ჰაუპტვახტების) ხელში ჩაგდება და გერმანიის რესპუბლიკის გამოცხადება. ჯარები ადვილად გაუსწორდნენ შეთქმულებს. ასეთივე ბედი ეწია 1834 წელს ჰესენში დაარსებულ საიდუმლო „ადამიანის უფლებათა საზოგადოებას“, რომელსაც განზრახული ჰქონდა დემოკრატიული რევოლუციის მოხდენა. ამ ორგანიზაციაში მთავარ როლს ასრულებდნენ 10-იან წლებში სტუდენტური გამოსვლების აქტიური მონაწილე პასტორი ვაიდიგი და სტუდენტი გეორგ ბიუხნერი, შემდეგში ცნობილი დრამატურგი და პოეტი. ორგანიზაციის განადგურების შემდეგ ვაიდიგი ციხეში წამებით მოკლეს, ბიუხნერმა კი გაქცევა მოასწრო და საზღვარგარეთ გარდაიცვალა.

საკავშირო სეიმი საპროტესტო გამოსვლებს მკაცრი რეპრესიებით პასუხობდა: შეზღუდეს პრესის უფლებები, აკრძალეს დემონსტრაციები, ეროვნული დროშები და კოკარდები, გაამკაცრეს პოლიტიკური დანაშაულისათვის სასჯელი.

გერმანელი დემოკრატები აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ საზღვარგარეთაც, განსაკუთრებით საფრანგეთში და შვეიცარიაში, სადაც 1834 წლის გაზაფხულზე ჩამოაყალიბეს ორგანიზაცია „ახალგაზრდა გერმანია“. ამ ორგანიზაციის პოლიტიკური პროგრამა ითვალისწინებდა გერმანიაში ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას და ფეოდალიზმის გადმონაშთების მოსპობას, მაგრამ მას დიდხანს არ უარსებია. შვეიცარიის მთავრობის მოთხოვნით 1835 წელს მან შეწყვიტა არსებობა. „ახალგაზრდა გერმანიის“ წევრები შემდეგში ლიბერალებს მიემხრნენ.

**ლიბერალური ოპოზიცია 30-40-იან წლებში.** კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად თანდათან იზრდებოდა გერმანიის ბურჟუაზიის ოპოზიციური განწყობილება. მათი ძირითადი მოთხოვნა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების მოპოვებას ითვალისწინებდა. საფრანგეთში ივლისის რევოლუციის დამთავრებისთანავე რაინის პროვინციაში და ვესტფალენში მრეწველებმა და ვაჭრებმა წამოაყენეს მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები, რომლებიც ჩამოაყალიბა თავის მოხსენებით ბარათში ცნობილმა აახენელმა ფაბრიკანტმა ჰანზემანმა. ეს მოხსენებითი ბარათი 1831 წლის დასაწყისში გადასცეს პრუსიის მეფეს. რაინის ლიბერალებს სურდათ პროვინციული წოდებრივი ლანდტაგების გადაქცევა საერთო პრუსიულ წარმომადგენლობით საკრებულოებად და საარჩევნო კანონების შეცვლა, რათა ბოლო მოეღოთ თავადაზნაურთა განუყოფელი ბატონობისათვის, მაგრამ ამავე დროს საყოველთაო საარჩევნო კანონის შემოღების წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ურჩევდნენ პრუსიის მეფეს „გავლენიან", მდიდარ მოქალაქეებში ეძია თავისი დასაყრდენი, აშინებდნენ მას „შავი ხალხის" მოსალოდნელი აჯანყებებით და არწმუნებდნენ, რომ ბიურგერებსა და თავადაზნაურებს შორის კავშირი იყო ერის ჭეშმარიტი სიძლიერის გარანტი.

პრუსიის მეფის ფრიდრიხ ვილჰელმ III გარდაცვალების (1840) შემდეგ, ლიბერალებს გაუჩნდათ იმედები თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის. მათ ეგონათ, რომ ახალი მეფე, **ფრიდრიხ ვილჰელმ IV** ბოლოსდაბოლოს აღასრულებდა მამამისის მიერ დანაპირებ კონსტიტუციურ უფლებებს, მაგრამ ეს იმედები არ გამართლდა. ფრიდრიხ ვილჰელმ IV კენიგსბერგში წარმოთქმულ საკორონაციო სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი პრუსიაში თვითმპყრობელურ წყობას შეინარჩუნებდა.

იმედგაცრუებულ ბურჟუაზიას კვლავ დაეუფლა ოპოზიციური განწყობა. პრუსიაში დაიწყეს მრავალრიცხოვანი ბროშურებისა და წიგნების გამოცემა, რომლებშიც მოითხოვდნენ წარმომადგენლობითი დაწესებულებების შემოღებას, ემუქრებოდნენ თავადაზნაურებს და მეფესაც კი. 1845 წელს თითქმის ყველა პროვინციულმა ლანდ-

ტაგმა კონსტიტუციური წესების შემოღებას დაუჭირა მხარი.

ლიბერალურ-ოპოზიციური მოძრაობის სათავეში კვლავ რაინის ბურჟუაზიის წარმომადგენლები — ფაბრიკანტი დ. ჰანზემანი, ბანკირი ლ. კამპჰაუზენი და სხვები იყვნენ. ისინი მთავრობისაგან მოითხოვდნენ საერთოპრუსიულ წოდებრივ — წარმომადგენლობით ორგანოს მოწვევას, საბაჟო კავშირის გაფართოებას, მემამულური სასამართლოებისა და იუნკრების სხვა პრივილეგიების გაუქმებას, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას და სხვ.

შემდეგში გერმანიის ლიბერალური ბურჟუაზია, სახალხო რევოლუციის შიშის გამო, მონარქიასთან და იუნკრებთან კომპრომისის გზას დაადგა.

**ოპოზიციური მოძრაობის რადიკალურ-დემოკრატიული ფრთა. ლიტერატურული მიმდინარეობა „ახალგაზრდა გერმანია“.** ფეოდალურ-მემამულური რეაქციის წინააღმდეგ უფრო მედგრად გამოდიოდნენ გერმანული საზოგადოების ფართო ფენების — გლეხების, ხელოსნების, წვრილი ბურჟუაზიის მოწინავე წარმომადგენლები. მსხვილი კაპიტალისტური მრეწველობის ზრდასთან ერთად წვრილი მეწარმეები სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდნენ, რაც მათ მზარდ უკმაყოფილებას იწვევდა. ქვეყანაში შემორჩენილი ნახევრადფეოდალური წესები ხელს უშლიდნენ რადიკალურად განწყობილ ინტელიგენციას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებაში. ისინი ძირითადად ლიტერატურით და მეცნიერებით იყვნენ დასაქმებული და მოღვაწეობის ამ სფეროებს იყენებდნენ თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის.

ამ მხრივ დამახასიათებელია ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც, ისევე როგორც შვეიცარიაში არსებულ გერმანელ ემიგრანტთა საზოგადოებას, ეწოდებოდა „ახალგაზრდა გერმანია“. ის მიზნად ისახავდა დემოკრატიისა და ეროვნული გაერთიანებისათვის ბრძოლას. მწერლები, რომლებიც ამ ლიტერატურულ მიმდინარეობას ეკუთვნოდნენ, თავიანთ შემოქმედებაში ებრძოდნენ რეაქციულ პრუსიულ წესებს. აღნიშნული ლიტერატურული თანამეგობრობის იდეური ხელმძღვანელები იყვნენ პარიზში მყოფი ემიგრანტი მწერლები ლიუდვიგ ბიორნე და ჰაინრიხ ჰაინე. მათი მიმდევრებიდან

განსაკუთრებით გამოირჩეოდა დრამატურგი კარლ გუცკოვი, ავტორი ტრაგედიის „ურიელ აკოსტა“.

საერთოდ, „ახალგაზრდა გერმანიაში“ გაერთიანებული მწერლებისა და პოეტების მეტი წილის ლიტერატურული შემოქმედება გამოირჩეოდა ზომიერებით და 40-იან წლებში ისინი მხოლოდ სიტყვისა და პრესის თავისუფლების მოკრძალებული მოთხოვნით გამოდიოდნენ.

**რადიკალური დემოკრატიის ფილოსოფია. ახალგაზრდა ჰეგელიანელები.** დემოკრატიულ მიმდინარეობას პოლიტიკაში მხარს უბამდა რადიკალიზმი მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. ჰეგელი თავისი ფილოსოფიური მოძღვრებით ამართლებდა არსებულ სახელმწიფო წყობას, მის თანამიმდევრებს შორის კი განხეთქილება მოხდა. იმ დროს, როდესაც მემარჯვენე ჰეგელიანელები თვლიდნენ, რომ „აბსოლუტურმა სულმა“, ე.ი. კაცობრიობის გონებამ თავისი განსახიერება პრუსიულ აბსოლუტიზმში ჰპოვა და შედგომ განვითარებას ადგილი არ ექნებოდა, მემარცხენეებს მიაჩნდათ, რომ გასაკრიტიკებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო. ამისათვის მათ საუკეთესო საშუალებად თვით ჰეგელის დიალექტიკური მეთოდი მიაჩნდათ. არც ერთი რწმენა არ შეიძლება იყოს მარადიული, ცნებები მუდმივად ვითარდებიან, ყოველი დებულება (თეზისი), მიაღწევს რა უკიდურესობას, იწვევს უარყოფას (ანტითეზისს); დაპირისპირებული აზრების შეჯახება წარმოშობს ახალ იდეებს; საზოგადოების განვითარების თითოეული საფეხური, ყოველგვარი ფორმა აუცილებელია და თავისი დროით არის გამართლებული. მაგრამ უზენაესი მოთხოვნების წინაშე ისიც უნდა დაემხოს. ასეთ პროგრესულ დასკვნებს აკეთებდნენ ჰეგელის მემარცხენე შეხედულებების მიმდევარი მოსწავლეები ანუ ახალგაზრდა ჰეგელიანელები.

იზიარებდა რა მემარცხენე ჰეგელიანელების მოსაზრებებს უსასრულო განვითარების შესახებ, ფოიერბახი ამტკიცებდა (განსაკუთრებით „ქრისტიანობის არსებაში“), რომ რელიგიური სისტემების ბატონობა გონებაზე დამთავრდა; თავისუფალი შემეცნება ადამიანებს უკარნახებს, რომ უმაღლესი მიზანი უნდა ეძიოს თავის თავში და მიწიერ ცხოვრებაში, რომლის გარდა სხვა არაფერი არ არსებობს.

ფოიერბახმა თავისი ამოცანა ასე განსაზღვრა: საჭიროა ახალგაზრდა თაობის გარდაქმნა ღმერთის მეგობრებიდან კაცობრიობის მეგობრებად, მორწმუნე მოაზროვნეებიდან, მლოცველი მუშაკებიდან, საიქიო სამყაროს კანდიდატებიდან მიწიერ სტუდენტებად.

ახალგაზრდა ჰეგელიანელები — **ბრუნო ბაუერი, არნოლდ რუგე, დავით შტრაუსი** და სხვები, იდეალისტებად დარჩნენ. ჰეგელის „აბსოლუტური იდეის" ნაცვლად ისინი პრიორიტეტს ანიჭებდნენ თვითშემეცნებას, კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებას და ფიქრობდნენ, რომ თვითშემეცნებით შეიძლებოდა რევოლუციური გარდაქმნების ზედმეტობის, უსაფუძვლობის დამტკიცება. სჯეროდათ რა ამ მოსაზრებისა, ისინი მთავარ ყურადღებას ამახვილებდნენ რელიგიის, უპირველესად ქრისტიანობის კრიტიკაზე. ახალგაზრდა ჰეგელიანელები უარყოფდნენ ხალხის როლს ისტორიაში და აკრიტიკებდნენ სახალხო მოძრაობებს. გერმანიის პროლეტარიატის პირველი გამოსვლისთანავე მათ ზურგი შეაქციეს რადიკალურ დემოკრატიზმს და მიემხრნენ ბურჟუაზიულ ლიბერალებს.

**ინდუსტრიის განვითარება გერმანიაში და სოციალიზმის დასაწყისი.** XIX საუკუნის 30-40-იან წლებში გერმანიაში იწყება სამრეწველო გადატრიალება. ინგლისში ეს პროცესი დაიწყო 70 წლით, ხოლო საფრანგეთში — 30 წლით ადრე. ისევე როგორც ყველგან, აქაც გადატრიალებას თან ახლდა მტკივნეული, მძიმე ცხოვრებისეული პროცესები. დიდი ფაბრიკები და ქარხნები შენდებოდნენ ძირითადად მჭიდროდ დასახლებულ და ქვანახშირის საბადოებთან ახლომდებარე რაინის ოლქში და სილეზიაში. პირველში რკინისა და ფოლადის, მეორეში კი მანუფაქტურა, სართავი და საქსოვი წარმოება იყო განვითარებული. მანქანების წარმოებაში დანერგვამ დიდი რაოდენობით მუშახელი გამოათავისუფლა, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა, განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობის რაიონებში, რადგანაც სამრეწველო გადატრიალება პირველად სწორედ წარმოების ამ დარგებში დაიწყო. გაუარესდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები. სილეზიაში რამდენჯერმე შიმშილობა იყო, რასაც თან სდევდა ტიფის ეპიდემია, რომლისგანაც ათასობით ადამიანი იხოცებოდა.

პურის სიძვირით, ბავშვთა სიკვდილიანობის ზრდით, შრომის აუტანელი პირობებით სასოწარკვეთილებამდე მისული სილეზიელი მუშები, ისევე როგორც მათი მეზობელი ბოჰემიელი მუშები, აწყობდნენ უშედეგო აჯანყებებს, ამტვრევდნენ მანქანებს, ანგრევდნენ ფაბრიკებს, სპობდნენ საქმის საწარმოებელ წიგნებს. პრუსიისა და ავსტრიის მთავრობები სამხედრო ძალით ახშობდნენ მათ გამოსვლებს; მძიმე მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები (შიმშილობის დროს პურს იაფად ჰყიდიდნენ, აწყობდნენ საზოგადოებრივ სამუშაოებს) არ იყო საკმარისი. მთავრობები ცდილობდნენ მოჩვენებითი სიმშვიდის შენარჩუნებას; ქალაქებში, სადაც უმუშევრობისა და შიმშილის დროს დიდი რაოდენობით უბინაო, მიუსაფარი ხალხი იყრიდა თავს, ადმინისტრაცია შეძლებულ კლასებს იცავდა „საშიში ელემენტებისაგან", იარაღის ძალით წმენდდა ქუჩებს „ბრბოსაგან", იჭერდა და ციხეში ათავსებდა მათ.

ბიურგერების უმეტესი ნაწილი არ მიიჩნევდა მუშებს თავიანთ მტრად; პირიქით, ისინი თვლიდნენ, რომ მათი საერთო მოწინააღმდეგე მთავრობა და ძველი პოლიტიკური კანონები იყო. თუმცა ზოგიერთი პუბლიცისტი მიუთითებდა პროლეტარიატის განსაკუთრებულ ინტერესებზე და იმაზე, რომ მათი გაჭირვება არა მთავრობის, არამედ საზოგადოებრივი წყობის შედეგი იყო.

სწორედ ამ დროს იწყებენ თავიანთ აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას **კარლ მარქსი** (1818-1883) და **ფრიდრიხ ენგელსი** (1820-1895), რომლებმაც ლონდონში ჩამოყალიბებული „კომუნისტთა კავშირის" დავალებით დაწერეს და 1848 წლის თებერვალში, ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში რევოლუციების დაწყების წინ, გამოაქვეყნეს **„კომუნისტური პარტიის მანიფესტი"**, რომელიც არის მარქსიზმის პირველი საპროგრამო დოკუმენტი. მასში კაცობრიობის ისტორია კლასთა ბრძოლის სახითაა წარმოდგენილი. ბურჟუაზიის ეპოქაში კლასთა წინააღმდეგობა გამარტივდა. მთელი საზოგადოება გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ბურჟუაზიად და პროლეტარიატად. ბურჟუაზია დაინტერესებულია მთელს მსოფლიოში ვაჭრობისა და ინდუსტრიის განვითარებით. მაგრამ მრეწველობის ზრდასთან ერ-

თად იზრდება პროლეტარიატის რაოდენობა, რომელიც სულ უფრო და უფრო ღატაკდება. ისინი ერთიანდებიან კავშირებში და იწყებენ ბრძოლას თავიანთი კლასობრივი ინტერესების დასაცავად. ეს ბრძოლა თანდათანობით მწვავდება ინდუსტრიის განვითარებასთან ერთად. ამგვარად, ბურჟუაზია პროლეტარიატის სახით „თავის მესაფლავეს" წარმოშობს, რომელიც აუცილებლად დაამხობს კაპიტალისტურ წყობას. მანიფესტი მთავრდება მოწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით"!

ისევე როგორც იტალიაში, გერმანიაშიც ეროვნული და განმათავისუფლებელი მოძრაობები გაძლიერდა 40-იანი წლების შუახანებიდან, რასაც შედეგად მოჰყვა რევოლუცია.

# თავი VI. 1848-1849 წწ. რევოლუციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში

**თებერვლის რევოლუცია საფრანგეთში. ივლისის მონარქიის დამხობა.** ლუი ფილიპე ორლეანელის მონარქია თანდათანობით კარგავდა ავტორიტეტს და თანაგრძნობას იმ კლასს შორის, რომლის წყალობით მოვიდა იგი სახელმწიფოს სათავეში. ბურჟუაზიის საშუალო ფენები მოითხოვდნენ საარჩევნო რეფორმას, გაზეთები განუწყვეტლივ ამხელდნენ ადმინისტრაციას ბოროტმოქმედებასა და კორუფციაში. 1847 წ., როდესაც შეიკრიბა პარლამენტი, მდგომარეობა ძლიერ დაძაბული იყო. ქვეყანაში მოუსავლიანობის მიუხედავად, უცხოეთიდან პურის შემოტანა აკრძალეს, რამაც ფასების ზრდა გამოიწვია. სხვადასხვა ადგილებში აჯანყებებს ჰქონდა ადგილი, რომლებშიც მუშებთან ერთად გლეხებიც იღებდნენ მონაწილეობას.

რეფორმის მომხრეებმა გააძლიერეს აგიტაცია; ზომიერები და რესპუბლიკელები გაერთიანდნენ. მთავრობისადმი პეტიციების წარდგენის უშედეგო გზა უარყვეს. პოლიტიკური აგიტატორები მოგზაურობდნენ პროვინციებში და აწყობდნენ ბანკეტებს, რომლებზეც გამოდიოდნენ სიტყვებით და მოითხოვდნენ საარჩევნო უფლებების გაფართოებას. მაგრამ მმართველი წრეები, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გიზოს მეთაურობით, იცავდნენ ფინანსური არისტოკრატიის გაბატონებულ მდგომარეობას და უარყოფდნენ საარჩევნო სისტემის დემოკრატიზაციის ყოველგვარ მოთხოვნებს.

რეფორმის მომხრეების მიერ 1848 წლის 22 თებერვალს პარიზში დანიშნული ბანკეტი, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ დეპუტატებს და ეროვნულ გვარდიელებს, გიზომ აკრძალა. ლიბერალური ოპოზიციის ლიდერები დაემორჩილნენ ამ ბრძანებას. მაგრამ ქალაქის გარეუბნებში მცხოვრები მუშები და სტუდენტები ლათინური კვარტლიდან მივიდნენ პარიზის ცენტრალურ, არისტოკრატიულ ნაწილში და მოითხოვეს გიზოს გადადგომა. მეფე დათანხმდა, მაგრამ უკვე გვიან იყო; რესპუბლიკელებმა, ისევე როგორც 1830

წ., დაიწყეს ბარიკადების აგება. მეფემ მოიხმო ჯარი და ეროვნული გვარდია, მაგრამ ისინი დიდი ენთუზიაზმით არ მოქმედებდნენ ხალხის წინააღმდეგ. როდესაც შეიარაღებული მუშები მიუახლოვდნენ სასახლეს, მეფემ დახმარებისათვის ეროვნულ გვარდიას მიმართა; გვარდიელები მას მტრული შეძახილებით შეხვდნენ.

დარწმუნდა რა ძალის გამოყენების შეუძლებლობაში, ლუი ფილიპე გადადგა ტახტიდან თავისი შვილიშვილის სასარგებლოდ და ინგლისში გაიქცა. ტიულრის სასახლე აჯანყებული ხალხის ხელში გადავიდა. მეფის ტახტი მოედანზე გამოიტანეს და აღფრთოვანებული შეძახილებით: „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ დაწვეს.

**დროებითი მთავრობის შექმნა.** იმ დროს, როდესაც დეპუტატთა პალატისათვის უნდა ეცნობებინათ მეფის გადადგომის შესახებ, პარლამენტის შენობაში შეცვივდნენ აჯანყებულთა რაზმები; დეპუტატთა უმრავლესობა გაიქცა; დარჩენილებმა, მათ შორის პოეტმა და ისტორიკოსმა ლამარტინმა, რესპუბლიკას დაუჭირეს მხარი. აქვე შეადგინეს დროებითი მთავრობის წევრთა სია. აჯანყებული რესპუბლიკელების მეორე — სოციალისტური იდეების მომხრე ჯგუფმა, დროებითი მთავრობის შემადგენლობის შესახებ თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინა; ბოლოს შეიქმნა დროებითი კოალიციური მთავრობა, რომლის 11 წევრიდან 7 ბურჟუაზიული რესპუბლიკელების მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები იყვნენ. მთავრობის თავმჯდომარე გახდა ადვოკატი დიუპონი, მაგრამ მთავრობას ფაქტიურად საგარეო საქმეთა მინისტრი ლამარტინი ხელმძღვანელობდა. მუშათა კლასის ინტერესების დაცვის მიზნით მთავრობაში შეიყვანეს ისტორიკოსი და პუბლიცისტი ლუი ბლანი და მუშა ალექსანდრე ალბერი.

1848 წლის თებერვლის რევოლუციამ, რომელიც სულ 2 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, მოულოდნელი შედეგები მოიტანა. აღმოჩნდა, რომ ერთი შეხედვით მყარ საფუძველზე მდგარ მთავრობას, თურმე არ ჰქონია დასაყრდენი და პირველი შეტევისთანავე დაიმსხვრა. კვლავ, როგორც 1830 წ. გამარჯვება მოიპოვეს არა მათ, ვინც ნამდვილ ოპოზიციას წარმოადგენდა, არამედ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომლის წევრები იარაღით ხელში ენერგიულად იბრძოდნენ

საერთო დაბნეულობის დროს. მაგრამ გამარჯვებულებს არ შეეძლოთ ჩამოეყალიბებინათ მთავრობა, რადგანაც პარიზში ბევრი მხარდამჭერი არ ჰყავდათ, ხოლო პროვინცია საერთოდ მათი წინააღმდეგი იყო.

ამასთანავე, დროებით მთავრობაში მკვეთრად დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი პარტია: ზომიერებს ლამარტინის მეთაურობით სურდათ მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების შემოღება; სხვებს — „სოციალური რესპუბლიკის", ანუ ისეთი რესპუბლიკის დამყარება, რომელიც ხალხს მისცემდა არა მარტო პოლიტიკურ თავისუფლებას, არამედ გაათავისუფლებდა მათ კაპიტალის ჩაგვრისაგან. წინა რევოლუციებისაგან (1789-1799 წლებისა და 1830 წლის რევოლუციებისაგან) 1848 წლის რევოლუციის ეს განმასხვავებელი ნიშანი თავიდანვე შეიმჩნეოდა.

25 თებერვალს დემონსტრანტებმა მოითხოვეს, რომ რესპუბლიკის დროშა ყოფილიყო წითელი ფერის, რადგანაც იგი „სოციალური რესპუბლიკის" სიმბოლოდ მიაჩნდათ; დროებითი მთავრობის უმრავლესობას სამფეროვანი დროშის შენარჩუნება სურდა; მიიღეს კომპრომისული გადაწყვეტილება — სამფეროვანი დროშის ტარზე მიამაგრეს წითელი როზეტი (შემდეგ ის მოხსნეს).

იმავე დღეს დროებითმა მთავრობამ დააკმაყოფილა მუშათა მოთხოვნა და გამოსცა დეკრეტი, რომლითაც შრომის უფლება ეძლეოდა ყველა მოქალაქეს, ე.ი. სახელმწიფო იღებდა ვალდებულებას მოქალაქეების სამუშაოთი უზრუნველყოფის შესახებ. შემდეგ შექმნეს სამთავრობო კომისია მუშათა საკითხების თაობაზე, რომელსაც ლუი ბლანი ჩაუდგა სათავეში; მისი მოადგილე იყო ალბერი. კომისია ლუქსემბურგის სასახლეში ატარებდა სხდომებს, ამიტომ მას ლუქსემბურგის კომისიას უწოდებენ. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მუშათა კავშირების დელეგაციები, მრეწველობის წარმომადგენლები, აგრეთვე თეორეტიკოსი-ეკონომისტები.

ლუქსემბურგის კომისიის სხდომაზე ლუი ბლანმა წამოაყენა პროექტები სასოფლო-სამეურნეო კოლონიების შექმნის, ვაჭრობის რეორგანიზაციის, საწარმოო ამხანაგობების მოწყობის (ე.წ. ეროვნული სახელოსნოების), მუშებისთვის სახლებისა და ბავშვთა ბაგების,

სასადილოების, საზოგადოებრივი სამრეცხაოების აშენების შესახებ და ა.შ. ლუი ბლანი არწმუნებდა მუშებს იმაში, რომ ამ პროექტების განხორციელება მშვიდობიანი გზით, კლასთა შორის თანამშრომლობით შეიძლებოდა.

1848 წლის რევოლუციის, ისევე როგორც წინა რევოლუციების დროს, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა; დაუსაქმებელი ადამიანების დიდძალი მასა გაემართა პარიზისაკენ სამუშაოს საძებნელად. იმის მაგივრად, რომ გაენაწილებინათ სპეციალობების მიხედვით, ისინი გააგზავნეს მარსის მინდორზე მიწის სათხრელად (რაც ფაქტიურად უაზრო შრომა იყო) და დღეში 2 ფრანკს აძლევდნენ. როდესაც ორი თვის შემდეგ მათი რიცხვი 6000-დან 100000-მდე გაიზარდა, ანაზღაურება შეუმცირეს 1 ფრანკამდე. ეროვნული სახელოსნოები ნახევრად სამხედრო ორგანიზაციები იყო; მათ სათავეში მთავრობის მიერ დანიშნული დირექტორები იდგნენ. ასეთივე სახელოსნოები შექმნეს ლიონში, ნანტში, ლილში და სხვა ქალაქებში. პარიზის ეროვნულ სახელოსნოებში მთავრობამ დააარსა განსაკუთრებული კლუბები, სადაც სოციალისტური იდეების წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდნენ.

1848 წლის 2 მარტს დროებითმა მთავრობამ გამოსცა დეკრეტი სამუშაო დღის ერთი საათით შემცირების შესახებ; მრეწველები არ იცავდნენ ამ კანონს.

ივლისის მონარქიის პოლიციურ-ბიუროკრატიული სახელმწიფო წყობა ხელუხლებელი დარჩა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სახელმწიფო აპარატიდან დაითხოვეს მხოლოდ ყველაზე რეაქციული მოხელეები.

დამფუძნებელმა კრებამ 1848 წ. ივნისში გადაწყვიტა პროვინციებიდან ჩამოსული მუშების გათავისუფლება და ეროვნული სახელოსნოების დახურვა. მან მუშებს შესთავაზა არმიაში სამსახური ან პროვინციებში მიწის სამუშაოებზე წასვლა. თებერვალში დიდი ზარზეიმით გამოცხადებული „შრომის უფლება“ ბურჟუაზიის მიერ ცინიკურად იქნა უარყოფილი. მაშინ მუშებმა, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ იარაღი, მოაწყვეს აჯანყება და 23 ივნისს პარიზის აღმოსავლეთ კვარტლებში აღმართეს ბარიკადები. კრებამ ჯარებისა

და ეროვნული გვარდიის სარდლად დანიშნა გენერალი კავენიაკი; პარიზის გვარდიელებს შეუერთდნენ ბურჟუაზიული რაზმები ახლომდებარე ადგილებიდან და მეზობელი ქალაქებიდან იმ მიზნით, რომ გაენადგურებინათ სოციალისტები. მოხდა ერთ დროს მოკავშირე კლასების – ბურჟუაზიისა და მუშების შეტაკება, რომელიც დიდი სისხლისღვრით დამთავრდა: ორივე მხრიდან 10000 კაცი დაიღუპა. კავენიაკი გამარჯვების შემდეგ ხვრეტდა მუშებს, როგორც მოღალატეებს. აჯანყების ბევრი მონაწილე გადაასახლეს ცუდი კლიმატური პირობების მქონე კოლონიაში – კაიენაში საკატორღო სამუშაოებზე. ლუი ბლანი საზღვარგარეთ გაიქცა. კრებამ აკრძალა ყველა სოციალისტური გაზეთი, სოციალისტური პარტია გაანადგურეს; დააწესეს სასტიკი ცენზურა.

**მეორე რესპუბლიკა და სოციალური რეაქცია.** დამფუძნებელმა კრებამ 1848 წ. შეიმუშავა რესპუბლიკური კონსტიტუცია. იგი იწყებოდა ზოგადი ფრაზებით სამშობლოს სიყვარულის, ურთიერთდახმარების აუცილებლობის, ზნეობრივი კანონების დაცვის საჭიროებისა და სხვათა შესახებ. ითვალისწინებდნენ რა ივნისის აჯანყების გაკვეთილებს, კონსტიტუციაში არაფერი იყო ნათქვამი შრომის უფლებების თაობაზე და მისი ავტორები უქონელთა კლასს პირდებოდნენ გარკვეულ დახმარებებს შესაძლებლობის ფარგლებში. ერთპალატიანი პარლამენტი ირჩეოდა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე. აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევდნენ 4 წლის ვადით; იგი იყო მთავარსარდალი და ნიშნავდა მინისტრებს თავის შეხედულებებისამებრ. პრეზიდენტისათვის ასეთი დიდი უფლებების მიცემა შეცდომა იყო. ამერიკაში პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლება გაწონასწორებულია ცალკეული შტატების დამოუკიდებლობით, მაშინ, როდესაც საფრანგეთში ცენტრალური მმართველობით, ბიუროკრატიული აპარტით, მუდმივი ჯარით ხალხისმიერ არჩეული პრეზიდენტი შეიძლებოდა დიქტატორი ან მონარქი გამხდარიყო და დამფუძნებელ კრებაზე მეტი უფლებები ჰქონოდა. რესპუბლიკელების მცდელობა, აერჩიათ პრეზიდენტი არა საყოველთაო სახალხო არჩევნებით, არამედ პარლამენტის საშუალებით, უშედეგოდ დამთავრდა.

ზომიერ რესპუბლიკელებს პრეზიდენტად კავენიაკის არჩევა უნდოდათ. მაგრამ მოულოდნელად მას მეტოქე გამოუჩნდა ნაპოლეონ I ძმისშვილის პრინც ლუი ბონაპარტის სახით, რომელმაც ნაპოლეონის სახელი მიიღო. რესტავრაციის პერიოდიდან მოყოლებული ნაპოლეონის სახელი გაიგივებული იყო საფრანგეთის დაპყრობით პოლიტიკასთან და დემოკრატიულ იდეებთან. ტიერი ითვალისწინებდა საფრანგეთის საზოგადოების ასეთ განწყობას და თავისი პრემიერ-მინისტრობის დროს, 1840 წელს, გადმოასვენა ნაპოლეონის ნეშტი წმ. ელენეს კუნძულიდან პარიზში. თვლიდა რა თავს დიდი წინაპრის მემკვიდრედ, ნაპოლეონის ძმისშვილი ლუი ფილიპეს დროს ორჯერ შეეცადა აჯანყების მოწყობას. მეორე მცდელობისას იგი დააპატიმრეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ 6 წლის შემდეგ (1846) მან მოახერხა ინგლისში გაქცევა. იძულებითი „დასვენების" პერიოდში მან დაწერა „ნაპოლეონის იდეები", რომელშიც ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები. მასში ნათქვამი იყო თანასწორობისა და სახალხო სუვერენიტეტის, ხალხის მიერ არჩეული ძლიერი მმართველისა და სოციალური გარდაქმნების აუცილებლობის შესახებ.

1848 წ. შემოდგომაზე ლუი ნაპოლეონი დაბრუნდა საფრანგეთში. იგი ერთდროულად ხუთ დეპარტამენტში აირჩიეს დეპუტატად. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ძალებს იგი თავიანთი ინტერესების დამცველად მიაჩნდათ. გაძევებული ორლეანელთა დინასტიის მომხრეები მას არარაობად მიიჩნევდნენ და ამიტომ მონარქიის აღდგენის კარგ საშუალებად თვლიდნენ; სოციალიზმის მტრებსა და რეაქციის მომხრეებსაც მისი კანდიდატურა გარკვეულ იმედებს აძლევდა. 1848 წლის შემოდგომაზე საპრეზიდენტო არჩევნებში ნაპოლეონმა ხმების მნიშვნელოვანი უპირატესობით (6,5 მლნ. ამომრჩევლიდან მას ხმა მისცა 5,5 მილიონმა) აჯობა მოწინააღმდეგეებს.

ახალმა პრეზიდენტმა მინისტრებად მისი მომხრე კონსერვატორული პარტიის წევრები მოიწვია და მყისვე რეაქციული პოლიტიკის გატარება დაიწყო. კათოლიკები მისგან მოითხოვდნენ პაპის დასახმარებლად ჯარების გაგზავნას იტალიაში, სადაც რომის რესპუბლიკა იყო შექმნილი, კათოლიკებმა აღადგინეს სკოლებზე თავიანთი გავლენა. ამ საქმეში მათ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი

სოციალიზმის „დამანგრეველი“ იდეებისადმი ხალხის დიდი ნაწილის სიძულვილმა. ტიერმა მხარი დაუჭირა კათოლიკური სულისკვეთებით შედგენილ სასკოლო კანონს: „სოციალიზმისაგან ხსნა მხოლოდ კატეხიზმოს შეუძლია!“ – განაცხადა მან.[22]

პირველი პროექტი უფასო განათლების შესახებ უარყვეს. 1850 წლის კანონი მთავრობას ნებას რთავდა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე სამუშაოდან გაეთავისუფლებინა მასწავლებლები; სამღვდელოებამ მიიღო სკოლებზე ზედამხედველობის უფლება. ამ უფლებით ისარგებლეს მდიდარმა კონგრეგაციებმა, ე.ი. სასულიერო ორდენებმა, მათ შორის იეზუიტებმა. საქალაქო მმართველობას თავის შეხედულებებისამებრ შეეძლო გაეხსნა საერო ან სასულიერო სასწავლებლები. გაიზარდა კათოლიკური სკოლების რაოდენობა; ქალთა განათლება მთლიანად მონაზვნების ხელში გადავიდა.

კონსერვატორებმა და კათოლიკებმა არც საყოველთაო საარჩევნო უფლებების შესახებ კანონი დაინდეს და მიაღწიეს კიდეც მის „გაუმჯობესებას“. ტიერი ამბობდა, რომ არ შეიძლება სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტა „ბინძური ბრბოს“ ხელში გადავიდესო. იმავე 1850 წლის კანონით საარჩევნო უფლება ეძლეოდა მხოლოდ იმათ, ვინც ერთ ადგილზე სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა; ხმის უფლება ერთმეოდათ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებისათვის მსჯავრდადებულთ და ფარული საზოგადოების წევრებს, აგრეთვე მუშათა დიდ ნაწილს, რომლებიც თავიანთი პროფესიების გამო ხშირად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილს; საერთოდ კანონი 3 მილიონით ამცირებდა ამომრჩეველთა რაოდენობას.

**ბონაპარტისტული გადატრიალება და მეორე იმპერია.** ორი წლის განმავლობაში რეაქციონერები პრეზიდენტთან ერთად მოქმედებდნენ რესპუბლიკელების წინააღმდეგ. ლუი ნაპოლეონი ცდილობდა თავის მომხრეები დაენიშნა წამყვან სახელმწიფო თანამდებობებზე და მოეპოვებინა არმიის მხარდაჭერა. კონსტი-

---

[22] კატეხიზმო – (ბერძნ. Katechesis – დარიგება, მითითება.) სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავს ქრისტიანული მოძღვრების ძირითად დებულებებს. XVI საუკუნიდან – წიგნი, რომელიც პოპულარულად გადმოსცემს (ჩვეულებრივ, კითხვა-პასუხით) ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრებას.

ტუციით იკრძალებოდა პრეზიდენტის მეორე ოთხწლიანი ვადით არჩევა. როდესაც ბონაპარტისტებმა მოითხოვეს ამ სტატიის გაუქმება, პალატაში მათ ვერ მოაგროვეს ხმების საკმარისი რაოდენობა. მაშინ ნაპოლეონმა რეფერენდუმის ჩატარება განიზრახა და დაიწყო მზადება სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

1851 წლის 2 დეკემბრის პრეზიდენტის ბრძანებით დააპატიმრეს და გადაასახლეს ოთხმოცი მისდამი მტრულად განწყობილი დეპუტატი, მათ შორის ტიერი, კავენიაკი და რამდენიმე რადიკალი; პარიზში და მის შემოგარენში საალყო წესები შემოიღეს. ნაპოლეონმა მოწოდებით მიმართა ხალხს, რომლითაც იუწყებოდა დეპუტატთა პალატის დაშლის, საყოველთაო საარჩევნო უფლების აღდგენის შესახებ და მოუწოდებდა მათ მხარი დაეჭირათ რეფერენდუმზე მისი ხელახალი არჩევისათვის.

სამწლიანმა რეაქციამ დაასუსტა დემოკრატთა ძალები და ამიტომ ისინი წინ ვერ აღუდგნენ რეაქციულ ძალებს. რამდენიმე რადიკალურად განწყობილი დეპუტატი შეეცადა აემხედრებინა მუშები ბარიკადული ბრძოლებისათვის, მაგრამ მათ არავინ არ მიემხრო. ნაპოლეონის მომხრე მებრძოლებმა შეუფერხებლად გაიარეს ქუჩები და უიარაღო ხალხს დაუწყეს სროლა. წინააღმდეგობის გაწევის მცდელობა იყო პროვინციებში. გადასახადების ამკრეფთა მიმართ მტრულად განწყობილი მოსახლეობა ქმნიდა ფარულ კავშირებს და აგროვებდა ფულს აჯანყების მოსამზადებლად; რამდენიმე ქალაქში გამოჩნდნენ სოფლებიდან წამოსული შეიარაღებული ჯგუფები წითელი დროშებით ხელში და მოაწყვეს დემონსტრაციები.

ეს გამოსვლები მთავრობამ ჩაახშო; ადგილობრივი მოხელეები უსიტყვოდ ასრულებდნენ „ცენტრის“ ბრძანებებს: პრეფექტებს ევალებოდათ საიდუმლო ორგანიზაციების წევრთა დაჭერა; მათ ადგილზევე ასამართლებდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ: პრეფექტი, პროკურორი და სამხედრო გენერალი; ეს სასამართლოები ტარდებოდა ფარულად, დამცველისა და მოწმეების გარეშე; მხედველობაში იღებდნენ მხოლოდ ადგი-

ლობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა ჩვენებებს; ისინიც ყოველნაირად ცდილობდნენ თავის გამოჩენას; დაპატიმრებულთაგან 25000 – თითქმის ნახევარი – კაიენაში გაგზავნეს, რომლისაც სიკვდილზე მეტად ეშინოდათ. მდიდარი მრეწველები და მიწათმფლობელები კმაყოფილი იყვნენ და აღფრთოვანებით მიესალმებოდნენ „საზოგადოების მხსნელს“ – ნაპოლეონს. მათთან ერთად გამარჯვებას ზეიმობდნენ მესაკუთრე გლეხები, რომლებიც სოციალიზმში ხედავდნენ მათთვის საშინელ „მიწის გადანაწილებას“.

ამ მოვლენების შთაბეჭდილებების ქვეშ და ადმინისტრაციის გაძლიერებული ზეწოლით ჩატარდა რეფერენდუმი. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ მიიღო მასში მონაწილეობა; 7,5 მილიონმა მხარი დაუჭირა გადატრიალებას, 650000 წინააღმდეგი იყო. აღნიშნულ რეფერენდუმზე მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომლის მიხედვით იქმნებოდა საკანონმდებლო კორპუსი, სენატი და სახელმწიფო საბჭო. მთელი ძალაუფლება პრეზიდენტის ხელში აღმოჩნდა, რომელსაც 10 წლის ვადით ირჩევდნენ.

მთელი რეაქციული ევროპა მიესალმებოდა სახელმწიფო გადატრიალებას საფრანგეთში. არა მარტო ნიკოლოზ I, არამედ ინგლისის, ავსტრიის, პრუსიისა და ევროპის სხვა სახელმწიფოების მთავრობებმაც სცნეს ბონაპარტისტული რეჟიმი.

**გადატრიალებიდან ერთი წლის თავზე, 1852 წლის 2 დეკემბერს, სენატმა ლუი ბონაპარტი გამოაცხადა იმპერატორად ნაპოლეონ III სახელწოდებით.** ამჯერადაც ჩაატარეს რეფერენდუმი-კომედია.

**ეროვნული მოძრაობა იტალიაში.** საფრანგეთის 1848 წლის რევოლუციამ დააჩქარა რევოლუციები იტალიაში, გერმანიაში და ავსტრიის იმპერიაში.

იტალიაში, 20-იანი წლების დასაწყისში კარბონართა წარუმატებელი გამოსვლების შემდეგ, მნიშვნელოვანი სოციალური მოძრაობები არ ყოფილა. მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. კაპიტალიზმის განვითარებას საზოგადოებრივ ურთიერთობებში ცვლილებები უნდა მოჰყოლო-

და. დაქუცმაცებულ, პატარა სახელმწიფოებში ნიჭიერი, შრომისმოყვარე ადამიანები თავიანთი უნარის გამოვლინებას ვერ ახერხებდნენ: არც პუბლიცისტების, არც ტექნიკური დარგების მუშაკების, არც პოლიტიკოსებისათვის სამოქმედო ასპარეზი არ არსებობდა; არახელსაყრელი პოლიტიკური და გეოგრაფიული პირობები (მთაგრეხილები აძნელებდნენ ევროპის სხვა ქვეყნებთან კავშირს), აფერხებდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას.

იტალიის მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს ერთი მიზანი ჰქონდათ: ქვეყნის გაერთიანება და დამოუკიდებლობის მოპოვება. ამ მიზნისაკენ სწრაფვამ აღორძინების (რისორჯიმენტო) სახელწოდება მიიღო.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ იტალიაში მოიცვა საშუალო შეძლებული ფენები: პროფესორები, ადვოკატები, ექიმები, ტექნიკოსები, ოფიცრები, მრეწველების ნაწილი და უფრო ნაკლებად მიწათმფლობელები; მუშები და გლეხები არ იღებდნენ მასში მონაწილეობას. იტალიის ჩრდილოეთმა განსაკუთრებული როლი შეასრულა გაერთიანების საქმეში; სხვა ფაქტორებთან ერთად ეს განპირობებული იყო იმით, რომ აქ მდებარეობდა ყველაზე ძლიერი სახელმწიფო პიემონტი, რომელსაც ჰყავდა დიდი არმია და შეეძლო ეომა უცხოელებთან. გაერთიანების ყველა მოთავე, პოლიტიკოსები, ლიტერატორები, სამხედროები, — მაძინი, კავური, გარიბალდი, ჯობერტი და სხვები რივიერადან (გენუის ყურის სანაპირო), პიემონტიდან ან ტოსკანადან იყვნენ.

იტალიის გაერთიანების გზების შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობდა: პიემონტელი მღვდელი ჯობერტი ამტკიცებდა, რომ თვით განგებამ არგუნა იტალიას კაცობრიობის მესაჭის როლი; ამიტომ ქვეყანა უნდა გაერთიანდეს პაპის მეთაურობით, რომელიც შემდეგ გახდება მთელი მსოფლიოს ბელადი. თავის რელიგიურ-მისტიკური შეხედულებების პრაქტიკული განხორციელების საქმეში ჯობერტი სარდინიის მეფეს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იტალიის გაერთიანება ბევრს წარმოედგინა

ძლიერი სახელმწიფოებისაგან შედგენილი ფედერაციის სახით, რომელშიც უნდა გაეტარებინათ ლიბერალური რეფორმები. ასეთი გაერთიანების მომხრეებს ზომიერებს უწოდებდნენ.

რადიკალებს, **მაძინის** მეთაურობით, იტალიის სრული გაერთიანება და მისი დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნა სურდათ. მაძინიმ საზღვარგარეთ დააარსა საზოგადოება „ახალგაზრდა იტალია", რომელშიც თავისი მომხრეები გააერთიანა. მისი რჩევით სხვა ქვეყნებიდან ემიგრანტებმაც შექმნეს ამგვარი ორგანიზაციები „ახალგაზრდა გერმანია", „ახალგაზრდა პოლონეთი" და ა.შ. ეს ორგანიზაციები შემდეგ გაერთიანდნენ „ახალგაზრდა ევროპის" სახელწოდებით, რომელსაც მართავდა ცენტრალური კომიტეტი. ამ გაერთიანების წევრები მიზნად ისახავდნენ მონარქიული მთავრობებისაგან ევროპის განთავისუფლებას და ყველგან დემოკრატიული რესპუბლიკების შექმნას, რომლებიც შემდეგ უნდა გაერთიანებულიყნენ საძმო კავშირში.

იტალიის ცალკეულ სახელმწიფოთა მთავრობები უნდობლად ეკიდებოდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობებს: ეშინოდათ ძლიერი ავსტრიის, არც კონსტიტუციურ დათმობებზე მიდიოდნენ, მაგრამ თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ თანაუგრძნობდნენ მათ.

1846 წ. რომის პაპი გახდა პიუს IX, რომელიც ავსტრიის მტრად იყო ცნობილი. მისი არჩევით ნაციონალისტებს, რომლებიც ჯობერტის იდეებს იზიარებდნენ, გარკვეული იმედები გაუჩნდათ. პიუს IX პოლიტიკური პატიმრების ამინისტია გამოაცხადა, შეარბილა ცენზურა, რომში ჩამოაყალიბა ეროვნული გვარდია და შეადგინა სახელმწიფო საბჭო საერო პირებისაგან (აქამდე მმართველობის ყველა სადავე სამღვდელოების ხელში იყო). ასეთივე რეფორმები ჩატარდა ტოსკანაში და სარდინიის სამეფოში, მაგრამ ამ რეფორმებით არავინ არ იყო კმაყოფილი: ყველგან მოითხოვდნენ იეზუიტების განდევნას, კონსტიტუციის შემოღებას და ავსტრიელებთან ომს.

**რევოლუცია იტალიაში.** სანამ მთავრობები თავიანთ პოზიციებს არკვევდნენ, დაიწყო რევოლუციური გამოსვლები, უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სამხრეთში — სიცილიაში. სიცილიელთა გან-

მათავისუფლებელი მოძრაობა ძირითადად ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ამასთანავე, იგი მიმართული იყო ბურბონების წინააღმდეგ და სეპარატისტულ მიზნებს ისახავდა — მათ უნდოდათ ნეაპოლიტანიის სამეფოდან გამოყოფა და სიცილიის ავტონომიის შექმნა.

აჯანყებულებმა პალერმოში აღმართეს ბარიკადები და სამთავრობო ჯარები გარეკეს კუნძულიდან, შექმნეს დროებითი მთავრობა და მიიღეს 1812 წ. კონსტიტუცია. 1848 წ. 13 აპრილს სიცილიის დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა ბურბონთა დინასტიის დამხობის შესახებ.

სიცილიის მოვლენებმა დააჩქარა რევოლუციური გამოსვლები ნეაპოლიტანიის სამეფოში. სახალხო მღელვარებებით შეშინებული ფერდინანდ II იძულებული გახდა შეექმნა ახალი სამინისტრო ლიბერალების მონაწილეობით და შემოეღო კონსტიტუცია.

სიცილიასა და ნეაპოლიტანიაში აჯანყებებმა გამოძახილი ჰპოვეს პიემონტში, ტოსკანაში, პაპის სახელმწიფოში და ლომბარდია-ვენეციის ოლქში. აჯანყებულთა უპირველესი მოთხოვნა იყო კონსტიტუციური მმართველობის შემოღება. მმართველმა წრეებმა, თავიანთი ნების წინააღმდეგ, დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნები.

1848 წლის დასაწყისში მილანსა და ვენეციაში ავსტრიელების წინააღმდეგ მოხდა აჯანყებები. მილანიდან გარეკეს ავსტრიის ჯარები, რომელსაც გენერალი რადეცკი ხელმძღვანელობდა; ვენეციაში აღადგინეს წმ. მარკოზის რესპუბლიკა. დროებით მთავრობას სათავეში ჩაუდგა მანინი. ვენეციის ოლქი განთავისუფლდა ავსტრიელი ოკუპანტებისაგან.

ლომბარდიაში ჩაატარეს რეფერენდუმი. ხმების დიდი უმრავლესობით მოსახლეობამ გამოთქვა სურვილი, შეერთებოდა სარდინიის სამეფოს, რომელსაც სათავეში მეფე კარლო ალბერტი ედგა.

მიღწეული წარმატებების შემდეგ გამომჟღავნდა წინააღმდეგობა ზომიერებსა და რესპუბლიკელებს შორის. მათი შეჯახებებისა და ჩრდილოეთ იტალიაში ავსტრიელთა წინააღმდეგ ბრძოლებში წარუმატებლობამ გამოიწვია 1848 წ. რევოლუციის კრახი. რომსა

და ტოსკანაში რესპუბლიკელებმა მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევა და პაპი და ჰერცოგი აიძულეს გაქცეულიყვნენ. რომში გამოცხადდა რესპუბლიკა და შეიქმნა დროებითი მთავრობა — ტრიუმვირატი მაძინის მომხრე საფის და ზომიერი რესპუბლიკელების არმელინისა და სალიჩეტის შემადგენლობით (მოგვიანებით სალიჩეტი შეცვალა ჯუზეპე მაძინიმ). მაძინიმ მიმართა მთელი იტალიის მოსახლეობას წინადადებით აერჩიათ დეპუტატები საერთო დამფუძნებელ კრებაში და გამოეცხადებინათ იტალიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა. ამავე დროს პაპმა პიუს IX დახმარებისათვის თხოვნით მიმართა ევროპის სახელმწიფოებს.

ევროპის სახელმწიფოები მზად იყვნენ იტალიაში რეაქციის დასახმარებლად. ავსტრიელმა გენერალმა რადეცკიმ დაამარცხა კარლო ალბერტის ჯარები და აღადგინა ავსტრიის ბატონობა ლომბარდიასა და ვენეციაში; ავსტრიის ჯარები შევიდნენ ტოსკანაში და ცენტრალური იტალიის სხვა ოლქებში. ყველა კონსტიტუციური მონაპოვარი გააუქმეს; ავსტრიელები შურს იძიებდნენ აჯანყებულებზე, რევოლუციონერებს ართმევდნენ ქონებას, აღადგინეს ფიზიკური დასჯა. ავსტრია საფრანგეთთან ერთად აღუთქვამდა დახმარებას პიუს IX. საფრანგეთის კლერიკალური წრეები, რესპუბლიკელების სურვილის წინააღმდეგ, აქეზებდნენ პრეზიდენტს ლუი ნაპოლეონს იმისათვის, რომ გაეგზავნა ჯარი პაპის ხელისუფლების აღსადგენად. მოხალისეები გარიბალდის ხელმძღვანელობით იცავდნენ ქალაქს, მაგრამ მათი ძალები არასაკმარისი იყო, ფრანგებმა აიღეს რომი და აღადგინეს პაპის ხელისუფლება, რომელმაც რევოლუციის შედეგად მოპოვებული ყველა დემოკრატიული მონაპოვარი გააუქმა. ამავე დროს ნეაპოლიტანიის მეფემ ფერდინანდ II, შვეიცარიელთა დაქირავებული რაზმების დახმარებით, ჩაახშო სიცილიელთა წინააღმდეგობა, დაიკავა ქალაქი პალერმო, გააუქმა კონსტიტუცია და აღადგინა ბურბონთა ხელისუფლება.

1848 წლის კონტრრევოლუციური გადატრიალების შემდეგ მხოლოდ ერთმა სახელმწიფომ შეინარჩუნა კონსტიტუცია. ომში დამარცხების შემდეგ სარდინიის მეფე კარლო ალბერტი გადადგა ტახტიდან. მისმა მემკვიდრემ ვიტორიო ემანუილ II მმართველობა

გადასცა **კავურს**, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ ცხოვრობდა და იზიარებდა საფრანგეთისა და გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ შეხედულებებს. მან გააააქტიურა ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან და აღადგინა ფლოტი გენუაში; გაადიდა და პრუსიულ ყაიდაზე გარდაქმნა არმია; სახელმწიფო ხაზინის შესავსებად დააწესა გადასახადები საეკლესიო ქონებაზე. ამისათვის მას პაპი დაემუქრა ანათემაზე გადაცემით, მაგრამ კავური მაინც აგრძელებდა საეკლესიო ქონების სეკურალიზაციას. იგი ცდილობდა სარდინიის ძლიერი სახელმწიფოს შექმნას; ამ მიზნით მან ნაპოლეონ III ერთად მონაწილეობა მიიღო ყირიმის ომში რუსეთის წინააღმდეგ.

სახელმწიფოს სათავეში კავურის მოსვლის შემდეგ, იტალიის გაერთიანებისათვის ბრძოლა გაცილებით ინტენსიურად მიმდინარეობდა, ვიდრე 40-იან წლებში.

**1848 წლის რევოლუცია პრუსიაში.** 1848 წლის ბოლოსათვის პრუსიაში რევოლუციური კრიზისი მომწიფდა. რევოლუციის დაწყება დააჩქარა საფრანგეთსა და იტალიაში მიმდინარე მოვლენებმა.

1840 წლიდან პრუსიის მეფე იყო **ფრიდრიხ ვილჰელმ IV**, რომელმაც თავისი სიცოცხლე ფსიქიური მოშლილობის ნიადაგზე თვითმკვლელობით დაამთავრა. მისი პიროვნული არასრულყოფილება უარყოფით გავლენას ახდენდა სახელმწიფო პოლიტიკაზე; იგი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ხალხს რაიმე მონაწილეობა მიეღო სახელმწიფო მმართველობაში, კონსტიტუციას ფარატინა ქაღალდად მიიჩნევდა, მაშინ როდესაც თავის თავს ღვთისკურთხეულად თვლიდა; წოდებრივი უთანასწორობა ბუნებრივ მოვლენად წარმოედგინა და მის მტკიცედ დაცვას მოითხოვდა. ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობების მიერ ქრისტიანული დოგმების შელახვის ყოველგვარი მცდელობის აღსაკვეთად, მეფემ კვლავ გააძლიერა ცენზურა და დაიწყო უნივერსიტეტების შევიწროება. მაგრამ კომისიებში ხანგრძლივი განხილვის შემდეგ, ფრიდრიხ ვილჰელმ IV გადაწყვიტა ზოგიერთი რეფორმის გატარება და პროვინციული საკრებულოების დეპუტატებისაგან შეადგინა გაერთიანებული ლანდტაგი (1847); იგი იყო წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომლის ზემდგომ

ორგანოს წარმოადგენდა პრინცებისა და არისტოკრატიისაგან შედგენილი პალატა. ლანდტაგს ჰქონდა მხოლოდ ახალი გადასახადების დამტკიცებისა და პეტიციების წარდგენის უფლება; თუ მეფე საჭიროდ მიიჩნევდა, ეთათბირებოდა ლანდტაგის წევრებს კანონების შესახებ.

ამ დაგვიანებულმა და მცირეოდენმა დათმობებმა არავინ არ დააკმაყოფილა. ბერლინში შეკრებილი ლანდტაგი მოითხოვდა საყოველთაო არჩევნებს, ბიუჯეტის კონტროლის უფლებას, პრესის თავისუფლებას და უარი უთხრა მეფეს სესხის მიცემაზე. ურჩი ლანდტაგი დაითხოვეს და სანამ მეფე ყოყმანობდა ახალი დათმობების თაობაზე, 1848 წლის მარტში ბერლინში დაიწყო რევოლუცია.

ქალაქში შეიკრიბნენ მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად შეიარაღებული რევოლუციური რაზმები, რომლებიც შედგებოდნენ ახალგაზრდობის, მუშებისა და უცხოელი (უმეტესად პოლონელი) ემიგრანტებისაგან. პარიზში დაწყებული რევოლუციის გავლენით, როდესაც მიტინგის ჩატარება მოინდომეს, მათ სამხედრო ძალით დაემუქრნენ. გაითვალისწინა რა მთელს გერმანიაში მიმდინარე მოძრაობების მოსალოდნელი შედეგები, მეფემ მოწოდებით მიმართა ხალხს და დაპირდა მათ გერმანიის კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებას, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ერთიანი არმიის შექმნა და შიდა საბაჟოების გაუქმება. მეფისადმი მადლობის გამოსახატავად ხალხი შეგროვდა სასახლის წინ აივანზე (1848 წ. 18 მარტი). ამ დროს მთავრობის ჯარების მხრიდან მოულოდნელმა გასროლამ აღავსო რევოლუციონერთა მოთმინების ფიალა და ბერლინი სულ მოკლე დროში ბარიკადებით დაიფარა; დაიწყო ქუჩის ბრძოლები. როდესაც მეფის ჯარები გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, ზომიერ-ლიბერალური მოქალაქეების გავლენით, მეფემ გადაწყვიტა სისხლისღვრის შეწყვეტა. მან დააკმაყოფილა აჯანყებულთა მოთხოვნები ქალაქიდან ჯარების გაყვანის შესახებ, დათანხმდა იმაზე, რომ მოქალაქეებისაგან შედგენილიყო ეროვნული გვარდია და თავშიშველი გამოვიდა იმ დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემად, რომელთა ნეშტს მიასვენებდნენ სასახლის წინ. შემდეგ ის დაპირდა ხალხს საყოველთაო კენჭისყრით არჩეულ

პარლამენტს, რომლის წინაშე მინისტრები პასუხისმგებელნი იქნებოდნენ, ნაფიც მსაჯულთა ღია სასამართლოს, კანონის წინაშე თანასწორობას და წოდებების გაუქმებას, პიროვნებისა და პრესის თავისუფლებას; ამავე დროს ფრიდრიხ ვილჰელმ IV მხარი დაუჭირა ეროვნულ გაერთიანებას: „პრუსია ამიერიდან ეკუთვნის გერმანიას“, — განაცხადა მან.

საყოველთაო კენჭისყრის საფუძველზე არჩეულმა ლანდტაგმა (ეროვნულმა კრებამ) ბერლინში მიიღო კონსტიტუცია, რომელიც 1830 წლის ივლისის საფრანგეთის მონარქიის კონსტიტუციის მსგავსი იყო, ოღონდ ქონებრივი ცენზის გარეშე; მოქალაქეებისაგან (ბიურგერებისაგან) შეიქმნა ეროვნული გვარდია, რომელიც იცავდა ხელისუფლებას რევოლუციონერებისაგან; კრებამ გაანთავისუფლა პრუსიის აღმოსავლეთ ოლქებში მცხოვრები გლეხები (მათი განთავისუფლება შეაჩერეს 1816 წ.) და ამით დაასრულა რეფორმები. ლანდტაგში საერთოდ არ განუხილავთ სოფლის მუშათა მდგომარეობა: მიწათმფლობელები საერთოდ წინააღმდეგნი იყვნენ ამ მხრივ რაიმე ცვლილებებისა, ხოლო ბიურგერები გულგრილად ეკიდებოდნენ ამ საქმეს. ამგვარად, პრუსიის უმეტეს ნაწილში შენარჩუნებულ იქნა მიწათმოქმედების ისეთი სისტემა, როგორიც ყალიბდებოდა XVIII საუკუნეში: მსხვილი და საშუალო სიდიდის მამულებს ამუშავებდნენ უმიწო დაქირავებული ადამიანები.

**ფრანკფურტის საერთოგერმანული პარლამენტი.** რევოლუცია პრუსიაში საერთოგერმანული მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო. პარიზის თებერვლის რევოლუციის გავლენით გერმანიის ყველა სახელმწიფოში ეწყობოდა მიტინგები, მოითხოვდნენ პრესის თავისუფლებას და საერთო პარლამენტს. საკავშირო სეიმი იძულებული იყო დაეკმაყოფილებინა საზოგადოების დიდი ნაწილის მოთხოვნა და დაენიშნა საერთო არჩევნები გერმანიის ყველა ოლქში, მათ შორის პრუსიაში და ავსტრიის დასავლეთ ნაწილში. სახალხო მოძრაობებით დაშინებული მთავრობები არ ეწინააღმდეგებოდნენ არჩევნებს.

ფრანკფურტში შეიკრიბა 600-მდე წევრისაგან შემდგარი პარლამენტი, რომელსაც უნდა მიეღო საერთოგერმანული კონსტიტუცია. პარლამენტარები განყენებულ საკითხებზე

მსჯელობდნენ, წარმოთქვამდნენ მაღალფარდოვან სიტყვებს; დებატებში ზოგჯერ დამსწრე საზოგადოებიდანაც ერთვებოდნენ.

საერთო გერმანული სახელმწიფოებრიობის მოწყობის პრობლემამ ფრანკფურტის პარლამენტში დიდი კამათი გამოიწვია; ყველა აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას; ნაციონალისტურად განწყობილ დეპუტატთა დიდ ნაწილს სურდა მხოლოდ გერმანელებით დასახლებული სახელმწიფოს შექმნა, მაშინ, როდესაც პრუსიაში და, განსაკუთრებით ავსტრიაში, სხვა ხალხებიც ცხოვრობდნენ. მეორე თავსატეხი საკითხი იყო ის, თუ რა ფორმით ჩამოყალიბდებოდა ახალი ეროვნული სახელმწიფო. პარლამენტში ბევრი რესპუბლიკელი იყო, მაგრამ ისინი არ შეადგენდნენ უმრავლესობას; ზომიერებს, რომლებიც ყველაზე მეტნი იყვნენ, უნდოდათ ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება სახალხო წარმომადგენლების მიერ არჩეული იმპერატორით სათავეში, რომლის ძალაუფლება მემკვიდრეობით გადავიდოდა. ამ საკითხის გადაჭრას ართულებდა პრუსიის მეფისა და ავსტრიის იმპერატორის მეტოქეობა — ორივეს გაერთიანებული გერმანიის იმპერატორობა უნდოდა; ამ ბრძოლაში ერთ-ერთის დამარცხება მოასწავებდა გერმანიაში მისი გავლენის დაკარგვას.

აღნიშნული საკითხის მოგვარებამდე გადაწყვიტეს შეექმნათ დროებითი მთავრობა ერთ-ერთი ავსტრიელი პრინცის მეთაურობით; ამ მთავრობას ეყოლებოდა ერთიანი არმია და არ ექნებოდა ერთიანი ბიუჯეტი. „ნაკლები ბოროტების“ პრინციპიდან გამომდინარე, გადაწყვიტეს იმპერატორად პრუსიის მეფის არჩევა; მაგრამ თვით პრუსიის მეფემ შექმნა ახალი წინააღმდეგობა: მას სურდა იმპერატორის გვირგვინი მიეღო „თანასწორთა“ — გერმანული სახელმწიფოების მეთაურთა ხელიდან და არა სახალხო წარმომადგენლებისაგან. მისი აზრით, დემოკრატთაგან თავის დახსნა მხოლოდ ჯარზე დაყრდნობით შეიძლებოდა. ამავე დროს, სამხრეთ გერმანულმა სახელმწიფოებმა და ავსტრიამ უარყვეს პარლამენტის მიერ შემუშავებული კონსტიტუცია. ბევრმა დეპუტატმა, როდესაც დარწმუნდა მშვიდობიანი გზით საერთო გერმანული საქმეების მოწესრიგების შეუძლებლობაში, დატოვა პარლამენტი; დარჩენილებმა გადაწყვიტეს მიემართათ ხალხისათვის და ეზრუნათ ახალი არჩევნების

მოწყობისათვის; სამხრეთ გერმანიაში რესპუბლიკელებმა მოაწყვეს აჯანყება გაერთიანებისა და კონსტიტუციისათვის.

**რევოლუცია ავსტრიაში. იტალიაში და გერმანულ სახელმწიფოებში რევოლუციის მთავარი ამოცანა იყო გაერთიანება და ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, ავსტრიაში კი პირიქით — იმპერიაში გაერთიანებული სხვადასხვა ეროვნების ხალხები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის.**

იმპერია ორ ძირითად ნაწილად იყოფოდა, საკუთრივ ავსტრიად, რომელსაც ეკავა ქვეყნის დასავლეთი და ჩრდილოეთი და უნგრეთად, რომელიც მოიცავდა აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილებს. თითოეულ მათგანში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ იმ ხალხებს, რომლებიც უმრავლესობას არ წარმოადგენდნენ, ავსტრიაში — გერმანელებს, უნგრეთში — მადიარებს. იტალიისა და გერმანიისაგან განსხვავებით, ავსტრიაში ეროვნულ აღორძინებას უკუპროცესები მოჰყვა: იქ ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები გაერთიანებისათვის იბრძოდნენ, აქ — ავსტრიაში განცალკევებისათვის, რომელსაც შეიძლებოდა იმპერიაც კი დაეშალა. ამიტომ მეტერნიხს ავსტრიის ერთიანობის საფუძვლად მიაჩნდა არსებული წყობის უცვლელად შენარჩუნება, საჯაროობის უარყოფა, ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერება. იოზეფ II მიერ დაწყებული საგლეხო რეფორმა, რომელიც შემდეგ თითქმის მთლიანად უარყო მისმა მემკვიდრემ, 60 წლის განმავლობაში შეჩერებულ იქნა. პოლიტიკური ხასიათის წიგნებს ავსტრიაში არ ბეჭდავდნენ და არც სხვა ქვეყნებიდან შემოტანის უფლებას იძლეოდნენ; ცენზურა პოლიციას დაუქვემდებარეს და მის თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა; ინტელიგენციას საიდუმლოდ მეთვალყურეობდნენ.

მადიარებს დაპირდნენ საერთო სეიმის აღდგენას. როდესაც სეიმი შეიკრიბა, მასში აღმოჩნდა თავადაზნაურთა პრივილეგიებისა და გლეხთა ფეოდალური ვალდებულებების შენარჩუნების ბევრი მომხრე; მაგრამ, ამასთანავე, იყვნენ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც მოითხოვდნენ კონსტიტუციას, პრესის თავისუფლებას და გლეხთა ფეოდალური ვალდებულებების გაუქმებას; ამ პარტიის სათავეში 30-იანი წლებიდან იდგა ახალგაზრდა ადვოკატი კოშუტი, პირველი მადიარული პოლიტიკური გაზეთის დამაარსებელი. ორივე

პარტია ერთხმად მოითხოვდა უნგრეთის გამოყოფას, მადიარული ენის სახელმწიფო ენად გადაქცევას და ეროვნული მთავრობის შექმნას.

1848 წ. მადიარებმა მოახერხეს სეიმის გადატანა სასაზღვრო ქალაქ პრესბურგიდან (ბრატისლავა) უნგრეთის ცენტრში — პეშტში; შეიკრიბა დამფუძნებელი კრება; დეპუტატები მოითხოვდნენ თავადაზნაურთა პრივილეგიების გაუქმებას; შექმნეს უნგრეთის დამოუკიდებელი მთავრობა და ჯარი, დაამყარეს დიპლომატიური კავშირები სხვა სახელმწიფოებთან.

ორივე რევოლუციამ, ავსტრიასა და უნგრეთში სლავი ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. აქამდე სლავებს შორის მოძრაობა წმინდა ლიტერატურულ ხასიათს ატარებდა, რომელიც მიზნად ისახავდა ეროვნული ისტორიული ძეგლების აღდგენას, მშობლიური ენის სიწმინდის დაცვას და გავრცელებას. ახლა კი, იგრძნეს რა მოსალოდნელი საფრთხე ავსტრიელებისა და უნგრელებისაგან, პოლიტიკური პრობლემებით დაინტერესდნენ. მადიარებს უნდოდათ თავიანთი ენისა და მმართველობის გავრცელება ყოფილი უნგრეთის სამეფოს მთელს ტერიტორიაზე; ხორვატები ამის წინააღმდეგი იყვნენ და სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვდნენ; ჩეხები იღწვოდნენ გერმანელების თანაბარი უფლებების მოპოვებისა და დამოუკიდებელი სლავური სახელმწიფოს შექმნისათვის; პრაღაში შეიქმნა ჩეხეთის ეროვნული გვარდია, რომელსაც გერმანულ პოლიციასთან შეჯახება მოუხდა. იქვე შეიკრიბა პანსლავისტთა (ე. ი. სლავების გაერთიანების მომხრეთა) კონგრესი.

გერმანიასა და ავსტრიაში რეაქცია ისევე სწრაფად დაიწყო, როგორც იტალიაში. თავდაპირველად რევოლუციურ გამოსვლებს აწყობდნენ რადიკალურად განწყობილი პატარ-პატარა ჯგუფები, რომლებიც მედგრად იბრძოდნენ პირველ შეტაკებებში, მაგრამ მათ ქვეყანაში არ ჰქონდათ ისეთი გავლენა, რომ ხელში აეღოთ ძალაუფლება ანდა თავიანთი ოპოზიციონერობით დიდხანს ჰყოლოდათ მთავრობები შიშის ქვეშ; ზომიერ-ლიბერალური პარტია ცუდად იყო ორგანიზებული და მთავრობასთან დაახლოების მიზნით თმობდა თავის პოზიციებს; კონსერვატორები, იმისათვის რომ შეენარჩუნებინათ

თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, ენერგიულად უჭერდნენ მხარს მთავრობას. ავსტრიაში გლეხები, მიწისა და თავისუფლების მოპოვების შემდეგ, ჩამოსცილდნენ რევოლუციას. მთავრობები მალე მოეგენ გონს და დაიწყეს დათმობილი პოზიციების დაბრუნება.

**რეაქცია ავსტრიასა და გერმანიაში.** ყველაზე ადრე რეაქცია დაიწყო ავსტრიაში. ვენის მთავრობა ეყრდნობოდა რეაქციონერ გენერლებს (რადეცკიმ დაიბრუნა იტალიელებისგან ლომბარდია) და მოხერხებულად იყენებდა სლავების სიძულვილს გერმანელებისა და მადიარების მიმართ. ჩეხმა თავადმა ვინდიშგრეცმა მიიღო დიქტატორული უფლებები, დაბომბა პრაღა, გარეკა პანსლავისტების კონგრესი და ჩეხეთის სეიმი; შემდეგ მიუახლოვდა ვენას და ქუჩის ბრძოლებში სასტიკად გაუსწორდა რევოლუციურ რაზმებს. მოკლეს გერმანელი დემოკრატი ბლუმი, რომელიც ჩამოვიდა იმისათვის, რომ ფრანკფურტის პარლამენტის სახელით მისალმებოდა ვენის რევოლუციას. მთავრობამ რაიხსტაგის სხდომები გადაიტანა პროვინციულ ქალაქში, ხოლო შემდეგ სამხედრო ძალით გარეკა დეპუტატები სხდომათა დარბაზიდან. აღსდგა აბსოლუტური მონარქია.

ამ წარმატებების შემდეგ, ვენის მთავრობამ არ სცნო კონსტიტუციური წყობა უნგრეთში, მაგრამ მადიარების დაჩოქება არ იყო ადვილი, რადგანაც მათ საკუთარი ჯარი ჰყავდათ. პეშტში სეიმმა გამოაცხადა ავსტრიისაგან სრული დამოუკიდებლობა, უნგრეთში დამყარდა რესპუბლიკა და მის პრეზიდენტად აირჩიეს კოშუტი (1849 წ. 2 მაისი). ავსტრიის იმპერატორმა ფრანც იოზეფმა რევოლუციის ჩასახშობად დახმარება სთხოვა ნიკოლოზ I. რუსეთის დიდი არმია (მარტო უნგრეთში 100000-ზე მეტი ჯარისკაცი გაგზავნეს) კარპატების გავლით შეიჭრა უნგრეთში და დაამარცხა მადიარების შედარებით სუსტი სამხედრო ძალები. კოშუტი თურქეთში გაიქცა. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გმირულად დაიღუპა გამოჩენილი უნგრელი პოეტი შანდორ პეტეფი. ავსტრიის მთავრობამ არაჩვეულებრივი სისასტიკე გამოიჩინა; სამხედრო სასამართლოებმა რევოლუციის ათასობით მონაწილეს მიუსაჯა სიკვდილი.

არანაკლები სიმკაცრით მოქმედებდა პრუსიის მეფე ფრიდრიხ ვილჰელმ IV. მან აკრძალა ყოველგვარი პოლიტიკური შეკრება,

შემოიღო საალყო წესები; განაიარაღა ბიურგერებისაგან შედგენილი ეროვნული გვარდია და სამხედრო ძალით გარეკა ეროვნული კრება (ლანდტაგი). შემდეგ ხალხის მიერ მიღებული კონსტიტუცია შეცვალა ახლით, რომლითაც მეფეს უფლება ეძლეოდა პარლამენტის გვერდის ავლით გამოეცა ბრძანებები; შეცვალა საარჩევნო დებულება: გააუქმა ფარული კენჭისყრა და მნიშვნელოვნად გაადიდა ქონებრივი ცენზი. ამან საშუალება მისცა მეფეს ჰყოლოდა მორჩილი პარლამენტი, რომლის წევრები ყველაფერზე თანახმა იყვნენ.

პრუსიის მთავრობამ ჩაახშო რევოლუციური გამოსვლები სხვა გერმანულ სახელმწიფოებშიც; ტყვეებს ექცეოდნენ ისე, როგორც ავსტრიაში. საველე სასამართლოების განაჩენით მათ ადგილზევე ხვრეტდნენ. ბევრმა თავს უშველა ამერიკაში, საფრანგეთში და ინგლისში გაქცევით.

პრუსიაში აღადგინეს ძველი წესები. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ წამყვან როლს ასრულებდნენ მსხვილი მიწათმფლობელები, დაიწყეს პროგრესულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლების შევიწროება უნივერსიტეტებში.

ავსტრიის ძალისხმევით აღსდგა გერმანიის კავშირი. ფრანკფურტში ხელახლა შეიკრიბნენ სეიმზე გერმანულ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მათ გააუქმეს 1848 წ. რევოლუციის შედეგად მოპოვებული ზოგიერთი დემოკრატიული მონაპოვარი და ცალკეულ სახელმწიფოთა მეთაურებს მოსთხოვეს კონსტიტუციიდან ამოეგდოთ ის მუხლები, რომლებშიც ლაპარაკი იყო საყოველთაო საარჩევნო უფლებებზე, აგრეთვე ჯარისკაცთა ფიცზე, კონსტიტუციის ერთგულებაზე; გაამკაცრეს ცენზურა და დაიწყეს დამოუკიდებელი შეხედულებების მქონე ადამიანთა ქვეყნიდან გაძევება. 50-იან წლების გერმანიაში ემიგრაციამ უმაღლეს დონეს მიაღწია.

**ამგვარად, 1848-1849 წწ. რევოლუციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში და ავსტრიაში მარცხით დამთავრდა და, ცხადია, გადაუჭრელი დარჩა მათ წინაშე მდგომი ძირითადი ამოცანები: გერმანია და იტალია კვლავ გაუერთიანებელი რჩებოდნენ, ავსტრიის იმპერია არ დაშლილა ცალკეულ სახელმწიფოებად, არც საფრანგეთში უარსებია დიდხანს მეორე რესპუბლიკას.**

# თავი VII. «აღმოსავლეთის საკითხი» 50-60-იან წლებში

XVIII ს. მიწურულიდან ვიდრე XX ს. დასაწყისამდე „აღმოსავლეთის საკითხი“[23] პერიოდულად ამოტივტივდებოდა ხოლმე საერთაშორისო ურთიერთობათა ასპარეზზე. ეს იყო საკითხი იმის შესახებ, თუ ვის უნდა დარჩენოდა დასაშლელად გამზადებული ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიები, განსაკუთრებით მისი ევროპული სამფლობელოები. ამ ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეჯახებოდნენ რუსეთის, საფრანგეთის, ავსტრიის (1867 წლიდან ავსტრია-უნგრეთის), დიდი ბრიტანეთის და პრუსიის (1871 წლიდან გერმანიის იმპერიის) ინტერესები.

**ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგობები დუნაის სამთავროების გამო.** 1848-1849 წწ. რევოლუციებმა დროებით გადადო აღმოსავლეთის საკითხი. 50-იან წლებში იგი კვლავ მოექცა ევროპის სახელმწიფოთა ყურადღების ცენტრში.[24] ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის თანდათანობით მწვავდებოდა ურთიერთობები მეფის რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ჯერ კიდევ 1848 წ. მეფემ გამოიყენა კონტრრევოლუციური ინტერვენცია დუნაის სამთავროებში (მოლდავეთი, ვლახეთი) მათზე რუსეთ-თურქეთის ერთობლივი კონტროლის დასამყარებლად.

1849 წლის აპრილში რუსეთისა და თურქეთის მიერ ხელმოწერილი ბალტია-ლიმანის კონვენცია რეაქციული ხასიათის იყო: იგი აუქმებდა სამთავროების მმართველთა არჩევითობას და

---

[23] ტერმინი „აღმოსავლეთის საკითხი“ პირველად გამოიყენეს საღეთო კავშირის ვერონის კონგრესზე (1822), როდესაც განიხილავდნენ საკითხს 1821-1829 წლებში თურქეთის წინააღმდეგ საბერძნეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების შედეგად ბალკანეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ;

[24] ქართველი საზოგადო მოღვაწენი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ აღმოსავლეთის საკითხისადმი. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ, თუ ამ პრობლემის გადასაწყვეტად დაიწყებოდა ომი, აზიაში ომის ერთ-ერთ ასპარეზად იქცეოდა საქართველოს ტერიტორია, კერძოდ გურიისა და ოსმალეთის საქართველოს მომიჯნავე ზონა; ამას გარდა, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში იმედოვნებდნენ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას.

აწესებდა მთავრებად სულთანის მიერ მემამულეების (ბოიარების) დანიშვნას. მათი კანდიდატურები სულთანს რუსეთის მეფესთან უნდა შეეთანხმებინა.

კონვენცია გამორიცხავდა დასავლეთის სახელმწიფოების მხრიდან სამთავროების საშინაო საქმეებში ჩარევას, რამაც საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მათ სურდათ მოლდავეთისა და ვლახეთის დამორჩილება. ორივე ეს სამთავრო იყო ხორბლის მთავარი მიმწოდებლები დასავლეთ ევროპაში და ისინი, ამასთანავე, შეიძლებოდა ინგლისისა და საფრანგეთის საქონლის გასაღების კარგ ბაზრად ქცეულიყვნენ. ბრიტანეთის მთავრობა სამთავროებში თურქეთის ხელისუფლების მხარდაჭერას ცდილობდა და აქეზებდა მას რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო საფრანგეთი მფარველობდა მოლდავეთსა და ვლახეთში ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ადგილობრივ ბურჟუაზიას. სამთავროებზე გავლენის მოპოვებისათვის ევროპის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე მათი მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა. ბალტია-ლიმანის კონვენციამ ეს საკითხი რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა, რამაც ავსტრიის უკმაყოფილება გამოიწვია. მას არ სურდა რუსეთის ბატონობის დამყარება დუნაის ქვემო წელზე.

**თურქეთში მყოფი პოლონელი და უნგრელი ემიგრანტების საკითხი.** 1848 წ. შემოდგომაზე რუსეთსა და ავსტრიას მწვავე კონფლიქტი ჰქონდათ თურქეთთან იმ უნგრელი და პოლონელი რევოლუციონერი ემიგრანტების საკითხის შესახებ, რომლებიც თურქეთს აფარებდნენ თავს. საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით ავსტრიის კანცლერმა შვარცენბერგმა და ნიკოლოზ I თავხედურად მოითხოვეს მათი გადმოცემა, რითაც თურქეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს.

უნგრელი და პოლონელი რევოლუციონერების ბედი თავისთავად არაფრად არ აინტერესებდათ ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებს, მაგრამ პალმერსტონმა და ლუი ნაპოლეონმა ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით იმისათვის, რომ შეერყიათ მეფის რუსეთის პოზიციები და განემტკიცებინათ თავიანთი გავლენა თურქეთში. მათ მოსთხოვეს სულთანს, რომ არ დაეკმაყოფილებინა რუსეთისა და ავსტრიის

მოთხოვნა. ინგლისის მთავრობამ თავისი ესკადრა დარდანელის სრუტეში შეიყვანა, რითაც მან დაარღვია 1841 წ. ლონდონის კონვენცია, რომელიც კრძალავდა მშვიდობიანობის დროს სრუტეებში სამხედრო გემების შეყვანას. რუსეთის ფლოტის მიერ ბოსფორის დაკავების საშიშროებამ აიძულა პალმერსტონი ებრძანებინა ინგლისის გემებისათვის სრუტეების დატოვება. ამის შემდეგ სულთანი იძულებით დათმობაზე წავიდა: იგი დაკმაყოფილდა თურქეთიდან პოლონელი ემიგრანტების გამოძევებით და უარი თქვა მათი რუსეთის პოლიციისათვის გადაცემაზე. ავსტრიის მთავრობასაც, რომელიც მოითხოვდა უნგრელი და პოლონელი ემიგრანტების გადმოცემას, მოუხდა თავის პრეტენზიებზე უარის თქმა.

**აღმოსავლეთის საკითხი 50-იანი წლების დასაწყისში.** ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის გამწვავებას ხელი შეუწყო საბერძნეთში გავლენის მოპოვებისათვის ბრძოლამ. 30-იანი წლებიდან ეს ქვეყანა სამი სახელმწიფოს — ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ინგლისის მთავრობა ყოველნაირად ცდილობდა შეერყია მეფის რუსეთის გავლენა არა მარტო თურქეთში, არამედ საბერძნეთშიც და მთლიანად დაექვემდებარებინა იგი თავისი პოლიტიკისათვის. გამოიყენა რა ინგლისის ქვეშევრდომის პასიფიკოს საქმე, რომლის სახლი ათენში დაარბიეს, ინგლისის მთავრობამ ულტიმატუმი წაუყენა საბერძნეთს მიყენებულ ზარალზე მრავალჯერ მეტი თანხის დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნით. ბრიტანეთის გემებმა ალყაში მოაქციეს პირეოსი და ხელში ჩაიგდეს საბერძნეთის სავაჭრო გემები. ნიკოლოზ I მთავრობამ პროტესტი განაცხადა საბერძნეთში ინგლისის ამგვარი მოქმედების გამო. ამჯერად, საფრანგეთიც გამოვიდა ბრიტანეთის პრეტენზიების წინააღმდეგ. ლუი ნაპოლეონს არ სურდა საბერძნეთის გადაქცევა მხოლოდ ინგლისის მარიონეტად და ამიტომ დაემუქრა საბერძნეთის მთავრობას დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტით, თუ იგი დააკმაყოფილებდა ინგლისის მოთხოვნებს. პალმერსტონმა დაუთმო საფრანგეთის მთავრობას და შეუთანხმდა მას თავისი მოთხოვნების შემსუბუქების შესახებ. იონიის კუნძულებზე ბრიტანეთის ფლოტმა ჩაახშო სახალხო აჯანყება. ინგლისი მხარს უჭერდა ბალკანეთზე თურქეთის ბატონობას.

1850 წ. წარმოიშვა კონფლიქტი ე. წ. „ქრისტეს საფლავის გასაღებების“ შესახებ. თავისთავად ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ის გახდა საბაბი ახლო აღმოსავლეთში ბატონობისათვის ევროპის სახელმწიფოებს შორის ბრძოლის შემდგომი გამწვავებისათვის.

XVI საუკუნიდან კათოლიკური სამღვდელოება სარგებლობდა თურქეთში განსაკუთრებული პრივილეგიებით. ერთ დროს იგი ასრულებდა „ქრისტეს საფლავის გასაღებების“, ე. ი. იერუსალიმში ყველაზე ცნობილი, ქრისტიანებისათვის სათაყვანებელი ეკლესიებისა და სამლოცველოების მცველის როლს. ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები თითქმის ყველა ქრისტიანი მართლმადიდებლობას აღიარებდა. კათოლიკები ოსმალეთში მცირერიცხოვანნი იყვნენ. მართლ-მადიდებელმა სამღვდელოებამ, კათოლიკების მხრიდან ყოველგვარი პროტესტის გარეშე, XVIII საუკუნეში თვითონ აიღო ხელში რელიგიური დანიშნულების ადგილების ზედამხედველობა. ასეთი მდგომარეობა იყო 1850 წლამდე, როდესაც საფრანგეთმა მოითხოვა აღნიშნული წმ. ადგილების კათოლიკებისათვის გადაცემა. ამ მოთხოვნით ლუი ნაპოლეონი ცდილობდა ოსმალეთის იმპერიის მართლმადიდებელ მოსახლეობაზე მეფის რუსეთის გავლენის შემცირებას და კათოლიკური სამღვდელოების თვალში თავისი პრესტიჟის აწევას.

საფრანგეთისა და ინგლისის ზეწოლით 1853 წ. სულთანმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ქრისტიანების წმ. ადგილები იერუსალიმსა და მის შემოგარენში კათოლიკური სამღვდელოების ხელში გადადიოდა. ზოგიერთი ისტორიკოსი იმდენად აზვიადებდა „წმ. ადგილების“ გამო ატეხილი დავის მნიშვნელობას, რომ მას ყირიმის ომის ძირითად მიზეზადაც კი მიიჩნევდა. სინამდვილეში კი ამ ომის მიზეზები გაცილებით უფრო ღრმა იყო და მდგომარეობდა იმაში, რომ გამწვავდა წინააღმდეგობები ახლო აღმოსავლეთში მეფის რუსეთსა და სხვა სახელმწიფოებს შორის, განსაკუთრებით კი კონსტანტინოპოლში და სრუტეებზე ბატონობისათვის.

**ცარიზმის აგრესიული და რეაქციული მიზნები. თურქეთის წინააღმდეგ რუსეთის მიერ ომის დაწყება.** ნიკოლოზ I და რუსი

მემამულეების რეაქციული ნაწილი ემზადებოდნენ რუსეთის სამხედრო-ფეოდალური და ვაჭართა ზედაფენის ინტერესებისათვის ახლო აღმოსავლეთში გადამწყვეტი ბრძოლის დასაწყებად. 1853 წ. ნიკოლოზ I სცადა მოლაპარაკებების დაწყება ბრიტანეთის ელჩთან სეიმურთან თურქეთის დანაწილების შესახებ. ბრიტანეთის მთავრობას არ სურდა იმ უპირატესობების დაკარგვა, რომლებიც ფაქტიურად უზრუნველყოფდნენ ინგლისის გავლენას კონსტანტინოპოლში და ამიტომ უყურადღებოდ დატოვა მეფის მიერ შეთავაზებული წინადადებები. მაშინ მეფის მთავრობამ შეცვალა თავისი ტაქტიკა. დროებით გადადო რა საკითხი თურქეთის დანაწილების შესახებ, მეფემ განიზრახა ამ პრობლემის ჯიქურ გადაწყვეტა და ულტიმატუმის ფორმით მოსთხოვა სულთანს, რომ მას ეცნო რუსეთის განსაკუთრებული და უპირატესი უფლებები. ეძებდა რა საბაბს ომისათვის, ნიკოლოზ I მოითხოვა არა მარტო მართლმადიდებელთა წმ. ადგილები იერუსალიმში, არამედ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქრისტიანების საქმეებში ჩარევის უფლებაც.

ცარიზმის ამ პრეტენზიებს წინაღუდგნენ ინგლისი და საფრანგეთი. მათი წარმომადგენლების რჩევით სულთანმა უარი განაცხადა მეფის იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, რომლებითაც 1853 წ. იანვარში ჩავიდა კონსტანტინოპოლში მეფის ელჩი მენშიკოვი. ივლისში მეფის ჯარებმა დაიკავეს მოლდავეთი და ვლახეთი. ოქტომბერში თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს, ხოლო 1853 წ. 30 ნოემბერს რუსეთის ფლოტმა ადმირალ ნახიმოვის ხელმძღვანელობით სინოპის ყურეში სამსაათიანი ბრძოლის შემდეგ გაანადგურა თურქეთის ესკადრა. ამის საპასუხოდ ინგლის-საფრანგეთის გაერთიანებული ფლოტი შევიდა შავ ზღვაში იმ მიზნით, რომ რუსეთის გემებისათვის არ მიეცა თავისუფალი მოქმედების საშუალება.

ნაპოლეონ III პირად წერილში გამოთქმულ მოწოდებაზე, დაუყოვნებლივ დაედო რუსეთს დროებითი ზავი თურქეთთან და გამოეყვანა თავისი ჯარები სამთავროებიდან, რვა თებერვალს ნიკოლოზმა უარით უპასუხა და განაცხადა: „რუსეთი შესძლებს 1854 წ. თავი აჩვენოს ისე, როგორიც ის იყო 1812 წელს.“ 27

თებერვალს პარიზისა და ლონდონის კაბინეტებმა მოითხოვეს არაუგვიანეს 30 აპრილისა რუსეთის ჯარების გამოყვანა დუნაის სამთავროებიდან. ამ მოთხოვნას 18 მარტს ნესელროდემ უპასუხა: მეფემ საჭიროდ არ მიიჩნია თქვენს წინადადებაზე პასუხის გაცემაო. ამის შემდეგ, 27 მარტს ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთს ოფიციალურად გამოუცხადეს ომი.

**კონსტანტინოპოლის და ლონდონის ტრაქტატები. ვენის ოქმი.** 12 მარტს ინგლისმა და საფრანგეთმა კონსტანტინოპოლში ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას თურქეთთან. ორივე სახელმწიფო ვალდებულებას იღებდა დაეცვათ ის იარაღით ზავის დადებამდე, რომელიც შეუნარჩუნებდა ოტომანთა იმპერიას დამოუკიდებლობას. სამაგიეროდ თურქეთს უნდა ჩაეტარებინა ისეთი რეფორმები, რომლებიც მის ქვეშევრდომებს, რელიგიური მრწამსის განურჩევლად, უზრუნველყოფდა კანონისა და სასამართლოს წინაშე თანაბარი უფლებებით, მისცემდა მათ ყველა თანამდებობის დაკავებისა და თანაბარი გადასახადების გადახდის გარანტიას.

10 აპრილს ინგლისმა და საფრანგეთმა ლონდონში ხელი მოაწერეს ოქმს, რომლის მიხედვით ისინი აცხადებდნენ, რომ არ დაიწყებდნენ რუსეთთან სეპარატისტულ მოლაპარაკებებს, არ შეეცდებოდნენ ამ ომში ცალმხრივი სარგებლის მოპოვებას და შეაკავებდნენ საბერძნეთს მოუფიქრებელი მოქმედებებისაგან.

ცოტა ხნით ადრე საფრანგეთის, ინგლისის, ავსტრიისა და პრუსიის წარმომადგენლებმა ვენაში ხელი მოაწერეს ძალიან მნიშვნელოვან ოქმს, რომელმაც განსაზღვრა მომავალი მოლაპარაკებების ძირითადი პრინციპები და პირობები. სახელდობრ: ოტომანთა იმპერიის ხელშეუხებლობა, სამთავროების ევაკუაცია, სულთანის დამოუკიდებლობა, რომელსაც თავისი ნებით უნდა ებოძებინა ქრისტიანი ქვეშევრდომებისათვის აუცილებელი თავისუფლებები და პრივილეგიები. სახელმწიფოები ვალდებულებას იღებდნენ ემოქმედათ ერთობლივად წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად და არ დაედოთ რუსეთთან არცერთი შეთანხმება ერთმანეთის დაუკითხავად. ამ ოქმს დიდი მორალური მნიშვნელობა ჰქონდა: იგი აფიქსირებდა რუსეთის იზოლირებულ მდგომარეობას

(რუსეთი ამ ომში იზოლირებული იყო, რადგანაც სახელმწიფოებს არ მოსწონდათ მისი ჟანდარმული როლი ევროპაში).

**ავსტრიის მოთხოვნა დუნაის სამთავროებიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის შესახებ (1854).** მეფეს ავსტრიის მხარდაჭერის და იმის იმედი ჰქონდა, რომ ინგლისი და საფრანგეთი ვერ შეთანხმდებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებისათვის. მაგრამ ეს ვარაუდები არ გამართლდა. ავსტრიის მთავრობა ძალზე გაღიზიანებული იყო რუსეთის ჯარების მიერ დუნაის სამთავროების დაკავების გამო. ავსტრიის იმპერიისათვის დუნაი მნიშვნელოვანი სავაჭრო არტერია იყო. სამთავროებზე და დუნაის შესართავზე კონტროლს ავსტრიის მმართველი წრეები თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ. ამიტომ ავსტრიამ 80 ათასიანი ჯარი გაგზავნა სამთავროების საზღვრებისაკენ, რუსული კორპუსების ზურგში. 1854 წ. 16 ივლისს ფრანც იოზეფმა მეფეს წაუყენა ულტიმატუმი მოლდავეთისა და ვლახეთის განთავისუფლების მოთხოვნით. პრუსიამ მას მხარი დაუჭირა. რუსეთის ჯარების მდგომარეობას სამთავროებში კიდევ უფრო ართულებდა მეფის ზოგიერთი გენერლისა და მრჩევლების უმეცრება, სიჩლუნგე და უნიჭობა. მოკავშირეების 50 ათასიანი ჯარის ვარნაში გადასხმის შემდეგ გამარჯვებაზე ფიქრი უკვე აღარ შეიძლებოდა. რუსეთის არმიამ დატოვა დუნაის სამთავროები, რომლებიც სულ მალე ავსტრიელებმა დაიკავეს. ომმა რუსეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა.

**მოკავშირეების გადასხმა ყირიმში.** რუსეთის სამხრეთში მეფის მთავრობას საკმაო რაოდენობით ჯარი არ ჰყავდა. პოლონეთში მოსალოდნელი აჯანყების გამო მუდმივი შიში და ბალტიის ზღვიდან დედაქალაქის სიახლოვეს ინგლისისა და საფრანგეთის თავდასხმის საშიშროება აიძულებდა მას რუსეთის არმიის მთავარი ძალები ჩრდილო-დასავლეთ საზღვრებზე ჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლებოდა ყირიმისათვის დროული დახმარების გაწევა რომ არა დანაშაულებრივი დაუდევრობა და სამხედრო შეცდომები მთავარი საზღვაო შტაბის უფროსის მენშიკოვისა და უმაღლესი მთავრსარდლობის სხვა წარმომადგენლების მხრიდან. ომის დასაწყისში რუსეთს ყირიმში სულ 36000 ჯარისკაცი ჰყავდა (700 ათასიდან).

1854 წ. სექტემბერში მოკავშირეებმა ყირიმის ნახევარკუნძულზე 62 ათასი კაცისაგან შემდგარი დესანტი გადმოსხეს.

ფეოდალური რუსეთის უკიდურესი ჩამორჩენილობა აშკარად გამოჩნდა მეფის არმიის ცუდ შეიარაღებაში. ზარბაზნებისა და თოფების ტექნიკური ხარვეზები, საბრძოლო მასალების სიმცირე, ორთქლის სამხედრო გემების არქონა, ინტენდანტური სამსახურის კორუმპირებულობა ზღუდავდნენ რუსეთის არმიისა და ფლოტის მოქმედებებს. არანაკლები უარყოფითი გავლენა ჰქონდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბევრი წარმომადგენლის სრულ მოუმზადებლობას და უმეცრებას.

მოკავშირეებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ შეაირაღებისა და ჯარისკაცთა რაოდენობის მხრივ. მათ ჰქონდათ შორსმსროლელი ქვემეხები, აგრეთვე ხრახნიანი თოფები, რომლებიც უფრო შორს და ზუსტად ისროდნენ, ვიდრე რუსული თოფები. ორთქლისძრავიანი ფლოტის საშუალებით მოკავშირეები დროულად ამარაგებდნენ თავიანთ ჯარებს, რუსეთის არმიების მომარაგება კი ძნელდებოდა შიდა გზების უვარგისობის გამო.

რუსეთის არმიამ დაიხია სევასტოპოლიდან ყირიმის ნახევარკუნძულის სიღრმეში. სევასტოპოლის დაცვა დაევალათ მის გარნიზონს და სევასტოპოლის ყურეში ჩაძირული გემების ეკიპაჟებს. ისინი 11 თვის განმავლობაში იცავდნენ ქალაქს.

**სარდინიის ჩაბმა ომში (1854-1855).** 1854 წ. 2 დეკემბერს ავსტრიამ ხელი მოაწერა სამოკავშირეო ხელშეკრულებას დასავლეთის ქვეყნებთან და თურქეთთან. ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა ავსტრიის დაუყოვნებლივ ჩაბმას ომში, მაგრამ მიუთითებდა, რომ თუ 1855 წ. 1 იანვრამდე რუსეთი არ წავიდოდა დათმობაზე, მაშინ ავსტრია კოალიციაში მონაწილე სახელმწიფოებთან ერთად განახორციელებდა საჭირო ღონისძიებებს იმისათვის, რომ რუსეთი აეძულებინა დაედო ზავი. ამ ხელშეკრულებით ავსტრიის მთავრობას უნდოდა საფრანგეთის გულის მოგება, რათა ნაპოლეონ III მის წინააღმდეგ არ დაახლოვებოდა სარდინიას.

საფრანგეთის იმპერატორმა შესძლო სარდინიის სამეფო მოკავშირედ გაეხადა. იმედოვნებდნენ რა მომავალში საფრანგეთის

მხარდაჭერაზე ავსტრიელებისაგან იტალიის გასათავისუფლებლად, მეფე ვიტორიო ემანუილ II და მისი მინისტრი კავური ყოველნაირად ცდილობდნენ ესიამოვნებინათ ნაპოლეონისათვის. **1855 წ. იანვარში კავურმა 15 ათასიანი კორპუსი გაგზავნა ყირიმში.** მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ავადმყოფობამ იმსხვერპლა.

**1856 წ. პარიზის ზავი.** მას შემდეგ, როცა უკვე აშკარა გახდა შემდგომი წინააღმდეგობის უპერსპექტივობა, 1855 წ. 8 სექტემბერს სევასტოპოლი დატოვეს რუსეთის ჯარებმა. მართალია, ამის შემდეგ მათ აიღეს თურქეთის მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ყარსი, მაგრამ ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. რუსეთი დამარცხდა.

1856 წ. იანვარში მოკავშირეებმა ავსტრიასთან ერთად ზავის პირობები წაუყენეს მეფეს. მეფის მთავრობა კომპრომეტირებული იყო. თვითმყრობელურ-ფეოდალურმა წყობამ გამოააშკარავა თავისი სიდამპლე. ფინანსური რესურსები ამოიწურა. ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლები ძლიერდებოდა. ალექსანდრე II, რომელმაც ნიკოლოზ I გარდაცვალების (1855) შემდეგ დაიკავა ტახტი, იძულებული იყო მიეღო თავისი მოწინააღმდეგეების ულტიმატუმი.

იმ მოტივით, რომ საფრანგეთმა წამყვანი როლი შეასრულა ყირიმის ომში, ზავის დასადებად კონგრესი შეიკრიბა პარიზში. იგი გაიხსნა 1856 წლის 25 თებერვალს. თავმჯდომარეობდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **გრაფი ვალევსკი.** პარიზში ხელმოწერილი ზავი ითვალისწინებდა თურქეთის იმპერიაში და დუნაის სამთავროებში მცხოვრები ქრისტიანების დაცვას ევროპის სახელმწიფოთა საერთო ძალებით. ფაქტიურად ეს იმას ნიშნავდა, რომ ახლო აღმოსავლეთში უპირატესი გავლენა ექნებოდათ ინგლისსა და საფრანგეთს.

რუსეთისათვის ყველაზე მძიმე და დამამცირებელი იყო ზავის ის მუხლები, რომლებიც უკრძალავდნენ მას შავ ზღვაზე ფლოტის ყოლას და აიძულებდნენ გადაეცა მოლდავეთის სამთავროებისათვის დუნაის შესართავი და სამხრეთი ბესარაბია. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ჩამოაშორეს რუსეთი დუნაის აუზს. მოკავშირეებმა თურქეთსაც აუკრძალეს შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა, სევასტოპოლი დარჩა რუსეთს, მაგრამ ყარსიდან მისი ჯარები გამოიყვანეს. ასეთი იყო პარიზის ზავის ძირითადი პირობები.

ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის პოლიტიკა პარიზის ზავის შემდეგ. ყირიმის ომის ისტორიული მნიშვნელობა სცილდება პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულების პირობებს, მოკავშირეებს გამარჯვება ძვირად დაუჯდათ. ომის დამთავრება დააჩქარა უთანხმოებამ ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ცარიზმთან სასწრაფო კომპრომისისათვის დასავლეთის ქვეყნებს უბიძგებდა, აგრეთვე, ევროპაში რევოლუციური მოძრაობების მოსალოდნელი აღმავლობა.

დამარცხებამ დაასუსტა მეფის რუსეთი. მისი საერთაშორისო როლი და ევროპის საგარეო პოლიტიკაზე გავლენა შესუსტდა, მეფის რუსეთი იძულებული იყო დაეწყო მზადება ბატონყმობის გაუქმებისათვის. ყირიმის ომის შემდეგ ცარიზმის საერთაშორისო როლის დაკნინებას მოჰყვა ინგლისის, საფრანგეთის, შემდეგ კი პრუსიის გავლენის ზრდა საერთოევროპულ საქმეებში.

პარიზის ზავმა დიდი ხნით გაამწვავა ურთიერთობები, ერთი მხრივ, რუსეთსა და მეორე მხრივ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის. ყირიმის ომის შედეგებით თავდაპირველად ევროპაში ყველაზე მეტად საფრანგეთმა ისარგებლა. ნაპოლეონ III გამარჯვება გამოიყენა თავისი რეაქციული დიქტატურის განსამტკიცებლად და „ევროპის ჟანდარმის" როლი ცარიზმიდან ნაწილობრივ მეორე იმპერიაზე გადავიდა. სარგებელი ნახეს, აგრეთვე, ინგლისის მსხვილმა ბურჟუაზიამ და იუნკრულ-ბურჟუაზიულმა პრუსიამ.

50-60-იან წლებში ინგლისის მსოფლიო-ეკონომიკურმა წარმატებებმა კულმინაციურ პუნქტს მიაღწია. ინგლისის ბურჟუაზია ცდილობდა თავისი გავლენისათვის დაექვემდებარებინა არა მარტო ოსმალეთის იმპერია, არამედ ირანი, ავღანეთი და ჩინეთი. მაგრამ აზიაში დიდი ბრიტანეთის აგრესიული მისწრაფებები ეჯახებოდნენ ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას.

1854 წლიდან მეფის მთავრობა დგამს გადამწყვეტ ნაბიჯებს შუა აზიის დასაპყრობად, რუსეთის წინსვლა აზიაში ხელს უწყობდა ინგლის-რუსეთის ანტაგონიზმის შემდგომ გამწვავებას და, ამასთანავე, აცილებდა რუსეთს ევროპისაგან, ყირიმის ომში გამარჯვებამ ხელები გაუხსნა ინგლისსა და საფრანგეთს აზიის აღმოსავლეთში დაპყრობითი ომების წარმოებისათვის, 1857-1858 წწ. ინდოეთის ეროვნული

მოძრაობის ჩახშობამ, 1856-1860 და 1860 წწ. ომებმა ჩინეთში კიდევ უფრო განამტკიცეს ინგლისის კოლონიური წარმატებები. ჩინეთში ინგლისელები და ფრანგები ერთობლივად აწარმოებდნენ სამხედრო მოქმედებებს. 1862-1864 წწ. ამ ქვეყნებმა განახორციელეს კონტრრევოლუციური ინტერვენცია ჩინეთში ტაიპინების წინააღმდეგ. მასში მონაწილეობას იღებდნენ ამერიკელი ოფიცრები.

ყირიმის ომის შედეგად ინგლისისა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა მიაღწიეს თავიანთ მიზანს — დაამყარეს თავიანთი ბატონობა ახლო აღმოსავლეთში. კავკასიაში ინგლისისა და თურქეთის მთავრობები ცდილობდნენ თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენებინათ მიურიდიზმი. რუსეთის დასუსტებამ, შავი ზღვის ნეიტრალიზაციამ და თურქეთის დამოკიდებულმა მდგომარეობამ მისცეს საშუალება ინგლისს დაუბრკოლებლად ეწარმოებინა ვაჭრობა და ექსპლუატაცია გაეწია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის.

60-იან წლებში კავკასიასა და აზიაში ცარიზმი აქტიურ ტერიტორიულ ექსპანსიას აწარმოებდა. ამით იგი ცდილობდა რევანში აეღო ყირიმის ომში დამარცხებისათვის და იპყრობდა ახალ ბაზრებს და მიწებს. 1858-1860 წწ. შემოიერთა ამურისპირეთი და უსურიის მხარე, 1864 წ. დაიმორჩილა ჩრდილოეთ კავკასია.

რუსეთის დიპლომატია 1856 წლის შემდეგ მთავარ მიზნად ისახავდა პარიზის ზავის გაუქმებას. ამისათვის ალექსანდრე II მთავრობა ცდილობდა ავსტრიის დასუსტებას და საფრანგეთთან დაახლოებას.

# თავი VIII. იტალიის გაერთიანება

XVIII საუკუნეში იტალიაში იყო ათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამეფო, სამთავრო, საჰერცოგო, არისტოკრატიული რესპუბლიკა და სასულიერო სამთავრო. ამათგან ერთს, სარდინიის სამეფოს, რომელიც შედგებოდა სავოიის, პიემონტისა და კუნძულ სარდინიისაგან, მართავდა ადგილობრივი დინასტია,[25] დანარჩენებს ავსტრიელი ჰაბსბურგები ან ბურბონები. ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით XVIII ს. მეორე ნახევრიდან, როდესაც ქვეყანა თანდათანობით გადადიოდა ფეოდალიზმიდან კაპიტალისტურ ურთიერთობებზე, იტალიელ ხალხში ძლიერდება გაერთიანებისკენ ლტოლვა.

ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის სპეციფიკა იტალიაში ვლინდებოდა იმაში, რომ აქ პროგრესულ საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლა ფეოდალურ-აბსოლუტური რეჟიმების წინააღმდეგ მჭიდროდ უკავშირდებოდა ეროვნული განთავისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას.

იტალიის მიწების ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებისათვის ბრძოლის მთელ იმ პერიოდს, როდესაც ეს ბრძოლა მიმდინარეობდა, უწოდებენ რისორჯიმენტოს — „განახლებას", „აღორძინებას" (გულისხმობდა იტალიის ეროვნული ერთიანობის დამყარებას).

ეს მოძრაობა დაიწყო ნაპოლეონის ომების დროს, როდესაც იტალიაში შეიქმნა საფრანგეთზე დამოკიდებული რამდენიმე რესპუბლიკა. ქვეყანაში ფართოდ ვრცელდებოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის იდეები და ეროვნული განთავისუფლებისა და გაერთიანების მოთხოვნები. იტალიის ბურჟუაზიის, მემამულეებისა და ინტელიგენციის რადიკალურად განწყობილი ნაწილი აღსდგა საფრანგეთის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ ბრძოლის გაძლიერების გამოხატულება იყო ის, რომ XIX საუკუნის დასაწყისში

[25] 1702 წლის ლონდონის შეთანხმებით სავოიის ჰერცოგმა ვიტორიო ამადეო II თავის სამფლობელოს შეუერთა კუნძული სარდინია და გახდა ახლად შექმნილი სარდინიის სამეფოს მეფე. ამ სახელმწიფომ, რომელმაც 140 წელი იარსება, მთავარი როლი შეასრულა იტალიის გაერთიანებაში.

ქვეყანაში შეიქმნა კარბონართა ფარული ორგანიზაციები, რომლებშიც გაერთიანებულნი იყვნენ ბურჟუაზიის, ოფიცერთა, ჯარისკაცთა, ლიბერალურად განწყობილ თავადაზნაურთა, გლეხთა და ქალაქის დაბალი ფენების წარმომადგენლები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში. გამოიკვეთა რისორჯიმენტოს ორი მიმდინარეობა: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და ლიბერალური. პირველის მეთაური იყო ჯუზეპე მაძინი; მან 1831 წელს მარსელში შექმნა ფარული პატრიოტული საზოგადოება „ახალგაზრდა იტალია". მანვე 1832 წელს გამოსცა ჟურნალი „ახალგაზრდა იტალია", რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია იტალიელ ხალხში ეროვნული თვითშეგნების ფორმირების საქმეში. მაძინისტების მიერ მოწყობილი არაერთი სახალხო გამოსვლა მარცხით დამთავრდა.

XIX საუკუნის 40-იან წლებში სარდინიის სამეფოში ჩამოყალიბდა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიბერალური მიმართულება. მის მომხრეებს მეფის კარლო ალბერტის სახელის მიხედვით „ალბერტისტები" ეწოდათ. მათ სურდათ მონარქიულ საფუძველზე იტალიის გაერთიანება.

XIX საუკუნის 30-40-იან წლებში იტალიის ცალკეულ სახელმწიფოებში მიმდინარეობს კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება. ამ პროცესს თან ემთხვეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა. 1848 წელს იტალიაში დაიწყო რევოლუცია, რომლის მთავარი მიზანი იყო აბსოლუტური რეჟიმების და ავსტრიელთა ბატონობის მოსპობა, მაგრამ ეს რევოლუცია ევროპის რეაქციული ძალებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის მიერ ჩახშობილ იქნა. დანაწევრებული იტალია თითქმის მთლიანად კვლავ უცხოელთა ბატონობის ქვეშ მოექცა.

**იტალია 1848-1849 წწ. რევოლუციის შემდეგ.** რევოლუციის დამარცხების შემდეგ ავსტრიამ, დაიპყრო რა ვენეცია და მილანი, კვლავ აღადგინა თავისი ბატონობა აპენინის ნახევარკუნძულის ჩრდ. ნაწილში. ფრანც იოზეფის გენერლებმა სასტიკი ტერორი დაამყარეს ამ პროვინციებში. ასევე მკაცრად ექცეოდნენ თავის ქვეშევრდომებს

პარმის ჰერცოგი კარლო III და მოდენის ჰერცოგი ფრანჩესკო V. ტოსკანაში ლეოპოლდ II შედარებით ზომიერი პოლიტიკის გატარება დაიწყო, მაგრამ მაინც შეზღუდა ზოგიერთი კონსტიტუციური უფლებები, დააპატიმრა ან ქვეყნიდან გააძევა პატრიოტები და განაახლა რელიგიური დევნა. ორივე სიცილიის მეფემ ფერდინანდ II გააუქმა 1848 წლის კონსტიტუცია, რამაც ხელი შეუწყო პრივილეგიების აღდგენას და ქვეყანაში ქაოსის დამყარებას; პოლიციის თვითნებობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, უმოწყალოდ ხვრეტდნენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ციხეები პატიმრებით გაივსო.

პაპის ოლქში, სადაც ავსტრიელებს ეკავათ რომანია, პაპის ლეგატები დევნიდნენ პატრიოტებს. რვა წლის განმავლობაში აქ 500 კაცს მიუსაჯეს სიკვდილი და დახვრიტეს. ასეთივე მდგომარეობა იყო თვით ქ. რომშიც, სადაც საფრანგეთის ჯარები იდგნენ (ლუი ნაპოლეონმა ვერ გაბედა მათი გამოყვანა, რადგანაც კათოლიკური სამღვდელოების მხარდაჭერა მოაკლდებოდა). ამის გამო, პაპმა პიუს IX, რომელსაც 1846 წელს მთელი იტალია დიდი ენთუზიაზმით მიესალმებოდა, როგორც პატრიოტსა და ლიბერალს, დაჰკარგა ხალხში ყოველგვარი ავტორიტეტი.

პოლიტიკური რეაქციის მიუხედავად, იტალიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ შეწყვეტილა.

რევოლუციის შემდეგ იტალიაში შეიმჩნეოდა დროებითი ეკონომიკური აღმავლობა. იქმნებოდა მსხვილი კაპიტალისტური წარმოებები, განსაკუთრებით პეიმონტში, შენდებოდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები, გაჰყავდათ სარკინიგზო ხაზები, განაახლეს გენუის პორტი. ეკონომიკური წარმატებები იტალიის ბურჟუაზიას უბიძგებდა ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების — ეროვნული განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლისაკენ.

ახალ პირობებში იტალიელები თავისუფლებას ელოდნენ უკვე არა რომისაგან, არამედ ტურინისაგან, სადაც 1849 წლიდან მეფობდა ერთადერთი იტალიელი მონარქი, რომელიც ეროვნული საქმის ერთგული დარჩა. ვიტორიო ემანუილი, რომელმაც მამამისის კარლო ალბერტისაგან მიიღო ნოვარასთან წაგებული ბრძოლის შემდეგ შერყეული ტახტი, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკაში

ატარებდა ლოიალურ და თანმიმდევრულ პოლიტიკას. მას კარგად ესმოდა, რომ საფრანგეთი ავსტრიასთან წინააღმდეგობის გამო, დღეს თუ არა ხვალ მისი მოკავშირე იქნებოდა და, ამგვარად, პიემონტი შეიძლება გამხდარიყო იტალიელი პატრიოტების შემაკავშირებელი ცენტრი.

ამისათვის საჭირო იყო პიემონტის მეთაურს თავისი ხალხის სიმპათია და ნდობა დაემსახურებინა, შეენარჩუნებინა კონსტიტუციური უფლებები და ღირსეულად დაეჭირა თავი ავსტრიელთა წინაშე. ამიტომ მან არ გააუქმა კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც გარკვეულ თავისუფლებებს ანიჭებდა მის ქვეშევრდომებს; ვიტორიო ემანუილი არავითარ დათმობაზე არ წავიდა ავსტრიელების წინაშე ეროვნულ საკითხში 1849 წლის 6 აგვისტოს მშვიდობიან ტრაქტატებზე ხელმოწერის დროს, რათა მისთვის ეროვნული ინტერესების ღალატი არ დაებრალებინათ. ამას გარდა, თავის სამეფოში სარდინიის (პიემონტის) სამეფოს დროშა კი არ აღმართა, არამედ სამფეროვანი იტალიური დროშა — რევანშის და ეროვნული თავისუფლების სიმბოლო.

ასეთი სწორი პოლიტიკური კურსის გამო, პიემონტი სულ მალე იტალიის სხვა სახელმწიფოებიდან გამოქცეული პატრიოტების თავშესაფარი გახდა.

ვიტორიო ემანუილმა კარგი ურთიერთობა დაამყარა საფრანგეთის იმპერატორთან. სწორედ ამიტომ ნაპოლეონ III სარდინიის სამეფოს წარმომადგენელს მიმართა სიტყვებით: „მოვა დრო, როცა ჩვენი ქვეყნები გახდებიან მეგობრები და იარაღით ხელში იბრძოლებენ იტალიის კეთილშობილური საქმისათვის“.

**ორი მიმდინარეობის ბრძოლა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.** XIX საუკუნის 50-იან წლებში, ისევე როგორც რევოლუციამდელ პერიოდში, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ორი მიმდინარეობა არსებობდა: ზომიერ-ლიბერალური და რევოლუციური. პირველს სათავეში ედგა პიემონტის სამეფოს პრემიერ-მინისტრი გრაფი **კამილო ბენსო კავური**, მეორეს კი — **მაძინი**. სწორედ კავურს ხვდა წილად ბედნიერება ყოფილიყო იტალიის გაერთიანების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი.

კავური დაიბადა 1810 წელს ძველი მემამულის ოჯახში, იყო საინჟინრო ჯარების ოფიცერი, მაგრამ სამხედრო საქმეს თავი მალე დაანება და თადარიგში გავიდა. რამდენიმე წელი იმოგზაურა თვითგანვითარების მიზნით, ეწეოდა სოფლის მეურნეობას და სწავლობდა პოლიტიკურ ეკონომიას, შემდეგ 1847 წელს თავის თანამოაზრეებთან ერთად დააარსა გაზეთი „რისორჯიმენტო". 1849 წელს აირჩიეს დეპუტატთა პალატაში, მომდევნო წელს დანიშნეს მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის მინისტრად, 1852 წელს კი პიემონტის პრემიერ-მინისტრი გახდა. ამ დროიდან იწყება მისი დაუღალავი საქმიანობა იტალიის გაერთიანებისათვის.

უპირველესად კავურმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია პიემონტის ეკონომიკურ განვითარებას და შეიარაღებული ძალების გაძლიერებას. ქვეყანა სარკინიგზო ქსელით დაიფარა, რამაც ხელი შეუწყო საშინაო და საგარეო ვაჭრობის გამოცოცხლებას, ორჯერ გაიზარდა სახელმწიფო შემოსავალი; განამტკიცეს თავდაცვითი სიმაგრეები, შეავსეს არსენალები, გაადიდეს არმიის რაოდენობრივი შემადგენლობა, სარდინიის არმია ამ დროს ერთ-ერთი ყველაზე ორგანიზებული იყო ევროპაში.

კავური მზად იყო იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ყოველნაირი საშუალებებისათვის მიემართა, მაგრამ რევოლუციურ პარტიასთან (რომელსაც ფაქტიურად ემიგრაციაში მყოფი მაძინი და სხვები ხელმძღვანელობდნენ) თანამშრომლობისაგან მაინც თავს იკავებდა. მაძინისტების მოწოდებები ტერორისა და ძალდატანებითი საქმიანობისაკენ არ შეესაბამებოდა მის შეხედულებებს ქვეყნის გაერთიანებისა და განთავისუფლების შესახებ. მას სურდა ევროპის მონარქების, განსაკუთრებით ლუი ნაპოლეონის, დარწმუნება იმაში, რომ მისი პოლიტიკა ტახტების დამხობას კი არ ითვალისწინებდა, არამედ მათ განმტკიცებას, რათა შეჩერებულიყო რევოლუციური მოძრაობა და დამყარებულიყო წესრიგი.

**პიემონტის მონაწილეობა ყირიმის ომში.** იტალიის გაერთიანებას ყოველნაირი საშუალებით ხელს უშლიდა ავსტრია. პიემონტს თავს აფარებდნენ ემიგრანტები ლომბარდიიდან. ფრანც იოზეფმა 1853 წ. დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა სარდინიის სამეფოსთან.

მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილებისა და ტერიტორიული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, კავური შეეცადა კარგი ურთიერთობა დაემყარებინა საფრანგეთთან და ინგლისთან, რომლებიც ამ დროს ყირიმის ომში ჩაბმისათვის ემზადებოდნენ. მისი აზრით, თუ ავსტრიაც მიიღებდა მონაწილეობას რუსეთის წინააღმდეგ ომში (მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ I 1849 წელს რევოლუციის დროს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია ავსტრიის იმპერატორს) და მოიპოვებდა ტერიტორიებს აღმოსავლეთში, ფრანც იოზეფი უფრო ლმობიერ პოზიციას დაიკავებდა ლომბარდია-ვენეციის დაბრუნების საკითხში, და თუ უარს იტყოდა ომში მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაშიც სარდინია მოგებული დარჩებოდა — ავსტრიაზე განაწყენებული ინგლისი და საფრანგეთი კიდევ უფრო მეტად დაუჭერდნენ მხარს პიემონტის მთავრობას.

როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის ხელისუფლები დარწმუნდნენ იმაში, რომ ავსტრია არ იომებდა რუსეთის წინააღმდეგ, გადაწყვიტეს წინ არ აღდგომოდნენ სარდინიის სურვილს, მონაწილეობა მიეღო ყირიმის ომში. ვიტორიო ემანუილის მინისტრმა კარგად იცოდა, რომ თუ სარდინია (პიემონტი) მონაწილეობას მიიღებდა ომის შემდგომ კონგრესში, როგორც გამარჯვებულ სახელმწიფოთა სრულუფლებიანი წევრი, მაშინ მას შეეძლო მთელი ევროპის წინაშე დაეყენებინა იტალიის საკითხი და რომ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ძლიერი მხარდამჭერები ეყოლებოდა საფრანგეთისა და ინგლისის სახით, არც ავსტრიაზე განაწყენებული რუსეთი დაიკავებდა მისდამი მტრულ პოზიციას. სწორედ ამიტომ, კავურის წინადადებით 1855 წლის 26 იანვარს საფრანგეთთან და ინგლისთან დადებულ ხელშეკრულებაში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ სარდინია მონაწილეობას მიიღებდა ყირიმის ომში, როგორც თანასწორუფლებიანი მოკავშირე და არა როგორც დაქირავებული (ასე სურდა ინგლისს). პიემონტს უნდა გამოეყვანა დამხმარე კორპუსი 15000 კაცის შემადგენლობით, რომელიც დაემორჩილებოდა ვიტორიო ემანუილის გენერალს. ამ კორპუსმა თავი ისახელა ომში და თავისი წვლილი შეიტანა მოკავშირეთა გამარჯვებაში. სარდინია (პიემონტი) 1856 წლის პარიზის კონგრესზე მონაწილეობას იღებდა, როგორც

გამარჯვებულ სახელმწიფოთა თანაბარუფლებიანი წევრი. კავურის სპეციალური ნოტების საფუძველზე კონგრესმა ორჯერ იმსჯელა იტალიის სახელმწიფოში შექმნილ მდგომარეობაზე, ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ იტალიის პრობლემები (ორივე სიცილიაში გაბატონებული აბსოლუსტისტური რეაქცია და ქაოსი, უცხო სახელმწიფოთა ჯარების ყოფნა ქვეყნის ტერიტორიაზე, ავსტრიის დიდმპყრობელური პოლიტიკა და სხვა) საერთო ევროპული რეზონანსის მქონეა და რომ მათ გადასაჭრელად ევროპის მონარქები ერთად უნდა იღწვოდნენ. მართალია, კონგრესის მუშაობაში მონაწილეობამ ვიტორიო ემანუილს რაიმე კონკრეტული, ხელშესახები სარგებელი არ მოუტანა, მაგრამ სარდინიელთა მონაწილეობა ყირიმის ომში ტურინის პარლამენტმა მაინც გამართლებულად მიიჩნია.

**პლომბიერის შეთქმულება. ომისათვის მზადება.** 1856 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, კავური ყოველნაირად ცდილობდა დაეთანხმებინა საფრანგეთი ავსტრიის წინააღმდეგ ომზე, სამაგიეროდ საფრანგეთს ჰპირდებოდა სავოიას და ნიცას. ნაპოლეონ III წინააღმდეგ იტალიელი რევოლუციონერების (ორსინი, ტიბალდი და სხვები) მიერ არაერთგზის მოწყობილმა ტერორისტულმა აქტებმა საბოლოოდ დაარწმუნა იგი იტალიის საქმეების მოკლე დროში მოწესრიგების აუცილებლობაში.

1858 წლის 21 ივლისს პლომბიერში მოეწყო საიდუმლო შეხვედრა ვიტორიო ემანუილის მინისტრსა და საფრანგეთის იმპერატორს შორის, სადაც გადაწყვიტეს, რომ ერთობლივი ძალებით განდევნიდნენ ავსტრიელებს იტალიიდან. ომი უნდა დაწყებულიყო მომდევნო წლის გაზაფხულს. პიემონტი მიიღებდა ლომბარდიას, ვენეციას და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, პარმისა და მოდენის საჰერცოგოებს, აგრეთვე რომანიას, საფრანგეთი კი — სავოიას და ნიცას; მოსალოდნელი იყო პაპის ოლქის ზოგიერთი პროვინციის შეერთება ტოსკანასთან. პრინცი ნაპოლეონი უნდა დაქორწინებულიყო ვიტორიო ემანუილის უფროს ქალიშვილზე. და ბოლოს, საომარი მოქმედებების დროს საფრანგეთი განსაზღვრავდა.

პლომბიერიდან კავური გაემგზავრა გერმანიაში და დარწმუნდა, რომ პრუსია მოსალოდნელ ომში არ ჩაებმებოდა. ნაპოლეონ III

ემზადებოდა. იგი ყოველნაირად მფარველობდა იმ გაზეთებს, რომლებიც იტალიის განთავისუფლებისათვის ავსტრიასთან ომის აუცილებლობას ქადაგებდნენ.

1859 წლის 30 იანვარს ტურინში პრინცი ნაპოლეონი და პრინცესა კლოტილდა დაქორწინდნენ. დაიბეჭდა ბროშურა „ნაპოლეონ III და იტალია", რომელშიც ფაქტიურად პლომბიერის შეთანხმების ძირითადი დებულებები იყო გადმოცემული. საიდუმლო მოლაპარაკებების შინაარსი თანდათანობით ცხადდებოდა. და ბოლოს, ყველასათვის ნათელი გახდა ომისათვის სამზადისი მაშინ, როდესაც სარდინიის პარლამენტმა კავურის მოთხოვნით დაამტკიცა პიემონტის დაცვისათვის სესხი 50 მლნ. ფლორინის რაოდენობით.

ინგლისს არ სურდა ომის შედეგად საფრანგეთის გაძლიერება და ამიტომ ცდილობდა საომარი მოქმედებების დაწყებისათვის ხელის შეშლას. ლონდონმა შუამავლობაც კი დააპირა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ნაპოლეონ III და ალექსანდრე II[26] წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ განზრახვაზე.

ტურინის მთავრობას არ სურდა მსოფლიოს საზოგადოების თვალში აგრესორის როლში გამოსულიყო. არ უნდოდა პირველს გამოეცხადებინა ომი, ამიტომ ყოველნაირად ცდილობდა ავსტრიის ხელისუფალნი იმ მდგომარეობამდე მიეყვანა, როდესაც ადამიანები კარგავენ რეალურ მდგომარეობაში ობიექტურად გარკვევის უნარს და ინსტიქტებით მოქმედებენ. კავურმა მგზნებარე მოწოდებებით მიმართა იტალიელ პატრიოტებს, წააქეზა პიემონტის პრესა თამამი განცხადებისათვის და გარიბალდის[27] ოფიციალურად დაავალა

---

[26] ალექსანდრე II უნდოდა დაემცირებინა ავსტრია იმ უმადურობის გამო, რომელიც მან ყირიმის ომში გამოამჟღავნა, აგრეთვე თავი დაეღწია იზოლაციისათვის, რომელშიც რუსეთი 1856 წლის პარიზის კონგრესის შემდეგ იმყოფებოდა.

[27] ჯუზეპე გარიბალდი არის იტალიის სახალხო გმირი. მისმა თავდადებულმა პრძოლამ თავისუფლებისათვის დიდი პოპულარობა მოუპოვა მას არა მარტო იტალიაში, არამედ სხვა ქვეყნებშიც. ილია ჭავჭავაძეს მისი სურათი თავის სამუშაო ოთახში ეკიდა.

გარიბალდი დაიბადა 1807 წლის 4 იელისს ნიცაში; მსახურობდა სარდინიის ფლოტში. პატრიოტული საქმიანობის გამო, იგი იძულებული გახდა წასულიყო (1834) საფრანგეთში. მას დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ტუნისის ბეის სამსახურში იყო; 1836 წელს წავიდა ამერიკაში და იბრძოდა რიუ-გრანდის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისათვის; 1843 წელს ურუგვაიში გადავიდა და იქ ებრძოდა როზასის

ვოლონტერთა კორპუსის ჩამოყალიბება. ამის შემდეგ ვენაში საბოლოოდ გადაწყვიტეს, რომ ომის გარეშე არ შეიძლებოდა სარდინიასთან სადავო საკითხების მოგვარება. 1859 წლის 23 აპრილს ავსტრიის მთავრობამ სარდინიას გაუგზავნა ნოტა კატეგორიული მოთხოვნით ცალმხრივი განიარაღების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ომით იმუქრებოდა. სამდღიანი ვადის გასვლის შემდეგ ვიტორიო ემანუილმა უარით უპასუხა. ომი გარდუვალი გახდა. 1859 წლის 29 აპრილს ავსტრიის ჯარებმა დაარღვიეს სარდინიის საზღვრები. ამავე დღეს საფრანგეთის სამხედრო ნაწილებმა გადალახეს ალპები. ომი დაიწყო.

**ომის მიმდინარეობა. აჯანყებები ცენტრალურ იტალიაში.** ავსტრიის სამხედრო ხელმძღვანელობა, ეყრდნობოდა რა ჩრდილოეთ იტალიაში თავისი ძალების რიცხობრივ უპირატესობას, იმედოვნებდა, რომ ვიტორიო ემანუილ II ჯარებს ადვილად გაანადგურებდა და ომს მოკლე დროში დაამთავრებდა. ავსტრიელთა ასეთი ვარაუდი არ გამართლდა. ტრანსპორტის ახალი სახეობებით — რკინიგზითა და ორთქმავალი გემებით, ფრანგებმა შესძლეს ჩრდილოეთ იტალიაში საჭირო ძალების სწრაფად გადაყვანა, 19 მაისს კი თავად ნაპოლეონ III ჩავიდა იქ და თავის არმიას სათავეში ჩაუდგა. მისი ჩამოსვლისთანავე საფრანგეთ-სარდინიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ. გარიბალდიც თავის ალპიელ მსროლელებთან ერთად ბრძოლებში ჩაება.

ავსტრიის ჯარების მთავარსარდალი დიულაი მაჯენტასთან შეეცადა მოკავშირეების შეჩერებას (14 ივნისი), სადაც, რომ არა გენერალ მაკ-მაჰონის დროული დახმარება, საფრანგეთის იმპერატორი შეიძლება ტყვედ ჩავარდნილიყო. საბოლოოდ ამ ბრძოლაში ფრანგებმა

---

დიქტატურას; 1848 წელს დაბრუნდა იტალიაში და მონაწილეობა მიიღო ავსტრიელთა წინააღმდეგ კარლო ალბერტის პირველ ლაშქრობაში. 1849 წელს იძულებული გახდა წასულიყო ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც საწარმოო საქმიანობით იყო დაკავებული; აშშ-დან წავიდა ჩილეში (1852), შემდეგ — პერუში; 1854 წელს დაბრუნდა გენუაში და მსახურობდა სავაჭრო გემის კაპიტნად. ავსტრია-საფრანგეთ-იტალიის ომის დროს (1859) იგი მეთაურობდა ალპიელ მსროლელთა მოხალისეების კორპუსს. 1859-1860 წწ. გარიბალდი სარდლობდა „წითელხალათიანთა“ ათასეულს; 1866 წ. მოხალისეებთან ერთად იბრძოდა ავსტრიელთა წინააღმდეგ. 1870 წ. გარიბალდელები მონაწილეობდნენ რომის განთავისუფლებაში. 1870-1871 წწ. საფრანგეთ-გერმანიის ომში შეილებთან ერთად იბრძოდა პრუსიის წინააღმდეგ. იგი გარდაიცვალა 1882 წელს.

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. ნაპოლეონ III და ვიტორიო ემანუილ II მილანში შევიდნენ. ამავე დროს ინგლისში, ნაპოლეონის აქტიური ჩარევის შედეგად, დერბის კაბინეტი შეცვალა პალმერსტონის სამინისტრომ, რომელიც დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული იტალიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი. იმისათვის, რომ უნგრეთში აჯანყება დაწყებულიყო, ნაპოლეონი დაუკავშირდა კოშუტს. იტალიაშიც (განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში) რევოლუციური გამოსვლები ძლიერდება. ტოსკანადან გააძევეს დიდი ჰერცოგი ლეოპოლდი და არ ისურვეს მის მაგივრად პრინც ნაპოლეონის ტახტზე დასმა. 1859 წლის მაის-ივნისში პარმასა და მოდენას ხელმწიფეებიც დაემშვიდობნენ თავიანთ ტახტებს, პაპის სამფლობელოებიც გაათავისუფლეს ავსტრიელებისაგან. ნაპოლეონ III დარწმუნდა იმაში, რომ ბოთლიდან ამოშვებული ჯინის დამორჩილება ძნელი იქნებოდა: აჯანყებული ოლქები შეუერთდებოდნენ სარდინის სამეფოს  და აპენინის ნახევარკუნძულზე შეიქმნებოდა არა ფედერაციული, არამედ ერთიანი იტალიის სახელმწიფო, რაც, ცხადია, მის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. პარმაში, მოდენაში, ბოლონიაში ხელისუფლება უკვე კავურის მომხრეებს ეპყრათ. საფრანგეთიდანაც არასასიამოვნო ცნობები მოდიოდა: სამღვდელოების გავლენით მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმპერატორის პოლიტიკის გამო, რასაც ქვეყანაში დიდი გართულებები შეიძლება მოჰყოლოდა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ გერმანიასთან ურთიერთობები თანდათან უარესდებოდა.

მას შემდეგ, რაც ჯარებს სათავეში პირადად იმპერატორი ფრანც იოზეფი ჩაუდგა (ნომინალურად, ფაქტიურად კი მთავარსარდალი იყო ფელდმარშალი ფონ ჰესი), ავსტრიელები კიდევ ერთხელ შეეცადნენ ომში გარდატეხის შეტანას, მაგრამ სოლფერინოსთან მარცხმა ომის ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა.

**ვილაფრანკის შეთანხმება. საგოიისა და ნიცას შეერთება საფრანგეთთან.** ნაპოლეონ III ამ გამარჯვების შემდეგ თვითონ გამოიჩინა საზავო მოლაპარაკებების დაწყების ინიციატივა. მისი ასეთი მოქმედება არ იყო მოულოდნელი, რადგანაც სოლფერინოსთან

ბრძოლაში ფრანგებმა 1000 კაცი დაჰკარგეს, ავსტრიას კიდევ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ქვეყნის შიგნით ულტრამონტანთა პარტია გააქტიურდა, არც საერთაშორისო მდგომარეობა იყო მისთვის ხელსაყრელი. რუსეთის იმპერატორს არ სურდა, რომ უნგრეთში რევოლუცია დაწყებულიყო, ავსტრიელთა დასახმარებლად გერმანიის კავშირმა ჯარების მობილიზაცია დაიწყო.

1859 წლის 11 ივლისს ვილაფრანკეში ნაპოლეონ III და ფრანც იოზეფმა დადეს წინასაზავო შეთანხმება, რომლის მიხედვით ლომბარდია მიეკუთვნა საფრანგეთს, მას იგი თავის მხრივ უნდა დაეთმო სარდინიისათვის; ავსტრიას რჩებოდა ვენეცია; ტოსკანას დიდი ჰერცოგი და მოდენას ჰერცოგი იბრუნებდნენ ტახტებს; რომის პაპს სთავაზობდნენ თავის სამფლობელოებში რეფორმების ჩატარებას და, ბოლოს, ცხადდებოდა ამნისტია იმ პირთათვის, რომლებმაც თავიანთი მოქმედებებით უკანასკნელი მოვლენების დროს სასჯელი დაიმსახურეს.

ვილაფრანკის შეთანხმების პირობები მოულოდნელი იყო ევროპისათვის, განსაკუთრებით კი იტალიელი ხალხისათვის — ავსტრიის გავლენა აპენინის ნახევარკუნძულზე შენარჩუნებულ იქნა.

იტალიელი ხალხი ნაპოლეონ III მოღალატედ მიიჩნევდა და მოითხოვდა პიემონტის მეთაურობით გაერთიანებას. შეთანხმების პირობების შესახებ ცნობების ძიღებისთანავე კავური გადადგა პრემიერ-მინისტრის პოსტიდან, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინც დიდ როლს ასრულებდა. მისი უშუალო მითითებებით შეიქმნა დროებითი მთავრობები ფლორენციაში, მოდენასა და ბოლონიაში. მათ ჩაატარეს პლებისციტი სარდინიის სახელმწიფოსთან შეერთების თაობაზე. ხალხმა მხარი დაუჭირა ამ მოთხოვნას.

ნაპოლეონ III შეეცადა დაეთანხმებინა დროებითი მთავრობები და პაპი პიუს IX ვილაფრანკეში მიღწეული შეთანხმებების პირობებზე, მგრამ ამ მცდელობიდან არაფერი გამოვიდა, ცენტრალური იტალიის შეერთება პიემონტთან უკვე გადაწყვეტილი იყო. მაშინ საფრანგეთის იმპერატორმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გადაწყვიტა ცენტრალური იტალიის სარდინიასთან შეერთების სანაცვლოდ სავოიისა და ნიცას შემოერთება. ამ მიზნით მან ხელი შეუწყო პლომბიერის შეხვედრის მონაწილის (სადაც სავოიისა და ნიცას

საფრანგეთთან მიერთებაზე შეთანხმდნენ) კავურის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნებას (1860 წ. 27 იანვარი).

ნაპოლეონ III განზრახვას თავდაპირველად უარყოფითად შეხვდნენ ინგლისი და ავსტრია, მაგრამ შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ოლქების დათმობით გაუარესდებოდა იტალია-საფრანგეთის ურთიერთობა. ამიტომ გაჩუმება ამჯობინეს.

კავურმა კარგად იცოდა, რომ სავოიისა და ნიცას გადაცემა საფრანგეთისათვის დასცემდა მის ავტორიტეტს ხალხში; იგი შეეცადა მიეღო ტანჯული კაცის სახე. ნაპოლეონიც აჰყვა მის თამაშს – სპეციალური წარმომადგენელი ბენედეტი გააგზავნა მასთან, რომელსაც მკაცრი ტონით უნდა მოეთხოვა პლომბიერის შეთანხმების პირობის შესრულება. ვიტორიო ემანუილმა და კავურმა თავი მოისაწყლეს – რა ვქნათ, ძალა აღმართს ხნავსო და ტურინში დადეს შეთანხმება (1860 წ. 20 მარტი), რომლის თანახმადაც სავოია და ნიცა გადაეცა საფრანგეთს იმ პირობით, რომ იქ ჩატარდებოდა პლებისციტი ამ გადაწყვეტილების თაობაზე. პლებისციტი ჩატარდა 1860 წლის 15 და 22 აპრილს; სავოიისა და ნიცას მოსახლეობამ საფრანგეთთან მიერთება ირჩია. ამ აქტის გამო, გამოხატავდა რა იტალიის მოსახლეობის ნებას, **პაპმა პიუს IX ეკლესიიდან განკვეთა ვიტორიო ემანუილი და მისი მთავრობა**, ამაყად განაცხადა უარი საფრანგეთის სუბსიდიებზე, შექმნა საკუთარი არმია (იმისათვის, რომ იმპერატორის ჯარზე არ ყოფილიყო დამოკიდებული) და უარი თქვა რეფორმების გატარებაზე. ნაპოლეონ III მზად იყო გაეყვანა თავისი ჯარები რომიდან, მაგრამ შემდეგ ამ განზრახვის შესრულება გადაიფიქრა. იგი ბოლომდე არ ენდობოდა კავურს, ფიქრობდა, რომ იგი იტალიაში საფრანგეთის ჯარების არყოფნით ისარგებლებდა და დაიწყებდა ახალი ტერიტორიების სარდინიის სამეფოსთან მიერთებას.

**გარიბალდი სიცილიაში.** ნეაპოლიტანიის მთავრობა უფრო მკაცრ და შეურიგებელ პოლიტიკას ადგა, ვიდრე რომის კურია. ახალგაზრდა მეფე ფრანჩესკო II რეპრესიებით და ტერორით ცდილობდა ხალხის დამორჩილებას და აბსოლუტიზმის განმტკიცებას. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა რევოლუციის დაწყების ზღურბლზე იდგა, ის არ აქცევდა ყურადღებას ნაპოლეონ III რჩევებს მიეცა ქვეშევრდომთათვის

კონსტიტუცია და დაემყარებინა კავშირი სარდინიასთან. 1860 წლის 3 აპრილს რევოლუცია დაიწყო სიცილიაში, რომელმაც ხელი შეუწყო იტალიის გაერთიანებისათვის მაძინისტების მიერ ფართოდ გაშლილ კამპანიას.

რევოლუციის დაწყებისთანავე გენუაში გარიბალდიმ შეკრიბა მოხალისეები, ჩამოაყალიბა საექსპედიციო კორპუსი და გაემართა აჯანყებული კუნძულისაკენ. მის ამგვარ მოქმედებაზე თვალები დახუჭეს ვიტორიო ემანუილმა და კავურიმ. ისინი იმედოვნებდნენ, რომ ექსპედიციის მარცხით დამთავრების შემთხვევაში უარს იტყოდნენ გარიბალდისთან რაიმე კავშირის არსებობაზე, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, ამ ფაქტს ფართო პროპაგანდას გაუწევდნენ, როგორც იტალიასა და, საერთოდ, ევროპაში მოსალოდნელი ქაოსის აღსაკვეთად განხორციელებულ აუცილებელ ღონისძიებას.

ექსპედიციის დაწყებისას გარიბალდის თან ახლდა 1000 შეიარაღებული ლეგიონერი — მუშები და ხელოსნები, სტუდენტები და წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. სიცილიაში ჩასვლისთანავე მან მოხალისეებისაგან ჩამოაყალიბა ნამდვილი არმია და 1860 წლის 15 მაისს კალატაფიმისთან ბრძოლაში დაამარცხა მეფის ჯარები. მძიმე ბრძოლები გაიმართა კუნძულის დედაქალაქის პალერმოს დაუფლებისათვის. გარიბალდის ეხმარებოდნენ ქალაქის მაცხოვრებლებიც. 1860 წ. 7 სექტემბერს „წითელ-ხალათიანებმა“ (გარიბალდიის არმიის მებრძოლთა უმრავლესობას წითელი ხალათი ეცვა) დაიკავეს ორივე სიცილიის დედაქალაქი პალერმო. ფრანჩესკო II გაიქცა. „ხალხის განმათავისუფლებლებმა დაიკავეს მონარქის თბილი ბუდე და პროლეტარიატის უხეში ჩექმები თელავდა სამეფო სასახლის რბილ ხალიჩებს“, — იგონებდა შემდეგში გარიბალდი.

მეფის ჯარი მაინც არ იყო საბოლოოდ დამარცხებული. პალერმოს ჩრდილოეთიდან მათი შემოჭრის საფრთხე არსებობდა მანამდე, სანამ 1 ოქტომბერს ვოლტურინოსთან ბრძოლაში გარიბალდიმ ისინი საბოლოოდ არ გაანადგურა. ბურბონების ჯარები უკვე აღარ არსებობდნენ.

გარიბალდის ასეთი სამხედრო წარმატებები განპირობებული

იყო იმით, რომ სიცილიისა და კალაბრიის გლეხობა აქტიურად უჭერდა მას მხარს. გარიბალდიმ გააუქმა თავადაზნაურთა და სამღვდელოების ბევრი პრივილეგია, გააძევა იეზუიტები, ჩაატარა მონასტრების ქონების კონფისკაცია, აკრძალა გლეხებისათვის განსაკუთრებით მძიმე გადასახადები და, რაც მთავარია, თავის მომხრე უმიწო გლეხებს გამარჯვების შემდეგ თავადაზნაურთა მიწებს ჰპირდებოდა. ამის გამო, შეშინებულმა თავადაზნაურობამ დახმარებისათვის ვიტორიო ემანუილს და კავურს მიმართა.

სამხრეთში დემოკრატიული მოძრაობების წარმატებებმა, აგრეთვე გარიბალდის განზრახვამ განეგრძო ლაშქრობა რომის მიმართულებით, შეაშფოთა ლიბერალი მონარქისტები. მათ უნდოდათ გარიბალდის გამარჯვებები გამოეყენებინათ ვიტორიო ემანუილ II ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერებისათვის და მისი გავრცელებისათვის მთელს სამხრეთ იტალიაში. „თუ ჩვენ არ ვიქნებით სამხრეთ იტალიაში გარიბალდიზე ადრე, დავიღუპებით... რევოლუცია მოედება მთელს ევროპას", — შეშფოთებით წერდა კავური საფრანგეთის წარმომადგენელს ტურინში და მასთან ერთად ადგენდა გეგმებს გარიბალდის მისვლამდე სარდინიის ჯარებით პაპის ოლქის ოკუპაციის შესახებ.

**იტალიის ძირითადად გაერთიანება.** კავურს ეშინოდა, რომ თავისი სასახელო გამარჯვებებით გათამამებულ გარიბალდის, არ დაეღუპა იტალიის გაერთიანების წარმატებით დაწყებული საქმე. ამიტომ მან რამდენიმე გემით ნეაპოლისაკენ გაგზავნა 2-3 ათასი მეომარი. ნეაპოლიტანიის სამეფო არ იმყოფებოდა პიემონტთან საომარ მდგომარეობაში, მაგრამ სარდინიის ჯარებმა მაინც დაარღვიეს მისი საზღვრები. გარიბალდის მოქმედებები ვიტორიო ემანუილის და მისი პირველი მინისტრის შეშფოთებას იწვევდა. თავის მხრივ გარიბალდი მოითხოვდა კავურის გადაყენებას. ამგვარი დაპირისპირებისათვის ბოლო რომ მოეღო და მეტი სიცხადე შეეტანა თავის პოლიტიკაში, კავურმა ტურინოში მოიწვია პარლამენტი, რომელსაც უფლება უნდა მიეცა სარდინიის მეფისათვის თავის სამფლობელოებთან ახლახან დაკავებული პაპის პროვინციებისა და ორივე სიცილიის სამეფოს ტერიტორიების მიერთების თაობაზე. ასეთი თანხმობა მიღებულ იქნა. 1860 წლის 21 ოქტომბერს, პლებისციტის შედეგად, ორივე სიცილიაში მეფედ ცნეს

ვიტორიო ემანუილი, ასევე მოიქცა პაპის ერთ-ერთი სამფლობელო მარხია. ამის შემდეგ პიემონტის მეფე შეხვდა გარიბალდის, რომელმაც მას წინააღმდეგობის გაუწევლად დაუთმო ხელისუფლება.

ამგვარად, იტალიის გაერთიანებისათვის მოძრაობის ხელმძღვანელობა რევოლუციონერებმა დაუთმეს ზომიერ, მონარქიულად განწყობილ ბურჟუაზიას. მალე მიიღეს იტალიის ახალი კონსტიტუცია. გაერთიანებულ იტალიაში უნდა შექმნილიყო ორპალატიანი სისტემა – პარლამენტი, რომელიც შედგებოდა სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. სენატში უნდა ყოფილიყვნენ სასახლის პრინცები და მუდმივად დანიშნული წევრები, დეპუტატთა პალატაში კი – მაღალი საარჩევნო ცენზის საფუძველზე არჩეული დეპუტატები (თავდაპირველად მოსახლეობის 2,5% ეძლეოდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება). კონსტიტუციის მიხედვით მეფეს დიდი აღმასრულებელი უფლებები ეძლეოდა. და, რაც მთავარია, შეეძლო თავისი შეხედულებებისამებრ დაეთხოვა პარლამენტი. კათოლიკობა ცხადდებოდა სახელმწიფო რელიგიად, სამოქალაქო უფლებებიც არ იყო მკაფიოდ ჩამოყალიბებული.

როგორც ხედავთ, 1859-1860 წწ. მოვლენების შედეგად იტალია გახდა ერთიანი ბურჟუაზიულ-კონსტიტუციური მონარქია. არა რევოლუციონერი რესპუბლიკელები – მაძინი და გარიბალდი, არამედ ლიბერალი-კავურის მომხრეები ჩაუდგნენ სათავეში იტალიის ერთიან სამეფოს. 1861 წლის 7 მარტს იტალიის პირველმა პარლამენტმა სარდინიის (პიემონტის) მეფე ვიტორიო ემანუილი გამოაცხადა სრულიად იტალიის მეფედ. მართალია, ძირითადად გაერთიანებულ იტალიაში ჯერ კიდევ არ შედიოდნენ რომი და ვენეცია, მაგრამ მათი შემოერთებაც, კავურის აზრით, დროის საკითხი იყო. ამიტომ მისი ინიციატივით დეპუტატთა პალატამ 1861 წლის 27 მარტს რომი იტალიის დედაქალაქად გამოაცხადა.

**იტალიის საბოლოო გაერთიანება.** 1860 წლის მოვლენების შემდეგ იტალიის გაერთიანება არ იყო დამთავრებული: ვენეციაში კვლავ ბატონობდნენ ავსტრიელები, რომში კი, საფრანგეთის გარნიზონზე დაყრდნობით (რომელიც იქ იდგა 1849 წლიდან), პაპი პიუს IX განაგებდა საერო ხელისუფლებას.

იტალიის მთავრობის წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: 1) ვენეციის ოლქის განთავისუფლება ავსტრიელთა ბატონობისაგან და 2) პაპისთვის საერო ხელისუფლების ჩამორთმევა. ამ მიზნების განსახორციელებლად 1866 წელს ვიტორიო ემანუილის მთავრობამ ხელშეკრულება დადო პრუსიასთან ავსტრიის წინააღმდეგ ომში ერთობლივი მონაწილეობის თაობაზე. ამ ხელშეკრულების დადებაში იტალიელებს დაეხმარა ნაპოლეონ III, თუმცა პრუსიელებიც არანაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი ასეთი შეთანხმებით მას შემდეგ, რაც 1864 წელს შლეზვიგისა და ჰოლშტაინის საჰერცოგოებისათვის დანიასთან ომი დამთავრდა.

1866 წლის ივნისში პრუსიამ და იტალიამ დაიწყეს საომარი მოქმედებები ავსტრიის წინააღმდეგ. იტალიელები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ ავსტრიის ჯარებთან შეჯახებისას, პრუსიელებმა კი სახელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ავსტრიელებზე სადოვასთან ბრძოლაში და აიძულეს იგი მიემართა ნაპოლეონ III,. რათა მას ეკისრა შუამდგომლობა საზავო მოლაპარაკებების დაწყებისათვის. საფრანგეთის იმპერატორსაც სურდა ომის დამთავრება და იტალიისათვის დანაპირები ვენეციის გადაცემა, მაგრამ თავისი მოკავშირის — პრუსიელების სადოვასთან გამარჯვების შემდეგ, იტალიელები ახლა უფრო მეტს — ტრენტინოსა და ტრიესტის შემოერთებასაც ცდილობდნენ. პრუსიამ ყურად არ იღო იტალიელთა ეს მოთხოვნები და მათგან ფარულად დადო ავსტრიელებთან ჯერ წინასაზავო ხელშეკრულება ნიკოლსბურგში, ხოლო შემდეგ ზავი — პრაღაში (1866 წ. 24.VII). იტალია პრუსიელთა „ღალატმა“ აღაშფოთა, რაზეც ბისმარკის პასუხი ასეთი იყო: „ჩვენ შევთანხმდით დაგხმარებოდით ვენეციის დაბრუნებაში და სხვაზე არაფერზე. თქვენ მიიღებთ ვენეციას“. მართლაც, პრაღის ზავით ვენეცია საფრანგეთს გადაეცა, რომელმაც, თავის მხრივ, იქ ჩაატარა პლებისციტი და ვენეცია დაუბრუნა იტალიას.

ახლა იტალიის სრულად გაერთიანებისათვის რომის შემოერთება იყო საჭირო. ვიტორიო ემანუილის მთავრობა, რომელიც დავალებული იყო ნაპოლეონ III-საგან, დიდად არ წუხდა რომიდან ფრანგული გარნიზონის გაყვანისათვის, ამიტომ ეს მისია გარიბალდიმ თავის

თავზე აიღო. გამოიყენა რა სიცილიის ექსპედიციის გამოცდილება, მან 1862 წლის ზაფხულში გადმოსხა თავისი ჯარის ნაწილები სიცილიაში, აქედან კი გადავიდა კალაბრიაში. აქ იგი შეეჯახა სამთავრობო ჯარებს და პირველსავე ბრძოლაში დამარცხდა (1862 წ. 28. VIII), მძიმედ დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა „წითელხალათიანთა" მორიგი მცდელობა 1867 წ. რომის ოლქში შეჭრისათვის: 3 ნოემბერს მათ მოუხდათ ბრძოლა „შასპოს" იარაღით აღჭურვილ საფრანგეთის ჯარებთან და სასტიკად დამარცხდნენ. „შასპოს იარაღი სასწაულებს ახდენდა", — წერდა ფრანგი გენერალი დ'ფაილი.

გარიბალდი მოხალისეებთან ერთად სამჯერ შეეცადა პაპის ოლქში შეჭრას, მაგრამ მას აკავებდნენ ფრანგები და სარდინიის ჯარებიც კი. მესამე ცდის დროს 1867 წ. მენტანთან ბრძოლაში ფრანგებმა თითქმის მთლიანად გაანადგურეს გარიბალდის ათასეული. ამ დროს სარდინიის არმია შორიახლო იდგა და მეთვალყურის როლში გამოდიოდა.

რომში პაპი ინარჩუნებდა საერო ხელისუფლებას; ეს კი აბრკოლებდა იტალიის საბოლოოდ გაერთიანებას. პაპს არ სურდა თავის პრივილეგიების არა თუ დათმობა, არამედ ოდნავი შეზღუდვაც კი. პირიქით, კათოლიკური ეკლესია თვითონ გადმოვიდა შეტევაზე და 1864 წელს გამოაქვეყნა ისეთი რეაქციული აქტები, როგორებიც იყო „თანამედროვე ცდომილებათა სია", რომელშიც გაკიცხულია მეცნიერების მიღწევები და მოწინავე იდეები. ასევე აღსანიშნავია „აკრძალული წიგნების ინდექსი", რომელშიაც ბევრი საუკეთესო ნაწარმოები იყო შეტანილი.

1869 წელს გამოცხადებულ იქნა დოგმატი პაპის უცოდველობის შესახებ, რომლის შემდეგ პიუს IX ავტორიტეტი გაიზარდა. მას შეეძლო თითქმის ნახევარი მსოფლიოს რომელიმე ქვეყანაში გამოეწვია არეულობა, თუ ამას იგი საჭიროდ მიიჩნევდა. ამიტომ ახლა მის მოსაზრებებს უფრო მეტ ანგარიშს უწევდნენ. ნაპოლეონ III ცდილობდა არ ეწყენინებინა თავისი ძველი პროტეჟესადმი და არ ჩქარობდა რომიდან ჯარების გამოყვანას. რომ არა საფრანგეთ-

პრუსიის 1870-1871 წწ. ომი, პიუს IX, ალბათ, კიდევ დიდხანს შეინარჩუნებდა საერო ხელისუფლებას.

ნაპოლეონ III პრუსიის წინააღმდეგ ომში მოკავშირეების გარეშე ჩაება. მისგან არაერთხელ დავალებული ვიტორიო ემანუილიც კი განზე განუდგა მას, რადგანაც ვერ მიიღო იმპერატორის თანხმობა რომის დასაკავებლად. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სედანთან სასტიკი მარცხი იწვნიეს ფრანგებმა და 4 სექტემბერს პარიზში დაიწყო რევოლუცია, იტალიელებმა შესძლეს ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაეკავებინათ რომი. ამ დროისათვის იმპერატორის ჯარებმა უკვე დატოვეს პაპის სამფლობელოები.

1870 წლის 8 სექტემბერს ვიტორიო ემანუილმა ულტიმატუმი გაუგზავნა პიუს IX. პაპმა, როგორც მოსალოდნელი იყო, უარი განაცხადა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე. მან კარგად იცოდა, რომ ვერ გაუმკლავდებოდა იტალიელებს რომში შემოსვლის დროს, მაგრამ არ სურდა წინააღმდეგობის გაუწევლად უარი ეთქვა თავის უფლებებზე. ამიტომ, როდესაც მიიღეს ცნობა გენერალ კადორნას ჯარების მოახლოების შესახებ, პაპის ბრძანებით ჩაკეტეს ქალაქის კარები, რა თქმა უნდა, ეს იყო მუნდირის ღირსების გამომხატველი ჟესტი — ქვემეხის ჭურვებით იტალიელებმა აიძულეს პიუს IX წმ. ანგელოზის სახელობის ციხეზე აღემართა თეთრი დროშა. ამგვარად, იტალიელებმა დაიკავეს რომი (20 სექტემბერი) და რამდენიმე დღის შემდეგ (2 ოქტომბერი) პაპის სახელმწიფოს ეს ტერიტორიები შეუერთდა იტალიის სამეფოს. პროტესტის ნიშნად **პიუს IX ჩაიკეტა ვატიკანის სასახლეში და თავი „ვატიკანის ტყვედ“ გამოაცხადა.**

**იტალიის გაერთიანების შედეგები.** რომის აღებით და ქვეყნის სრულად გაერთიანებით გამოწვეული ეიფორია იტალიაში დიდხანს არ გაგრძელებულა. გაერთიანებისათვის წარმოებულმა ომებმა დიდძალი ხარჯები მოითხოვეს, რაც მძიმე ტვირთად დააწვა მოსახლეობას. იტალიის სამეფოში, საფრანგეთის მსგავსად, შექმნეს ძვირადღირებული ბიუროკრატია და შემოიღეს პრეფექტების თანამდებობები. ეკონომიკური გაჭირვებისა და გაუნათლებლობის გამო, მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკაში არ ერეოდა. საარჩევნო უფლებებით სარგებლობდნენ მხოლოდ გარკვეული ქონებრივი ცენზის მქონენი, გლეხი-

არენდატორები, რომლებიც მოსახლეობის დიდ ნაწილს შეადგენდნენ, საერთოდ არ იღებდნენ მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

იტალია ყველაზე მეტად საჭიროებდა განათლების გავრცელებას, მიწათმოქმედი მოსახლეობისადმი დახმარებას, რაც გამოიყვანდა ხალხს იმ წყვდიადიდან, რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ ათეული წლების განმავლობაში დაქუცმაცებულობის, წვრილი სახელმწიფოების მთავრობათა დაუდევრობისა და ყაჩაღების ბატონობის პერიოდში. ასეთი ღონისძიებების ნაცვლად მმართველი ელიტა ცდილობდა ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომელიც იტალიას დიდ სახელმწიფოებს გაუთანაბრებდა: დაიწყეს მეტისმეტად დიდი არმიის შექმნა, თუმცა იტალიას არავინ არ ემუქრებოდა, გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან ერთად ჩამოაყალიბეს „სამთა კავშირი", და, ბოლოს, საფრანგეთისა და გერმანიის მსგავსად დაიწყეს კოლონიების დაპყრობა აღმოსავლეთ აფრიკაში. ასეთი დიდმპყრობელური პოლიტიკა არ შეესაბამებოდა იტალიელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

# თავი IX. გერმანიის გაერთიანება

ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდში (XIX საუკუნის დასაწყისამდე) გერმანია დაყოფილი იყო 300 სახელმწიფოდ და 50 საიმპერიო ქალაქად.

ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, 1815 წელს, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შეიქმნა გერმანიის კავშირი, რომელიც აერთიანებდა 39 სახელმწიფოს, მათგან ოთხი — ფრანკფურტი, ჰამბურგი, ბრემენი და ლიუბეკი თავისუფალი ქალაქები იყო. მართალია, გერმანული სახელმწიფოების რიცხვი თითქმის ათჯერ შემცირდა, მაგრამ ერთიანი გერმანული სახელმწიფო მაინც არ არსებობდა.

გერმანიის დაქუცმაცებულობა არ შეესაბამებოდა და ხელს უშლიდა მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, რომლებსაც კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარება უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ ქვეყანაში თანდათანობით ძლიერდებოდა გამაერთიანებელი მოძრაობები, რომლებიც ადრე თუ გვიან ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნით უნდა დამთავრებულიყო.

1819 წელს შეიქმნა ჩრდილოეთ გერმანიის საბაჟო გაერთიანება, რომელშიც შევიდნენ პრუსია და მისი მიმდებარე მცირე სახელმწიფოები; 20-იან წლებში ჩამოყალიბდა სამხრეთგერმანული სახელმწიფოების ასეთივე კავშირი. **1834 წელს დაარსდა საბაჟო კავშირი პრუსიის, ბავარიის, ვიურტემბერგის და კიდევ 15 გერმანული სახელმწიფოს შემადგენლობით.** ამ კავშირში წამყვან როლს პრუსია ასრულებდა, ავსტრია კი განზე იდგა, ამან შემდგომში რამდენადმე განაპირობა მისი ჩამოშორება გერმანული სახელმწიფოებისაგან. საბაჟო კავშირის შექმნა შეესაბამებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური ერთიანობისაკენ მიისწრაფვოდა, ხელს უწყობდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას.

ბურჟუაზიის გარდა, გერმანიის გაერთიანებით სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი მოსახლეობის სხვადასხვა ფენები: გლეხები, მუშები, ინტელიგენცია, სტუდენტობა და სხვ. ისინი აწყობდნენ შეხვედრებს, დღესასწაულებს, რევოლუციურ გამოსვლებს; მათი მთავარი მოთხოვნა იყო ერთიანი გერმანიის შექმნა. 1818 წელს

იენაში დააარსეს „სრულიად გერმანიის სტუდენტთა კავშირი“, რომლის წევრები მთავარ მიზნად ისახავდნენ გერმანიის გაერთიანებას და თავიანთ სიმბოლოდ აირჩიეს სამფეროვანი — შავი, წითელი, ოქროსფერი დროშა.

1832 წელს ბავარიაში, ჰამბახის ციხე-სიმაგრეში, გაიმართა დიდი ზეიმი, რომლის მონაწილეები მოითხოვდნენ „ერთიანი გერმანიის რესპუბლიკის“ შექმნას; იმავე დროს გერმანიის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რამდენიმე ქალაქში ასეთივე მოთხოვნებით გაიმართა დემონსტრაციები. ამ გამოსვლათა მონაწილეების წინააღმდეგ მთავრობა სასტიკ რეპრესიებს მიმართავდა.

გერმანიის გაერთიანების ხანგრძლივ პროცესში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1848-1849 წლების რევოლუცია, რომელსაც უნდა გაეერთიანებინა გერმანია და მოესპო ფეოდალურ-აბსოლუტისტური ჩაგვრა. ამ ამოცანების გადაწყვეტას მოსახლეობის პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი ერთიანი დემოკრატიული გერმანიის რესპუბლიკის შექმნაში ხედავდა, ბურჟუაზია კი ქვეყნის გაერთიანებას მონარქიასთან კავშირით ცდილობდა. ამასთანავე, ბურჟუაზიის ნაწილს სურდა გაერთიანება პრუსიის სამეფო ტახტზე მყოფი ჰოჰენცოლერნთა დინასტიის მეთაურობით, ავსტრიის გარეშე, ე.ი. „მცირე გერმანიის“ გეგმის განხორციელება. იმ გერმანული სახელმწიფოების ბურჟუაზიას, რომლებიც არ შედიოდნენ საბაჟო კავშირში, გაერთიანება უნდოდათ ავსტრიის მეთაურობით ე.წ. „დიდი გერმანიის“ გეგმის მიხედვით.

რევოლუცია გერმანიაში დამარცხდა და, ცხადია, მისი ძირითადი ამოცანა — გერმანიის ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, გადაუწყვეტელი დარჩა.

**გერმანია 1848-1849 წწ. რევოლუციის შემდეგ.** რევოლუციის დამარცხების შემდეგ რეაქცია ზეიმობდა გამარჯვებას. თავადაზნაურობასთან და სამღვდელოებასთან ერთად მონარქები ცდილობდნენ რეპრესიების საშუალებით რევოლუციური იდეების აღმოფხვრას. რევოლუციის დროს მიღებული ლიბერალური კონსტიტუციები გააუქმეს, დაიწყეს დემოკრატების და კომუნისტთა კავშირის წევრების დევნა, 1850 წელს პრუსიაში მიიღეს კონსტიტუცია, რომლითაც მთელი ძალაუფლება იუნკრების ხელში

გადადიოდა და სხვ. ასეთი პოლიტიკის მიუხედავად, გერმანიაში ეკონომიკური წინსვლა მაინც გრძელდებოდა — გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, გადიდდა საგარეო ვაჭრობის მოცულობა, წარმოიშვა ახალი სამრეწველო ცენტრები და სხვ.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად კვლავ მწვავედ დადგა გერმანიის გაერთიანების საკითხი. 50-იანი წლების ბოლოდან გერმანიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პრობლემამ მთავარი ადგილი დაიკავა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1858 წლიდან პრუსიაში პოლიტიკური მმართველობა ხელში აიღო ფსიქიკურად ჯანმრთელობაშერყეული მეფის ფრიდრიხ ვილჰელმ IV ძმამ ვილჰელმმა (შემდგომში პრუსიის მეფე და გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ I), მისი გავლენით ცალკეული გერმანული სახელმწიფოების მონარქები იძულებულნი იყვნენ შეეწყვიტათ რეპრესიები, გამოცოცხლდა ლანდტაგების საქმიანობა, საზოგადოება მოითხოვდა გერმანიის კავშირის რეორგანიზაციას, პუბლიცისტები — პრუსიასთან დაახლოებას. ლიბერალები — ბენიგსენი და მიქელი — ჰანოვერში, შულცე-დელიჩი და ფონ უნრუ — პრუსიაში, ბრაუნი და ლანგი — ნასაუში, ბრატერი — ბავარიაში, ეტკერი — ჰესენში და სხვები, საჭიროდ მიიჩნევდნენ პროპაგანდის განახლებას ერთიანობის და ლიბერალური რეფორმების ჩატარებისათვის.

1859 სექტემბერში ფრანკფურტში შეიქმნა ეროვნული კლუბი, რომლის პროგრამა მთავარ მიზნად ისახავდა გაერთიანებას და „ერთიანი სამშობლოს“ განვითარებას. კლუბის წევრები ერთიან სამშობლოში ავსტრიასაც გულისხმობდნენ.

საზოგადოებრივი აზრის ასეთმა გამოცოცხლებამ შეაშფოთა მონარქები; ეროვნული კავშირის ცენტრალური კომიტეტი გაყარეს ფრანკფურტიდან, ხოლო საქსონიაში, მეკლენბურგში, ჰანოვერში და ჰესენში აკრძალეს ეს საზოგადოება. რეპრესიების განახლება მაინც ვერ გაბედეს. საქსონიის მინისტრი ბეისტი შექმნილი ვითარების შესახებ წერდა: „თანამედროვე მდგომარეობას ანალოგი არ გააჩნია ისტორიაში. ჩვეულებრივად, როდესაც საქმე გვაქვს ისეთ მოძრაობასთან, რომელსაც კონსტიტუციის დამხობა სურს, მაშინ ან კონსტიტუციას ცვლიან ან ებრძვიან ამ მოძრაობას; აქ არც

ერთს აკეთებენ და არც მეორეს. ყოველივე ეს შეიძლება მოულოდნელად დამთავრდეს რევოლუციით". ასეთ პროგნოზს სხვა მინისტრები გადაჭარბებულად მიიჩნევდნენ და რეპრესიებს პალიატიური ღონისძიებების გატარებას ამჯობინებდნენ. მათი ინიციატივით შეიქმნა რეფორმატორთა კავშირი, რომელშიც მთავარ როლს პარტი-კულარისტები და ულტრამონტანები ასრულებდნენ.

პრუსიის მთავრობასა და სხვა გერმანულ სახელმწიფოებში მოღვაწე ლიბერალებს შორის კომპრომისი შეუძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დაიწყო საკონსტიტუციო კონფლიქტი პრუსიის სამხედრო რეფორმასთან დაკავშირებით. რეფორმა, რომლის ინიციატორები და განმახორციელებლები იყვნენ პოდპოლკოვნიკი კლაუზევიცი, გენერალი ფოგთს-რეტცი და რეგენტის მრჩევლები ალვენსლებენი, ედვინ ფონ მანტაიფელი, ფონ როონი და ფონ მოლტკე, ითვალისწინებდა არმიის გაზრდას 40000-დან 400000 კაცამდე, რისთვისაც დამატებით საჭირო იყო 9,5 მლნ. ტალერი. დიდი დებატების შემდეგ, პრუსიის ლანდტაგი, რომელშიც უმრავლესობა ბურჟუაზიის წარმომადგენლები იყვნენ, არ დაეთანხმა რეფორმატორთა მოთხოვნებს და პრუსიის მეფემ ვილჰელმ I (ფრიდრიხ ვილჰელმ IV გარდაიცვალა 1861 წლის დასაწყისში და მისი ადგილი დაიკავა მანამდე რეგენტად დანიშნულმა ვილჰელმმა) იგი დაითხოვა. 1862 წელს არჩეული დეპუტატებიც არ აღმოჩნდნენ მორჩილნი — მათ უარყვეს სამხედრო რეფორმისათვის საჭირო კრედიტები. ლანდტაგის პოზიციას მხარს უჭერდა საზოგადოებრივი აზრიც, მეფე და მისი მინისტრები რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — დეპუტატების წინააღმდეგ რეპრესიები გამოიწვევდა რევოლუციამდელი პერიოდის დაბრუნებას, არც დათმობა იყო მიზანშეწონილი. ამიტომ პრუსიის თავადაზნაურობისა და ბიუროკრატიის ყველაზე შორსმჭვრეტელი წარმომადგენლები ცდილობდნენ ბურჟუაზიის თავის მხარეზე გადმობირებას, რათა შეენარჩუნებინათ ჰოჰენცოლერნთა დინასტია და თავიდან აეცილებინათ რევოლუცია.

**ბისმარკი პრუსიის პრემიერ-მინისტრი.** კონსტიტუციურ-საპარლამენტო რეფორმების მოწინააღმდეგე საღად მოაზროვნე იუნკრების ნაწილი მზად იყო ქვეყნის გაერთიანების საქმე თავის

ხელში აეღო და განეხორციელებინა იგი „ზემოდან“. ამ ახალი კურსის წარმომადგენელი იყო თავადი ოტო ფონ ბისმარკი[28], რომელიც ვილჰელმ I 1862 წელს მიიწვია პრუსიის მინისტრ-პრეზიდენტის ანუ პრემიერ-მინისტრის პოსტზე. გერმანიის გაერთიანების რთული პროცესის მთელი სიმძიმე ამ კაცს დააწვა მხრებზე, მაგრამ ამავე დროს, მას წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო მის მიერ შექმნილი გერმანიის იმპერიის პოლიტიკური და ეკონომიკური წარმატებების შემოქმედი და მომსწრე.

ბისმარკი იყო რეალისტი პოლიტიკოსი. მან კარგად იცოდა, რომ პრუსიისა და ავსტრიის ქიშპობა გერმანიის გაერთიანების გზების გამო, მათ შორის ომით უნდა დამთავრებულიყო. „გერმანია ძალიან ვიწროა ავსტრიისა და პრუსიისათვის — წერდა ის 1856 წელს. — ამიტომ უახლოეს მომავალში ჩვენ მოგვიწევს დავიცვათ ჩვენი უფლებები არსებობაზე ავსტრიის წინაშე, და ჩვენზე არ არის დამოკიდებული კონფლიქტის თავიდან აცილება; მოვლენების განვითარება გერმანიაში სხვა გამოსავალს არ იძლევა“. შემდგომში, 1866 წლის ავსტრია-პრუსიის ომამდე, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი ზემოთ აღნიშნული მოსაზრება იყო. ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მან პირდაპირ განუცხადა ავსტრიის წარმომადგენელს: „პრუსიისა და ავსტრიის

---

[28] ოტო ედუარდ ლეოპოლდ, თავადი ფონ ბისმარკ-შენჰაუზენი დაიბადა 1815 წელს შენჰაუზენში ოსტლბელი იუნკრის ფერდინანდ ბისმარკის ოჯახში. ახალგაზრდობაში იგი იყო აზარტული მონადირე და დუელიანტი. მისი წინაპრები, თითქმის 300 წლის განმავლობაში, სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულნი; მამამისიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ომებში იღებდა მონაწილეობას, თვითონაც სამხედრო კარიერაზე ოცნებობდა და შემდეგ არაერთხელ გამოუთქვამს სინანული იმის გამო, რომ ეს ოცნება ვერ აისრულა. 1847 წლამდე ბისმარკი თავის მამულში ცხოვრობდა, ამ წელს კი იგი აირჩიეს ფრიდრიხ ვილჰელმ IV მიერ მოწვეული ე.წ. გაერთიანებული ლანდტაგის დეპუტატად. თავისი სითამამით, საზოგადოებრივი აზრისადმი გულგრილი დამოკიდებულებით, მეფეზე ავტორიტეტებისადმი და გაცვეთილ ფრაზებისადმი ზიზღით ბისმარკი საყოველთაო უხერხულობას ქმნიდა, მაგრამ მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებდნენ მის გამბედაობას და მოქნილობას. იგი ორატორული ტალანტით არ გამოირჩეოდა, ხანდახან ენაც ებმოდა, მაგრამ საჭირო მომენტში შეეძლო მოენახა ისეთი ზუსტი სიტყვა და სახე, რომელიც მეხსიერებაში დიდხანს რჩებოდა.

მინისტრ-პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნის დროს ბისმარკს უკვე ჰქონდა საკმაო პოლიტიკური გამოცდილება: 1848 წელს იგი მჭიდრო კავშირში იყო იმ რეაქციონერ იუნკრებთან, რომლებიც დაჯგუფებულნი იყვნენ გაზეთ „Kreuz zeitung“-ის გარშემო, 50-იან წლებში პრუსიის წარმომადგენელი იყო ფრანკფურტში, პარიზსა და პეტერბურგში.

ურთიერთობა უნდა შეიცვალოს უკეთესობის ან უარესობისაკენ; ჩვენ გვსურს მოვლენების უკეთესობისაკენ განვითარება, მაგრამ იძულებული ვართ ვემზადოთ უარესობისთვისაც". ბისმარკი არ იყო ისეთი გულუბრყვილო, რომ ერწმუნა მისი მიზნების განხორციელების შესაძლებლობა მოწინააღმდეგის სიტყვიერი დაჯერების საშუალებით.ამიტომ დაიწყო პრუსიისათვის ევროპაში კეთილსასურველი პოლიტიკური სიტუაციის შესაქმნელად ნიადაგის მომზადება. მას ღრმად სწამდა, რომ ქვეყნის ერთიანობისათვის და მოწინააღმდეგეების (ლიბერალების) გადმობირებისათვის საკმარისი არ იქნებოდა მათი ეროვნული სიამაყის დაკმაყოფილება. ამისათვის საჭირო იყო ძლიერი არმია.

მოვიდა თუ არა ხელისუფლების სათავეში, ბისმარკმა დაითხოვა ჯიუტი პარლამენტი და ფონ როონთან ერთად განაგრძო არმიის რეორგანიზაცია. 1862 წელს პრუსიაში შემოიღეს სავალდებულო სამხედრო სამსახური. პრუსიის პრემიერ-მინისტრი ემზადებოდა გერმანიის „რკინითა და სისხლით" გაერთიანებისათვის.[29]

**დანიასთან ომი.** გერმანიის გაერთიანებას პრუსიის მეთაურობით მრავალი წინააღმდეგობა ეღობებოდა. უპირველეს ყოვლისა ანგარიში უნდა გაეწიათ ავსტრიისათვის, რომელიც მზად იყო იარაღით წინაღდგომოდა პრუსიის პრეტენზიებს; არც საფრანგეთს სურდა თავის აღმოსავლეთ საზღვარზე ძლიერი მეზობლის ყოლა. ნაპოლეონ III პრუსიის წინააღმდეგ აქეზებდა სამხრეთგერმანულ სახელმწიფოებს და ცდილობდა ამ სახელმწიფოების თავის გავლენის ქვეშ მოქცევას. ინგლისი და რუსეთი ყოველნაირად ხელს უწყობდნენ გერმანიის დაქუცმაცებულობის შენარჩუნებას.

„რკინის კანცლერის" თვალსაზრისით, გერმანიის გაერთიანებისათვის მოსალოდნელ ომებში, საჭირო იყო, რომ რუსეთს ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინა. ამ ამოცანის გადაწყვეტა გაიოლებული იყო, რადგანაც ყირიმის ომის შემდეგ ინგლისთან და ავსტრიასთან რუსეთის ურთიერთობა მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1863 წელს

---

[29] 1862 წელს ბისმარკმა დაუფარავად განაცხადა: სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები წყდება არა პარლამენტში ლაყბობით, არამედ რკინითა და სისხლით.

პოლონეთში აჯანყება დაიწყო. საფრანგეთი, ინგლისი და ავსტრია ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეს აჯანყება ევროპაში რუსეთის გავლენის შესუსტებისათვის. ბისმარკმა კარგად ისარგებლა რუსეთის იზოლაციით და მასთან დაახლოების მიზნით შესთავაზა თანამშრომლობა პოლონეთის ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსეთის ჯარებს ნება დართეს აჯანყებულთა დასაკავებლად და დასასჯელად პრუსიის ტერიტორიაზე განეხორციელებინათ ღონისძიებები. მართალია, რუსეთს არ უსარგებლია ამ უფლებით, მაგრამ ეს ჟესტი მაინც მნიშვნელოვანი იყო რუსეთთან დაახლოებისათვის. ალექსანდრე II რაიმე წინასწარი ოფიციალური ხელშეკრულება ბისმარკს არ დაუდია, მაგრამ იგი მიხვდა, რომ შეიძლებოდა უფრო თამამად ემოქმედა. უპირველესად მან განიზრახა დანიისაგან ჰოლშტაინისა და შლეზვიგის (შლეზვიგის ჩრდილოეთი ნაწილის გამოკლებით, სადაც დანიელები ცხოვრობდნენ) ჩამოცილება. ეს საჰერცოგოები ძირითადად გერმანელებით იყო დასახლებული, მათ ჰქონდათ თავიანთი კონსტიტუციები და დანიასთან დაკავშირებული იყვნენ პირადი უნიით.

1863 წელს დანიის მეფე ქრისტიანმა დანიის კონსტიტუცია გაავრცელა შლეზვიგზეც, რამაც მთელს გერმანიაში უკმაყოფილება გამოიწვია. ამით ისარგებლა ბისმარკმა და დანიას ულტიმატუმი წაუყენა — მას ხელი უნდა აეღო შლეზვიგის ანექსიაზე. ამ მოთხოვნას ავსტრიაც შეუერთდა.

დანიის მეფეს ევროპის სახელმწიფოთა დახმარების იმედი ჰქონდა და უარყო მისდამი წაყენებული მოთხოვნები. ამის საპასუხოდ 1864 წლის იანვარში, საკავშირო სეიმის პროტესტის მიუხედავად, ავსტრიამ და პრუსიამ ომი გამოუცხადეს დანიას. ხანმოკლე გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, დანია დამარცხდა. 1864 წლის 30 ოქტომბერს ვენაში დაიდო ზავი, რომლის თანახმად ორივე საჰერცოგო გადადიოდა პრუსიისა და ავსტრიის საერთო დროებით გამგებლობაში. მათი შემდგომი ბედი მოგვიანებით უნდა გადაწყვეტილიყო. ბისმარკის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ევროპის არცერთი სახელმწიფო ხელს არ შეუშლიდა მას დანიის განადგურებაში, გამართლდა; ომის შედეგებით იგი მაინც უკმაყოფილო იყო. მას არ სურდა საჰერცოგოების

ერთობლივი მფლობელობა. ბისმარკს უკვე დიდი ხანია თვალი ეჭირა ჩრდილოეთის ზღვისაკენ და უნდოდა ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი არხის გაყვანა, არც საკავშირო სეიმის გეგმის — შლეზვიგისა და ჰოლშტაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა იყო მისთვის სასურველი.

ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 1865 წლის აგვისტოში პრუსია და ავსტრია მორიგდნენ: საჰერცოგოები კვლავ საერთო მფლობელობაში რჩებოდა, მაგრამ ჰოლშტაინის მმართველობა ავსტრიის ხელში გადადიოდა, შლეზვიგის კი — პრუსიის.

**ავსტრია-პრუსიის 1866 წლის ომი.** ვენის საზავო ხელშეკრულების შემდეგ ავსტრიისა და პრუსიის ურთიერთობა არ გაუმჯობესებულა. ბისმარკს სურდა ორივე საჰერცოგოს დაუფლება, რაც, ცხადია, ავსტრიის პროტესტს გამოიწვევდა. შესაძლებელი ხდებოდა ამ ორ სახელმწიფოს შორის საომარი კონფლიქტის დაწყება. მოვლენების ამგვარი განვითარება აწყობდა პრუსიის პრემიერმინისტრს. იგი თითქოსდა კომპრომისების მომხრე იყო, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ავსტრია საბოლოოდ ჩამოეშორებინა გერმანიის გაერთიანების გზიდან. „1866 წლის ომი (იგულისხმება ავსტრია-პრუსიის ომი — ვ.თ.) — წერდა შემდეგში მოლტკე, — არ იყო ნაკარნახევი ჩვენი ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად; ეს იყო კონფლიქტი... წინასწარ გააზრებული და თანდათანობით მომზადებული“.

ავსტრიასთან ომის დაწყებამდე ბისმარკს სურდა მოსალოდნელ კონფლიქტში საფრანგეთის პოზიციის გარკვევა. ამ მიზნით იგი შეხვდა საფრანგეთის კურორტ ბიარიცში ნაპოლეონ III. იმპერატორი ცდილობდა ავსტრიისა და პრუსიის ერთმანეთზე წაკიდებას, მათ დასუსტებას, რათა შემდეგ ორივესათვის თავისი პირობები ეკარნახა. ამიტომ, როდესაც მას ბისმარკმა ავსტრიასთან მოსალოდნელ ომში ნეიტრალიტეტისათვის შესთავაზა ბელგიის ნაწილი და მდ. რაინის მარცხენა სანაპიროს მიწები, იგი წამოეგო ამ ანკესს, ამასთანავე, პარიზის კაბინეტი ავსტრიის წინააღმდეგ ფარულად იტალიასაც აქეზებდა. ფრანც იოზეფმა იგრძნო ორ ცეცხლს შუა მოქცევის საშიშროება და საზღვრებზე განალაგა რამდენიმე პოლკი, რამაც

პრუსიის ენერგიული პროტესტი გამოიწვია. 1866 წლის 8 აპრილს ხელმოწერილ იქნა პრუსია-იტალიის შეთანხმება, რომლის მიხედვით, თუ პრუსია დაიწყებდა სამხედრო მოქმედებებს, იტალია სამი თვის განმავლობაში უნდა ჩაბმულიყო ავსტრიის წინააღმდეგ ომში.

ავსტრიასთან ომის დაწყების წინ ბისმარკი შეეცადა საკავშირო სეიმის წევრების და გერმანულ სახელმწიფოთა უმრავლესობის მომხრობას. პირველს შესთავაზა რადიკალური რეფორმის განხორციელება (საყოველთაო არჩევნების საფუძველზე შექმნილი პარლამენტის მიერ გერმანიის სახელმწიფოებრივი მოწყობის განსაზღვრა), მეორეს არწმუნებდა იმაში, რომ მომავალი ომის მიზანი ტერიტორიების დაპყრობა კი არ იყო, არამედ გერმანიის გაერთიანება და, ამგვარად, გამორიცხული იქნებოდა ომის ეგოისტური ხასიათი.

ასეთი პროპაგანდისტული ხასიათის დაპირებების მიუხედავად, საომარი მოქმედებების დასაწყისში ბავარია, საქსონია, ჰანოვერი, ვიურტემბერგი და ბადენი ავსტრიას მიემხრნენ. მართალია, სამხედრო თვალსაზრისით ისინი სუსტნი იყვნენ, მაგრამ პრუსია მაინც იძულებული გახდა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული ძალები გამოეყო.

ავსტრიასთან მოსალოდნელ ომს პრუსიაშიც გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგენი. სილეზიაში სამღვდელოების წარმომადგენლებმა დაგმეს მთავრობის პოლიტიკა. რაინის პროვინციებში რეზერვისტები ძალით მიჰყავდათ სამობილიზაციო პუნქტებში, ხოლო მაინცის ეპისკოპოსი ამართლებდა ჯარისკაცთა ანტისაომარ განწყობილებას. ასეთ პირობებში წარუმატებლობას ჰოენცჰოლერნთა დინასტიისათვის მეტად სერიოზული შედეგები მოყვებოდა. არც საზღვარგარეთიდან მოდიოდა დამაიმედებელი ცნობები. საფრანგეთში საზოგადოებრივი აზრი ეწინააღმდეგებოდა ნაპოლეონ III პოლიტიკას და იმპერატორიც ხშირად ორჭოფობდა მის მიერ არჩეული საგარეო პოლიტიკური კურსის გამო. მისი სიმპათიები პრუსიისადმი შეიძლება შეცვლილიყო განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავსტრიამ და საფრანგეთმა 1866 წლის 12 ივნისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით ავსტრიას უნდა გადაეცა იტალიისათვის ვენეცია და საფრანგეთის

გარეშე არ უნდა მოეხდინა გერმანულ სახელმწიფოებში პოლიტიკური და ტერიტორიული ცვლილებები. სამაგიეროდ, საფრანგეთის იმპერატორს აღუთქვეს პაპის ოლქის ხელშეუხებლობა.

1866 წლის 11 ივნისს პრუსიელებმა დაიკავეს ჰოლშტაინი. ავსტრიამ ფრანკფურტის სეიმს მოკავშირეთა ჯარების მობილიზაცია მოსთხოვა. მას მხარი დაუჭირა ოთხმა სამეფომ: ბავარიამ, საქსონიამ, ჰანოვერმა და ვიურტემბერგმა, აგრეთვე ორივე ჰესენმა[30] და ნასაუმ.

თანამედროვე სამხედრო ხელოვნების მიღწევების საფუძველზე საომარი მოქმედებების წარმართვის შედეგად, პრუსიის ჯარებმა ფონ მოლტკესა და ფონ რაონის ხელმძღვანელობით მოკლე დროში გადამწყვეტი უპირატესობები მოიპოვეს. ავსტრიის მთავარსარდალი ბენედეკი კარგი სამხედრო თეორეტიკოსი იყო, მაგრამ პრაქტიკული ნიჭით არ გახლდათ დაჯილდოებული. იგი მთლიანად XVIII საუკუნის ტრადიციების ტყვეობაში იმყოფებოდა და ცდილობდა საბრძოლო მოქმედებების დეტალებიც კი მასთან შეეთანხმებინათ, მაშინ როდესაც მოლტკე მხოლოდ მთავარ სტრატეგიულ მიზნებს უსახავდა თავის გენერლებს, რაც მათ მეტი შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნების საშუალებას აძლევდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ პრუსიის ჯარების კარგი ორგანიზაცია და ტექნიკური შეიარაღების მაღალი დონე.

მას შემდეგ, რაც რამდენიმე ბრძოლაში ავსტრიელებმა 40000 კაცი დაკარგეს, ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. „ მე დაჟინებით გთხოვთ თქვენო უდიდებულესობავ, — აცნობებდა ბენედეკი იმპერატორს, — დადოთ ზავი ნებისმიერ პირობებზე. არმიას გარდაუვალი კატასტროფა ემუქრება“. მაგრამ ამ თხოვნას ფრანც იოზეფმა ყური არ უგდო — მას სურდა გენერალურ ბრძოლაში ღირსების მუნდირის დაცვა. ასეთი ბრძოლა გაიმართა 3 ივლისს ჩეხეთის სოფელ სადოვასთან, რომელიც ავსტრიელთა სრული მარცხით დამთავრდა. მათ მოუკლეს 13000 კაცი, დაუჭრეს 18000 და ტყვედ ჩაიგდეს 13000, მაშინ, როდესაც პრუსიელთა საერთო დანაკლისი 9000 იყო.

სადოვასთან გამარჯვების შემდეგ ვენისაკენ გზა გახსნილი

---

[30] 1567 წელს ჰესენი გაიყო ჰესენ-კასელის და ჰესენ-დარმშტადტის სამთავროებად.

იყო. პრუსიელებმა ავსტრიის მოკავშირე მცირე გერმანული სახელმწიფოების ჯარებიც დაამარცხეს და 15 ივლისს დაიკავეს მაინის ფრანკფურტი.

ავსტრიის დამარცხებამ კიდევ უფრო გააძლიერა იმპერიის მრავალეროვანი მოსახლეობის პარტიკულიარისტული მისწრაფებები. უნგრეთი უარს აცხადებდა რაიმე დახმარებაზე, თუ არ დაუბრუნებდნენ მის უფლებებს; არც საფრანგეთიდან იყო მოსალოდნელი მხარდაჭერა, ნაპოლეონ III მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ მიელო მონაწილეობა ამ ომში.

იგრძნო რა საფრანგეთის მხრიდან უსაფრთხოება, ვილჰელმ I ცდილობდა არა იმდენად თავისი გავლენის გაფართოებას, რამდენადაც ტერიტორიების შემოერთებას. ბისმარკს დასჭირდა მთელი თავისი უნარ-შესაძლებლობების გამოყენება, რათა მონარქისათვის შეეცვლევინებინა თავისი განზრახვა. მისი უდიდესი პრაქტიკული ალღო და დიპლომატიური ნიჭი ნათლად გამოჩნდა მაშინ, როდესაც მან უარი განაცხადა ვენაში პრუსიის ჯარების შეყვანაზე, რაც ავსტრიელთათვის დიდი ეროვნული შეურაცხყოფა იქნებოდა. „რკინის კანცლერმა“ კარგად იცოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ პრუსიას მოუწევდა საფრანგეთთან ომი გერმანიის სრულად გაერთიანებისათვის და ამიტომ არ უნდოდა ზურგში განაწყენებული, მუდამ რევანშისათვის გამზადებული მეზობელი სახელმწიფო ჰყოლოდა. ამასთანავე, ბისმარკი არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ ნაპოლეონი და ალექსანდრე II ბოლომდე ნეიტრალური პოლიტიკის ერთგული დარჩებოდნენ.

წინასაზავო მოლაპარაკებები დაიწყო ვენასთან ახლომდებარე ნიკოლსბურგში 1866 წლის 22 ივლისს და დამთავრდა 26 ივლისს, ხოლო ზავი დაიდო იმავე წლის 24 აგვისტოს პრაღაში.

მთელი ევროპა განცვიფრებული იყო ომის ასე სწრაფად დამთავრებით. სამკვირიანი კამპანია საკმარისი გახდა იმისათვის, რომ შეცვლილიყო პოლიტიკური მდგომარეობა ევროპაში და საფრანგეთის ჰეგემონობის ნაცვლად დამყარებულიყო პრუსიის ჰეგემონობა.

ავსტრიას უნდა გადაეხადა 300 მლნ. ფრანკი კონტრიბუცია; პრუსია იერთებდა 1300 კვადრატულ მილ ტერიტორიას 4300000

მცხოვრებით. ამის შემდეგ პრუსიის მოსახლეობის საერთო რაოდენობა შეადგენდა 24 მილიონს.

პრუსიის მთავრობის წინაშე, რომელსაც გერმანიის გაერთიანება სურდა, სამი მთავარი ამოცანა იდგა: 1) აუცილებელი იყო ახალშემოერთებული ტერიტორიებისა და მოსახლეობის გათქვეფა მონარქიაში; 2) თავისი ძალაუფლების განმტკიცება ჩრდილო გერმანულ სახელმწიფოებზე და 3) დამოუკიდებელი სამხრეთ გერმანული სახელმწიფოების მომზადება იმისათვის, რათა მათ ეცნოთ პრუსიის სიუზერენობა. სამივე ამ ამოცანის განხორციელების დროს ნათლად გამოჩნდა ბისმარკის დიდი დიპლომატიური ნიჭი და სახელმწიფოებრივი აზროვნების ფართო მასშტაბი.

დანიასთან და ავსტრიასთან ომებში გამარჯვებამ რადიკალურად შეცვალა ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატთა დამოკიდებულება მთავრობისადმი, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში. ასე მოიქცა მაგალითად ყოფილი პროგრესისტების პარტიის ბევრი წარმომადგენელი, რომლებმაც შექმნეს ნაციონალ-ლიბერალების ჯგუფი. ეს ჯგუფი გაძლიერდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ მიემხრო ახალშემოერთებულ პროვინციებში მოღვაწე ლიბერალი დეპუტატები. მათ შორის აღსანიშნავია ჰანოვერელები — ბენიგსენი და მიქელი, რომლებიც ამ დროიდან მოყოლებული წამყვან როლს ასრულებდნენ პრუსიის ლანდტაგში.

უკვე ამ პერიოდში გერმანიაში გამოცოცხლდა ვაჭრობა და სამრეწველო საქმიანობა. ეროვნული სიმდიდრის ზრდასთან ერთად ქვეყანაში გაიზარდა მოსახლეობის საშუალო ფენების რიცხობრივი რაოდენობა და გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმისათვის, რომ ისინი არ მიკედლებოდნენ ოპოზიციას და ცენტრალიზებული ხელისუფლების განმტკიცების მიზნით გაეხადა თავის დასაყრდენად, ბისმარკი მათ მთელ რიგ შეღავათებს ანიჭებდა.

მონარქიის განსამტკიცებლად, ბისმარკი ყოველნაირად ცდილობდა საპარლამენტო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებას. მართალია, იგი პარლამენტის გადაწყვეტილებებს მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ახალშემოერთებული პროვინციების წინააღმდეგობების აღსაკვეთად

საკონსტიტუციო რეჟიმის შენარჩუნება მას საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა; პრუსიასთან შეერთების წინააღმდეგ კი გამოდიოდნენ შლეზვიგის ჩრდილოეთი ოლქები, რომლებიც დანიელებით იყო დასახლებული, ჰანოვერის მეფე გეორგ V და ჰესენ-კასელის კურფიურსტი. ურჩი ქვეშევრდომების მიმართ ბისმარკი „მათრახისა და ტკბილი კვერის“ პოლიტიკას მიმართავდა. მან ჩამოართვა მდიდარი შემოსავლიანი ადგილები იმ მთავრებსა და მონარქებს, რომლებიც მათ ებოძათ თავიანთ უფლებებზე უარის თქმის გამო. ამ გზით მიღებული ფულადი სახსრები გამოყენებულ იქნა საზოგადოებრივი აზრის დამუშავებისა და გაზეთების მოსყიდვის მიზნით. მაგრამ პრუსიის მიმართ მტრული გრძნობების განქარვება „რკინის კანცლერმა“ შესძლო არა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, არამედ შემოერთებული ხალხების ტრადიციებისადმი პატივისცემისა და მათდამი კეთილმოსურნე დამოკიდებულების გზით.

**ჩრდილო გერმანიის კავშირის შექმნა.** საშინაო საქმეების რამდენადმე მოწესრიგების შემდეგ, პრუსიას უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა იმისათვის, რომ გაეზარდა თავისი გავლენა იმ პატარა გერმანული სახელმწიფოების მონარქებზე, რომლებიც თავის გარშემო შემოიკრიბა. 1866 წლის 4 აგვისტოს მან შესთავაზა ჩრდილოეთ გერმანულ სახელმწიფოებს დაედოთ მასთან ერთწლიანი შეთანხმება ჩრდილოგერმანიის კავშირის საფუძვლების შემუშავების მიზნით, როგორც ეს პრაღის ზავით იყო გათვალისწინებული. ამ წინადადებას ჩრდილო გერმანიის სახელმწიფოს ზოგიერთი მეთაური დიდი ენთუზიაზმით არ შეხვდა (საქსონიის მეფე, რაინის სამთავრო, მაინინგენის საჰერცოგო), მაგრამ რას გახდებოდა 6 მილიონამდე 21 სახელმწიფოში გაფანტული გერმანელი 24 მილიონიანი პრუსიის წინააღმდეგ? ბისმარკი მოჩვენებითი თავაზიანობით და კორექტულობით არწმუნებდა მათ, რომ იგი მომავალ კავშირში მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვდა იმ მინიმალურ დათმობებს, რომლის გარეშე მთელის არსებობა ყოვლად შეუძლებელია, რომ ახალი კავშირი დაფუძნებული იქნებოდა ურთიერთნდობაზე და არა ძალაზე. „რკინის კანცლერს“ მისთვის ასე ზომიერი განცხადებების გამო, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ისინი ვერ ჩასწვდნენ მის

შორსგამიზნულ გეგმებს. სწორედ მათ მიმართ ამბობდა ბისმარკი — მთავარია გერმანია შევსვათ უნაგირზე და მერე გზას თვითონ გაიკვლევსო. ამ სიტყვებით იგი გამოხატავდა თავისი ხალხის გენიისადმი ღრმა რწმენას.

მომავალი მოკავშირეებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას სასურველი შედეგი მოჰყვა: ბერლინის კონფერენციაზე (1866 წ. 13 დეკემბერი 1867 წ. 9 იანვარი) შემუშავებული პროექტი ჩრდილოგერმანიის სახელმწიფოთა კავშირში პრუსიის ჰეგემონობას უზრუნველყოფდა.

ჩრდილოგერმანიის სახელმწიფოთა კავშირის პრეზიდენტი და გენერალისიმუსი პრუსიის მეფე უნდა ყოფილიყო. საკავშირო დროშად (თეთრი-შავი-წითელი) პრუსიის დროშა აღიარეს. კავშირის კომპეტენცია ვრცელდებოდა სამხედრო, პოლიტიკურ და სავაჭრო ყველა საკითხზე. საკავშირო ხელისუფლებას ემორჩილებოდა საბაჟოები, არაპირდაპირი გადასახადები, რკინიგზები, ფოსტა-ტელეგრაფი, სამონეტო საქმე, ზომისა და წონის საკითხები, ჯანმრთელობის დაცვა, სავაჭრო, საზღვაო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა. საკავშირო ბიუჯეტი ივსებოდა საბაჟო გადასახადებით, საფოსტო შემოსავლებით და სხვადასხვა არაპირდაპირი გადასახადებით. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ დასახელებული შემოსავლები არ ეყოფოდა ყველა საჭიროებას, მაშინ კავშირში შემავალი სახელმწიფოები, მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად, დეფიციტის დასაფარავად თავიანთ წილს შეიტანდნენ.

კავშირს უცხო სახელმწიფოებთან მხოლოდ პრეზიდენტი წარმოადგენდა; იგი აცხადებდა ომს და დებდა ზავს. მის ხელში იყო კავშირის უმაღლესი სამხედრო მმართველობა. წვრილი გერმანული სახელმწიფოების დიდმა ნაწილმა პრუსიასთან დადო სპეციალური სამხედრო კონვენციები, რომელთა მიხედვით მათი ჯარები შედიოდნენ პრუსიის არმიის შემადგენლობაში; ყველა სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობდა, რომ გარდაქმნიდნენ თავიანთ სამხედრო დაწესებულებებს პრუსიელთა მსგავსად. პრეზიდენტს უფლება ეძლეოდა გამოეცა კანონები, მოეწვია და დაეხურა საკავშირო წარმომადგენლობითი კრებები, დაენიშნა და გაეთავისუფლებინა თანამდებობის მქონე პირები.

პრეზიდენტის წარმომადგენლად ითვლებოდა საკავშირო კანცლერი, რომელსაც ძალიან დიდი პრეროგატივები გააჩნდა. ცალკეულ სახელმწიფოებს მისცეს ავტონომიური უფლებები; ისინი ინარჩუნებდნენ საკულტო საქმეების, სახალხო განათლების, საზოგადოებრივი სამუშაოების, სასამართლო ორგანოების ხელმძღვანელობის ფუნქციებს, მაგრამ დაუცველი იყვნენ ცენტრალური ხელისუფლების თვითნებობისაგან და თანდათანობით კარგავდნენ ამ მცირეოდენ დამოუკიდებლობასაც კი.

საზოგადოებრივი აზრის მომხრობისა და მოსალოდნელი პარტიკულიარისტული გამოვლინებებისაგან თავდაცვის მიზნით, ბისმარკმა კავშირის სათავეში პრეზიდენტთან ერთად დააყენა რაიხსტაგი, რომელიც ირჩეოდა საყოველთაო საარჩევნო კანონის საფუძველზე; მაგრამ, ამასთანავე, მან შესძლო მახვილგონივრული კომბინაციებით მონარქისტული ხელისუფლების გადამწყვეტი გავლენის უზრუნველყოფა. საკავშირო პარლამენტს ანუ რაიხსტაგს, მართალია, ჰქონდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მაგრამ ფაქტიურად იგი რაიმე მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენდა მთავრობის საქმეებზე. მაგალითად, მის მიერ მიღებული კანონები ძალაში შედიოდა მას შემდეგ, როდესაც მათ მოიწონებდნენ პრეზიდენტი და საკავშირო საბჭო.

საკავშირო საბჭოში (Bundesrat) 43 ხმიდან 17 პრუსიას ეკუთვნოდა; რვა მუდმივი კომისიის თავმჯდომარეც პრუსიის წარმომადგენელი იყო. ამგვარად, ფაქტიურად ერთი კონკრეტული ხელისუფლება — მეფისა და მისი წარმომადგენლის — კანცლერის ხელისუფლება იქნებოდა, კონსტიტუციასაც ერთი მთავარი დანიშნულება ჰქონდა — დაეფარა პრუსიის პატივმოყვარული მისწრაფებები.

ჩრდილო გერმანიის კავშირის კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1867 წლის 1 ივლისს.

კავშირში შემავალი მონარქები უკმაყოფილონი იყვნენ პრუსიის მიერ მათი დამოუკიდებელი უფლებების შეზღუდვის გამო, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ არ აქცევდა. თავდაპირველად ფეოდალებიც შიშობდნენ მოსალოდნელ ეკონომიკურ რეფორმებთან დაკავშირებით,

მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ პრუსიელები ხელს არ ახლებდნენ მსხვილ მიწათმფლობელებს, დაწყნარდნენ. საკავშირო პარლამენტმა, რომელიც შეიკრიბა 1867 წლის შემოდგომაზე, გამოსცა კანონები სამრეწველო საქმიანობის თავისუფლების, ქორწინების თავისუფლების, კავშირის ერთი ქვეყნიდან მეორეში საცხოვრებლად თავისუფალი გადაადგილებისა და საგაფიცვო უფლებების შესახებ, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც უკმაყოფილო იყო არსებული რეჟიმით; ისინი ვერ ეგუებოდნენ მძიმე სამხედრო ბეგარას, დიდ გადასახადებს, სახელმწიფო მოხელეთა სიმკაცრეს უმნიშვნელო საკითხების გადაწყვეტის დროს. ამის მიუხედავად, საზოგადოებრივ ცნობიერებას თანდათანობით ეუფლებოდა ერთიანობის იდეა და ბისმარკმა გადაწყვიტა დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა. ადრე თუ გვიან სამხრეთგერმანული სახელმწიფოებიც უნდა შესულიყვნენ ჩრდილოგერმანიის კავშირში, თუმცა ამ მიზნის მიღწევამდე ჯერ კიდევ ბევრი წინააღმდეგობა იყო გადასალახავი: ბავარიის, ვიურტემბერგის, ბადენისა და ჰესენის ხელისუფლებს არ სურდათ თავიანთი სუვერენული უფლებების დათმობა. მაგრამ საფრანგეთის მთავრობის წინდაუხედავმა პოლიტიკამ გაუადვილა ბისმარკს დაწყებული საქმის — გერმანიის სრული გაერთიანების წარმატებით დაგვირგვინება.

**საფრანგეთ-გერმანიის ომი. გერმანიის იმპერიის შექმნა.** 1866 წელს, ავსტრიის დამარცხების შემდეგ, ნაპოლეონ III ცხადი გახდა, რომ გერმანული სახელმწიფოების გაერთიანება ავსტრიის გარეშე პრუსიის ხელმძღვანელობით დროის საკითხია იყო. იგი ყოველნაირად ცდილობდა ამ ისტორიული პროცესისათვის ხელის შეშლას, რაც მშვიდობიანი გზით თითქმის შეუძლებელი იყო. ამასთანავე, წარუმატებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის შედეგად ქვეყნის შიგნით შერყეული სოციალური დასაყრდენის განსამტკიცებლად და საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად საფრანგეთის იმპერატორს მოგებული ომი უებარ საშუალებად მიაჩნდა.

საფრანგეთთან ომით არანაკლებ დაინტერესებული იყო ბისმარკი, რომელიც ამ ომში გამარჯვების შედეგად გერმანიის გაერთიანების დასრულებას ვარაუდობდა. „ემსის დეპეშის“ წყალობით მან კიდეც

შესძლო საფრანგეთთან საომარი კონფლიქტის პროვოცირება.[31]

საფრანგეთი მოუმზადებელი აღმოჩნდა ომისათვის. არც სამხრეთგერმანული სახელმწიფოები ჩამოცილდნენ პრუსიას, როგორც ამას ვარაუდობდნენ პარიზში. პირიქით, მათში არსებული პარტიკულიარისტული მისწრაფებები შეცვალა პატრიოტულმა ენთუზიაზმმა. ომის გამოცხადებისთანავე ბავარიის მეფე ლუდვიგმა თავისი ჯარები პრუსიას გადასცა. სხვა გერმანულმა სახელმწიფოებმაც მხარი დაუჭირეს ვილჰელმ I.

**1870 წლის 2 სექტემბერს, სედანთან გამარჯვების შემდეგ,** სამხრეთგერმანიის სახელმწიფოებმა დაიწყეს მოლაპარაკებები ჩდილოგერმანიის კავშირთან შეერთების თაობაზე. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ კავშირი გაფართოვდა, მაგრამ მისი ხასიათი არ შეცვლილა. სამხრეთგერმანული სახელმწიფოები ბავარია, ვიურტემბერგი, ბადენი და ჰესენი პრუსიის ვასალები გახდნენ. ბავარიამ მოიპოვა მშვიდობიანობის დროს სამხედრო ავტონომია და თავისი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებების დამოუკიდებლობა, ხოლო ვიურტემბერგის არმია იქმნებოდა, როგორც დამოუკიდებელი კორპუსი. საკავშირო საბჭოში ბავარიას ჰყავდა 6 დელეგატი, ვიურტემბერგს — 4, ბადენსა და ჰესენს — 3-3; საკავშირო რაიხსტაგში სამხრეთგერმანული სახელმწიფოები აგზავნიდნენ 85 დეპუტატს.

გერმანულ სახელმწიფოთა ახალი კავშირის სათავეში უნდა ყოფილიყო იმპერატორი. მეფე ვილჰელმი დიდხანს ყოყმანობდა ამ ტიტულის მიღებაზე, მაგრამ შემდეგ მემკვიდრე პრინცმა და ბისმარკმა შესძლეს მისი დათანხმება. „ვერ აგიწერ როგორი განწყობით გავატარე ეს ბოლო დღეები, — წერდა ვილჰელმ I 1871 წლის 18 იანვარს თავის მეუღლეს, — ნაწილობრივ იმ ტვირთის გამო, რომელიც მე

---

[31] კურორტ ემსიდან, სადაც ვილჰელმ I მკურნალობდა და საუბარი პქონდა საფრანგეთის ელჩ ბენედეტისთან, ბისმარკმა მიიღო პარიზში გასაგზავნი დეპეშა, რომელშიც გადმოცემული იყო მეფესა და ელჩს შორის საუბრის შინაარსი. მან „შეამოკლა“ დეპეშის ტექსტი, მისცა მას საფრანგეთისათვის შეურაცხმყოფელი ხასიათი და ისე გაგზავნა პარიზში. იგი დარწმუნებული იყო, რომ დეპეშის ტექსტი წონასწორობიდან გამოიყვანდა საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს. ბისმარკის ვარაუდი გამართლდა: „ემსის დეპეშის“ ტექსტის გამოქვეყნებამ პარიზში აღშფოთება გამოიწვია. 1870 წლის 19 ივლისს საფრანგეთმა ომი გამოუცხადა პრუსიას.

მაწევს, ნაწილობრივ და უპირველესად იმ მწუხარების გამო, რომელსაც განვიცდი იმასთან დაკავშირებით, რომ პრუსიის მეფის ჩემი ტიტული უკანა პლანზე გადადის. გუშინდელი თათბირის შემდეგ ისე მოვიწყინე, რომ სამეფო ტახტიდან გადადგომაზეც კი ვფიქრობდი".

იმპერიის გამოცხადების ორგანიზაციული საკითხები ბისმარკმა მოაგვარა. მან სთხოვა ბავარიის მეფეს ლუდვიგ II თავის თავზე აეღო იმპერიის აღდგენის ინიციატივა და თან გაუგზავნა შესაბამისი ინსტრუქციები. მეფემ თავის დედაქალაქ მიუნხენიდან გერმანული სახელმწიფოების ყველა მეთაურს აცნობა ამის შესახებ.

**1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში საზეიმო ვითარებაში გამოაცხადეს გერმანიის იმპერიის დაარსება. პრუსიის მეფე ვილჰელმ I გახდა ახლადდაარსებული იმპერიის (რაიხ) მემკვიდრეობითი იმპერატორი (კაიზერი).**

**გერმანიის იმპერიის სახელმწიფო პოლიტიკური სტრუქტურა.** გერმანიის იმპერია საკმაოდ ორიგინალური სახელმწიფოებრივი გაერთიანება იყო. 1871 წელს მიღებული კონსტიტუცია ფაქტიურად ჩრდილოგერმანიის კავშირის კონსტიტუციის ასლს წარმოადგენდა. ამგვარად, პრუსიამ, როგორც ყველაზე დიდმა და ძლიერმა სახელმწიფომ, შეინარჩუნა ახალ იმპერიაში გაბატონებული მდგომარეობა.

მართალია, გერმანიის იმპერიამ ბოლო მოუღო ქვეყნის დაქუცმაცებულობას, მაგრამ იგი მაინც არ იყო ცენტრალიზებული ბურჟუაზიული სახელმწიფო. ის წარმოადგენდა სახელმწიფოთა საოცარ კონგლომერატს, რომლის ჩარჩოებში ცალკეული სახელმწიფოები განაგრძობდნენ არსებობას.

იმპერია შედგებოდა 4 სამეფოს, 6 დიდი საჰერცოგოს, 4 საჰერცოგოს, 8 სამთავროს, 3 თავისუფალი ქალაქისა და საიმპერიო პროვინციის (Reichsland) ელზას-ლორენისაგან, რომელიც გერმანიამ საფრანგეთისაგან შემოიერთა 1871 წლის ფრანკფურტის ზავით.

თითოეულ სახელმწიფოს ჰქონდა საკუთარი საკანონმდებლო ორგანო (ლანდტაგი) და ბიუროკრატიული აღმასრულებელი აპარატი.

საერთოეროვნულ საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდა გერმანიის რაიხსტაგი, რომლის წევრებს ირჩევდნენ საყოველთაო,

თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო კანონის საფუძველზე, მაგრამ მისი საკანონმდებლო უფლებები შეზღუდული იყო. კანონპროექტი ძალაში შედიოდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას მოიწონებდა ბუნდესრატი (საკავშირო საბჭო) და კაიზერი. მათ ვეტოს უფლებაც ჰქონდათ. ბუნდესრატი იყო უმაღლესი საკანონმდებლო პალატა, რომლის წევრები არ ირჩეოდა, არამედ კომპლექტდებოდა სამთავროებისა და თავისუფალი ქალაქების (ჰამბურგი, ბრემენი, ლიუბეკი) წარმომადგენლებით. პრუსიას ბუნდესრატში 58-დან 17 ადგილი ჰქონდა, მაგრამ მას კონსტიტუციის შეცვლის შემთხვევაში ვეტოს უფლება ეძლეოდა, რაც უზრუნველყოფდა მის გაბატონებულ მდგომარეობას.

იმპერიის კაიზერი ამავე დროს იყო პრუსიის მეფე და არმიისა და ფლოტის უმაღლესი მთავარსარდალი. საკანონმდებლო ხელისუფლება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან სრულიად დამოუკიდებელი იყო. იმპერიის კანცლერი პასუხს არ აგებდა რაიხსტაგის წინაშე და უნდობლობის ვოტუმის გამოცხადების შემთხვევაში შეეძლო არ გადამდგარიყო.

ახლადშექმნილი იმპერიის მესვეურთა მიერ დემოკრატიული იდეების ქადაგება და ხალხთა უფლებების აღიარება ცნობილი პოლიტიკური ფანდი იყო; სინამდვილეში კი ისინი, ყველა რთული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტის უებარ საშუალებად უხეში ძალის გამოყენებას მიიჩნევდნენ. სწორედ ამიტომ, დიდი ხნის განმავლობაში, მათ ვერ შესძლეს ოპოზიციური მისწრაფებების აღმოფხვრა: ვერც შლეზვიგში მცხოვრები დანიელები, ვერც პოზნანელი პოლონელები, ვერც ელზას-ლორენელები ვერ შეეგუენ იმპერიაში გაბატონებულ ფელდფებელურ წესებს. ეს ხალხები ყველანაირი საშუალებებით ებრძოდნენ ძალით გაგერმანელების პოლიტიკას.

XIX საუკუნის II ნახევრის ქართული პროგრესული საზოგადოებრივი აზრის მოთავენი ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი და სხვები ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სხვა პრობლემებთან ერთად სერიოზული ყურადღებით ეკიდებოდნენ გერმანიის იმპერიის ფარგლებში ძალით

მოქცეული მოსახლეობის ბრძოლას უხეში ეროვნული დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ისინი ამ ბრძოლაში ხედავდნენ სამშობლოსათვის თავდადებისა და სიყვარულის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს და მისი კონკრეტული მაგალითების პრესის ფურცლებზე გაშუქებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართველ ხალხში პატრიოტული გრძნობების გაღვიძების საქმეში.

ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად, გერმანიის იმპერიის დაარსებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ევროპის პოლიტიკურ რუკაზე შეიქმნა დიდი სახელმწიფო, რომლის „ჰოს" თუ „არას" შეიძლებოდა გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა მსოფლიო მნიშვნელობის ბევრი პრობლემის განხილვის დროს. 1887 წელს გაზეთი „ივერია" წერდა: უკანასკნელი თვრამეტი წელია გერმანია ბატონობს ევროპაში. „არც ერთ სახელმწიფოს, დიდსა თუ პატარას, თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკა აღარ ჰქონდა. სულ ყველანი ბისმარკს შეჰყურებდნენ თვალებში და რასაც იქ ამოიკითხავდნენ, თავის პოლიტიკას იმისდაგვარად მოჰმართავდნენ ხოლმე". ასეთი შეფასება რამდენადმე გადაჭარბებულია, მაგრამ მაინც მიუთითებს იმ დიდ როლზე, რომელსაც გერმანია ასრულებდა მაშინდელი ევროპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.

გერმანიის იმპერიის შექმნა, რომელმაც დაასრულა ფეოდალიზმიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დამკვიდრების, პოლიტიკური და ეკონომიკური დაქუცმაცებულობიდან ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის დიდი ისტორიული პერიოდი, იყო შედეგი დინასტიური ომების, სხვა ქვეყნების ტერიტორიების ძალით მიტაცებისა და ა.შ. ამ უარყოფითი ნიშნების მიუხედავად, ერთიანი სახელმწიფოს შექმნა უდიდესი პროგრესული მნიშვნელობის მოვლენა იყო გერმანელი ხალხის ცხოვრებაში.

**პარიზის კომუნა.** საფრანგეთში იმპერიის დაცემას და მესამე რესპუბლიკის დამყარებას შედეგად მოჰყვა ქვეყნის შიგნით კლასობრივ ძალთა დაპირისპირების შემდგომი ესკალაცია. წვრილ ბურჟუაზიაში და მუშათა შორის დაგროვილი იყო დიდძალი სიძულვილი პოლიციისა და სახელმწიფო მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ, მომხვეჭელობის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ, რომელმაც იმპერიაში დიდ

მასშტაბებს მიაღწია. ამ გრძნობებმა გარკვეული გამოხატულება ჰპოვეს 4 სექტემბრის პარიზის რევოლუციის დროს, რომელმაც დაამხო იმპერია. რევოლუციიდან ცოტა ხნის შემდეგ ორმილიონიან ქალაქს ალყა შემოარტყეს. ქალაქის დამცველებს ჯარი არ ჰყავდათ, ამიტომ ჩამოაყალიბეს ეროვნული გვარდია, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ძირითადად მუშები, წვრილი ხელოსნები და ახალგაზრდობა, სულ 300000 კაცი. მათი უმრავლესობა მოითხოვდა ომის გაგრძელებას სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ხუთი თვის განმავლობაში ალყაში მოქცეულები უსაქმოდ იყვნენ, რადგან არავითარ საომარ ოპერაციებში მათ არ მიუღიათ მონაწილეობა, თუმცა ბომბარდირებისა და მოსალოდნელი შიმშილის მუდმივ შიშში იმყოფებოდნენ.

ყოველივე ამის გამო, აღგზნებული პარიზის დამცველები უკიდურესად აღშფოთდნენ, როდესაც გაიგეს, რომ მთავრობამ გერმანელთა წინაშე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. ეროვნული კრება, რომელიც ჯერ ბორდოში, შემდეგ კი ვერსალში შეიკრიბა, შედგენილი იყო ომის მოწინააღმდეგეებისაგან. მისი წევრები იყვნენ უმეტესად გლეხობის, მიწათმფლობელებისა და მსხვილი ბურჟუაზიის დეპუტატები, რომელთა დიდი ნაწილი დამხობილი დინასტიების წარმომადგენლებს უჭერდნენ მხარს. პატრიოტები, აგრეთვე პარიზისა და სხვა დიდი ქალაქების რესპუბლიკელები მათ მშიშრებად და სამშობლოს მოღალატეებად მიიჩნევდნენ.

პარიზის ალყის მოხსნისთანავე შეძლებულმა მოსახლეობამ სასწრაფოდ დატოვა დედაქალაქი; დაცარიელებულ ქალაქში დარჩნენ ღარიბები, მუშები და დაბალი ფენების სხვა წარმომადგენლები, რომლებსაც წასასვლელი არსად არ ჰქონდათ. ვერსალის ახალმა მთავრობამ, რომლის სათავეში ეროვნულმა კრებამ ადოლფ ტიერი დანიშნა, მათი უკმაყოფილება კიდევ უფრო გაამძაფრა: მან წაართვა ეროვნულ გვარდიელებს, ე.ი. უსაქმოდ დარჩენილ მუშებს ის 1 1/2 ფრანკიც, რომელიც მათ ყოველდღიურად ეძლეოდათ, ამასთანავე მოითხოვდა ბინის ქირისა და, საერთოდ, ყოველგვარი იმ გადასახადების დაუყოვნებლივ გადახდას, რომლებისგანაც განთავისუფლებულნი იყვნენ მუშები პარიზის ალყის დროს; ამ ღონისძიების გატარება წვრილი

ბურჟუაზიის სრულ გაკოტრებას გამოიწვევდა. მაგრამ პარიზის მოსახლეობა შეიარაღებული იყო; ეროვნულმა გვარდიელებმა აღმართეს რევოლუციური წითელი დროშა, არ მისცეს მთავრობას ქვემეხები, მოიგერიეს რეგულარული ჯარების შემოტევა და დახვრიტეს ორი ტყვედჩავარდნილი გენერალი. პარიზში გამოცხადდა კომუნა, ე.ი. ქალაქის სრული თვითმმართველობა. კომუნის ხელმძღვანელები განთავსდნენ საქალაქო სათათბიროს შენობაში, შექმნეს ქალაქის ახალი საბჭო და მოწოდებით მიმართეს სხვა ქალაქებს, გარდაექმნათ საფრანგეთი კომუნების ფედერაციად. კომუნარებს შორის სოციალისტები ცოტანი იყვნენ და ამიტომ მათ პარიზში არ ჩაუტარებიათ ქონებრივი გადანაწილება; მათთვის სამაგალითო იყო 1793 წელი, როდესაც იაკობელებმა შეძლეს საფრანგეთის სამხედრო ძლიერების აღდგენა. გამოჩენილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ნ. ნიკოლაძემ სწორად შეაფასა პარიზის კომუნის სოციალურ-კლასობრივი არსი. წერილში „რა არის კომუნა?“ იგი წერდა, რომ პარიზის კომუნარები არ იყვნენ კომუნიზმის მომხრეები, რომ ისინი მიზნად არ ისახავდნენ უკლასო საზოგადოების აშენებას; კომუნისტური საზოგადოების შესახებ მოძღვრებას ნ. ნიკოლაძე უტოპიურ მოძღვრებას (‘უტოპიური სწავლა“) უწოდებდა.

მქონებელმა კლასებმა, ვერსალის მთავრობის მეთაურობით, ნამდვილი ომი დაიწყეს კომუნარების წინააღმდეგ; პარიზს კვლავ შემოარტყეს ალყა, ორივე მხრიდან უაზრო სისასტიკეებს ქონდა ადგილი: პარიზში დახოცეს „მძევლები“ – მდიდარი ადამიანები, ხოლო ვერსალის ჯარებმა დაიპყრეს დედაქალაქი და დახვრიტეს ტყვედჩავარდნილი რამდენიმე ათასი კომუნარი. ბევრი გადასცეს სამხედრო სასამართლოს; 7,5 ათასი გადაასახლეს ცუდი კლიმატური პირობების მქონე კოლონია ახალ კალედონიაში; პოლიტიკური შეხედულებების გამო აგზავნიდნენ კატორღაში.

1871 წლის სისხლიანმა მოვლენებმა გავლენა იქონია პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ისევე როგორც 1848 წელს, წამყვანი ადგილი კონსერვატორებმა ანუ „წესრიგის პარტიამ“ (როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ) მოიპოვეს. ეროვნული კრების უმრავლესობა მოითხოვდა „მეამბოხე“ მუშების მკაცრ დასჯას და ინტერნაციონალის

წინააღმდეგ ღონისძიებების გატარებას, რადგანაც კომუნის აჯანყებაში ისინი მუშათა საერთაშორისო საზოგადოებას — ინტერნაციონალს სდებდნენ ბრალს. აჯანყების მონაწილეები იმალებოდნენ შენობათა სარდაფებში. მათ ადგილსამყოფელს ადგენდნენ მოხალისე დამსმენთა საშუალებით და მცირეოდენი ეჭვის ნიადაგზე იჭერდნენ. ზოგიერთები მოითხოვდნენ 1864 წ. გაუქმებული მუშათა კოალიციების ამკრძალავი კანონის (ლე შაპელიეს კანონის) აღდგენასაც კი.

# თავი X. ესპანეთი 1815-1868 წლებში

აბსოლუტიზმის აღდგენა. ლაიფციგთან ნაპოლეონის არმიის განადგურების შემდეგ (1813), ესპანეთის ტახტი კვლავ დაიკავა ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელმა ფერდინანდ VII (1808-1814), რომელმაც აღადგინა აბსოლუტური მონარქია. მონასტრებს დაუბრუნეს მიწები და უფლებები, იეზუიტები დაბრუნდნენ ესპანეთში, განახლდა ინკვიზიცია, გააუქმეს პრესის თავისუფლება, დაიწყეს რეპრესიები განმათავისუფლებელი ომის მონაწილეების წინააღმდეგ.

ბურბონთა რესტავრაციის შემდეგ წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და დრომოჭმულ ფეოდალურ-აბსოლუტურ წყობას შორის კიდევ უფრო გამწვავდა. ფულად-სასაქონლო ურთიერთობებში სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობით ებმებოდნენ მემამულეები; ისინი სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან ერთად მოითხოვდნენ აბსოლუტიზმის შეზღუდვას, „მკვდარი ხელის უფლებისა“ და მაიორატის გაუქმებას, ამქრული შეზღუდვებისა და გილდიების ლიკვიდაციას და ა.შ. ესპანეთისაგან ამერიკის კოლონიების ჩამოცილებამ (1810-1826) აბსოლუტისტურ პოლიტიკას დიდი დარტყმა მიაყენა და ესპანეთის ბურჟუაზიის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა საკითხი საშინაო ბაზრის გაფართოების შესახებ. ამისათვის კი აუცილებელი იყო მოსახლეობის ძირითადი მასის — გლეხობის მსყიდველობითი უნარის გაზრდა, რაც დაკავშირებული იყო მიწაზე ფეოდალური საკუთრების გაუქმებასთან.

ქვეყანაში ღრმავდებოდა ფინანსური კრიზისი, იზრდებოდა ბიუჯეტის დეფიციტი. მკაცრი რეპრესიები და უამრავი საგადასახადო ვალდებულებები გლეხების, ხელოსნების და მუშების ყოფას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა. ამის გამო გლეხთა გამოსვლებს ადგილი ჰქონდა კატალონიაში, ვალენსიაში, არაგონასა და გალისიაში, ჯარისკაცთა მღელვარებებს — ზოგიერთ გარნიზონში.

მეორე რევოლუცია ესპანეთში 1820-1823 წწ. ხალხთა მღელვარებებით დაშინებულმა ფერდინანდ VII განიზრახა რევოლუციურად განწყობილი ჯარის ნაწილების ამერიკაში გაგზავნა ამბოხებული კოლონიების წინააღმდეგ საბრძოლველად. საექსპედიციო

ნაწილების ბევრ ჯარისკაცს არ სურდა ამერიკაში გამგზავრება. თავადაზნაურთა მხრიდან გამოსულმა მოწინავე ოფიცრებმა, კადისის (სადაც ყალიბდებოდა საექსპედიციო ჯარები) მსხვილ ბურჟუაზიასთან ერთად, ისარგებლეს რა ჯარისკაცთა უკმაყოფილებით, განიზრახეს აბსოლუტიზმის დამხობა და 1812 წლის კონსტიტუციის გამოცხადება. 1820 წლის 1 იანვარს, ბატალიონის მეთაურმა ვიცე-პოლკოვნიკმა დონ რაფაელ დე რიეგომ მოაწყო აჯანყება. მას შეუერთდნენ პოლკოვნიკ კიროგის რაზმები. აჯანყებულებმა აღადგინეს 1812 წლის კონსტიტუცია და 1500 კაცით დაიძრნენ ქვეყნის სხვა ნაწილებში მყოფ რევოლუციურად განწყობილ ჯარისკაცებთან შესაერთებლად.

მართალია, რიეგოს რაზმებმა მარცხი განიცადეს, მაგრამ ცნობა კადისში აჯანყების შესახებ მთელს ესპანეთში გავრცელდა და რევოლუციის შემდგომი აღმავლობა გამოიწვია. აჯანყებები მოხდა მადრიდში, სარაგოსაში, კატალონიასა და სხვა ადგილებში. მსხვილ ქალაქებში იქმნებოდა რევოლუციური ხუნტები.[32] გაანთავისუფლეს პოლიტიკური პატიმრები, აღადგინეს პრესის თავისუფლება, რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად ყალიბდებოდა ეროვნული მილიცია, გამოსცეს დეკრეტი კორტესების მოწვევის შესახებ.

1820 წლის ივლისს შედგა **კორტესების** სხდომა, რომელთა დეპუტატების უმრავლესობას „ზომიერები" („მოდერადოს") შეადგენდნენ. 1812 წლის კონსტიტუციას ისინი ზედმეტად რადიკალურად მიიჩნევდნენ და გამოდიოდნენ გადამწყვეტი რევოლუციური ღონისძიებების წინააღმდეგ. ქალაქების საშუალო და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებმა და გაღატაკებულმა მემამულეებმა შექმნეს დამოუკიდებელი პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რიეგო და რევოლუციის ზოგიერთი მოღვაწე. ისინი 1812 წლის კონსტიტუციას რევოლუციის შემდგომი წინსვლის საწინდრად მიიჩნევდნენ. რევოლუციის პირველი წლის ბოლოს ამ მიმდინარეობას გამოეყვნენ დემოკრატები, რომლებიც XVI ს. ესპანეთის ქალაქების თავისუფლებების დამცველთა მსგავსად, თავიანთ თავს „კომუნერებს" („კომუნეროს") უწოდებდნენ. რიეგო და სან მიგელი კომუნერებს მიემხრნენ. ისინი მოითხოვდნენ კონსტიტუციისათვის ბრძოლის ბოლომდე მიყვანას, მაგრამ თავს

მაინც არ თვლიდნენ რესპუბლიკელებად და არ მოითხოვდნენ აგრარული საკითხის რევოლუციური მეთოდებით (მემამულური და საეკლესიო მიწების კონფისკაციით) გადაწყვეტას.

"ზომიერთა" მთავრობა და კორტესები ცდილობდნენ რევოლუციის შეჩერებას. მათი საქმიანობა ძირითადად განისაზღვრებოდა ამქრებისა და გილდიების აკრძალვით, მეორეხარისხოვანი საეკლესიო გადასახადების გაუქმებით და მეათედის შემცირებით, ფაბრიკებისა და სხვა სამრეწველო საწარმოთა თავისუფლად დაარსებისათვის ნებართვების გაცემით. შემოიღეს ერთიანი საბაჟო ტარიფი, აკრძალეს სახელმწიფო მონოპოლია თამბაქოსა და მარილზე. კორტესებმა გამოაცხადეს, აგრეთვე, მაიორატის გაუქმების, მონასტრების დახურვისა და მათი მიწების სეკულარიზაციის შესახებ. მაგრამ ძირითადი საკითხი — მემამულეებისა და ეკლესიის წინაშე ფეოდალური ვალდებულებების გაუქმება გადაუწყვეტელი დარჩა, ამიტომ გლეხები რევოლუციას თანდათანობით ჩამოცილდნენ.

„ზომიერთა" გაუბედავმა პოლიტიკამ კარგი პირობები შექმნა კონტრრევოლუციური გადატრიალებისათვის. 1821 წელს მეფემ მინისტრებად თავისი მომხრეები დანიშნა. უკიდურესმა როიალისტებმა რევოლუციური მოძრაობის გასანადგურებლად შეიარაღებული რაზმები შექმნეს. ისინი უკმაყოფილონი იყვნენ ფერდინანდ VII მერყევი პოლიტიკით და ცდილობდნენ მისი უმცროსი ძმის, შეურიგებელი აბსოლუტისტის, დონ კარლოსის ტახტზე აყვანას. მაგრამ ქვეყნის შიგნით როიალისტებს არ ჰყავდათ იმდენი მომხრე, რომ რევოლუცია ჩაეხშოთ.

**კონტრრევოლუციური ინტერვენცია და რევოლუციის დამარცხება (1823 წ.).** იტალიის რევოლუციის დამარცხების (1820) შემდეგ, საღვთო კავშირის წევრებმა, 1822 წლის ბოლოს, ვერონის კონგრესზე გადაწყვიტეს კონტრრევოლუციური ინტერვენციის მოწყობა ესპანეთში. მათ სან მიგელის მთავრობას მადრიდში გაუგზავნეს ნოტა, რომლითაც მოითხოვდნენ კონსტიტუციის გაუქმებას და ფერდინანდ VII

---

[32] ხუნტა — (ესპ. junta). ესპანურენოვან ქვეყნებში სხვადასხვა ხასიათის გაერთიანებების, კავშირების, სახელმწიფო ორგანოების კომისიების სახელწოდება. ლათ. ამერიკის ზოგ ქვეყანაში სამხედრო გადატრიალების შედეგად შექმნილი სამხედრო მთავრობის სახელწოდება (სამხედრო ხუნტა).

აბსოლუტისტური ხელისუფლების დაბრუნებას, რაზედაც უარი მიიღეს. მაშინ, 1823 წლის 7 აპრილს ასი ათასიანი საფრანგეთის არმია შეიჭრა ესპანეთში.

ესპანეთის მთავრობას ინგლისის დახმარების იმედი ჰქონდა და ამიტომ სათანადოდ არ მოემზადა. ჩამოაყალიბეს მხოლოდ 5 არმია, რომელთა სათავეში დანიშნეს რევოლუციისადმი საეჭვოდ განწყობილი გენერლები. უფრო მეტიც, ციხეებიდან გაანთავისუფლეს მოწინააღმდეგენი და დედაქალაქიდან გაიყვანეს „კომუნარებით“ დაკომპლექტებული ორი ბატალიონი. კათოლიკური სამღვდელოება გლეხებს ამხედრებდა უღმერთო კონსტიტუციონალისტების წინააღმდეგ. ყოველივე ამის გამო, საფრანგეთის ჯარებმა, თითქმის უბრძოლველად, დაიკავეს მადრიდი (19 მაისს).

ქვეყანაში აღადგინეს აბსოლუტიზმი. ფერდინანდ VII სასწრაფოდ გააუქმა რევოლუციის დროს მთავრობისა და კორტესების მიერ გამოქვეყნებული დეკრეტები. 1823 წლის ნოემბერში სიკვდილით დასაჯეს რიეგო. რეაქციას ესპანეთში ნამდვილი ტერორის ხასიათი ჰქონდა. საზოგადოება „ანგელოზი-გამანადგურებელი“ და მოხალისე როიალისტები ნადირობდნენ ლიბერალებზე, აკრავდნენ მათ სამარცხვინო ბოძზე, აპატიმრებდნენ, თმებს გლეჯდნენ და ხვრეტდნენ. უნივერსიტეტები დახურეს რამდენიმე თვით, ლიტერატურული საზოგადოებები დაშალეს, პოეტები დაამწყვდიეს მონასტრებში.

1820-1823 წწ. ესპანეთის მეორე რევოლუცია დამარცხდა იმიტომ, რომ ბურჟუაზიამ ვერ შეძლო ხალხის ფართო მასების დარაზმვა აბსოლუტიზმისა და ფეოდალური წყობის წინააღმდეგ, მას არ სურდა ქვეყანაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნების სრულად განხორციელება, რამაც განაპირობა რევოლუციისაგან მოსახლეობის ძირითადი ნაწილის — გლეხობის ჩამოშორება. უდიდესი როლი რევოლუციის დამარცხებაში შეასრულა იმანაც, რომ შინა კონტრრევოლუციას დიდი სამხედრო ძალით დაეხმარა საფრანგეთი.

**„კარლისტური ომები“ 1833-1840 წწ.** ესპანეთში აბსოლუტისტური რეაქციის ტრიუმფი დიდხანს არ გაგრძელებულა. 20-იან წლებში მოხდა მთელი რიგი აჯანყებები, რომელთა მონაწილენი მოითხოვდნენ 1812 წლის კონსტიტუციის აღდგენას.

30-იან წლებში ესპანეთში დაიწყო ბრძოლა ბურბონთა დინასტიის ორ შტოს შორის, რომელიც ფაქტიურად კაპიტალისტური და ფეოდალური ურთიერთობების დაპირისპირების გამოხატულება იყო. კლერიკალურ-აბსოლუტისტური პარტიის ლიდერი იყო დონ კარლოსი — მეფის ძმა, რომლის მომხრეებს „კარლისტებს“ უწოდებდნენ; მის მოწინააღმდეგეებს, რომლებსაც შედარებით პროგრესული პოზიცია ეკავათ, — „ქრისტინოსებს“, ალფონს XII ქალიშვილის, დედოფალ იზაბელა II დედის, მარია ქრისტინას სახელის მიხედვით. ქრისტინასა და დონ-კარლოსის ბრძოლა ტახტის დაუფლებისათვის გადაიზარდა სამოქალაქო ომში, რომელსაც მესამე ბურჟუაზიულ რევოლუციასაც უწოდებენ.

1833 წლის 29 სექტემბერს გარდაიცვალა ფერდინანდ VII, 1 ოქტომბერს კი დონ კარლოსმა მიიღო მეფის ტიტული. იგი იყო საშუალო ნიჭის მქონე, უფრო პატივმოყვარე და ნაკლებად გონიერი, ვიდრე ფერდინანდი. მაგრამ დონ კარლოსი თავის თავში ანსახიერებდა მონარქისტულ და რელიგიურ ტრადიციებს, იყო სამღვდელოებისა და არისტოკრატიის მეფე და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც მას უჭერდა მხარს. ქრისტინას კი ის უპირატესობა ჰქონდა, რომ მან პირველმა ჩაიგდო ხელში ძალაუფლება: მას ემორჩილებოდა დედაქალაქი მადრიდი და არმია, ემხრობოდნენ ლიბერალები, მაშინ როდესაც დონ კარლოსის მხარეს იბრძოდნენ მხოლოდ აბსოლუტიზმის ყველაზე თავდადებული დამცველნი. გაოგნებული ხალხი თვალს ადევნებდა მათ ბრძოლას და მისი დამთავრების შემდეგ დაემორჩილა გამარჯვებულს.

ორივე მებრძოლ მხარეს უმნიშვნელო სახსრები გააჩნდა და მათ შორის ბრძოლები ძირითადად პარტიზანულ ხასიათს ატარებდა; ქრისტინოსები და კარლისტები ერთმანეთს ეჭიშპებოდნენ გამძლეობაში, უაზრო სიმამაცესა და ბარბაროსულ სიმკაცრეში. ომი შეწყდა მეომარ მხარეთა ძალების გამოფიტვის გამო. კარლისტები დარწმუნდნენ თავიანთი კანდიდატის არარაობაში და შეწყვიტეს წინააღმდეგობა. ფაქტიურად არ იყო გამარჯვებული და დამარცხებული, მაგრამ ტახტის პრეტენდენტის — დონ კარლოსის ჩამოცილებასთან ერთად, ძველი რეჟიმიც ისტორიას ჩაბარდა.

კარლისტურ ომებს ესპანეთის მთელი ტერიტორია არ მოუცვია.

მაგალითად, კასტილიის ოლქში მოქმედებდა ყაჩაღთა რამდენიმე რაზმი, რომლებიც ძარცვის მიზნით ეპიზოდურ თავდასხმებს აწყობდნენ მოსახლეობაზე, სერიოზული ბრძოლები კი აქ არ ყოფილა.

**ესპარტეროს დიქტატურა.** „კარლისტებზე" გამარჯვების შემდეგ მეფის ხელისუფლებამ დაიწყო რეაქციული კურსის განხორციელება, რასაც სახალხო მღელვარებები მოჰყვა. ბარსელონაში, არაგონასა და მადრიდში აჯანყებებმა აიძულეს მარია ქრისტინა გადამდგარიყო ტახტიდან (1840 წ. 17 ოქტომბერი) და წასულიყო საფრანგეთში. ხელისუფლებას დაეუფლა პროგრესისტების ლიდერი ესპარტერო, რომელიც ხალხში პოპულარობით სარგებლობდა. 1841 წლის 12 აპრილს კორტესებმა ის აირჩიეს ესპანეთის რეგენტად. ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე ესპარტერომ გააუქმა წინა მთავრობის რეაქციული კანონები. მაგრამ მისი პოლიტიკა შეესაბამებოდა მოსახლეობის არა ყველა ფენის, არამედ მხოლოდ მსხვილი სავაჭრო და ფინანსური ბურჟუაზიის ინტერესებს, ამიტომ უკმაყოფილონი იყვნენ მუშები, გლეხები და სამრეწველო ბურჟუაზია.

1842 წლის დეკემბერში ესპარტერო აპირებდა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, რასაც უნდა მოჰყოლოდა მანჩესტერიდან დიდი რაოდენობით ბამბეულის ნაწარმის შემოტანა. ამან ადგილობრივი მრეწველ-ვაჭართა უკმაყოფილება გამოიწვია. კატალონიაში იფეთქა აჯანყებამ. აჯანყებულებთან ორკვირიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ ესპარტეროს ბრძანებით, 3 დეკემბერს დაიწყეს ბარსელონას დაბომბვა, რის შედეგად 400 სახლი დაინგრა და ათასობით ადამიანი დაიღუპა. ესპანეთმა არ აპატია რეგენტს ეს მხეცური ეგზეკუცია.

ესპარტეროს მმართველობამ სამხედრო დიქტატურის ხასიათი მიიღო. მთავრობამ რამდენჯერმე დაითხოვა კორტესები და დანიშნა ახალი არჩევნები, მაგრამ არც ამ ღონისძიებამ მოუტანა მას სასურველი შედეგები. ზომიერებმა ო'დონელისა და ნარვაესის წინამძღოლობით დაიწყეს ბრძოლა რეგენტის წინააღმდეგ. 1843 წლის 27 მაისს რეუსში დაიწყო აჯანყება; მალე მას შეუერთდნენ ალიკანტე, კართახენა, მურსია, ვალიადოლიდი და სევილია. ნარვაესმა 1843 წლის 23 ივლისს დაიკავა მადრიდი. ესპარტერო თავის მომხრეებთან ერთად ინგლისში გაიქცა.

1843 წლის 8 ნოემბერს 13 წლის იზაბელა II კორტესებმა სრულწლოვანად გამოაცხადეს. მთელს ესპანეთში შემოიღეს საალყო წესები, დააწესეს მკაცრი ცენზურა პრესაზე, ბევრი პროგრესისტი დეპუტატი დააპატიმრეს; დონ რამონ ნარვაესი მინისტრი-პრეზიდენტი გახდა. რეაქციამ გაიმარჯვა. პროგრესისტების მიერ ჩატარებული რეფორმები გააუქმეს; 1837 წლის კონსტიტუცია შეცვალეს 1845 წ. უფრო რეაქციული კონსტიტუციით.

**იზაბელა II მეფობის (1843-1868) ზოგადი დახასიათება.** იზაბელა II მეფობის პერიოდში ესპანეთი თეორიულად კონსტიტუციურ მონარქიად ითვლებოდა, მაგრამ ასეთი მმართველობისათვის დამახასიათებელი ძირითადი მექანიზმი — საზოგადოებრივი აზრი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა. გაუნათლებელ ხალხთა მასები ძველებურად სამღვდელოების გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ; განათლებული უმცირესობა, რომლებიც ახალი რეჟიმის დამყარებისათვის იბრძოდნენ, თანდათან თმობდა მოპოვებულ პოზიციებს.

ყოფილი „კარლისტებით“ გაძლიერებული „ზომიერები“ აბსოლუტიზმის სულისკვეთებით განიმსჭვალნენ და, მიიღეს რა ნეოკათოლიკების სახელწოდება, ტრადიციული მონარქიული მმართველობის აღდგენას ესწრაფოდნენ. პროგრესისტები ვერ ბედავდნენ მონაარქიის წინააღმდეგ აშკარად გამოსვლას და მხოლოდ იზაბელა II მმართველობის ბოლო წლებში მათ გამოეყო რესპუბლიკური პარტია.

პროგრესისტები და ზომიერები გამოირჩეოდნენ უკიდურესი შეურიგებლობით და კანონების უგულებელყოფით; ორივე პარტიაში მთავარ როლს ასრულებდნენ არა პრინციპები, არამედ პიროვნებები.

ეკლესიას კვლავ გაბატონებული მდგომარეობა ეკავა. 1869 წლამდე ესპანეთში აკრძალული იყო ყველა სარწმუნოება, გარდა კათოლიკურისა. მართალია, ეკლესიამ დაკარგა თავისი მიწების ნაწილი, მაგრამ მაინც შეინარჩუნა გავლენა, რაც განსაკუთრებით იგრძნობოდა მინისტრთა საბჭოში, კორტესებში, მუნიციპალიტეტებში, სკოლებსა და ლიტერატურაში. ეპისკოპოსები საერო ხელისუფლებას გამომწვევად და ქედმაღლურად, ზოგჯერ კი მტრულადაც ექცეოდნენ.

სასახლის კარი ეკლესიის გავლენის ქვეშ მოექცა. უიღბლო ქორწინების შემდეგ (მარი ქრისტინას სურვილის მიხედვით იზაბელა დააქორწინეს დონ ფრანცისკო დე ასისზე, რომელიც მას თავიდანვე სძულდა) დედოფალმა თავის ქვეყანაში ყოველგვარი ავტორიტეტი დაკარგა. მან დაითხოვა მღვდლები და მონაზვნები, რომელთა შორის საეჭვო რეპუტაციის პირებიც იყვნენ.

სასახლის კარი გამოირჩეოდა ფუფუნებით და გაუთავებელი სადღესასწაულო წვეულებებით, პირადად დედოფალი – ზღვარგადასული მფლანგველობით; იგი უანგარიშოდ არიგებდა ოქროს, რისთვისაც სასახლის კამარილიის მოწონებას იმსახურებდა. საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ იბაზელას ქვეყნის მართვის ნიჭი არ გააჩნდა. იგი იყო კეთილი და მოსიყვარულე, მაგრამ მეფობისათვის აუცილებელი არც პოლიტიკური ჭკუა, არც ნებისყოფა არ ჰქონდა და ამიტომ თავის დამხობამდე (1868) მედროვეთა ხელში სათამაშო ტიკინას წარმოადგენდა.

„კარლისტებზე" გამარჯვების შემდეგ ქვეყანაში არმიის უფლებები გაიზარდა. როგორც ეს სამოქალაქო ომის შემდეგ ხდება ხშირად, თითოეული გენერალი თავს მიიჩნევდა დიპლომატიური და სახელმწიფო მმართველობის ნიჭით დაჯილდოებულ პიროვნებად, ამიტომ იზაბელას მეფობის პერიოდში, სამხედრო პირები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილეობდნენ. ესპარტერო, ნარვაესი, პრიმი, სერანო, პავია, ძმები კონჩა, ზაბალა და სხვა გენერლები ხალხის ცნობიერებაში გმირობისა და მხედრული მამაცობის სიმბოლოებად აღიქმებოდა; ბევრ მათგანს, სხვადასხვა დროს, მნიშვნელოვანი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა.

მინისტრების ხშირი ცვლის, დედოფლის კაპრიზების, აჯანყებების, სახელმწიფო გადატრიალებებისა და რევოლუციების მიუხედავად, ესპანეთმა 1848-1870 წლებში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ეროვნული წინსვლის გზაზე.

**აგრარული ურთიერთობები ესპანეთში.** XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული აგრარული რეფორმების შედეგად სენიორთა ფეოდალური უფლებები გაუქმდა, თუმცა გლეხებმა მიწები ვერ მიიღეს. ყოფილი ვასალები არენდატორებად და სასოფლო-სამეურნეო

მუშებად იქცნენ. მრავალრიცხოვან გლეხთა ავკანყებებს ამ მხრივ არაფერი არ შეუცვლია. გლეხთა მოძრაობების ჩასახშობად 1844 წ. შეიქმნა სპეციალური პოლიცია — სამოქალაქო გვარდია, რომელიც მსხვილი მიწათმფლობელების დასაყრდენი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში აგრარულმა გარდაქმნებმა გაბურჟუებულ ესპანელ მემამულეებს შესაძლებლობა მისცა, საეკლესიო და სამეფო მიწების შესყიდვით გაეზარდათ თავიანთი სამფლობელოები. იმავდროულად ბურჟუაზიაც ყიდულობდა მიწებს. გაბურჟუებული მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებოდა. ეს კლასები დაინტერესებული იყვნენ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ფეოდალური გადმონაშთები, რათა გლეხთა ექსპლოატაციის შესაძლებლობა ჰქონოდათ. ასე ყალიბდებოდა აღნიშნული კლასების ეკონომიკური კავშირის საფუძველი. იმ თავადაზნაურთა ინტერესებს, რომლებმაც თავიანთი მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე მოაწყვეს, გამოხატავდა „ზომიერ ლიბერალთა“ პარტია, რომლის სათავეში იდგა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე გენერალი ნარვაესი. მსხვილი ბურჟუაზიის (ძირითადად სავაჭრო და ფინანსური) ინტერესებს იცავდა პროგრესისტების პარტია.

**კაპიტალიზმის განვითარება ესპანეთში.** XIX საუკუნის 40-60-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარება ესპანეთში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რაც აბსოლუტური მონარქიის წისქვილზე ასხამდა წყალს.

40-იან წლებში დაიწყო სამრეწველო გადატრიალება. კატალონიაში დააარსეს პირველი საფეიქრო ფაბრიკები. ამ პროვინციაში უკვე 1846 წლისათვის იყო 100000 ფეიქარი მუშა. სევილიაში და სხვა ქალაქებში ვითარდებოდა თამბაქოს მრეწველობა. ბისკაის ყურის მახლობლად და სამხრეთში იზრდებოდა რკინის, სპილენძისა და ტყვიის მადნის ამოღება, შეიქმნა მრავალი მცირე სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნები. მათ აშენებდნენ ფრანგი ბანკირები. სწრაფად იზრდებოდა საგარეო ვაჭრობა. ესპანეთში შემოჰქონდათ ძირითადად ქვანახშირი, ბამბა, რკინა, მანქანები, საზღვარგარეთ გაჰქონდათ ღვინო, ხილი, ზეთის ხილი, რკინის,

სპილენძისა და ტყვიის მადანი, სინდიყი და მატყლი. რიგ ქალაქებში გახსნილი იყო ბანკები. იზრდებოდა საშინაო ვაჭრობაც. მაგრამ კაპიტალიზმის წარმატებების მასშტაბები დიდი არ იყო.

სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობისა და სარკინიგზო ქსელის მშენებლობით ესპანეთი დიდად ჩამოუვარდებოდა იმდროინდელ მოწინავე ქვეყნებს. 60-იან წლებში თუჯის გამოდნობისა და ქვანახშირის ამოღების მაჩვენებლებით ესპანეთი 10-11-ჯერ ჩამორჩებოდა საფრანგეთს და კიდევ უფრო მეტად ინგლისს. ეს ქვეყნები ბევრად უსწრებდნენ ესპანეთს მუშათა საერთო რაოდენობის, სავაჭრო ფლოტის ტონაჟისა და სხვა მაჩვენებლებით.

კაპიტალიზმი თანდათანობით იჭრებოდა სოფლის მეურნეობაშიც. იზრდებოდა სასაქონლო მეღვინეობა და მებაღეობა. მემამულეს სულ უფრო მეტი რაოდენობით გადაჰყავდა თავისი მეურნეობა კაპიტალისტურ ყაიდაზე. ამასთანავე, ბურჟუაზიის ნაწილი მსხვილი მემამულე ხდებოდა. მიმდინარეობდა კაპიტალისტებისა და გაბურჟუებული მემამულეების ინტერესთა გადაჯაჭვის პროცესის შემდგომი განვითარება.

**1854-1856 წწ.** რევოლუცია. სასახლის კარზე გამეფებული იყო კორუფცია და ძარცვა. გადასახადები იზრდებოდა. მსხვილი ფინანსური ბურჟუაზია დიდ მოგებას იღებდა მეფის კამარილიის მფლანგველობის გამო. სახელმწიფო მათგან აღებულ ვალებზე მაღალ პროცენტებს იხდიდა, რაც ხაზინას აცარიელებდა.

1854 წლისათვის ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. მსხვილი ბურჟუაზია შეშფოთებული იყო მძიმე ფინანსური მდგომარეობით. საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია ბრძანებამ ექვსი თვით წინასწარ ვალების გადახდის შესახებ.

მსხვილი ბურჟუაზია და სამხედრო ოპოზიცია ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას. 1854 წლის 28 ივნისს მადრიდის მახლობლად აჯანყდნენ კავალერიის პოლკები, რომლებსაც გენერალი ო'დონელი ხელმძღვანელობდა. 1854 წლის 30 ივნისს მადრიდის გარნიზონის ნაწილებმა გენერალ ლაზერის მეთაურობით, ბრძოლა გაუმართეს აჯანყებულებს და ტყვედ ჩაიგდეს რამდენიმე ჯარისკაცი. ინსურგენტთა მდგომარეობა უკვე კრიტიკული იყო, როდესაც

ო'დონელმა მანსანარესში გამოაქვეყნა ე.წ. „მანსანარესის პროგრამა". ამ პროგრამის თანახმად დინასტია რჩებოდა, მაგრამ უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი კორტესები, აღედგინათ მილიცია, პრესისთვის გათვალისწინებული იყო მთელი რიგი თავისუფლებები, უნდა განეხორციელებინათ მუნიციპალური დეცენტრალიზაცია და ა.შ. იმ დროს, როდესაც ო'დონელის ჯარები ებრძოდნენ მეფის მომხრეებს, 17 ივლისს, მადრიდში აჯანყდნენ მუშები, ხელოსნები და სტუდენტები. აჯანყებულებმა დაარბიეს ქრისტინას სასახლე და საძულველი მინისტრების სახლები. მეფის ჯარებმა უკან დაიხიეს. იზაბელა გაქცევაზე ფიქრობდა, მაგრამ საფრანგეთის ელჩის რჩევით მადრიდში დარჩა. აჯანყებამ სულ მალე მთელი ქვეყანა მოიცვა, ადგილზე იქმნებოდა რევოლუციური ხუნტები და საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტები. 30 ივლისს იზაბელა იძულებული გახდა გადაეცა ხელისუფლება ო'დონელისა და პროგრესისტთა პარტიის ლიდერის ესპარტეროსათვის, რომელიც არაგონაში აჯანყებას ხელმძღვანელობდა. გაბურჟუებული მემამულეებისა და მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლებისაგან შეადგინეს მთავრობა. ქრისტინამ პორტუგალიას შეაფარა თავი. ახალმა მთავრობამ მიიღო კანონები საეკლესიო მიწების კონფისკაციის, სახალხო მილიციის ორგანიზაციისა და კორტესების მოწვევის შესახებ. 1855 წ. კორტესებმა მიიღეს ახალი კონსტიტუცია, რომელშიც აღიარებული იყო ეროვნული სუვერენიტეტი, კორტესების მიერ ბიუჯეტის დამტკიცების უფლება, პრესის თავისუფლება და ა.შ.

იმისათვის, რომ ფინანსური პრობლემები გადაეწყვიტა, კორტესებმა მიიღეს დადგენილება „მკვდარი ხელის უფლების"[33] უძრავი ქონების გაყიდვის შესახებ. დედოფალმა დიდი ყოყმანის შემდეგ დაამტკიცა ეს კანონი.

1855 წლის 10 მარტს გარდაიცვალა დონ კარლოსი, რომლის უფლებები გადაეცა მის ვაჟს გრაფ მონტემელინს. მან მიიღო კარლოს

---

[33] ამ დროს ეს იყო საეკლესიო და სამონასტრო მიწები, რომლებიც გაიცემოდა როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიანი არენდით. გრძელვადიან არენდატორებს არ ჰქონდათ უფლება გაეყიდათ ან გადაეცათ მემკვიდრეობით ეს მიწები ეკლესიის თანხმობის გარეშე. „მკვდარი ხელის უფლება" ფეოდალური გადმონაშთი იყო.

VI სახელწოდება. ნავარაში, არაგონასა და კატალონიაში მოხდა აჯანყებები. მეფის ჯარებმა ისინი მალე ჩაახშეს, რამაც პროგრესისტების სოციალური დასაყრდენი მკვეთრად შეამცირა. ამით ისარგებლა რეაქციამ იმისათვის, რომ გაეთიშა რევოლუციის ძალები. 1856 წლის ივლისში მემამულეებმა და კლერიკალებმა მოახერხეს პროგრესისტების ხელისუფლებისაგან ჩამოცილება და შექმნეს კონსერვატიული მთავრობა გენერალ ო'დონელის ხელმძღვანელობით. ამის საპასუხოდ 1856 წ. 14 ივლისს მადრიდში დაიწყო ახალი აჯანყება, რომელიც გავრცელდა შემდეგ მალაგაში, სევილიაში, გრენადაში, ბარსელონაში, სარაგოსაში. აჯანყებულები მოითხოვდნენ რესპუბლიკის დამყარებას. მთავრობამ ეს აჯანყებები ჩაახშო, დაითხოვა დამფუძნებელი კორტესები და დედოფლის რჩევით შეაჩერა საეკლესიო მიწების გაყიდვა, რამაც ო'დონელის ავტორიტეტი თავისი პარტიის — პროგრესისტების თვალში — კიდევ უფრო დასცა. ამის შემდეგ იგი უკვე არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ეს კარგად შენიშნა დედოფალმა და ო'დონელი გაანთავისუფლა. 1856 წლის 12 ოქტომბერს ნარვაესი კვლავ ჩაუდგა მთავრობას სათავეში და სასწრაფოდ დაიწყო ვიკალვაროსთან ბრძოლამდე არსებული ვითარების აღდგენა; მაგრამ მისი მმართველობის მკაცრი მეთოდები ხალხში იმდენად არაპოპულარული იყო, რომ 1857 წლის 4 ოქტომბერს დედოფალი იძულებული გახდა იგი გადაეყენებინა და მთავრობის მეთაურად კვლავ მოეწვია ო'დონელი.

**მემარჯვენე ლიბერალების მმართველობა.** 1854-1856 წწ. რევოლუციის დამარცხების შემდეგ ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ მემარჯვენე ლიბერალები, რომლებიც გაერთიანდნენ „ლიბერალურ კავშირში". ო'დონელმა კარგად იცოდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო დედოფლის მხარდაჭერა და როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკა ამ მიზნის მიღწევას დაუქვემდებარა: შეწყდა საეკლესიო მიწების გაყიდვის ყოველგვარი მცდელობა, იეზუიტებს მიეცათ თავისუფალი საქმიანობის საშუალება, ო'დონელი სანთლით ხელში თვითონ იღებდა მონაწილეობას საეკლესიო პროცესიებში, იმისათვის, რომ პაპის პიუს IX გული მოეგო. მან არ სცნო ვიტორიო ემანუილი იტალიის მეფედ, სამაგიეროდ

რესპუბლიკელების მიმართ მკაცრ პოლიტიკას ატარებდა. მთავრობა ხელს უწყობდა სარკინიგზო მშენებლობას, მრეწველობის ზრდას, საგარეო პოლიტიკაში — ახალ კოლონიურ დაპყრობებს. ესპანეთის სამხედრო ნაწილები, საფრანგეთის ჯარებთან ერთად, მონაწილეობდნენ სამხრეთ ვიეტნამისა და მექსიკის წინააღმდეგ ინტერვენციაში, მაგრამ ამ ავანტიურებს მისთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. სან-დომინგოს რესპუბლიკა კვლავ შეიერთა ესპანეთმა, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა იგი. 1859 წლის 12 ნოემბერს, ო'დონელის პირადი ინიციატივით, ომი დაიწყო მაროკოსთან, მაგრამ ესპანეთმა ვერც აქედან მიიღო რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი. თუმცა ამ კამპანიის დაწყებამდე მისი ასეთი დასასრული ნათელი იყო; ინგლისის მუქარით დაშინებულმა ო'დონელმა წინასწარ განაცხადა, რომ არავითარი ტერიტორიული ცვლილებები არ მოხდებოდა. მაროკოსთან ომი, რომელმაც 8000 ესპანელი ჯარისკაცის სიცოცხლე შეიწირა, დამთავრდა იმით, რომ ესპანეთმა მიიღო კონტრიბუციის სახით მხოლოდ 100 მლნ. რეალი, სამაგიეროდ ესპანელი ჯარისკაცების თავგანწირულმა ბრძოლებმა ისე გაუთქვეს სახელი ესპანეთს, რომ მისი დიდ სახელმწიფოთა რიგებში მიღების საკითხიც კი დადგა, მაგრამ ეს პროექტი, რომელიც საფრანგეთმა წამოაყენა, ინგლისის წინააღმდეგობის გამო არ მიიღეს. მაროკოსთან ომმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ჩამორჩენილ ესპანეთს არ შესწევდა ძალა ახალი კოლონიური დაპყრობისათვის. მის ძველ კოლონიებში, განსაკუთრებით კუბაზე, განმათავისუფლებელი მოძრაობები ძლიერდებოდა. ქვეყნის შიგნით პოლიტიკური სიტუაცია გამწვავებული იყო.

1857 წ. ანდალუზიაში გლეხთა აჯანყება დაიწყო, რომლის ჩახშობის შემდეგ 96 კაცი სიკვდილით დასაჯეს. 1861-1862 წწ. ასეთივე გამოსვლები მოხდა სხვა პროვინციებშიც. ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს ხვრეტდნენ და აგზავნიდნენ კატორღულ სამუშაოებზე აფრიკის კოლონიებში.

კატალონიის ქალაქებში მუშათა გამოსვლების შემდეგ, 1864 წელს მთავრობამ მუშებს კოალიციების შექმნის ნება დართო.

იზრდებოდა რესპუბლიკური მოძრაობები. ბურჟუაზიული

რესპუბლიკელები მოითხოვდნენ ფედერაციული რესპუბლიკის შექმნას და პროვინციებისათვის თვითმმართველობას. მონარქისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნეოდა. მემარცხენე ლიბერალებს (პროგრესისტებს) დედოფალ იზაბელას გადაყენება და ახალი მონარქის არჩევა სურდათ, მემარჯვენე ლიბერალები კი მხარს უჭერდნენ დედოფალს. მონარქიის ავტორიტეტი თანდათანობით ეცემოდა. მინისტრების ხშირი ცვლა, სასახლის კარზე სხვადასხვა ჯგუფის ავანტიურისტთა სიმრავლე, დედოფლის ფუქსავატური ცხოვრება, მისი სკანდალური კავშირები მრავალრიცხოვან საყვარლებთან, რომელთა შორის სასახლის უბრალო მოსამსახურეებიც იყვნენ, საყოველთაო აღშფოთებას იწვევდა.

იმისათვის, რომ ხალხის თვალში აემაღლებინა დედოფლის ავტორიტეტი, პიუს IX 1868 წლის 22 თებერვალს იზაბელა ოქროს ვარდით დააჯილდოვა. ეს მოვლენა სასახლის კარზე დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნეს, მაგრამ ხალხი მას გულგრილად და დამცინავად შეხვდა.

იმ დროს, როდესაც დედოფალი ზღვაზე დასასვენებლად წავიდა, სასახლის კარზე მის წინააღმდეგ შეთქმულება მზადდებოდა, რომელიც რევოლუციით უნდა დამთავრებულიყო.

**1868-1874 წწ. რევოლუცია.** 1868 წლის 18 სექტემბერს კადისში მდგარი ესკადრა აჯანყდა. ამ მოვლენით დაიწყო ახალი რევოლუცია. დედოფალი აპირებდა აჯანყებულებთან შეხვედრას, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიბრალტარის ფლოტი ინსურგენტებს შეუერთდა, მისი ეს განზრახვა ჩაიშალა და ორი დღის შემდეგ იგი იძულებული გახდა საფრანგეთში გაქცეულიყო. ბიარიცეში იზაბელა შეხვდა ნაპოლეონ III, რომელმაც მას დროებით საცხოვრებლად პოს ციხესიმაგრე გადასცა. აქედან დედოფალმა მხურვალე მოწოდებით მიმართა ესპანელ ხალხს, მაგრამ პირენეს ნახევარკუნძულზე ამ მოწოდებას გულგრილად შეხვდნენ.

სექტემბრის რევოლუციამ მთელს ესპანეთში დიდი სიხარული გამოიწვია. ეგონათ, რომ თავისუფლებამ საბოლოოდ გაიმარჯვა. მაგრამ, საუბედუროდ, ხალხი იქცა ბრმა იარაღად ცალკეული მოძალადეებისა და ავანტიურისტების ხელში. სექტემბრის

რევოლუციის მოღვაწეებს ურთიერთშორის უთანხმოება ჰქონდათ. ერთნი ცდილობდნენ რესპუბლიკის გამოცხადებას, მეორენი — მონარქიის შენარჩუნებას.

ზომიერი და მემარცხენე ლიბერალებისაგან შეიქმნა მთავრობა. 1869 წელს კორტესებმა მიიღეს ახალი კონსტიტუცია. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო საარჩევნო უფლებებს მამაკაცებისათვის, რწმენის, ასოციაციებისა და შეკრებების თავისუფლებას. შემოიღეს სამოქალაქო ქორწინება. შთამომავლობითი მონარქია შენარჩუნებულ იქნა. ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზია და მემამულეები ხელისუფლებას ინარჩუნებდნენ.

მონარქისტულმა კონსტიტუციამ რევოლუციურ-დემოკრატიული ოპოზიციის პროტესტები გამოიწვია. დემოკრატიულ და რესპუბლიკურ აჯანყებებს ადგილი ჰქონდა სარაგოსაში, ვალენსიაში და სხვა ადგილებში. ხელისუფლება ცდილობდა ძალით დაეფიცებინა სამღვდელოება ახალი კონსტიტუციის ერთგულებაზე, რაზეც სასულიერო პირთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა უარი განაცხადა.

1868 წ. ესპანეთში შეიქმნა I ინტერნაციონალის სექციები. 1870 წელს ბარსელონაში შედგა ამ სექციების პირველი კონგრესი, რომელზეც ბაკუნისტების გავლენით მიიღეს გადაწყვეტილება პოლიტიკურ ბრძოლაზე უარის თქმის შესახებ. მარქსისტები ფრანგი სოციალისტის პოლ ლაფარგის ხელმძღვანელობით უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ბაკუნისტების ტაქტიკამ და წვრილბურჟუაზიული რესპუბლიკელების სისუსტემ განაპირობა მონარქიის შენარჩუნება.

ესპანეთის მეფის ტახტზე ბევრი აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ზოგიერთი მათგანი ხალხს არ სურდა, ზოგიერთები კი თვითონ აცხადებდნენ უარს.

ერთ-ერთი ბერლინელი ბანკირის წინადადებით სამეფო ტახტი შესთავაზეს გერმანელ პრინცს ლეოპოლდ ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენს, რომლის მამასთან მოსალაპარაკებლად ბერლინში კაცი გაგზავნეს. პრუსიის მეფემ და ბისმარკმა ისეთი სახე მიიღეს, თითქოსდა ამ საკითხის გადაწყვეტა პირადად ლეოპოლდის საქმე იყო.

ეს საბედისწერო კანდიდატურა საფრანგეთ-პრუსიის ომის საბაბი გახდა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, სახელმწიფოთა

თანხმობით, 1870 წლის 16 ნოემბერს კორტესებმა მეფედ აირჩიეს იტალიელი პრინცი ამადეო სავოიელი. არმიამ და მინისტრებმა მას მხარი არ დაუჭირეს და 1873 წლის თებერვალში ამადეო ტახტიდან გადადგა. კორტესებმა რესპუბლიკა გამოაცხადეს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ რესპუბლიკური მთავრობა დაეცვათ და ეწარმოებინათ ბრძოლა დემოკრატიული და სოციალური გარდაქმნებისათვის, წვრილბურჟუაზიულმა რესპუბლიკელებმა და ბაკუნისტებმა აჯანყებები დაიწყეს ანდალუზიაში და ვალენსიაში, რათა დაემხოთ ცენტრალური მთავრობა და დაექუცმაცებინათ ქვეყანა თვითმმართველ დამოუკიდებელ კანტონებად. მათმა ასეთმა უაზრო ტაქტიკამ დაასრულა რესპუბლიკური მოძრაობა და ხელი შეუწყო ბურბონების რესტავრაციას. 1874 წლის 24 იანვარს კორტესებმა ტახტზე აიყვანეს იზაბელას შვილი ალფონს XII. 1868-1874 წწ. რევოლუცია დამარცხდა. დემოკრატიული გარდაქმნები არ განხორციელდა. ესპანეთი დარჩა თავადაზნაურულ მონარქიულ სახელმწიფოდ ბურბონთა დინასტიით სათავეში.

# თავი XI. განმათავისუფლებელი ომები და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნა ლათინურ ამერიკაში

ლათინურ ამერიკას უწოდებენ იმ ქვეყნების ჯგუფს, რომლებიც განლაგებული არიან დასავლეთ ნახევარსფეროში აშშ-ს სამხრეთ საზღვრებსა და ანტარქტიდას შორის. მასში შედიან მექსიკა, ცენტრალური ამერიკის ყელის ქვეყნები, ვესტ-ინდოეთის კუნძულები და სამხრეთ ამერიკის მატერიკი მიმდებარე კუნძულებით. ამ რეგიონს ზოგჯერ უწოდებენ „ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებს", რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ ლათინურ ამერიკას მიაკუთვნებენ იმ „ძველ" ქვეყნებს, რომელთა ენებს საფუძვლად დაედო ლათინური ენების ჯგუფი, ძირითადად ესპანური და პორტუგალიური ენები.

ლათინური ამერიკის რეგიონს ძველად უწოდებდნენ „იბეროამერიკას", „ინდოამერიკას", „ესპანეთის ამერიკას" და სხვა. სახელწოდება ლათინური ამერიკა დამკვიდრდა ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანიდან. კოლონიური ექსპანსიის დაწყებამდე სამხრეთ ამერიკაში იყვნენ თვითმყობადი კულტურის მქონე ხალხები, რომლებიც იზოლირებულ სამყაროში ვითარდებოდნენ. დაბლობ ადგილებში პირველყოფილი თემური წყობილებით ცხოვრობდნენ ინდიელები. ისინი მისდევდნენ ძირითადად მონადირეობას, მეთევზეობას და მიწათმოქმედებას. სწორედ მათ შესძინეს მსოფლიოს ისეთი ძვირფასი სამეურნეო კულტურები, როგორებიცაა: კარტოფილი, სიმინდი, გოგრა, არაქისი და სხვა. სამაგიეროდ, ევროპიდან ამერიკაში შეიტანეს ხორბლის სხვადასხვა ჯიშები, შეიყვანეს ცხვარი, ცხენი და რქოსანი პირუტყვი. ევროპელებს ადგილზე დახვდათ ერთადერთი მოშინაურებული ცხოველი ლამა. მართალია, ამერიკელებს ჰქონდათ ოქრო და ვერცხლი, მაგრამ ისინი არ იცნობდნენ რკინას და უმეტესად ხმარობდნენ ქვის იარაღებს.

ადგილობრივ ხალხებს შორის დაწინაურებული იყვნენ აცტეკები მექსიკაში და ინკები პერუში, მაგრამ არც მათ ჰქონდათ სრულყოფილი

სახელმწიფოები, რადგანაც ისინი ძირითადად შექმნილი იყო მოსული მეომარი ტომების მიერ.

აბორიგენ მოსახლეობას შორის კულტურის განვითარების მხრივ ყველაზე მაღლა იდგნენ ინკები. ისინი შეადგენდნენ ადამიანთა გარკვეულ კასტას, რომლებიც თავიანთ თავს მზის ღმერთის შთამომავლებად მიიჩნევდნენ და მხოლოდ სამხედრო და მმართველობითი საქმიანობით იყვნენ დაკავებული. მათ ზეპირად ასწავლიდნენ (რადგან დამწერლობა არ ჰქონდათ) სპეციალურ სკოლებში ასტრონომიას, მედიცინას და მეცნიერების სხვა დარგებს.

ამერიკის კონტინენტზე ევროპელთა მოსვლის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი ცვლილებები მოხდა.

**ლათინური ამერიკის დაპყრობა ევროპელთა მიერ.** XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში პორტუგალიელებისა და ესპანელების მიერ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ, ევროპელთა წარმოდგენა მაშინდელ მსოფლიოზე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. შესაბამისად, გაიზარდა მათი ინტერესი კოლონიური სამფლობელოების შეძენისადმი. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პორტუგალიელებმა და ესპანელებმა, რომლებმაც ლათინურ ამერიკაში უზარმაზარი ტერიტორიები ჩაიგდეს ხელთ.

ესპანელმა დამპყრობლებმა (კონკისტადორებმა) მცირე ძალებით შესძლეს ამერიკის მოსახლეობის დამორჩილება. კორტესმა მექსიკა 400 კაცით დაიპყრო, ხოლო პისარომ პერუს წინააღმდეგ ლაშქრობა 168 მეომრით დაიწყო. ნახევრადმშიერ ესპანელ ფეოდალებთან ერთად ახალი მიწებისაკენ მიეშურებოდნენ კათოლიკური სამღვდელოების წარმომადგენლებიც. ერთნიც და მეორენიც ცდილობდნენ კოლონიებში თავიანთი ქვეყნის ტრადიციების დანერგვას. თავდაპირველად ესპანეთის მთავრობა ამ ღონისძიებაში მონაწილეობას არ იღებდა. კორტესმა თავისი რაზმი მოტყუებით წაიყვანა დაპყრობით ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად, ხოლო წერა-კითხვის უცოდინარმა პისარომ თავის ორ ამხანაგთან ერთად შექმნა კერძო კომპანია, დაიქირავა მეომრები და დაიწყო „ზღაპრულ ქვეყნებში“ ლაშქრობა.

ესპანელებს ამერიკაში ახალი მიწები იზიდავდა არა ზედმეტი

საქონლის გასაღებისათვის და ჭარბი მოსახლეობის განსახლების მიზნით, არამედ მიწიერი სამოთხის მოპოვებისათვის; ისინი აქ ეძებდნენ მარადიული სიჭაბუკის ელექსირს (მაგ., ფლორიდაში ესპანელები ყველა მდინარეში ბანაობდნენ, რათა განეცადათ იქაური წყლების მაგიური ზემოქმედების ძალა) და სწრაფად გამდიდრების წყაროს – ელდორადოს.[34]

ესპანელებისაგან განსხვავებით, პორტუგალიელებს სულ სხვა მიზნები ამოძრავებდათ. მათ სამხრეთ ამერიკაში ერთი ოლქის – ბრაზილიის დასახლება დაიწყეს იმ განზრახვით, რომ სანელებლებისა და ძვირფასი საქონლის (სპილოს ძვალი, აბრეშუმი, ოქრო, მარგალიტი, ფაიფური) ბაზრებისაკენ ინდოეთის, ინდოჩინეთის, მოლუკის კუნძულების ნავსადგურებისაკენ მიმავალი გზა გაეკონტროლებინათ. ამგვარად, პორტუგალიელები ცდილობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზრებიდან გამოეთიშათ თავისი მეტოქეები და მოეპოვებინათ მათთან ვაჭრობის მონოპოლია.

კოლონიზატორებმა სულ მალე დაიწყეს ლათინური ამერიკის დასახლება სხვა კონტინენტების ხალხებით. XVI საუკუნის პირველი მეოთხედიდან მათ შემოჰყავდათ ზანგები აფრიკიდან, რომლებიც ძირითადად სახლდებოდნენ ვესტ-ინდოეთსა და ბრაზილიაში, სადაც ტროპიკული კულტურების პლანტაციები იყო, მუშახელი კი არ ჰყოფნიდათ, რადგანაც ადგილობრივი ინდიელები კოლონიზატორებმა ან ამოხოცეს, ან ძნელად მისადგომ ადგილებში გარეკეს.

„თავიან“ კოლონიებში სახლდებოდნენ, აგრეთვე, ესპანელები, პორტუგალიელები, მცირე რაოდენობით ინგლისელები, ფრანგები და ჰოლანდიელები.; ესპანეთისა და პორტუგალიის ოკეანის გაღმა სამფლობელოებში ესპანელებისა და პორტუგალიელების შთამომავლებისაგან ჩამოყალიბდნენ სპეციფიკური ჯგუფები, რომლებიც ცნობილი არიან „კრეოლების“ სახელწოდებით. კრეოლებს შორის ბევრი მდიდარი მემამულე იყო, მაგრამ მათ პოლიტიკური უფლებები არ ჰქონდათ, არ შეეძლოთ მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული თანამდებობების დაკავება. ადგილობრივი მმართველობისაგან

---

[12] ელდორადოს (ეს. el Dorado – ოქროსი) უწოდებდნენ არარსებულ ქვეყანას, რომელიც თითქოს მდიდარი იყო ოქროთი და თვალ-მარგალიტით.

კოლონისტების ჩამოცილების მიზნით, ევროპიდან აგზავნიდნენ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილ მოხელეებს, კოლონიებს არ აძლევდნენ სხვა ქვეყნებთან დამოუკიდებელი ვაჭრობის უფლებას და სხვ. ამის გამო კრეოლებს მეტროპოლიასთან ხშირად ჰქონდათ უთანხმოება.

XVIII საუკუნის ბოლოსათვის ესპანეთის ამერიკაში შეიქმნა ოთხი ვიცე-სამეფო: პერუ, ლა პლატა, ახალი მექსიკა და ახალი გრენადა, რომლებსაც სათავეში უმაღლესი სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლებით აღჭურვილი ვიცე-მეფეები ანუ მეფისნაცვლები ედგნენ. მიწის უზენაესი მფლობელი ესპანეთის მეფე იყო.

უკვე კოლონიურ პერიოდში, რასებს შორის ინტენსიური შერევის შედეგად წარმოიშვნენ მეტისები (ინდიელებისა და ევროპეიდული რასის შთამომავლები) და მულატები (ზანგებისა და ევროპეიდული რასის შთამომავლები). ცენტრალურ ამერიკაში, კოლუმბიისა და ეკვადორის წყნარი ოკეანის სანაპიროზე ინდიელებისა და ზანგების შთამომავლებისაგან შეიქმნა მცირერიცხოვანი ჯგუფი — სამბო (კ. იამაიკაზე — მულატი ქალისა და ზანგის შთამომავალი).

ლათინური ამერიკის ერები და ეროვნებები, რომლებიც ევროპელთა კოლონიური დაპყრობების შემდეგ ჩამოყალიბდნენ, წარმოადგენენ ახალ ეთნიურ წარმონაქმნებს და არა ევროპელების, ინდიელებისა და ზანგების შერევის შედეგად მიღებულ უბრალო ჯამს.

XVIII ს. მიწურულისათვის ლათინურ ამერიკაში 29 მლნ. მცხოვრები იყო, აქედან 7 მლნ. ინდიელი და 3 მლნ. კრეოლი.

XIX ს. 30-იანი წლებიდან, მონობის გაუქმების შემდეგ, ვესტ-ინდოეთში კონტრაქტით მიჰყავდათ მუშები ინდოეთიდან და ჩინეთიდან, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ტრინიდადსა და გაიანაში.

ლათინური ამერიკიდან გამოჰქონდათ ხის ძვირფასი ჯიშების მერქანი, ტყავი და სხვა ნაწარმი, მაგრამ პირველი კოლონისტების გამდიდრების ძირითადი წყარო მაინც ძვირფასი ლითონები იყო. ისინი ჩალის ფასად ყიდულობდნენ ან სულაც იტაცებდნენ ადგილობრივი მოსახლეობისაგან ძვირფას საქონელს. როდესაც ამერიკაში ნაყაჩაღარი ძვირფასეულობა გამოილია, ევროპელებმა

1545 წელს პოტოსოში (ახლანდელი ბოლივია) დაიწყეს ცნობილი ვერცხლის საბადოების დამუშავება.

**გამანთავისუფლებელი ბრძოლების დაწყება.** XVIII ს. მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ რაც კოლონიური პოლიტიკის დამბრკოლებელი ფაქტორების მიუხედავად, ადგილობრივი ეკონომიკა მაინც განვითარდა, იწყება ლათინური ამერიკის ხალხების გამანთავისუფლებელი ომები თავიანთი მჩაგვრელების წინააღმდეგ. 1781 წელს აჯანყება დაიწყო ახალი გრანადის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, 1780-1783 წლებში აჯანყდნენ პერუში ინდიელები ტუპაკ ამარუს ხელმძღვანელობით. ორივე ეს აჯანყება ესპანელებმა მთელი სისასტიკით ჩაახშვეს. 1791 წელს კ. ჰაიტის დასავლეთ ნაწილში — სან-დომინგოში ფრანგების წინააღმდეგ გამოვიდნენ ზანგები და მულატები ტუსენ-ლევერტიურის მეთაურობით. ეს აჯანყება დამთავრდა 1804 წელს, როდესაც შეიქმნა ლათინურ ამერიკაში პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჰაიტი და სადაც პირველად ამ რეგიონის ქვეყნებს შორის გააუქმეს მონობა.

**ესპანეთის ამერიკის განთავისუფლება.** საფრანგეთის დიდი რევოლუციის განმათავისუფლებელმა იდეებმა ლათინური ამერიკის ხალხებში კეთილნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვეს — უბიძგეს მათ მეტროპოლიის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების ბრძოლის დროშა პირველებმა ესპანეთის ამერიკის კოლონიებმა აღმართეს, სადაც უკვე 1810 წლიდან ახალი ძალით გაჩაღდა განმათავისუფლებელი ხასიათის აჯანყებები. ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ ნაპოლეონის ესპანეთში შეჭრისა (1808) და იქ მეფის ტახტის დამხობის შემდეგ, ესპანეთის ხელისუფალთა მთელი ძალისხმევა მიმართულ იქნა საფრანგეთის არმიის წინააღმდეგ, რამაც, ბუნებრივია, დაასუსტა მეტროპოლიის ძალაუფლება კოლონიებზე. ამის მიუხედავად, 1815 წლისათვის, ესპანეთმა მაინც შეძლო ბატონობის შენარჩუნება აჯანყებულ კოლონიებში. ინსურგენტთა დროებითი წარუმატებლობის მიზეზები იყო: 1) კოლონიების პარტიკულარისტული მოქმედებები, რაც ხელს უშლიდა მათი ძალების გაერთიანებას საერთო მიზნის მიღწევაში; 2) ადგილობრივი მოსახლეობის ინდენფერენტული დამოკიდებულება

განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი და გამთიშველი საქმიანობა (კრეოლების ნაწილი მონარქიის მომხრე იყო, ნაწილი კი – რესპუბლიკის); 3) აჯანყებულებზე დიდი მორალური გავლენა იქონია ესპანეთის ტახტზე ლეგიტიმური მონარქის – ფერდინანდ VII აღდგენამ.

**განმათავისუფლებელი ბრძოლები 1815-1825 წლებში.** ფერდინანდ VII შეეძლო ესპანეთის ამერიკული კოლონიების მოსახლეობის ნდობის მოპოვება, თუ მათ მისცემდა თავისუფალი ვაჭრობის უფლებას და ფართო ავტონომიას. ეს დათმობები კი კიდევ დიდხანს შეუნარჩუნებდა ესპანეთს კოლონიებს ლათინურ ამერიკაში, მაგრამ მეფემ სხვა გზა აირჩია. მან მოინდომა ძალით ისეთი რეჟიმების შენარჩუნება ოკეანის გაღმა კოლონიებში, რომლებიც არ შეესაბამებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებს. ამან კიდევ უფრო დაძაბა ურთიერთობა მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის. ამერიკაში თავისი კოლონიების შენარჩუნების მიზნით, ფერდინანდ VII მხოლოდ 16000 კაცის შეგროვება შეძლო, რაც აშკარად არ იყო საკმარისი მათზე დაკისრებული მისიის შესასრულებლად, არც საღვთო კავშირზე დამყარებულმა იმედებმა გაუმართლა მეფეს, თუმცა ეს კავშირი ესპანეთისადმი კეთილად იყო განწყობილი. საღვთო კავშირის საშუალებით ესპანეთის კოლონიების შენარჩუნების წინააღმდეგნი იყვნენ აშშ და ინგლისი.

აშშ-ს სურდა ახალშექმნილი რესპუბლიკები მისი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სფეროში მოექცია. აშშ-ს ესპანეთთან ძველი ანგარიშების გასწორებაც უნდოდა – რამდენიმე მილიონი დოლარის საფასურად ფლორიდის საბოლოოდ შემოერთებას ცდილობდა.

ინგლისი კი ესპანეთის ძველი მეტოქე იყო. ახლა მას ეძლეოდა კარგი შესაძლებლობა ხელში ჩაეგდო ესპანეთის ამერიკის კოლონიების ბაზარი და გამოედევნა იქიდან საფრანგეთი. ჯერ კიდევ 1812 წელს ინგლისი შეეცადა ეშუამავლა კორტესებსა და ბუენოს-აირესის სახელმწიფოს (ახლა არგენტინა) შორის კონფლიქტის მოსაგვარებლად, მიეცა ამ მოვლენისათვის საერთაშორისო რეზონანსი, რაც შემდგომში კარგი საფუძველი გახდებოდა არგენტინის

დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისათვის. ფერდინანდ VII ხელისუფლების რესტავრაციის შემდეგ, ლონდონმა კვლავ წამოჭრა ეს საკითხი; ამასთანავე, იგი მოითხოვდა ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის შემოღებას, რაზედაც ესპანეთის ხელისუფლებისაგან ბუნდოვანი დაპირებები მიიღო. „ცბიერ ალბიონს" სურდა მომავალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თავის გავლენის ქვეშ მოქცევა, იგი ყოველნაირ ხერხებს ხმარობდა, რათა ამ ქვეყნებში რესპუბლიკური წყობილება არ დამყარებულიყო, თუმცა ზოგიერთი პოლიტიკოსი, მაგ., კანინგი, დამოუკიდებელი რესპუბლიკების შექმნასაც ინგლისისათვის სასარგებლოდ მიიჩნევდა. სწორედ ამიტომ, ვენის კონგრესზე, რუსეთის იმპერატორის მცდელობის მიუხედავად ინგლისი წინ აღუდგა ევროპის სახელმწიფოების განზრახვას — მიეცათ ესპანეთისათვის ამერიკის კოლონიების შენარჩუნების გარანტია.

ასეთ ვითარებაში ესპანეთი შეეცადა საკუთარი ძალებით ჩაეხშო კოლონიების მოსახლეობის განმათავისუფლებელი მოძრაობები. მექსიკაში მან დროებით წარმატებასაც კი მიაღწია, როდესაც 1816-1817 წლებში მორელოსის სიკვდილით დასჯისა და ტერორის საშუალებით შეძლო ინსურგენტთა მთავარი ძალების დამარცხება.

ვენესუელაში მორილიომ დაიკავა კარტახენა და ახლანდელი ბოლივიის დედაქალაქი ბოგოტა (1815 წლის დეკემბერი — 1816 წლის ივნისი), მაგრამ სასტიკი რეპრესიების მიუხედავად, მეტის გაკეთება ვერ შესძლო. პირიქით, მკაცრმა ღონისძიებებმა ახალი აჯანყებების ტალღა ააზვირთა. 1816 წლის მაისიდან ბოლივარი კვლავ იღებს მონაწილეობას განმათავისუფლებელ ბრძოლებში. იგი შეიჭრა ქვეყნის სიღრმეში, გამაგრდა აგნოსტურში, სადაც 1817 წლიდან მისი მთავრობის დროებითი რეზიდენცია იყო. ამავე დროს პაესმა ააჯანყა ბარინასისა და კაზანარეს პროვინციები, რამაც ახალი გრენადის მოსახლეობა შეაგულიანა შემდგომი ბრძოლისათვის.

იმის მიუხედავად, რომ 1818 წლის მარტში კარაკასის წინააღმდეგ მოწყობილი ექსპედიციისას ბოლივარმა მძიმე მარცხი განიცადა, ამან ესპანელთა მდგომარეობა მაინც ვერ გააუმჯობესა. პირიქით, ვენესუელაში ჩასული მორელოსის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ბოლივარმა შესძლო ინგლისისაგან მიეღო დახმარება

არა მარტო ტყვია-წამლითა და იარაღით, არამედ ცოცხალი ძალითაც. ამის შემდეგ მან თავსხმა წვიმების დროს გადალახა ანდების ქედი, დაამარცხა ესპანელები ბოიაკთან 1819 წლის 7 აგვისტოს, ტრიუმფით შევიდა ბოგოტაში და გამოაცხადა ახალი გრანადისა და ვენესუელას შეერთება. 1819 წლის 17 დეკემბერს აგნოსტურში კონგრესის მიერ სანქციონირებულ იქნა ორი სახელმწიფოს გაერთიანება ერთიან კოლუმბიის რესპუბლიკად.

ესპანეთის ჯარები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. 1816 წლის 9 ივლისს ტუკუმანის კონგრესმა გამოაცხადა ყოფილი ვიცე სამეფოს ბუენოს-აირესის დამოუკიდებლობა, თუმცა ახალი სახელმწიფოს მმართველობის ფორმა ვერ განსაზღვრა.

სან-მარტინი ლიმაში შეჭრას ცდილობდა, მგრამ პერუს განთავისუფლებამდე მას აუცილებლად მიაჩნდა ჩილეს დაკავება, საიდანაც ესპანელებს შეეძლოთ თავს დასხმოდნენ ბუენოს-აირესს ზურგიდან. 1817 წლის იანვარში სან-მარტინმა გადალახა ანდები, თებერვალში დაამარცხა ესპანელები ჩაკაბუკოსთან და სანტ-იაგოში შევიდა. 1818 წლის 1 იანვარს ჩილელმა ემიგრანტმა ო'გიტინსმა, რომელიც თან ახლდა სან-მარტინს ანდების გადალახვის დროს, ჩილეს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

წარუმატებლობის მიუხედავად, ესპანეთი არაფრის დათმობას არ აპირებდა და კვლავ ძალისმიერი მეთოდებით და საღვთო კავშირის დახმარებით ცდილობდა ძალაუფლების აღდგენას კოლონიებზე. ვაშინგტონისა და ლონდონის პოლიტიკამ სულ მალე გაუფანტა მას ეს ილუზიები. ფერდინანდ VII უნდა ეზრუნა კოლონიებში საკუთარი ძალებით თავისი გავლენის შენარჩუნებისათვის.

1817 წელს აშშ აჯანყებულ კოლონიებში გაგზავნა თავისი ემისრები სავაჭრო კავშირების დასამყარებლად. მომდევნო 1818 წელს აშშ ინგლისის მთავრობას განუცხადა, რომ თუ საჭირო გახდებოდა ევროპის სახელმწიფოთა ჩარევა ესპანეთსა და კოლონიებს შორის შეთანხმების მიღწევისათვის, მაშინ ამ შეთანხმებას საფუძვლად უნდა დადებოდა კოლონიების დამოუკიდებლობა. ესპანეთ-აშშ-ს ურთიერთობას ამწვავებდა ისიც, რომ ფლორიდის კუთვნილების საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. მართალია, 1818 წ.

აშშ-მ ძალით დაიკავა იგი, მაგრამ 1820 წლამდე ესპანეთი არ სცნობდა ამ შეერთებას.

ინგლისი კვლავ ძველ პოლიტიკას ადგა — მხარს უჭერდა კოლონიების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ, ამასთანავე, ცდილობდა ახალშექმნილ სახელმწიფოებში მონარქიული რეჟიმების (ბრაგანსისა და ბურბონთა დინასტიების გამოკლებით) დამყარებას. ინგლისს არ სურდა საღვთო კავშირის ჩარევა ამ კონფლიქტებში და სწორედ ამიტომ 1818 წელს აახენის კონგრესზე არ დაუშვა ესპანეთის წარმომადგენელი.

მას შემდეგ, რაც ფერდინანდ VII სხვა სახელმწიფოებისაგან დახმარების იმედი გადაეწურა, მან კიდევ ერთხელ სცადა საკუთარი ძალებით კოლონიებთან ურთიერთობის „მოგვარება". 20000 კაცი შეაგროვეს კადისსა და ანდალუზიაში ამერიკაში გასაგზავნად, მაგრამ თავისუფლების იდეით გამსჭვალულმა მეომრებმა 1820 წლის 1 იანვარს საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ მოაწყვეს აჯანყება, რასაც მოჰყვა კორტესების ხელში ძალაუფლების გადასვლა. ქვეყანა სამოქალაქო ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და ესპანეთი უძლური შეიქნა კოლონიების მიმართ. გაჩნდა იმის საფრთხე, რომ აჯანყების ალი მთელ ესპანეთის ამერიკას მოედებოდა. ამ საშიშროების მიუხედავად კორტესებს, ისევე როგორც აბსოლუტურ ხელისუფლებას, არაფრის დათმობა არ სურდათ. მათ არ მისცეს კოლონიებს თავისუფალი ვაჭრობის უფლება, მათ წინააღმდეგ შეეცადნენ ძალის გამოყენებას, უარყვეს წინადადება იმის შესახებ, რომ ესპანეთის კოლონიები ამერიკაში გაყოფილიყო სამ ჯგუფად (მექსიკა, კოლუმბია და პერუ ჩილესა და ბუენოს-აირესთან ერთად), რომლებშიც აღმასრულებელ ხელისუფლებას მეფის წარმომადგენელი უხელმძღვანელებდა, საკანონმდებლოს კი — ავტონომიური უფლებებით აღჭურვილი ადგილობრივი საკრებულოები. მართალია, 1822 წელს კორტესებმა გაგზავნეს ამერიკაში კომისრები კოლონიების დასაწყნარებლად, მაგრამ არ აღჭურვეს ისინი ისეთი მანდატითაც კი, რომ დამოუკიდებელი უფლებების მქონე კოლონიების (მაგ., ბუენოს-აირესის) ფაქტიური დამოუკიდებლობა დაედასტურებინათ. მათ ეგონათ, რომ 1812 წლის ლიბერალური კონსტიტუციის

აღდგენით დააკმაყოფილებდნენ კოლონიებს, მაგრამ მოტყუვდნენ.

მეტროპოლიაში საკუთარი მეფის წინააღმდეგ აჯანყებამ კიდევ უფრო მძლავრი ბიძგი მისცა კოლონიების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ესპანეთში რევოლუციას მოჰყვა მექსიკის განთავისუფლება. ვიცე-მეფის (მეფისნაცვლის) ფერდინანდ VII უსიტყვო მორჩილის, აპოდაკას წინააღმდეგ 1821 წლის 24 თებერვალს აჯანყდა გენერალი იტურბიდე, რომელმაც გამოაქვეყნა მანიფესტი სამი ძირითადი მოთხოვნით: 1) ეროვნული დამოუკიდებლობა (ქვეყანაში უნდა ყოფილიყო მონარქია ბურბონთა დინასტიით სათავეში); 2) კათოლიკური ეკლესიის უფლებების დაცვა; 3) ესპანელების, კრეოლებისა და ინდიელების სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა. ამ მოთხოვნებმა ხელი შეუწყვეს იტურბიდეს პოპულარობას, რამაც შესაძლებელი გახადა აპოდაკას ჩამოგდება. ესპანეთის ხელისუფალნი იძულებულნი იყვნენ შერიგებოდნენ მათთვის არასასურველ ამ ფაქტს და 1821 წლის 24 აგვისტოს კორდოვოში დათანხმდნენ კიდეც ზემოთ დასახელებულ სამ ძირითად მოთხოვნაზე. ამის შემდეგ იტურბიდე მეხიკოში შევიდა და ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თვითონ კი ფაქტიურად დიქტატორი გახდა, როდესაც ესპანეთის ხელისუფლებმა მოინდომეს მისი დიქტატორული უფლებების შეზღუდვა და დაამტკიცეს კორდოვოს შეთანხმება, იტურბიდემ თავი იმპერატორად გამოაცხადა ავგუსტინე I სახელწოდებით (1822 წლის 21 მაისი).

რესპუბლიკური პარტია არ შეურიგდა იტურბიდეს დიქტატორობას, აჯანყება მოაწყო ვიქტორიას, გვერეროს, ბრავოსა და სხვათა ხელმძღვანელობით, თავის მხარეზე გადაიბირა არმიის გენერლები და აიძულა მეამბოხე გენერალი ტახტიდან გადამდგარიყო (19 მარტს), ხოლო შემდეგ ქვეყნიდანაც წასულიყო (იტალიაში, 1823 წლის მაისი). ყოფილი დიქტატორი კვლავ დაბრუნდა მექსიკაში, მაგრამ იგი დაიჭირეს და დახვრიტეს 1824 წლის 18 ივლისს. ამ ინცინდენტს არავითარი ვნებათაღელვა არ გამოუწვევია არც საკანონმდებლო კრებაში და არც საერთოდ ქვეყანაში. მექსიკამ ბოლომდე მიიყვანა სახელმწიფოებრივი მოწყობა და აშშ-ს მსგავსად ფედერაციული რესპუბლიკა გახდა. რესპუბლიკის პირველი

პრეზიდენტი იყო ვიქტორია (1824 წ. 10 ოქტომბერი).

1825 წელს განთავისუფლდნენ ესპანელების უკანასკნელი დასაყრდენი პუნქტები მექსიკაში სან-ჟუან და ულოა. მართალია, ოთხი წლის შემდეგ ფერდინანდ VII 4500 კაცისაგან შემდგარი რაზმი გაგზავნა მექსიკაში, მაგრამ ისინი ადვილად დაამარცხეს. ამის შემდეგ ესპანეთმა საბოლოოდ უარი თქვა მექსიკაში ბატონობაზე.

მექსიკის რევოლუციას მოჰყვა გვატემალის განთავისუფლება, სადაც 1821 წელს იტურბიდემ მცირერიცხოვანი რაზმი გაგზავნა. მისმა მომხრემ ფილიზოლამ 1822 წლის 11 იანვარს გამოაცხადა გვატემალის მექსიკასთან გაერთიანების შესახებ, მაგრამ ხალხი წინ აღუდგა ამ განზრახვას და იტურბიდეს ჩამოგდების შემდეგ გვატემალამ სრული თავისუფლება მოიპოვა, რაც განამტკიცა კიდეც 1824 წლის სექტემბერში მიღებული ფედერაციული კონსტიტუციით. გვატემალის სახელმწიფოში მიღებული ფედერაციული კონსტიტუციით მას ეწოდა „ცენტრალური ამერიკის გაერთიანებული პროვინციები". იგი ხუთ შტატს აერთიანებდა: გვატემალის, კოსტა-რიკას, ნიკარაგუას, ჰონდურასს და სალვადორს.

კოლუმბიასა და პერუში ესპანელებმა შესძლეს რამდენიმე წლით შეეჩერებინათ რევოლუციის საბოლოო გამარჯვება, ხოლო ვენესუელა განთავისუფლებულ იქნა მას შემდეგ, რაც პაესმა ხმელეთზე და პადილიამ ზღვაზე განუწყვეტელი თავდასხმებით დააუძლურეს ესპანელთა ძალები ენერგიული და ნიჭიერი მორალესის ხელმძღვანელობით. 1823 წლის 8 ნოემბერს პორტო-კაშელიოში გამოცხადდა ვენესუელას დამოუკიდებლობა.

1821 წლის 1 ნოემბერს ბოლივარი ხელახლა აირჩიეს კოლუმბიის პრეზიდენტად. ამის შემდეგ იგი ახალი რესპუბლიკის ტერიტორიის გაფართოებისათვის იღწვოდა. 1822 წლის 24 მაისს პიჩენჩესთან მან დაამარცხა ესპანელები, შევიდა კიტოში და შემოუერთა იგი კოლუმბიას, ანალოგიურად შემოიერთა გუაიაკილი. დღის წესრიგში დადგა პერუს განთავისუფლება.

ესპანელთა ბატონობა პერუში თითქმის ხელუხლებლად შენარჩუნებული იყო 1820 წლამდე. რევოლუციური მოძრაობა აქ ჩილედან გავრცელდა. მას სათავეში ედგა სან-მარტინი, რომელმაც

1820 წლის სექტემბერში 4500 კარგად შეიარაღებული და დისციპლინირებული ჯარისკაცით დაიწყო განმათავისუფლებელი ბრძოლები. მას ადვილად შეეძლო მიეღწია ლიმამდე, თავისი არმიის უდანაკარგოდ შენარჩუნების მიზნით, დრო რომ არ დაეკარგა მოლაპარაკებებზე. თავდაპირველად სან-მარტინი ცდილობდა მეფისნაცვლის პეზუელუს მომხრობას, მაგრამ ესპანელებმა, ნდობის დაკარგვის გამო, იგი შეცვალეს ლა სერნათი 1821 წლის იანვარში. რევოლუციური გამოსვლების გამო, ახალი მეფისნაცვალი იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ლიმა. ამის შემდეგ სან-მარტინი შევიდა პერუს დედაქალაქში და 1821 წლის 12 ივლისს ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მან ეროვნული კრება დაითხოვა და დიქტატორული მეთოდებით დაიწყო ქვეყნის მართვა; ცდილობდა იმპერატორად გამოეცხადებინა თავი, მაგრამ ეს სურვილი ვერ აისრულა. ფუფუნებით ცხოვრების გამო მისი ჯარი გადაგვარდა, იგი უკვე აღარ გამოდგებოდა დიქტატორული მეთოდებით მართვისათვის საიმედო დასაყრდენ ძალად; მისი ერთ-ერთი მეგობარი და თანამებრძოლი კოკრენი, უთანხმოების გამო, იძულებული გახდა ჩილეში დაბრუნებულიყო. 1822 წლის აპრილში სან-მარტინის ჯარები სასტიკად დაამარცხეს ესპანელებმა. ესპანელთა ჯარის სარდალი ლა სერნა შეტევაზე გადავიდა. კრიტიკულ მდგომარეობაში მოქცეულმა სან-მარტინმა დახმარება სთხოვა ბოლივარს, მაგრამ ამ თხოვნაზე უარი მიიღო, რადგანაც ბოლივარს თვითონ სურდა პერუს დაპატრონება. ბოლოს სან-მარტინი იძულებული გახდა მოეწვია კონგრესი, ხოლო შემდეგ უარი ეთქვა ხელისუფლებაზე (1822 წლის 20 სექტემბერი) და დაბრუნებულიყო ჩილეში.

ამის შემდეგ პერუ ანარქიამ მოიცვა. ტრიუმვირატის დამყარების წარუმატებელი ცდის შემდეგ, გენერალმა სანტა-კრუსმა აიძულა კონგრესი პრეზიდენტად დაენიშნა რივა-აგუერო (1823 წლის იანვარი), მაგრამ მას განუწყვეტელი უთანხმოება ჰქონდა კონგრესთან პოლიტიკური და ადმინისტრაციული საკითხების გამო. ამით სარგებლობდნენ ესპანელები და აგრძელებდნენ შეტევას. მათ აიღეს ლიმა და აიძულეს რივა-აგუერო კონგრესის წევრების ნაწილთან ერთად ტრუხილიოში გაქცეულიყო. დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ,

,კონგრესის დეპუტატებმა ხელისუფლების სათავეში დასვეს რივა-
,აგუეროს მოწინააღმდეგე უნიჭო, ლოთი ტორე-ტაგლე. ამას დაემატა
,პერუელთა ჯარის სარდლის სანტა-კრუსის დამარცხება.

პერუს დამოუკიდებლობის საკითხი ბეწვზე ეკიდა. ამ დროს
ლიმაში ჩავიდა ბოლივარი, სადაც იგი კონგრესმა გენერალსიმუსად
დანიშნა (1823 წლის 1 სექტემბერი). მან სახელმწიფოს მმართველობას
ჩამოაცილა რივა-აგუერო და ტორე-ტაგლე, გააუქმა კონსტიტუცია
და დაითხოვა კონგრესი. ასეთმა დიქტატორულმა მეთოდებმა
სამხედროების ამბოხება გამოიწვია. დამხმარე ძალების
შესაგროვებლად ბოლივარი იძულებული გახდა წასულიყო
ტრუხილიოში, შემდეგ კი ბოლივიაში. მისი წასვლით ისარგებლეს
ესპანელებმა და 1823 წლის თებერვალ-მარტში დაიკავეს ლიმა და
კალაო, მაგრამ ეს მათი დროებითი წარმატებები იყო. ესპანელებიც
შინაურმა შუღლმა დაღუპა — მეფისნაცვალი ზოგჯერ იძულებული
ხდებოდა ეზრუნა საკუთარი გენერლების ამბოხებების ჩასახშობად.
ამით ისარგებლა ბოლივარმა და კვლავ დაიბრუნა პერუს დედაქალაქი,
ხოლო მისმა ნაცვალმა სუკრემ 1824 წლის 9 დეკემბერს დაამარცხა
ესპანელთა მთავარი ძალები აიაკუჩის დაბლობზე (კუსკოსა და
ლიმას შორის). ამ გამარჯვებიდან ოთხი თვის შემდეგ სუკრეს
ხელში აღმოჩნდა მთელი ზემო პერუ, რომლის ტერიტორიაზე შეიქმნა
დამოუკიდებელი რესპუბლიკა ბოლივია. მისი პირველი პრეზიდენტი
გახდა ბოლივარი (1825 წლის 31 ოქტომბერი).

ესპანელებს ამერიკის კონტინენტზე, ანტილიის კუნძულების
გარდა, დარჩათ ორი პუნქტი — კალაო და ჩილეს კუნძულები. ეს
ტერიტორიები მათ 1826 წელს დატოვეს.

ამგვარად, ესპანეთის ამერიკის კოლონიების ომი
დამოუკიდებლობისათვის დამთავრდა კოლონიების ხალხების სრული
გამარჯვებით.

**აშშ-ს და ინგლისის პოლიტიკა. მონროს დოქტრინა.** გამარჯვებული
კოლონიები დამოუკიდებლობის მოპოვებას, ადგილობრივი
მოსახლეობის თავდადებასა და სიმამაცესთან ერთად, უნდა
უმადლოდნენ აშშ-ის და ინგლისის პოლიტიკას.

მას შემდეგ, რაც ფლორიდა შემოიერთეს (1821 წ.), აშშ-ს

სახელმწიფოს მესვეურებმა, ხედავდნენ რა ესპანეთის თანდათან დაუძლურებას, სულ სხვა ტონით დაიწყეს მადრიდის კაბინეტთან საუბარი. 1822 წლის მარტში პრეზიდენტმა მონრომ განაცხადა, რომ ის სცნობდა ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს და დაამყარებდა მათთან პოლიტიკურ და სავაჭრო კავშირებს. მართალია, აშშ ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებდა ესპანეთის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის მიმართ, მაგრამ როდესაც ფერდინანდ VII მოინდომა საღვთო კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოების საშუალებით დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან ანგარიშის გასწორება, პრეზიდენტმა მონრომ ხმა აღიმაღლა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანის წინააღმდეგ. 1823 წელს მან ჩამოაყალიბა თავისი სახელით ცნობილი დოქტრინა, რომლის მთავარი პრინციპი ასეა ჩამოყალიბებული „ამერიკა ამერიკელებისათვის". ე.ი. ამიერიდან ამერიკის კონტინენტი სხვა სახელმწიფოების კოლონიური დაპყრობების ობიექტი აღარ უნდა გამხდარიყო. „მონროს დოქტრინა" მკაცრი ტონით აფრთხილებდა საღვთო კავშირის წევრ სახელმწიფოებს, თუ ისინი შეეცდებოდნენ ახლად ჩამოყალიბებული დამოუკიდებელი სახელმწიფოების საშინაო საქმეში ჩარევას, მაშინ აშშ არ დარჩებოდა გულგრილ მეთვალყურედ და ყველა საშუალებით წინ აღუდგებოდა ასეთ განზრახვას.

ინგლისის პოლიტიკა დიდად უწყობდა ხელს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებს სანუკვარი მიზნის მიღწევაში. საგარეო საქმეთა მინისტრის ქასთლრის (გარდაიცვალა 1822 წელს) მემკვიდრე კანინგი ამ მხრივ უფრო გაბედულად მოქმედებდა. მას მიაჩნდა, რომ ლათინური ამერიკის ხალხების რევოლუციური სულისკვეთება არ იქნებოდა საზიანო ინგლისისათვის, პირიქით, ახლადშექმნილ სახელმწიფოებთან ურთიერთობა გაზრდიდა მისი ქვეყნის სავაჭრო და საზღვაო ძლიერებას; იქნებოდა კარგი პერსპექტივები იმისათვის, რომ განთავისუფლებული კოლონიები ინგლისური სამრეწველო საქონლის გასაღების ბაზრად ქცეულიყვნენ. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ინგლისისათვის განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კონტინენტური ბლოკადის შედეგად ევროპის სახელმწიფოებმა თვითონ დაიწყეს თავიანთი მოთხოვნილებების

უზრუნველყოფა სამრეწველო საქონლით და, ამგვარად, მისთვის ნაწილობრივ შეზღუდეს კონტინენტური ბაზარი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დამოუკიდებლობისათვის ომში ინგლისს დაბანდებული ჰქონდა კაპიტალის გარკვეული რაოდენობა, დიდ ბრიტანეთში საზოგადოებრივი აზრი აშკარად უჭერდა მხარს კოლონიების განმათავისუფლებელ ომს, ითვალისწინებდა რა ყოველივე ამას, კანინგმა პირდაპირ განაცხადა: ევროპის სახელმწიფოები მხარს თუ დაუჭერდნენ ესპანეთს ლათინური ამერიკის მოსახლეობის ძალით დამორჩილებაში, მაშინ იგი სცნობდა კოლონიების დამოუკიდებლობას. ამას გარდა, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა არ მიიღო მონაწილეობა საღვთო კავშირის იმ მოსალოდნელ კონგრესში (1824 წლის მაისი), რომელზეც ფერდინანდ VII ინიციატივით უნდა განეხილათ კოლონიების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედების გეგმა, კანინგის ასეთი პოზიციის გამო კონგრესი არ შედგა.

ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად ინგლისმა ერთ-ერთმა პირველმა სცნო ესპანეთის ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობა (1825 წ.) და დაამყარა მათთან სავაჭრო კავშირები. მის მაგალითს შემდეგში სხვა სახელმწიფოებმაც მიბაძეს.

**პორტუგალიის სამფლობელოები ამერიკაში.** XIX საუკუნის ისტორიაში ბრაზილიის რევოლუციას ესპანეთის ამერიკის კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს, თუმცა მათ შორის განსხვავებაცაა. ბრაზილიის დამოუკიდებლობის მოპოვება შედარებით უმტკივნეულოდ მოხდა, რაც განპირობებული იყო იმით, რომ მთავრობა, რომლის წინააღმდეგაც იყო მიმართული ეს რევოლუცია, ბედის ირონიით შექმნილი პოლიტიკური აუცილებლობის გამო, თვითონ გახდა ამ რევოლუციის წამომწყები, ხოლო შემდეგში, არც თუ ისე დიდი მონდომებით იბრძოდა მის წინააღმდეგ.

პორტუგალია თავის კოლონიებს ისე უჭკუოდ და წარუმატებლად მართავდა, როგორც ესპანეთი. ბრაზილიაში 300 წლიანი კოლონიზაციის შედეგად, უზარმაზარი ტერიტორიისა და მდიდარი წიაღისეული სიმდიდრეების მიუხედავად, XIX საუკუნის დასაწყისში სულ 3 მლნ. მცხოვრები იყო, მათ შორის ერთი მილიონი ზანგი და

ნახევარი მილიონი ინდიელი. მეტროპოლია მკაცრი კოლონიური მართვის მეთოდებით — აკრძალვებით, მონოპოლიებით, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სავაჭრო შეზღუდვებით ძარცვავდა ადგილობრივ მოსახლეობას. მართალია, პომბალის მმართველობის დროს დანერგეს ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, შექმნეს სავაჭრო კომპანიები და სხვა, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა ეს ყველაფერი დავიწყებას მისცეს.

1792 წელს დედოფალ მარია I შვილი ჟუანი დანიშნეს პორტუგალიის რეგენტად. იგი იყო გაუნათლებელი, მშიშარა და გონებასუსტი მონარქი. თავისი პიროვნული ნაკლოვანებების გამო, ჟუანი მთლიანად დამოკიდებული იყო ფეოდალურ და საეკლესიო არისტოკრატიაზე, კმაყოფილი იყო თავისი ბედისა და ეწინააღმდეგებოდა ყოველგვარ პროგრესულ იდეას და გარდაქმნებს. მის დროს ბრაზილიაში კიდევ უფრო გაძლიერდა კოლონიური ჩაგვრა — აქ არ იყო სკოლები, ფაბრიკები, სტამბები, გარე სამყაროსთან კავშირი მხოლოდ პორტუგალიის საშუალებით შეიძლებოდა. ყოველგვარი უშუალო კავშირი ევროპის სხვა სახელმწიფოებთან სასტიკად ისჯებოდა.

ასეთი მძიმე მდგომარეობა ცოტათი შეიცვალა მას შემდეგ, რაც ფრანგებისაგან გამოქცეული ჟუან VI, 1808 წლის იანვარში ჩავიდა ბრაზილიაში. თავისი ნების საწინააღმდეგოდ, იგი იძულებული იყო კოლონიებისათვის მიეცა საწარმოო ძალების განვითარების უფლება. 1808 წლის 28 იანვრიდან ბრაზილიის პორტებში შესვლა შეეძლო პორტუგალიისადმი კეთილად განწყობილი ქვეყნების გემებს. ამ უფლებით, სხვა ქვეყნებთან, თვით პორტუგალიასთან შედარებითაც კი, ყველაზე მეტად ისარგებლა ინგლისმა. ორი სავაჭრო ხელშეკრულებით (1810 წლის 19 თებერვალი და 1812 წლის 18 დეკემბერი), დიდმა ბრიტანეთმა ისეთი პრივილეგიები მიიღო, რომ ბრაზილია თითქმის ინგლისის ბაზრად აქცია. ქვეყანა თანდათანობით ახალი ცხოვრების გზით მიემართებოდა: მოსახლეობა ათ წელიწადში 1 მლნ. გაიზარდა, შემოსავლები გადიდდა, ქალაქები ახალი ნაგებობებით დამშვენდა, მოსახლეობაში შეიმჩნეოდა მისწრაფება განათლებისა და პროგრესისაკენ, მწიფდებოდა აზრი იმის შესახებ,

რომ ისეთი დასუსტებული და უპერსპექტივო ქვეყნის, როგორიც იყო პორტუგალია, ჩამოცილება სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ხალხში ამგვარი განწყობილების ზრდას ხელს უწყობდა რეგენტის უგუნური თვითმპყრობელური მმართველობა, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა არათუ თავისუფლების სურვილის მცირეოდენი გამოვლინების, არამედ განათლებისაკენ სწრაფვის ჩახშობასაც კი. ასეთი დიდმპყრობელური პოლიტიკა და მეტროპოლიის მოხელეების ქედმაღლური, ბატონკაცური დამოკიდებულება ადგილობრივ მოსახლეობაში აღვივებდა სეპარატისტულ მისწრაფებებს. 1814 წელს პერნამბუკოში ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელიც ქვეყნის განთავისუფლებას და დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას ისახავდა მიზნად.

ბრაზილიელი ხალხის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა თავიდანვე შეუმჩნეველი არ დარჩენია რეგენტს, რომელმაც ნაპოლეონის დამხობის შემდეგაც კი არ ისურვა ლისაბონში დაბრუნება, რასაც დაჟინებით ურჩევდნენ მას ინგლისელები. დიდი ბრიტანეთის მესვეურთ ლისაბონში რეგენტზე გავლენის შენარჩუნება უფრო ადვილად მიაჩნდათ, ვიდრე ოკეანის გაღმა მდებარე რიო-დე-ჟანეიროში. ამასთანავე, ბრაზილიაში რეგენტის არყოფნა, ინგლისელთა ვარაუდით, დააჩქარებდა კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას. იმისათვის, რომ დაედასტურებინა თავისი ერთგულება ბრაზილიისადმი, რეგენტმა იგი სამეფოს რანგში აიყვანა (1815 წლის 16 დეკემბერს) და უფლებებით პორტუგალიას გაუთანაბრა; და ბოლოს, როდესაც ის გახდა მეფე ჟუან VI სახელწოდებით, ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგების მიზნით, თავს დაესხა „აღმოსავლეთის ზოლს“ (ურუგვაი) და 1817 წლის იანვარში პორტუგალიის ჯარებმა დაიკავეს მონტევიდეო, თუმცა მისი საბოლოოდ შემოერთება 1820 წლის დასაწყისში შეძლეს.

პორტუგალიის კოლონიების გაფართოება და განმტკიცება ამერიკაში აღიზიანებდა ინგლისს, რომელმაც ცოტა ხნით ადრე, 1814 წელს, აიძულა ლისაბონი დაებრუნებინა მისთვის საფრანგეთის გვიანა.

ბრაზილიელები პირველად აჯანყდნენ 1817 წლის მარტში,

პერნამბუკოში. მართალია, ეს აჯანყება მალე ჩააქრეს, მაგრამ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა ახალი რევოლუციური გამოსვლების მოახლოებაზე მეტყველებდა. თავისი მოქმედებით მთავრობამ ცეცხლზე ნავთი დაასხა — ევროპიდან მოიწვია ახალი პოლკები, რომელთა ჯარისკაცები ბრაზილიაში ლიბერალურ იდეებს ავრცელებდნენ და ადგილობრივ მცხოვრებთა მიმართ თავიანთი ქედმაღლობით კიდევ უფრო აღვივებდნენ მათ მისწრაფებებს დამოუკიდებლობისაკენ.

მოახლოებული რევოლუციის საშიშროების გამო, ინგლისის აგენტები ჟუან VI ურჩევდნენ დაბრუნებულიყო ლისაბონში, მაგრამ მეფე სამშობლოში მხოლოდ თავისი უფროსი შვილის დონ პედროს გამგზავრებას აპირებდა, თვითონ მას კი კონსტიტუციის პროექტის მისაღებად სათათბირო კრების მოწვევა უნდოდა. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში დაწყებულმა აჯანყებებმა რიო-დე-ჟანეირომდეც მიაღწია, მეფე იძულებული გახდა ახალ დათმობებზე წასულიყო (კორტესების მოწვევაზე დათანხმდა) და ლისაბონში დაბრუნდა. პორტუგალიელებსაც ეს უნდოდათ — ისინი მეფეში ხედავდნენ თავიანთი ძველი დიდების აღდგენის გარანტს და ბრაზილიის საბოლოოდ დასამორჩილებლად მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ.

ჟუან VI ბრაზილიაში რეგენტად დატოვა თავისი უფროსი ვაჟი დონ პედრო; თან საიდუმლოდ ურჩია მას: თუ სეპარატისტული მოძრაობის შეჩერება შეუძლებელი გახდებოდა, მაშინ მიმხრობოდა მას, რათა ბრაგანსთა საგვარეულოს არ დაეკარგა ბრაზილიის ტახტი.

დონ პედრო ბრაზილიის დამოუკიდებლობის მომხრე იყო. მას კარგად ჰქონდა შეგნებული ის, თუ რა დიდებული მომავალი ექნებოდა ამ ქვეყანას პორტუგალიისაგან ჩამოშორების შემდეგ. ამავე დროს მას, როგორც მემკვიდრე პრინცს, უნდა გაეთვალისწინებინა პორტუგალიელი ხალხის ეროვნული თავმოყვარეობა და სურვილები. ყოველივე ამის გამო, დონ პედრო ორჭოფულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი ძირითადი მიზანი იყო ბრაზილიაში ავტონომიური ხელისუფლების შექმნა, რომელიც პორტუგალიასთან დაკავშირებული იქნებოდა დიპლომატიური და დინასტიური კავშირებით. იგი არ იზიარებდა ჩრდილოეთის რესპუბლიკელ ფედერალისტების

შეხედულებებს, რომლებიც ადგილობრივ ხელისუფლებაზე განაწყენებულნი ლისაბონის კორტესების მომხრეებად ასაღებდნენ თავს, არც სამხრეთელ მონარქისტებს ემხრობოდა, რომლებიც პორტუგალიასთან ყოველგვარი კავშირების გაწყვეტას მოითხოვდნენ, მისთვის მიუღებელი იყო აგრეთვე ბრაზილიაში მცხოვრები პორტუგალიელების სურვილი — აღედგინათ მეტროპოლიასთან ურთიერთობები ყოველგვარი ცვლილებების გარეშე.

ამგვარად, დონ პედროს ეჭვის თვალით უყურებდნენ არა მარტო სხვადასხვა პარტიები, არამედ ლისაბონის კორტესებიც, რომლებიც ჩრდილოეთის პროვინციებს მის წინააღმდეგ აქეზებდნენ, ცდილობდნენ გაეუქმებინათ ცენტრალური ხელისუფლება, ქვეყანა დაეყოთ 14 პროვინციად და ისინი ცალ-ცალკე დაეკავშირებინათ პორტუგალიის მთავრობასთან, და ბოლოს, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ, უნდოდათ რეგენტის ევროპაში დაბრუნება. ჰქონდა რა მამისაგან საიდუმლო რჩევა მიღებული, დონ პედრომ გადაწყვიტა ბრაზილიაში დარჩენა, თავის პირველ მინისტრად დანიშნა სეპარატისტული პარტიის ლიდერი ხოზის ბონიფაციო დ'ანდრანდა, მოიწვია სათათბირო კრება, რომელსაც ბრაზილიისათვის ახალი კონსტიტუცია უნდა შეედგინა და აიძულა პორტუგალიის ჯარები დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში.

დონ პედროს ასეთი მოქმედებების საპასუხოდ, კორტესებმა აკრძალეს ბრაზილიაში ტყვია-წამლისა და სამხედრო იარაღის შეტანა, უარყვეს ბრაზილიელი დეპუტატების პროგრამა, რომლითაც ისინი მოითხოვდნენ ავტონომიურ მმართველობას, დაიწყეს დონ პედროს მინისტრების დევნა და კატეგორიულად დააყენეს საკითხი რეგენტის სამშობლოში დაბრუნების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას პორტუგალიის ტახტზე უფლების ჩამორთმევით დაემუქრნენ. ასეთი ულტიმატური ხასიათის მოთხოვნების გამო, სეპარატისტებმა კიდევ უფრო თამამად განაგრძეს მოღვაწეობა.

ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მთავარი ლოზუნგი გახდა „თავისუფლება ან სიკვდილი". მოსახლეობის მღელვარებამ ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ პრინცი-რეგენტი იძულებული იყო გამოეცხადებინა ბრაზილიის დამოუკიდებლობა (1822 წლის 1

აგვისტო), მაგრამ პორტუგალიის კორტესებმა არ ცნეს იგი. გაითვალისწინა რა ქვეყანაში შექმნილი მწვავე სიტუაცია, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მონარქიას, პრინცმა, მინისტრთა საბჭოს თანხმობით, 1822 წლის 7 სექტემბერს საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება პორტუგალიასთან ყოველგვარი კავშირების გაწყვეტის შესახებ. ეს თარიღი ითვლება ბრაზილიის დამოუკიდებლობის ოფიციალურ თარიღად. პრინცი ბრაზილიის იმპერატორად გამოაცხადეს პედრო I სახელწოდებით, ხოლო ბრაზილია დამოუკიდებელ კონსტიტუციურ იმპერიად გამოცხადდა. 1823 წლის ბოლოსათვის ახალი იმპერატორის ძალაუფლება გავრცელდა ბრაზილიის მთელ სანაპირო ზოლზე.

1823 წლის 3 მაისს შეიკრიბა საკანონმდებლო კრება. ანდრანდამ მოინდომა, კრების დადგენილებით, ბრაზილიაში მცხოვრები პორტუგალიელების ქვეყნიდან განდევნა. იმპერატორი, რომელსაც არ სურდა პორტუგალიასთან საბოლოოდ ყოველგვარი კავშირების გაწყვეტა, იძულებული გახდა გადაეყენებინა იგი თანამდებობიდან და მოეწვია შედარებით ლიბერალურად განწყობილი ახალი მინისტრები. მაშინ ანდრანდამ თავის თანამზრახველებთან ერთად მოინდომა თითქმის რესპუბლიკური კონსტიტუციის მიღება. უხერხული მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, დონ პედრომ მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და 1823 წლის 13 ნოემბერს დაითხოვა დამფუძნებელი კრება, თუმცა თავის წინააღმდეგ რომ არ აემხედრებინა ქვეყნის მთელი მოსახლეობა, 1824 წლის მარტში გამოაქვეყნა ლიბერალური სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუცია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრებაში არ გატარებულა, მანამდე კი მისი ავტორი ქვეყანას დიქტატორული მეთოდებით მართავდა.

მას შემდეგ, რაც ქვეყნის ჩრდილოეთის პროვინციებში საპროტესტო გამოსვლები ჩახშობილ იქნა, დონ პედროს ხელისუფლება მთელს ქვეყანაში ვრცელდებოდა.

საღვთო კავშირი შეეცადა პორტუგალიის სასარგებლოდ ბრაზილიის საშინაო საქმეებში ჩარეულიყო, მაგრამ, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის კანინგის მკვეთრი უარყოფითი პოზიციის გამო, ვერ გაბედეს ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა.

ინგლისი კმაყოფილი იყო ბრაზილიაში მონარქიული პრინციპების შენარჩუნებით და ბოლოს აიძულა კიდეც პორტუგალია მისთვის საშუამავლოდ მიემართა. სწორედ ინგლისის შუამავლობით 1825 წ. 29 აგვისტოს დაიდო შეთანხმება, რომლის მიხედვით მეფე ჟუან VI მთელ თავის უფლებებს ბრაზილიაზე თავის შვილს უთმობდა და ცნობდა ამ ქვეყნის დამოუკიდებლობას. სამაგიეროდ ბრაზილია თავის თავზე იღებდა პორტუგალიის სახელმწიფო ვალების ნაწილის გადახდას.

პორტუგალიის მეფე ჟუან VI 1826 წ. 10 მარტს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ ბრაზილიის იმპერატორმა თავისი ქალიშვილის მარიას სასარგებლოდ უარი განაცხადა პორტუგალიის ტახტზე, ბრაზილიაში კი მემკვიდრედ დანიშნა თავისი ვაჟი პედრო (შემდეგში პედრო II). ამგვარად, ორი სახელმწიფოს განცალკევება საბოლოოდ გადაწყდა.

**საფრანგეთის კოლონიები ლათინურ ამერიკაში.** მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ტრაქტატით (1814 წლის 30 მაისი) საფრანგეთს დაუტოვეს ამერიკაში თავისი სამფლობელოების მცირე ნაწილი, იგი მაინც, ესპანეთისა და პორტუგალიის შემდეგ, ამ კონტინენტზე ყველაზე მეტ კოლონიებს ფლობდა.

ინგლისმა მას დაუბრუნა მარტინიკა, გვადელუპა მიმდებარე კუნძულებით და ნიუფაუნლენდის წყლებში სენ-პურისა და მიქელონის კუნძულები, პორტუგალია კი დაპირდა საფრანგეთის გვიანაში დაპყრობილ ტერიტორიებს, რაც მან სამი წლის შემდეგ 1817 წლის 28 აგვისტოს ტრაქტატით აღასრულა; მოსახლეობით და ბუნებრივი სიმდიდრეებით ყველაზე დიდი კოლონია სან-დომინგო კი საფრანგეთმა საბოლოოდ დაკარგა, მიუხედავად იმისა, რომ პარიზის ტრაქტატი ცნობდა საფრანგეთისა და ესპანეთის თანაბარ უფლებებს ამ დიდ კუნძულზე, სან-დომინგოს ფრანგული ნაწილი 1803 წლიდან სრული დამოუკიდებლობით სარგებლობდა. აქ შეიქმნა ორი სახელმწიფო: ერთი ჩრდილოეთში დესალინის ხელისუფლებით, რომლის მემკვიდრემ მეფის ტიტული მიიღო ჰენრი I სახელწოდებით; მეორე — სამხრეთ-დასავლეთში, მულატი პეტიონის გამგებლობით, რომელიც 1814 წელს იმპერატორი გახდა. პეტიონისა და ჰენრი I გარდაცვალების

შემდეგ ეს ორი სახელმწიფო 1820 წ. გაერთიანდა ბუაიოს ხელმძღვანელობით; ორი წლის შემდეგ კი კუნძულის ესპანური ნაწილი ნებაყოფლობით შეუერთდა ჰაიტის ხელისუფლებას.

ნაპოლეონის ტახტიდან პირველად ჩამოგდების შემდეგ, 1814 წელს ფრანგმა კოლონისტებმა აიძულეს ლუი XVIII მიეღო გადაწყვეტილება სან-დომინგოში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის შესახებ, მაგრამ ნაპოლეონის ელბიდან დაბრუნებამ ჩაშალა ეს წამოწყება. ბურბონთა მეორე რესტავრაციის შემდეგ საფრანგეთი აწარმოებდა მოლაპარაკებებს მხოლოდ სავაჭრო უპირატესობების მოპოვებისათვის და ფრანგი კოლონისტების დაკარგული ქონების კომპენსაციის საკითხებზე. შეთანხმება 1823 წელს იქნა მიღწეული. კოლონისტებს ნაწილობრივ აუნაზღაურეს თავიანთი ქონების საფასური, ამას გარდა დაადგინეს, რომ ჰაიტის პორტებში საფრანგეთის გემებისათვის სანახევროდ შეემცირებინათ სათანადო გადასახადები. ასეთი პირობებით საფრანგეთმა სცნო რესპუბლიკის დამოუკიდებლობა (1825 წლის 7 აპრილი). მალე მის მაგალითს ესპანეთმაც მიბაძა, რომელიც უკვე ისე იყო დაუძლურებული, რომ კოლონიებში ბატონობა აღარ შეეძლო.

ამრიგად, განმათავისუფლებელი ომების შედეგად ლათინურ ამერიკაში შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფოები: მექსიკა, დიდი კოლუმბია (რომელიც აერთიანებდა ვენესუელასა და ეკვადორს), ჰაიტი, ბოლივია, პერუ, ჩილე, ცენტრალური ამერიკის შეერთებული შტატები (შემდეგში ხუთ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიშალა: ნიკარაგუა, კოსტა-რიკა, სალვადორი, ჰონდურასი და გვატემალი), არგენტინა, ურუგვაი, პარაგვაი და ბრაზილია.

დამოუკიდებლობისათვის ომების გამოჩენილი გმირები: ბოლივარი, სან-მარტინი, არტიგასი, ო'ჰიგინსი, იდალგო და მორელოსი დღემდე ითვლებიან თავისუფლებისმოყვარეობის, სოციალური სამართლიანობის დამცველების, ლათინური ამერიკის ხალხების მეგობრობის სიმბოლოებად.

ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და აშშ-ს მოსახლეობას თითქმის ერთი და იგივე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში ისეთივე

ბრწყინვალე წარმატებებს მოიპოვებდნენ კულტურულ-ეკონომიკურ და პოლიტიკური საქმიანობის სფეროებში, როგორსაც აშშ მიაღწია. მიწის დიდი ფართობები და მაღალი ნაყოფიერება, მოხერხებული პორტები და სამიმოსვლო გზები, მოსახლეობის რაოდენობა (რომელიც ამ დროს აღემატებოდა აშშ-ს მოსახლეობის რიცხვს) ამის კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. აქაური მოსახლეობაც, ისევე როგორც აშშ, გამსჭვალული იყო სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის სულისკვეთებით, რომლის პრაქტიკულ ცხოვრებაში რეალიზება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგანაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ რესპუბლიკებში ფეოდალური ურთიერთობა არ არსებობდა, მონობისგანაც მალე განთავისუფლდნენ ზანგები და ინდიელები, რაც აშშ-თან შედარებით დიდი უპირატესობა იყო.

ამასთანავე, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოფილი კოლონიები ისე მჭიდროდ არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, როგორც აშშ-ის შტატები. ისინი უზარმაზარ ტერიტორიაზე იყვნენ გაფანტულები, რაც მათ შორის ურთიერთობას აძნელებდა, არც აქაური მოსახლეობა იყო ერთგვაროვანი, ისინი არ გამოირჩეოდნენ იმ ბუნებრივი მონაცემებით, პოლიტიკური და სოციალური შეგნებულობის დონით, რაც აშშ-ის სიძლიერის საფუძველს ქმნიდა. ლათინური ამერიკის მოსახლეობის უმრავლესობას კრეოლები და ინდიელები შეადგენდნენ, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ანტიპათიურად იყვნენ განწყობილნი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ინდიელები ძნელად ითვისებდნენ პროგრესულ მიღწევებს, არც 300 წლის მანძილზე აქ არსებული დესპოტური და თავნება მთავრობები აძლევდნენ მოსახლეობას ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას, ზრდიდნენ მათ მონური სულისკვეთებით, აიძულებდნენ ეშმაკობით, კანონის გვერდის ავლით და ძალის გამოყენებით მოეპოვებინათ საცხოვრებელი სარჩო. უმეცრებისა და ჩამორჩენილობის ჭაობიდან ამოსაყვანად საჭირო იყო რამდენიმე თაობის ძალისხმევა. ყოფილ კოლონიებში მონობის გადმონაშთები კიდევ დიდხანს იყო შენარჩუნებული, ხოლო კუბასა და ბრაზილიაში მონობა თითქმის XIX საუკუნის მიწურულამდე იყო შენარჩუნებული.

ესპანეთის ამერიკაში კათოლიკური ეკლესია არ უშვებდა

საცხოვრებლად უცხოელებს იმ მოტივით, რომ ერეტიკოსები და სკეპტიკოსები არ გამრავლებულიყვნენ. ასეთი პოლიტიკა კი აფერხებდა ახალი ძალების მოზიდვას, რაც ასე სჭირდებოდა ესპანეთის კოლონიებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განმათავისუფლებელმა ომებმა ხელი შეუწყვეს ახალ სახელმწიფოებში თავაშვებული მილიტარიზმის ზრდას და ცალკეული პატივმოყვარე პირების მომრავლებას, რომლებიც თავისი პირადი ინტერესებისათვის მზად იყვნენ სახელმწიფო ძალდატანებითი გადატრიალებები მოეხდინათ.[35]

ვესტ-ინდოეთში ესპანეთის კოლონია-კუნძულებმა ვერ შეძლეს კონტინენტურ კოლონიებთან ერთად განთავისუფლება, რადგან აქ ესპანეთის კოლონიური მმართველობის რეჟიმი უფრო მკაცრი იყო, ხოლო მათი გეოგრაფიული მდებარეობა (ისინი სხვა ქვეყნებისაგან იზოლირებულნი იყვნენ) და ესპანეთის ძლიერი ფლოტი განმათავისუფლებელ არმიებს არ აძლევდნენ იქ შეჭრის საშუალებას. ამიტომ კუბამ ფორმალური დამოუკიდებლობა XX საუკუნის დასაწყისში მოიპოვა, კარიბის ზღვის აუზის ინგლისურენოვანი სახელმწიფოები კი ჩვენი საუკუნის 60-70-იან წლებში გახდნენ დამოუკიდებლები.

---

[35] სახელმწიფო გადატრიალებების სიმრავლე დღემდე დამახასიათებელია სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნისათვის. საზოგადოების პოლიტიკურ განვითარებაში სამხედროთა ჩარევა ძირითადად იმ ქვეყნებში ხდება, რომლებშიც შეიარაღებული ძალები ისტორიულად სუსტია. გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ წარუმატებელი სახელმწიფო გადატრიალებები ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დონის პირდაპირ პროპორციულია. არსებობს სახელმწიფო გადატრიალებების „მცდელობათა ზედა ზღვარი" და „წარმატების ალბათობის ზედა ზღვარი". ქვეყანაში, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი 1000-დან 2500 დოლარამდე მერყეობს, სახელმწიფო გადატრიალებები, ჩვეულებისამებრ, წარუმატებლად მთავრდება, ხოლო ქვეყნებში, სადაც ივიგე მაჩვენებელი 2500 დოლარზე მეტია, გადატრიალების მცდელობაც კი არ შეინიშნება. „რისკის ზონაში" არიან ქვეყნები, სადაც ერთობლივი შიდა პროდუქტის წლიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1000 დოლარზე ნაკლებია.

# თავი XII. ლათინური ამერიკა დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომების შემდეგ

**დამოუკიდებლობისათვის ომების შედეგები.** განმათავისუფლებელი ომების შედეგად ლათინური ამერიკის 26 ქვეყანა გახდა დამოუკიდებელი. მაგრამ ამ გამარჯვების შედეგებით ისარგებლა, უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივმა მიწათმფლობელმა არისტოკრატიამ, თავიანთი ვიწრო ეგოისტური, ძირითადად ფეოდალური ინტერესებისათვის. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ახალშექმნილ სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა სამეურნეო კავშირები, რაც კოლონიურმა პერიოდმა მემკვიდრეობით დაუტოვა მათ.

ამ ხარვეზების შესავსებად და საერთო პოლიტიკური ინტერესების დაცვის მიზნით, ბოლივარმა წამოაყენა წინადადება ლათინური ამერიკის ქვეყნების კონფედერაციული კავშირის შექმნის შესახებ, რომელიც მომავალში უზარმაზარი პირველხარისხოვანი სახელმწიფო უნდა გამხდარიყო. „განმათავისუფლებელი“ ამ დროს თავისი დიდების ზენიტში იმყოფებოდა, მას ვაშინგტონზე და ნაპოლეონზე მაღლაც კი აყენებდნენ. სწორედ ამის გამო, ბოლივარს ეგონა, რომ მას შეეძლო სხვადასხვა ხალხების ერთ კავშირში გაერთიანება. მისი აზრით, გამაერთიანებელი ცენტრი უნდა ყოფილიყო კოლუმბია, სადაც ის უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა და საიდანაც მან დაიწყო პერუსა და ბოლივიის განთავისუფლება. 1823 წლიდან იგი საფუძველს უყრის ამ სახელმწიფოებს შორის მჭიდრო ურთიერთობებს; კოლუმბია ჯერ დაუკავშირდა ბუენოსაირესს, პერუსა და მექსიკას, 1825 წელს კი კავშირი დაამყარა გვატემალასთან. მაგრამ ბოლივარი ამით არ დაკმაყოფილდა. მას სურდა ამერიკის „ხალხთა საღვთო კავშირის“ შექმნა, რომელიც არ შეუშინდებოდა ევროპის მონარქების „საღვთო კავშირს“. ამ საქმეში მას აშშ-ს და ბრაზილიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა — ისინიც ხომ მოითხოვდნენ ამერიკას ამერიკელებისათვის. ესპანეთის ყოფილი კოლონიების მომხრობა კი გარანტირებული ეგონა, რადგა-

ნაც კოლუმბია, პერუ და ბოლივია უკვე მისი გავლენის ქვეშ იყო, ჩილესა და ბუენოს-აირესის დათანხმება აღნიშნულ კავშირში გაერთიანებაზე, მისი აზრით, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამ გეგმის განხორციელებისათვის ესპანეთის ამერიკის ქვეყნები პერიოდულად უნდა შეკრებილიყვნენ კონგრესზე, რომლის ადგილსამყოფელი პანამაში იქნებოდა. საშიშროების შემთხვევაში კონგრესი უნდა ყოფილიყო განსახორციელებელ ღონისძიებათა მაკოორდინირებელი ცენტრი, მშვიდობიანობის დროს კი სხვა ქვეყნებთან დამაკავშირებელი და შუამავალი მოსამართლე. თუ საჭირო გახდებოდა, მის გამგებლობაში უნდა გადაეცათ არმია და ფლოტი. შემდეგში ყველა ეს მოსაზრება პროექტად დარჩა.

პანამის პირველი კონგრესი ბოლივარმა მოიწვია 1824 წლის 7 დეკემბერს, მაგრამ სხვადასხვა გართულებების გამო მისი შეკრება 1826 წლის შუა ხანებისათვის გადაიდო. ჩილემ და ლა-პლატამ არ გააგზავნეს იქ თავიანთი წარმომადგენლები, რადგანაც კოლუმბიელებმა პირველი გამოაძევეს ქვედა პერუდან, მეორე კი — ზედა პერუდან. პარაგვაიმ თავი შეიკავა კონგრესში მონაწილეობაზე, რადგანაც მას ყოველგვარი კავშირების გარეთ დარჩენა სურდა; ბრაზილიამაც, რომელიც ამ დროს ბუენოს-აირესს ეომებოდა, არ გააგზავნა დელეგატები პანამაში. აშშ და ინგლისი გარეგნულად თითქოს ემხრობოდნენ ბოლივარის წამოწყებას, მაგრამ სინამდვილეში მისი ჩაშლა უნდოდათ, რადგანაც არცერთი მათგანის ინტერესებს არ შეესაბამებოდა ესპანეთის ამერიკაში ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. მათ ასეთ სურვილს განაპირობებდა ისიც, რომ ბოლივარს კონგრესის დახმარებით უნდოდა კუბისა და პუერტო-რიკოს განთავისუფლება და იქ მონობის მოსპობა, რასაც ალბათ, იამაიკაში და აშშ-ში მოჰყვებოდა აბოლიციონისტური მოძრაობის აღმავლობა.

ამგვარად, კონგრესს ესწრებოდნენ მხოლოდ კოლუმბიის, პერუს, მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის წარმომადგენლები. მან მუშაობა დაიწყო 1826 წლის ივნისში და დაწყებული ეპიდემიის გამო 3 ივლისს დაიშალა. ამ კონგრესის ერთადერთი შედეგი იყო სამხედრო კავშირის დადება ზემოთ დასახელებულ ოთხ სახელმწიფოს შორის, მაგრამ, მთელ რიგ ქვეყნებში ახალი რევოლუციებ-

ის დაწყების გამო, ეს შეთანხმებაც მალე დაივიწყეს.

**ბოლივარის პოლიტიკის კრახი.** მას შემდეგ, რაც ესპანეთის ყოფილი კოლონიებისაგან ბოლივარმა ვერ შექმნა ფედერაცია, მან მოინდომა მისდამი ყველაზე ერთგული რესპუბლიკების კოლუმბიის, პერუსა და ბოლივიის შემადგენლობით ახალი კავშირის — „ანდების ფედერაციის" ჩამოყალიბება, მაგრამ ვერც ეს ჩანაფიქრი განახორციელა. „განმათავისუფლებლის" დესპოტური და ერთმმართველური პრინციპები ეწინააღმდეგებოდნენ იმ ხალხების პარტიკულიარისტულ მისწრაფებებს, რომელთა დამორჩილებაც მას სურდა ერთიანი პოლიტიკისადმი. ბოლივარი ფიქრობდა, რომ ვენესუელასა და პერუს მოსახლეობა არ იყო მზად თვითმმართველობისათვის და ამიტომ მათთვის სახელმწიფო მოწყობის საუკეთესო ფორმა დიქტატურა იქნებოდა. სწორედ დიქტატორული სულისკვეთებით გაჟღენთილი კონსტიტუცია შეუქმნა მან ბოლივიელებს და თავისი მომხრეების დახმარებით იგი ამ ქვეყნის მუდმივი პრეზიდენტი გახდა (1826 წლის ივლისი). ამიერიდან ბოლივარი ცდილობდა სხვა ქვეყნებშიც თავისი ძალაუფლების გავრცელებას, მაგრამ უშედეგოდ. პერუში მან დროებით მოახერხა დიქტატორული ძალაუფლების მოპოვება (1827 წლის ივნისში იგი ჩამოაგდეს), ბოლივიაშიც ჯერ შეზღუდეს, ხოლო შემდეგ დაამხეს მისი ხელისუფლება (1828 წ. მაისი-ივნისი), ვენესუელა აჯანყდა და გამოეყო კოლუმბიას (1829). ასევე მოიქცნენ სამხრეთის პროვინციები, რომლებმაც ეკვადორის რესპუბლიკა შექმნეს (1830 წ. მაისი). სულიერად განადგურებული, დაავადებული ბოლივარი იძულებული გახდა უარი ეთქვა ხელისუფლებაზე, შემდეგ შეეცადა კვლავ მის დაბრუნებას და, ბოლოს, გარდაიცვალა 1830 წლის 17 დეკემბერს. მისი სიკვდილის შემდეგ ამერიკის კონფედერაციის შექმნა არავის უცდია, ესპანეთის ამერიკის ქვეყნები დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ.

**მექსიკა.** დამოუკიდებლობის მოპოვებამ (1821) და დიქტატორული მმართველობის დამყარების წარუმატებელმა ცდამ კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია მექსიკის შემდგომ განვითარებაზე. აკრძალეს ინდიელთა შრომის იძულებითი გამოყენება და სულადობრივი გადასახადი, მონობაც სულ მალე გააუქმეს. 1824 წლიდან, როდესაც

მიიღეს კონსტიტუცია, ქვეყანაში საბოლოოდ დამყარდა ფედერაციული რესპუბლიკური მმართველობა. ესპანური არისტოკრატიის გავლენა შემცირდა. გაბატონებულ კლასებში უმრავლესობას კრეოლები შეადგენდნენ, ხელოსნების, მოსამსახურეების, წვრილი მეურნეობების მფლობელების (რანჩერო) უმრავლესობას კი — მეტისები. ქვეყნის მოსახლეობის ძირითად მასას გლეხები — ინდიელები წარმოადგენდნენ.

დამოუკიდებლობისათვის ომის შედეგები ხელს უწყობდნენ მექსიკელი ერის კონსოლიდაციას და ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. მაგრამ, ამასთანავე, რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში დარჩა ფეოდალური გადმონაშთები და რასობრივი დისკრიმინაცია. მსხვილი ლატიფუნდისტების მდგომარეობა კიდევ უფრო განმტკიცდა. ისინი ძალდატანებით ართმევდნენ ინდიელებს მიწებს. მაიორატის უფლება არ გაუქმებულა. ეკლესიამ შეინარჩუნა მიწები და პრივილეგიები. საეკლესიო შემოსავალი რამდენჯერმე სჭარბობდა სახელმწიფოსას. გლეხების უმრავლესობა პეონების[36] მდგომარეობაში აღმოჩნდა. იზრდებოდა შაქრის ლერწმის, ბამბის, აგავის პლანტაციები, მაგრამ, საერთოდ, სოფლის მეურნეობა განვითარების დაბალ დონეზე იყო.

მექსიკა წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას. მმართველობის აპარატისა და არმიის შესანახი ხარჯებისათვის მთავრობა ინგლისელი ბანკირებისაგან იღებდა პროცენტიან ვალებს და ყოველწლიურად ადიდებდა არაპირდაპირ გადასახადებს. მართალია, ოქროსა და ვერცხლის მოპოვება იზრდებოდა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი საზღვარგარეთ კონტრაბანდით გადიოდა. XIX ს. 40-იანი წლებიდან დააარსეს წვრილი საფეიქრო ფაბრიკები, მაგრამ მათი ნაწარმი, ცხადია, ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს და სამრეწველო საქონელი ძირითადად შემოჰქონდათ ინგლისიდან და საფრანგეთიდან. ქვეყნის შემოსავლების დიდი ნაწილი ხმარდებოდა ვალებზე საპროცენტო გადასახადებს.

პოლიტიკური ძალაუფლება რეაქციულ მემამულეებს ეკუთვ-

---

[36] პეონი — მიწის ნაფლის მქონე ნახევრად მონა, ნახევრად ყმა გლეხი.

ნოდათ. არმიასა და ფლოტში ბევრი სინეკურული[37] თანამდებობა იყო. გენერლებისა და ოფიცრების რაოდენობა რამდენჯერმე სჭარბობდა საჭირო მოთხოვნებს. სამხედრო დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლა იწვევდა ხშირ სახელმწიფო გადატრიალებებს ('პრონუნსიამენტო"). 1824 წლიდან 1848 წლამდე მექსიკაში მოეწყო 250 სამხედრო ამბოხება და შეიცვალა 31 პრეზიდენტი. ყველაზე დიდხანს იარსება გენერალ სანტა-ანას დიქტატორულმა რეჟიმმა. მან 1834 წ. მიიღო ახალი კონსტიტუცია, რომლითაც ცენტრალურ ხელისუფლებას ეძლეოდა უფლება დაენიშნა ცალკეული შტატების გუბერნატორები, რაც ფედერალურ მმართველობას ძირს უთხრიდა. ამ კანონმა გამოიწვია შინაომების გამწვავება, რამაც შემდეგში აშშ-ს ქვეყნის დაშლა გაუადვილა.

**აშშ — მექსიკის ომი (1846-1848).** სანტა-ანა დემაგოგიური გამოსვლებით ცდილობდა თავისი ანტიეროვნული პოლიტიკის დამალვას. მისი მიზანი იყო ეკლესიისა და მემამულეების პრივილეგიების დაცვა. აშშ-ის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში აშკარად გამოჩნდა ეროვნული ინტერესებისადმი სანტა-ანას ღალატი. აშშ-ის მონათმფლობელები დიდი ხანია ცდილობდნენ მექსიკის ჩრდილოეთი ოლქების, კერძოდ, ვრცელი და ნაყოფიერი მიწების მქონე ტეხასის დაპყრობას. ტეხასი ადრე შედიოდა მექსიკის ვიცე სამეფოს შემადგენლობაში, მაგრამ იგი არ იყო კოლონიზებული არც მექსიკელებისა და არც ესპანელების მიერ, ამიტომ 1821 წლიდან აქ დასახლება დაიწყეს ჩრდილოამერიკელებმა. სანტა-ანას წინამორბედი პრეზიდენტი ბუსტამანტე შეეცადა ამ პროცესის შეჩერებას (1830), მაგრამ უკვე გვიან იყო. ანგლოსაქსონელ მიწათმოქმედთა შემოსვლა და ყამირი მიწების ათვისება გრძელდებოდა. 1834 წელს ცენტრალისტური კონსტიტუციის მიღების შემდეგ, მათ ოსტინში შექმნეს ადგილობრივი მთავრობა, ხოლო როდესაც მექსიკის კონგრესი შეეცადა აეკრძალა მათთვის ახალი მიწების შეძენა, ისინი

---

[37] სინეკურა — შემოსავლიანი საეკლესიო თანამდებობა შუა საუკუნეებში. არ მოითხოვდა არავითარ ვალდებულებებს და არც დანიშნულების ადგილზე ყოფნა იყო აუცილებელი. სიტყვა „სინეკურა" ისეთი შემოსავლიანი თანამდებობის სახელად იქცა, რომელიც განსაკუთრებულ შრომას არ მოითხოვდა.

აჯანყდნენ და 1836 წლის 21 აპრილს გაანადგურეს სანტა-ანას 6000 კაცისაგან შემდგარი ჯარი და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. სანტა-ანა ტყვედ ჩავარდა და ხელი მოაწერა მეტად დამამძიმებელ პირობებზე, რომლითაც აღუთქვამდა აშშ-ს ამ ტერიტორიების მიცემას. მეხიკოში დაბრუნების შემდეგ მას დაატოვებინეს პრეზიდენტის პოსტი, რომელიც რამოდენიმე წლის შემდეგ კვლავ დაიბრუნა. ისარგებლეს რა მექსიკაში არსებული შინააშლილობით და იმით, რომ ამ დროს მექსიკა ეომებოდა საფრანგეთს, ტეხასის მთავრობამ განიმტკიცა მდგომარეობა და მალე მიაღწია ვაშინგტონისა და ევროპის დიდი სახელმწიფოებისაგან მისი დამოუკიდებლობის ცნობას (1839). მექსიკის მთავრობის წარუმატებელ ცდებს ტეხასის დაბრუნებისათვის მოჰყვა ის, რომ ტეხასმა თხოვნით მიმართა შეერთებულ შტატებს მასთან შეერთების შესახებ. აშშ-ის ხელმძღვანელებმა კარგად შეაფასეს შექმნილი მდგომარეობა: მათ დიდი ხანია თვალი ეჭირათ მექსიკის კიდევ ერთ ვრცელ და მდიდარ ტერიტორიაზე — კალიფორნიაზე; მეზობელ სახელმწიფოსთან კონფლიქტს შეიძლება ამ ტერიტორიის შემოერთებაც მოჰყოლოდა, ამიტომ ცოტა ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტეს ტეხასის შემოერთება (1845-1846).

ამ გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ (1846) მოჰყვა ომი მექსიკასა და აშშ-ის შორის. სანტა-ანა ხელს უშლიდა არმიის მიერ გადამჭრელი საომარი მოქმედებების განხორციელებას, არც ეკლესია იკლავდა თავს გამარჯვებისათვის (ომის საჭირო ხარჯებისათვის საეკლესიო ქონების გაყიდვაზე უარი თქვეს). გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად მექსიკელები დამარცხდნენ ამ ომში და 1848 წლის 2 თებერვალს დადებული ზავით მათ მოუხდათ არა მარტო ტეხასის, არამედ ახალი მექსიკისა და ზედა კალიფორნიის დათმობაც, რაც სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ორ მეხუთედს შეადგენდა. აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი უილიამ გრანტი ამ ომს უწოდებდა ერთ-ერთ ყველაზე უსამართლო ომს, რომელიც კი უწარმოებია ძლიერ ერს სუსტი მოწინააღმდეგის მიმართ.

აშშ-ის მიერ მიტაცებულ მიწებზე შემდეგში სამხრეთის მონათმფლობელებმა გააშენეს ბამბის დიდი პლანტაციები, აღადგინეს

მონობა. კალიფორნიაში აღმოჩნდა ოქროთი მდიდარი საბადოები, ხოლო XIX საუკუნის ბოლოსათვის ტეხასი გახდა ნავთობის მოპოვების უდიდესი ცენტრი. ამგვარად, მექსიკამ დაკარგა უმდიდრესი და ნაყოფიერი მიწები, რამაც დიდი ხნით შეაფერხა მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარება.

**1854-1860 წწ. მექსიკის რევოლუცია.** 1854-1860 წლები მექსიკის ისტორიაში შევიდა როგორც „რეფორმისათვის ომის" წლები. ლიბერალურ მემამულეებს სურდათ ზომიერი რეფორმების გატარება „ზემოდან". რადიკალები, რომლებიც გამოხატავდნენ წვრილი მიწათმფლობელების, მოსამსახურეების, მეტისებისა და ნაწილობრივ ინდიელთა ინტერესებს, მოითხოვდნენ მამაკაცებისათვის საყოველთაო საარჩევნო უფლებას, საეკლესიო მიწების გაყიდვას და საეკლესიო პრივილეგიების ლიკვიდაციას.

1854 წლის მარტში მექსიკის სამხრეთ-დასავლეთში დაიწყო აჯანყება, რომელმაც სულ მალე ქვეყნის მთელი ტერიტორია მოიცვა, ასე დაიწყო რევოლუცია.

აჯანყებულები ძირითადად შედგებოდნენ ხელოსნების, ვაჭრების, გლეხების, წვრილი მოხელეების და რადიკალურად განწყობილი ინტელიგენციისაგან. სანტა-ანა აიძულეს გაქცეულიყო და აჯანყებულებმა დაიკავეს დედაქალაქი. გამოაცხადეს ამქრული შეზღუდვების გაუქმების, თავისუფალი სამეწარმეო საქმიანობის შემოღების, პრესის თავისუფლების შესახებ, გააუქმეს საეკლესიო პრივილეგიები და შემოიღეს ერთიანი მეტრული სისტემა. 1857 წლის კონსტიტუციით მექსიკა გამოცხადდა თავისუფალი შტატებისაგან შემდგარ დემოკრატიულ რესპუბლიკად. ვალის გამო მონობა გააუქმეს, მაგრამ პეონაჟი და ლატიფუნდიები დარჩა. შიდა საბაჟოები მოშალეს. რეაქციონერების წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგა წარმოშობით ინდიელი გლეხის შვილი ბენიტო ხუარესი, რომელიც 1858 წელს პრეზიდენტი გახდა.

**სახალხო ომი ინტერვენტების წინააღმდეგ (1861-1867).** ეკონომიკური სიძნელეების გამო ხუარესმა დროებით შეაჩერა უცხოეთის ბანკებისათვის სესხზე პროცენტების გადახდა. ეს გახდა საბაბი ევროპის სახელმწიფოების ინტერვენციის დაწყებისათვის.

მათ სურდათ ქვეყნის ფინანსური დაკაბალება, რეაქციული რეჟიმის აღდგენა და მისი მარიონეტულ სახელმწიფოდ გადაქცევა. ნაპოლეონ III საფრანგეთზე დამოკიდებულ მექსიკის იმპერიის შექმნაზეც კი ოცნებობდა. 1861 წლის ბოლოს ესპანეთის, შემდეგ კი ინგლისისა და საფრანგეთის ჯარები შეიჭრნენ მექსიკაში. შემდეგში ესპანეთმა და ინგლისმა უარი თქვეს ინტერვენციაში მონაწილეობაზე და მისი განხორციელება მიანდეს ნაპოლეონ III. ინტერვენტებმა მექსიკა იმპერიად გამოაცხადეს და ტახტზე დასვეს ავსტრიელი ერცჰერცოგი მაქსიმილიანე. ფრანგებმა დაიკავეს დედაქალაქი მეხიკო და სხვა ქალაქები, ხოლო ქვეყნის ჩრდილოეთი გახდა ხუარესის კანონიერი მთავრობის დასაყრდენი.

მექსიკელი ხალხი თავდადებით იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, დაუნდობლად სჯიდა მოღალატეებს, ფართოდ იყენებდა ბრძოლის პარტიზანულ მეთოდებს და ოთხწლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ უცხოელი ინტერვენტები განდევნეს (1867).

ნაპოლეონ III მიერ ტახტზე დასმული იმპერატორი მაქსიმილიანე ტყვედ ჩაიგდეს და, მისი შეწყალებისათვის ევროპის ბევრი მონარქის თხოვნის მიუხედავად, დახვრიტეს.

მექსიკელმა ხალხმა დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, მაგრამ გლეხებმა მიწა ვერ მიიღეს და არც პეონების მდგომარეობა გაუმჯობესებულა; ძალაუფლება კვლავ ლიბერალურმა მემამულეებმა და ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელთ, ქვეყნის ფინანსური დამოკიდებულება უცხოურ კაპიტალზე კიდევ უფრო გაძლიერდა.

**ბრაზილიის იმპერია.** ბრაზილიის დამოუკიდებლობის ოფიციალურ დღედ ითვლება 7 სექტემბერი, როდესაც 1822 წელს პედრო I საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი პორტუგალიასთან, თუმცა მეტროპოლიამ მისი დამოუკიდებლობა 1825 წელს სცნო. 1824 წელს ბრაზილიაში მიიღეს კონსტიტუცია, რომელიც თავისუფლების გარკვეულ გარანტიებს იძლეოდა, მაგრამ ხალხი უკმაყოფილო იყო იმით, რომ კონსტიტუციაში დეკლარირებული პრინციპები მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, რადგანაც მისი მოქმედება იმპერატორმა გამოქვეყნებისთანავე შეაჩერა. მართალია, 1826 წელს

კონსტიტუცია ძალაში შევიდა, მაგრამ პედრო I არ აპირებდა მის პრაქტიკაში გამოყენებას, არ აპირებდა საპარლამენტო რეჟიმისადმი დამორჩილებას. ეყრდნობოდა რა სენატს, იმპერატორი იგნორირებდა დეპუტატთა პალატას. ყოველივე ამისა და 1828 წელს ბუენოს-აირესთან წარუმატებელი ომის გამო, რომლის შედეგად ბრაზილიამ ტერიტორიები დაკარგა, დონ პედრო I ავტორიტეტი ხალხში თანდათან ეცემოდა. როდესაც მან 1830 წელს განიზრახა პრესის თავისუფლების შეზღუდვა, ხალხი ქუჩებში გამოვიდა და აიძულეს იგი ტახტიდან გადამდგარიყო (1831 წ. 7 აპრილი). რამდენიმე დღის შემდეგ ის ევროპაში წავიდა და 1834 წელს გარდაიცვალა პორტუგალიაში.

დონ პედრომ ტახტი დაუტოვა თავის ექვსი წლის შვილს დონ პედრო II, რომელსაც სრულწლოვანებამდე (1840) რეგენტი დაუნიშნეს.

მის დროს, 1831 წელს, საფრანგეთის რევოლუციის გავლენით, რიო-დე-ჟანეიროში იფეთქა აჯანყებამ, რომლის მონაწილენი რესპუბლიკის დამყარებას მოითხოვდნენ, ჩრდილოეთის პროვინციებში განახლებული ფედერალისტური გამოსვლები ძალის გამოყენებით ჩაახშვეს, სამხრეთში რიუ-გრანდე დო სულში აჯანყდნენ ხელოსნები, მუშები, მწყემსები და 1835 წელს გამოაცხადეს რიუ-გრანდის რესპუბლიკა, რომელსაც 1843 წლამდე ჯუზეპე გარიბალდი იცავდა; ორი წლის შემდეგ, 1845 წელს, ამ რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ბრაზილიის ურიცხვი ბუნებრივი სიმდიდრეების მშვიდობიანი ათვისება და ემიგრანტებსაც მიეცათ უშიშროების გარანტია.

XIX საუკუნის 40-60-იან წლებში ბრაზილიის ეკონომიკა თანდათან ერთვებოდა მსოფლიო ვაჭრობაში. ბრაზილია იძლეოდა მსოფლიოში ყავის წარმოების 40%-ზე მეტს; 1870-1871 წლებში საექსპორტოდ გაიტანეს 38 მლნ. 60 კილოგრამიანი ტომარა ყავა, გაჰქონდათ აგრეთვე ოქრო და ალმასი, რომლებსაც მონები მოიპოვებდნენ.

ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ზღვისპირა პროვინციებში მოჰყავდათ შაქრის ლერწამი, ბამბა, სიმინდი, სამხრეთში — ყავა და მისდევდნენ მესაქონლეობას. ქვეყნის უზარმაზარი შიდა პრო-

ვინციები აუთვისებელი იყო. პროვინციები ერთმანეთთან სუსტად იყვნენ დაკავშირებული.

მსხვილი პლანტატორები თავიანთ თავში აერთიანებდნენ მონათმფლობელის, ფეოდალის და ნაწილობრივ კაპიტალისტის თვისებებს. მათ ჰყავდათ შეიარაღებული ძალები, რომელთა დახმარებითაც იმორჩილებდნენ წვრილ არენდატორებს, რომლებსაც, თავის მხრივ, 6-10 მონა ჰყავდათ. გლეხები და წვრილი ხელოსნები იშვიათად ინარჩუნებდნენ დამოუკიდებლობას და ვარდებოდნენ მსხვილი მემამულეების კაბალაში.

მონათვაჭრობის ფორმალური აკრძალვის მიუხედავად, მონათა შრომის ექსპლუატაცია იზრდებოდა. 40-იან წლებში ყოველწლიურად ქვეყანაში 30 ათასი მონა შემოჰყავდათ. 50-60-იან წლებში გაიზარდა იმიგრანტთა რაოდენობა პორტუგალიიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, რამაც მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მონების ხვედრითი წილის შემცირება გამოიწვია — 60-იან წლებში 8,5 მლნ. თავისუფალ მოსახლეობაზე მოდიოდა 1,8 მლნ. მონა. 1871 წელს მიიღეს კანონი „დაბადებიდანვე თავისუფლების შესახებ", რომლის მიხედვით მონა მშობლების შვილები დაბადებისთანავე თავისუფლები ხდებოდნენ, მაგრამ სრულწლოვანებამდე უნდა ემუშავათ დედის მეპატრონის სასარგებლოდ. საბოლოოდ მონობა ბრაზილიაში გაუქმდა 1888 წელს.

მონობის გაუქმების შემდეგ სახალხო მოძრაობა მაინც არ შენელებულა. ბურჟუაზიის მოწინავე ნაწილი, ინტელიგენცია, ოფიცრობა, სტუდენტობა აგრძელებდნენ ბრძოლას ბრაზილიის რესპუბლიკად გამოცხადებისათვის და მიაღწიეს კიდეც გამარჯვებას. 1889 წლის 15 ნოემბერს ბრაზილია ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

**არგენტინა.** 1816 წლის 9 ივლისს ტუკუმანის[38] ეროვნულმა კონგრესმა გამოაცხადა სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, რომელსაც უწოდეს „ლა-პლატას გაერთიანებული პროვინციები", 1826 წელს მას გადაარქვეს სახელი და უწოდეს არგენტინის ფედერაციული რესპუბლიკა.

---

[38] XVI საუკუნის ბოლოს არგენტინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ესპანეთის კოლონიზაციის სამი ოლქი: ტუკუმანის, ბუენოს-აირესის და კუიოს საგუბერნატოროები.

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქვეყანაში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს მსხვილმა მემამულეებმა. ინდიელები და მეტისები პეონების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

არგენტინის მეურნეობის მთავარი დარგი მესაქონლეობა იყო, რომლის პროდუქტები ტყავი, ქონი, დამარილებული და შებოლილი ხორცი საზღვარგარეთ გაჰქონდათ. სამრეწველო ნაწარმი ძირითადად ინგლისიდან შემოჰქონდათ.

არგენტინის ფედერაციული რესპუბლიკა შედგებოდა 14 პროვინციისაგან, რომელთა შორის დაწინაურებული იყო ბუენოს-აირესი. მისმა ხელმძღვანელებმა შესძლეს უნიტარული კონსტიტუციის მიღება (1826 წლის 19 ივლისი), რომლის თანახმადაც ბუენოს-აირესს უფლება ეძლეოდა სხვა დანარჩენ პროვინციებშიც დაენიშნა გუბერნატორები. ამან გამოიწვია დიდი უკმაყოფილება, რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა. ამავე დროს ბუენოს-აირესს ომი ჰქონდა ბრაზილიასთან, რომელმაც ცოტა ხნით ადრე მას „აღმოსავლეთის ზოლი" წაართვა და ახლა მისი დაბრუნება უნდოდა. ბრაზილია იძულებული გახდა 1828 წელს დაებრუნებინა სადავო ტერიტორიები, რომლებზეც კვლავ შეიქმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო — ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა. ამ ომის დამთავრების შემდეგ განახლდა ბრძოლა უნიტარისტებსა და ფედერალისტებს შორის, რომლის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოექცა ფედერალისტი გენერალი ხუან-მანუელ როსასი, რომელმაც თავის ბანდებით 1828 წელს აიღო ბუენოს-აირესი. იგი გახდა პრეზიდენტი, ფაქტიურად ქვეყნის დიქტატორი. მოკლე დროში შეიმუშავეს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელიც მოკავშირე შტატებს (პროვინციებს) ფართო ავტონომიას პირდებოდა საშინაო საქმეების გადასაწყვეტად, მაგრამ საგარეო პოლიტიკა და სამხედრო საქმე ბუენოს-აირესის გამგებლობაში რჩებოდა. ფაქტიურად მის დროს არავითარი ფედერალური მმართველობა არ ყოფილა. იგი დაუნდობელი სისასტიკით ხოცავდა ინდიელებს და მათ ბელადებს. მხოლოდ 1839-1843 წლებში მოკლეს და აწამეს 20 ათასზე მეტი ადამიანი. ბოლოს მან მიაღწია იმას, რომ გამოაცხადა დიქტატურა (1835) და ქვეყანას მართავდა 1852 წლამდე. როსასმა სკოლები ჯერ დაუმორჩილა იეზუიტებს,

შემდეგ კი პოლიციას, რის გამოც სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობა შემცირდა.

საგარეო პოლიტიკაში როსასის მთავარი მიზანი იყო ურუგვაის შეერთება არგენტინასთან, რის გამოც მას საფრანგეთის ესკადრასთან შეტაკებაც კი მოუხდა (1840). ფრანგები იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ ბუენოს-აირესის მისადგომები, მაგრამ ურუგვაიმ მაინც შეინარჩუნა დამოუკიდებლობა.

1852 წელს არგენტინაში სამხედრო გადატრიალების შედეგად როსასის ხელისუფლება დაამხეს და პრეზიდენტი იძულებული გახდა ქვეყნიდან გაქცეულიყო. 1853 წელს მიიღეს ლიბერალური კონსტიტუცია, რომელიც აღიარებდა ქვეყნის ერთიანობას, არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა მამაკაცებს და ქმნიდა კონგრესს დეპუტატთა პალატისა და სენატისაგან. შემოიღეს ერთიანი მონეტა, ზომისა და წონის ერთიანი სისტემა, აგრეთვე შიდა წყლებში ერთიანი ნაოსნობის უფლება. მონობა საბოლოოდ გააუქმეს.

XIX საუკუნის 50-60-იან წლებში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა მეცხვარეობა. მიწათმოქმედების განვითარებისათვის იწვევდნენ იმიგრანტებს. ქვეყნის სამრეწველო ჩამორჩენილობის პირობებში ვაჭრობა, მესაქონლეობა და მიწათმოქმედება აღმავლობას განიცდიდა.

ჩილე. ესპანეთის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების მსგავსად, ჩილე წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ სახელმწიფოს, სადაც მხოლოდ მომპოვებლობით მრეწველობას ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა. გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ მემამულე-ლატიფუნდისტებს, მოსახლეობის ძირითადი მასა კი შედგებოდა პირადად თავისუფალი, მაგრამ მემამულეზე ეკონომიკურად დამოკიდებულ და მათ სასარგებლოდ მომუშავე გლეხებისაგან. ინდიელები მთებში გარეკეს.

ჩილეს მთავრობა ფინანსურად დამოკიდებული იყო ინგლისელ და სხვა ქვეყნის ბანკირებზე, რომლებიც მას კაბალურ პირობებზე აძლევდნენ სესხს. ათეულობით ინგლისური ფირმა ადგილობრივი შუამავალი ვაჭრების საშუალებით ვაჭრობდა ქვეყანაში.

ჩილეში რესპუბლიკური წყობა დამყარდა. თავადაზნაურული ტიტულები გააუქმეს, მაგრამ რეაქციონერმა მემამულეებმა არ ჩაა-

ტარეს ლიბერალური რეფორმები და მისი მომხრე, განმათავისუ-ფლებელი მოძრაობის გმირი ო'ჰიგინსიც აიძულეს პერუში წა-სულიყო. 1873 წლის რეაქციული კონსტიტუცია კრძალავდა ყველა რელიგიას, გარდა კათოლიკურისა, აკანონებდა მაიორატს და აძლევდა პრეზიდენტს განუსაზღვრელ უფლებებს. მიწის 70%-ზე მეტი ეკუთვნ-ოდათ მემამულეებსა და ეკლესიას.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იზრდება ვერცხლის, სპილენ-ძისა და გვარჯილის მოპოვება და საზღვარგარეთ გატანა. შემდეგ წლებში მთავრობა თვითონ იწვევდა საზღვარგარეთიდან კოლო-ნისტებს თავისუფალი და ყამირი მიწების დასამუშავებლად. დაიწ-ყეს ხორბლის, გამომშრალი ხორცის, მატყლის, ფრინველის სასუ-ქის ექსპორტი. სამრეწველო ნაწარმი ძირითადად ინგლისიდან შემო-ჰქონდათ. პირველი რკინიგზა სანტიაგოდან ვალპარაისომდე 1851-1863 წლებში გაიყვანეს. კაპიტალიზმის თანდათანობით განვითარე-ბამ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები გამოიწვია.

ბურჟუაზიის ზრდას და მუშათა კლასის ჩასახვას 50-60-იან წლებში მოჰყვა ლიბერალური და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობის აღმავლობა. შეიქმნა ახალი პოლიტიკური საზოგადოე-ბები და კლუბები. 1850 წელს დაარსდა „თანასწორთა საზოგადოე-ბა", რომელიც დემოკრატიული წყობის დამყარებისა და განათლებ-ის გავრცელებისათვის იბრძოდა. ამ საზოგადოების წევრებმა დაარსების წელსვე მოაწყვეს აჯანყება, მაგრამ იგი ჩაახშეს. ხალხის უკმაყ-ოფილების ზრდამ მთავრობა აიძულა 50-იან წლებში გაეუქმებინა მაიორატი, საეკლესიო მეათედი, არაკათოლიკებისათვის მიეცა სამო-ქალაქო ქორწინების უფლება და განათლების სისტემა დაექვემდე-ბარებინა საერო ხელისუფლებისათვის.

1879 წლისათვის ჩილეს მოსახლეობა 1,8 მლნ. კაცს შეადგენდა. მუშა მხოლოდ რამდენიმე ათასი იყო. ესენი იყვნენ ნავსადგურისა და მაღაროების მუშები, მტვირთავები, რკინიგზელები. ცუდი სამუშაო პირობების გამო, მუშათა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 25 წელს არ აღემატებოდა. 1870 წელს გერმანელი მუშა ემიგრანტები შეეცადნენ აქ შეექმნათ პირველი ინტერნაციონალის სექცია, მაგრამ მუშათა მოძრაობა ქვეყანაში ჯერ კიდევ სუსტი იყო.

# თავი XIII. ამერიკის შეერთებული შტატები 1815-1860 წლებში

**აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი ნიშნები XIX ს. პირველ ნახევარში.** XIX ს. პირველ ნახევარში აშშ-ში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში განსაკუთრებულ წარმატებას აღწევს საფაბრიკო მრეწველობა და კაპიტალისტური ფერმერული მეურნეობა. აქვე იყო კონცენტრირებული მუშათა კლასის დიდი რაოდენობა. შეერთებული შტატების დასავლეთში იზრდებოდა წვრილი ფერმერების, დამოუკიდებელი ხელოსნებისა და დაქირავებულ მუშათა რიცხვი.

ქვეყნის ჩრდილოეთსა და დასავლეთში კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრება ეკონომიკის განვითარების საერთო ტენდენცია იყო; სამხრეთში კი პლანტაციურ-მონათმფლობელურ მეურნეობას ეყრებოდა საფუძველი. ჩრდილოეთსა და სამხრეთში ეკონომიკის განვითარების სხვადასხვა გზებმა უდიდესი გავლენა იქონია აშშ-ის ისტორიული განვითარების მსვლელობაზე.

აშშ-ში ჩქარი ტემპით ვითარდებოდა კაპიტალიზმი „სივრცეში". XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის პირველი ნახევარი აშშ-ის სწრაფი ტერიტორიული ექსპანსიის პერიოდია. თუ 1790 წელს აშშ-ის ტერიტორია შეადგენდა 888,8 ათას. კვ. მილს, ლუიზიანას შემოერთების შემდეგ მისი ფართობი თითქმის ორჯერ გაიზარდა. 1818 წლიდან 1853 წლამდე ინდიელებთან და მექსიკასთან დაპყრობითი ომებისა და ახალი მიწების კოლონიზაციის შედეგად, აშშ-ის ტერიტორია მოიცავდა 3027,8 ათას კვ. მილს. ინდიელების ჩამორჩენილობა და დაქუცმაცებულობა, ესპანეთის კოლონიებისა და მექსიკის სისუსტე უადვილებდა აშშ-ს ტერიტორიულ ექსპანსიას. ევროპის სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობები და ომები აშშ-სათვის დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ტერიტორიული ექსპანსიის განხორციელების დროს, რადგანაც ამ სახელმწიფოებს არ ეძლეოდათ ამერიკის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენებში აქტიურად ჩაბმის საშუალება.

XIX საუკუნეში აშშ არ მონაწილეობდა ევროპის კონტინენტზე მიმდინარე ომებში, რაც მას კარგ პირობებს უქმნიდა იმისათვის, რომ ნაკლები ხარჯები გაეწია არმიაზე, გამდიდრებულიყო მეომარ სახელმწიფოებთან ვაჭრობით და, ამგვარად, უფრო მეტად შეეწყო ხელი ქვეყნის შიგნით კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისათვის.

ახალ მიწებზე კაპიტალიზმის სივრცეში განვითარება, აშშ-ის დასავლეთში მიწების დაპყრობა და დასახლება კარგ პირობებს ქმნიდა ევროპიდან მოსახლეობის მოსაზიდად. ემიგრანტთა შორის იყვნენ ასეულ ათასობით კვალიფიციური ხელოსნები და მუშები. ემიგრაცია კიდევ უფრო აჩქარებდა მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდას. 1800-დან 1820 წლამდე აშშ-ის მოსახლეობა გაიზარდა 5,3-დან 9,6 მილიონამდე, 1850 წლისათვის კი მიაღწია 23,2 მლნ. კაცს, მათ შორის 3 მლნ-ზე მეტი ზანგი იყო. 1800-დან 1860 წლამდე ყოველ ათ წელიწადში მოსახლეობის რაოდენობა 32-36% იზრდებოდა. მაგრამ მუშახელზე მოთხოვნა, ევროპასთან შედარებით, მაინც დიდი იყო. ეს ხელს უწყობდა ქვეყნის ჩრდილოეთში მანქანური მრეწველობის ადრეულ განვითარებას, სამხრეთში კი – მონური შრომის ფართო გამოყენებას.

აშშ-ში კაპიტალიზმი საერთო კანონზომიერების საფუძველზე ვითარდებოდა: იზრდებოდა მსხვილი მანქანური კაპიტალისტური მრეწველობა და შესაბამისად, მატულობდა პროლეტარიატის რაოდენობა, მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლები და საქონლის ჭარბწარმოების გამო ადგილი ჰქონდა კრიზისებს. კაპიტალიზმის განვითარების ეს საერთო ნიშნები, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ერწყმოდნენ ისტორიული განვითარების ეროვნულ თავისებურებებს. აშშ-სათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად მონობის არსებობა, აგრეთვე აბორიგენი მოსახლეობის – ინდიელების შევიწროება და საკუთარი მიწებიდან აყრა.

ფლორიდის შემოერთება. ჯორჯიის შტატში მცხოვრებმა ინდიელებმა, რომლებიც 1817 წ. გენერალმა ჯექსონმა „დააშოშმინა“, ფლორიდაში მცხოვრები სემინოლების დახმარებით კვლავ დაიწყეს აშშ-ის სასაზღვრო რაიონის მოსახლეობის ძარცვა. ჯექსონს კვლავ დაავალეს ინდიელების დასჯა, იგი შეიჭრა ფლორიდაში იმ

საბაბით, რომ ესპანელები ეხმარებოდნენ ინდიელებს. ამის თაობაზე ესპანეთის წარმომადგენელმა ვაშინგტონში პროტესტი განაცხადა. იმის მიუხედავად, რომ აშშ-ის მთავრობამ მოიწონა ჯექსონის მოქმედება, მას მაინც უბრძანეს დაეტოვებინა დაკავებული ტერიტორია. შემდეგ დაიწყეს მოლაპარაკება ესპანეთის ხელისუფლებასთან ფლორიდის შემოერთებისათვის. აშშ-ის მხრივ ფლორიდით დაინტერესებას, სხვა ფაქტორებთნ ერთად, განაპირობებდა ისიც, რომ ფლორიდა იყო თავშესაფარი გაქცეული მონების, დამნაშავეების, კონტრაბანდისტების, პირატებისა და დაუმორჩილებელი ინდიელებისათვის. **1818 წლის 22 თებერვალს დადებული ხელშეკრულებით ესპანეთმა დაუთმო აშშ-ს ფლორიდის ორივე ნაწილი.** სამაგიეროდ ვაშინგტონმა დააკმაყოფილა ჩრდილო ამერიკის მოქალაქეთა პრეტენზიები ესპანეთის მიმართ (მათთვის მიყენებული ზარალის გამო) და მისცა მათ 5 მლნ. დოლარი.

**ჩრდილოეთი და სამხრეთი.** ახალი ტერიტორიების შემოერთებასთან ერთად იქმნებოდა ახალი შტატები. ისინი თანდათანობით უერთდებოდნენ იმ 13 შტატის კავშირს, რომლებმაც რევოლუციის გზით მოიპოვეს დამოუკიდებლობა. 1821 წლისათვის ფედერაციაში შედიოდა 24 შტატი, მოსახლეობის რაოდენობა კი შეადგენდა 9634000 კაცს, აქედან 1770000 იყო ზანგი. (233000 თავისუფალი და 1537000 მონა), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქვეყნის სამხრეთში ცხოვრობდა.

თუ აქამდე ჩრდილოეთის შტატები ინდეფერენტულად უდგებოდნენ მონობის საკითხს, ახლა ისინი უკვე გარკვეულ შეშფოთებას გამოხატავდნენ და ცდილობდნენ აფრიკიდან მონების შემოყვანის აკრძალვას.[39] 1820 წელს მონების შემოყვანა პირატობას გაუთანაბრეს, მაგრამ ამ ღონისძიებამ ვერავითარი პრაქტიკული შედეგი ვერ გამოიღო. კონტრაბანდული მონათვაჭრობა მაინც გრძელდებოდა.

ჩრდილოეთის ეკონომიკურ დაწინაურებასთან ერთად მონათმფლობელურ სამხრეთთან მისი დაპირისპირება კიდევ უფრო გამ-

---

[39] 1787 წლის კონსტიტუციით სამხრეთის პლანტატორებს 20 წლის განმავლობაში უფლება ეძლეოდათ შემოეყვანათ მონები აფრიკიდან.

წვავდა. უკვე XVIII ს. ბოლოდან შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთში, მსუბუქ მრეწველობაში, გამოიყენება მექანიკური დაზგები. XIX ს. შუა წლებისათვის აშშ ინგლისის შემდეგ მეორე ადგილზე იყო მექანიკური თითისტარის რაოდენობით.

1837 წლიდან მეტალურგიაში ფართოდ იყენებენ ქვანახშირს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა რკინის წარმოება. 40-იანი წლებიდან ინერგება სალეწი, სანიავებელი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება. მაგრამ მანქანების უმეტესობა მაინც ინგლისიდან შემოჰქონდათ. ტექნიკური განვითარების დონით აშშ დიდად ჩამორჩებოდა ინგლისს. აშშ-ის მრეწველობაში ორთქლის ძრავას იყენებდნენ მხოლოდ 50-იანი წლებიდან.

XIX ს. პირველ ნახევარში განსაკუთრებული მიღწევები შეინიშნება ტრანსპორტის დარგში. 1807 წელს გამოსცადეს ფულტონის ორთქმავალი გემი, 20-იანი წლებიდან კი ფართოდ გამოიყენება სამდინარო ტრანსპორტი. 1838 წლიდან იწყება რეგულარული მიმოსვლა ორთქლის გემებით ატლანტის ოკეანეში, თუმცა XIX ს. შუა წლებში აშშ-ის სავაჭრო ფლოტი ძირითადად იალქნიანი გემებისაგან შედგებოდა.

1825 წელს გაიხსნა ერის არხი, რომელმაც დააკავშირა დიდი ტბები მდ. ჰუდსონის გავლით ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან. 20-იანი წლების ბოლოდან იწყებენ რკინიგზების მშენებლობას, რომლის საერთო სიგრძემ 1850 წლისათვის 9 ათას მილამდე მიაღწია. რკინიგზებმა და არხებმა დააკავშირა რჩდილო-დასავლეთი რაიონები აღმოსავლეთ შტატებთან, რამაც ხელი შეუწყო დასავლეთის ტერიტორიების ათვისებას. ნიუ-იორკი და ჩრდილო-აღმოსავლეთის სხვა ქალაქები მსხვილი გემთსაშენი, სარკინიგზო და საბანკო კომპანიების ცენტრები გახდნენ.

მრეწველობის განვითარებასთან ერთად ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთში სწრაფი ტემპით იზრდებოდა ფერმერული მეურნეობა. ფერმერების უმრავლესობა დაქირავებულ შრომას არ იყენებდა, მაგრამ ზოგ ადგილებში იყო მსხვილი კაპიტალისტური ფერმერული მეურნეობები, სადაც დაქირავებული მუშებიც ჰყავდათ.

ჩრდილო-დასავლეთისაგან განსხვავებით, აშშ-ის სამხრეთში წარ-

მატებით ვითარდებოდა მონათა შრომაზე დაფუძნებული პლანტაციური მეურნეობა. 1793 წ. ე. უიტნიმ გამოიგონა ბამბის საწმენდი დაზგა, რომელმაც მნიშვნელოვნად გააიაფა ბამბის წარმოება. ამ გამოგონების შემდეგ, XIX ს. დასაწყისიდან, თამბაქოსთან ერთად ბამბა გახდა მონათმფლობელური სამხრეთის ძირითადი კულტურა. გაიზარდა შაქრის ლერწმის წარმოებაც. ბამბის დიდი ნაწილის მომხმარებელი იყო ინგლისი და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნები, გარკვეული რაოდენობა კი იგზავნებოდა აშშ-ის ჩრდილოეთში. აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს შეწყდა ამერიკიდან დასავლეთ ევროპაში ბამბის ექსპორტი, რამაც ხელი შეუწყო საქართველოში მებამბეობის განვითარებას.

XVIII ს. ბოლოს აშშ-ის ჩრდილოეთსა და სამხრეთში მოსახლეობა თითქმის თანაბრად იყო განაწილებული: 1967000 მცხოვრები იყო ჩრდილოეთში და 1960000 – სამხრეთში. 1820 წლისათვის კი ჩრდილოეთში მოსახლეობის რაოდენობა შეადგენდა 5147000 სულს, სამხრეთში – 4435000, მათ შორის 1,5 მლნ. მონა იყო, ე.ი. ჩრდილოეთის მოსახლეობა 712000 სულით სჭარბობდა სამხრეთისას. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარმომადგენელთა პალატაში არჩევნების დროს 5 ზანგის ხმა უტოლდებოდა 3 თეთრკანიანისას, მაშინ ჩრდილოეთის უპირატესობა გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ამას უბრალო სტატისტიკური შედარება გვიჩვენებს. რადგანაც წარმომადგენლობით პალატაში ძალთა თანაფარდობის შენარჩუნება შეუძლებელი იყო,[40] სამხრეთში შეეცადნენ სენატში მაინც არ დაეშვათ ჩრდილოეთელთა უპირატესობა, ე.ი. თავისუფალი და მონათმფლობელური შტატების რაოდენობა თანაბარი უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ დიდი კამათი გამოიწვია კავშირში ახალი შტატის – მისურის მიღებამ.

**მისურის კომპრომისი 1820 წ.** 1791-1818 წლებში კონგრესმა 9 ახალი შტატი მიიღო ფედერაციაში, მათ შორის 4 თავისუფალი და 4 მონათმფლობელური. 1819 წელს კავშირში გააერთიანეს მონათ-

---

[40] აშშ-ის კონსტიტუციის მიხედვით, კონგრესის წარმომადგენლობით პალატაში თითოეული შტატისაგან დეპუტატების რაოდენობა განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობით, სენატში კი თითოეული შტატი ირჩევს ორ დეპუტატს.

მფლობელური შტატი ალაბამა; ამის შემდეგ დადგა თავისუფალი შტატის მიღების ჯერი.

როდესაც მისურიმ განაცხადა სურვილი ფედერაციაში შესვლის შესახებ, მაშინ ერთმა ნიუ-იორკელმა დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ შტატში მონათმფლობელობა უნდა აკრძალულიყო; სამხრეთის წარმომადგენლებმა ამ წინადადებაზე პროტესტი განაცხადეს, რადგანაც მისისიპის მარჯვენა ნაპირზე მონათმფლობელები უკვე დასახლებულნი იყვნენ. ფედერაციაში თავისუფალი შტატის – მენის მიღების შემდეგ (1820), მონათმფლობელთა პროტესტი კიდევ უფრო გაძლიერდა. ხანგრძლივი და მწვავე კამათი დასრულდა კომპრომისით: მისური აღიარეს მონათმფლობელურ შტატად, მაგრამ მისისიპის დასავლეთით მთელ ტერიტორიაზე და 36°30′ განედის ჩრდილოეთით აიკრძალა მონობა. ამიერიდან კავშირში ერთდროულად უნდა გაერთიანებულიყო ორი შტატი: თავისუფალი ამ განედის ჩრდილოეთით და მონათმფლობელური – ამ განედის სამხრეთით.

**მონროს დოქტრინა.** მას შემდეგ, რაც ესპანეთის კოლონიებმა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში თავისუფლება მოიპოვეს, რამდენიმე ხნის განმავლობაში აშშ ოფიციალურად არ სცნობდა მათ დამოუკიდებლობას. მხოლოდ 1822 წელს მან აღიარა ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად და ამ ქვეყნებში დანიშნა თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლები. მომდევნო წელს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ საღვთო კავშირის მონაწილე ქვეყნები – ავსტრია, პრუსია, საფრანგეთი და რუსეთი აპირებდნენ აჯანყებული კოლონიების დასაწყნარებლად ესპანეთისადმი დახმარებას, პრეზიდენტმა მონრომ კონგრესისადმი თავის ყოველწლიურ წარდგინებაში (1823 წ. 2 დეკემბერი) გააკეთა შემდეგი განცხადება: რუსეთთან მოლაპარაკებების დროს ჩემი მთავრობა ხელმძღვანელობდა პრინციპით, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს შეერთებული შტატების უფლებებთან და ინტერესებთან და რომელიც აღიარებს, რომ ამერიკის კონტინენტი არ შეიძლება გახდეს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს კოლონიურ დაპყრობათა ობიექტი. მათ ყოველნაირ მცდელობას, გაავრცელონ ამ ნახევარსფეროზე თავიანთი პოლიტიკური სისტემა,

ჩვენ განვიხილავთ, როგორც საშიშროებას ჩვენი მშვიდობისა და უშიშროებისათვის. ჩვენ არ ვერეოდით და არც შემდეგში ჩავერევით ევროპის სახელმწიფოების არსებული კოლონიებისა და დამოუკიდებელი სამფლობელოების საქმეებში. მაგრამ თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფო შეეცდება დაიმორჩილოს ან გავლენა იქონიოს იმ სახელმწიფოთა ბედზე, რომლებმაც მოიპოვეს და შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, მაშინ მათ ასეთ მცდელობას განვიხილავთ, როგორც შეერთებული შტატებისადმი მტრულ განზრახვას. **ეს განცხადება მოგვიანებით ცნობილი გახდა მონროს დოქტრინის სახელწოდებით.**

პრეზიდენტის აღნიშნულ დეკლარაციას საზოგადოებრივი აზრი მოწონებით შეხვდა, მაგრამ იმთავითვე მისი დიდი მნიშვნელობა სათანადოდ ვერ შეაფასეს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ კონგრესს არავითარი ღონისძიება არ ჩაუტარებია და არც ერთი კანონი არ მიუღია მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის.

**დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება 1828 წ. ენდრიუ ჯექსონის „მეფობა“.** 1824 წლის არჩევნებით მთავრდება ვირჯინიელ პრეზიდენტთა დინასტია (ვაშინგტონის შემდეგ ჯეფერსონი, მედისონი, მონრო). 1824 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ჯ. ადამსმა (1825-1829), რომლის მმართველობის დროს შემოტანილ სამრეწველო საქონელზე გაიზარდა საბაჟო გადასახადები, დიდი დახმარება ეწეოდა მსხვილ ფინანსისტებს, მრეწველებსა და მიწით სპეკულიანტებს.

XIX ს. 20-იან წლებში აშშ-ის საშინაო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. იზრდება ფერმერების, ხელოსნების და მუშათა რაოდენობა, რომლებიც იბრძვიან თავიანთი პოლიტიკური უფლებების მოპოვებისათვის. სწორედ მათი აქტიური მოთხოვნების შედეგად ბევრ შტატში გაუქმდა საარჩევნო ცენზი და თეთრკანიანი მამაკაცებისათვის შემოიღეს საყოველთაო საარჩევნო უფლება. გაიზარდა ამომრჩეველთა რიცხვი. ფერმერები, ხელოსნები და მუშები, სამხრეთის პლანტატორებთან ერთად, უკმაყოფილონი იყვნენ ჩრდილოეთის ბურჟუაზიის ინტერესების სასარგებლოდ უცხოურ (განსაკუთრებით ინგლისურ) სამრეწველო საქონელზე ბაჟების გადიდებით, აგრეთვე 1816 წელს დაარსებული ფილადელფიის ბანკის საქმიანობით. ეს

ბანკი თავის საფინანსო პოლიტიკას წარმართავდა მიწის მსხვილი სპეკულიანტებისა და მრეწველთა ინტერესების შესაბამისად.

1828 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში პლანტატორების, ფერმერების, ხელოსნებისა და მუშათა დიდი ნაწილის აქტიური მხარდაჭერით, გაიმარჯვა გენერალმა ე. ჯექსონმა, რომელიც ცნობილი იყო ინდიელთა წინააღმდეგ ომებში მონაწილეობით. პლანტატორები მასში ხედავდნენ ჩრდილოეთის დაქირავებული შრომის სისტემისა და სამხრეთის მონათმფლობელობას შორის არსებული წინააღმდეგობების კომპრომისული გადაწყვეტის მომხრეს. ჯექსონის მომხრეები თავიანთ თავს უწოდებდნენ დემოკრატიულ პარტიას, რომლის დაარსების თარიღად ითვლება 1828 წელი.

ჯექსონის პრეზიდენტობის დროს, 1829 წელს, უცხოურ სამრეწველო საქონელზე რამდენადმე შემცირდა საბაჟო გადასახადი, მაგრამ სამხრეთის პლანტატორები, განსაკუთრებით სამხრეთ კაროლინის მონათმფლობელები, არ იყვნენ კმაყოფილნი ამ დათმობით. მაშინ ჯექსონმა, მიიღო რა თანხმობა კონგრესისაგან, ძალის გამოყენებით აიძულა სამხრეთ კაროლინა დათანხმებულიყო ახალ საბაჟო ტარიფებს. ფერმერებისა და პლანტატორების ინტერესების შესაბამისად, ჯექსონმა გააუქმა აშშ-ის ბანკის პრივილეგიები და 1834 წლიდან იგი გახდა პენსილვანიის შტატის ჩვეულებრივი ბანკი. მისი პრეზიდენტობის დროიდან აშშ-ის პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრდა წესი, რომლის მიხედვით არჩევნებში გამარჯვებული პარტიის წევრები ინიშნებოდნენ სახელმწიფოს მნიშვნელოვან და შემოსავლიან თანამდებობებზე. 1832 წლიდან საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ ახალ ტრადიციას – პრეზიდენტობის კანდიდატებს ირჩევენ პოლიტიკური პარტიების ეროვნულ ყრილობებზე (კონვენტებზე).

საგარეო პოლიტიკაში ჯექსონმა მთელ რიგ წარმატებებს მიაღწია. მან შესძლო მიეღო გარკვეული კომპენსაციები საფრანგეთის, ესპანეთის, ნეაპოლისა და პორტუგალიის მთავრობებისაგან იმ ზარალის საზღაურად, რომელიც მათ მიაყენეს აშშ-ის ვაჭრობას; ამას გარდა, რამდენიმე სახელმწიფოსთან მან დადო მეტად ხელსაყრელი სავაჭრო შეთანხმებები.

ამერიკელები ჯექსონის პრეზიდენტობას სხვადასხვანაირად აფასებენ. მისი თაყვანისმცემლები ადიდებენ პრეზიდენტის წარმატებებს საგარეო პოლიტიკის სფეროში, ევროპის რამდენიმე სახელმწიფოსთან სადავო საკითხების მოწესრიგებას, სახელმწიფო ვალების დაფარვას, საფინანსო პოლიტიკას, სახელმწიფო ბანკის მონოპოლიის გაუქმებას.

სახელმწიფო ვალების (1812 წლის ომის შემდეგ 127 მლნ. ვალი ჰქონდა აშშ-ს) დაფარვას პრეზიდენტის მოწინააღმდეგენი მიიჩნევენ მისი წინამორბედების მონროსა და ადამსის დამსახურებად. სახელმწიფო მნიშვნელობის ზოგიერთი პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით გადაჭრის გამო, ისინი ჯექსონის პრეზიდენტობის პერიოდს (1829-1837) ენდრიუ ჯექსონის „მეფობის" ხანას უწოდებენ.

40-იანი წლებიდან პრეზიდენტებად ირჩევდნენ ახალი პოლიტიკური დაჯგუფების – ვიგების წარმომადგენლებს, რომლებსაც მხარს უჭერდნენ პლანტატორების, ფერმერებისა და ჩრდილოეთის კაპიტალისტების ნაწილი.

**ემიგრაცია ევროპიდან.** XIX საუკუნეში, საწარმოო ძალებისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა ევროპის მოსახლეობის რაოდენობა; XVIII ს. შუა წლებში მისი რიცხვი 130 მლნ. თუ აღწევდა, XIX ს. დასაწყისში კი – 175 მლნ., XIX ს. ბოლოსათვის მან დაახლოებით 400 მლნ. მიაღწია. მოსახლეობის ზრდით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: გერმანიაში ინდუსტრიული რაიონები მდ. რაინის გაყოლებით და სილეზია, ბელგია და ჩრდ. საფრანგეთი, ლომბარდია და ჩრდილო-დასავლეთი ინგლისი.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მასის დაკმაყოფილება სამუშაოთი და საკვები პროდუქტებით დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ამიტომ, შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით, მთავრობები და მრეწველები ცდილობდნენ ევროპის მიღმა ქვეყნებში ნედლეულის ახალი წყაროებისა და საქონლის გასაღების ბაზრების ხელში ჩაგდებას. ევროპიდან ემიგრაცია განსაკუთრებით იზრდებოდა მოუსავლიან წლებში. მაგ., 1847 წ. შიმშილობის დროს მოსახლეობა ყველაზე დიდი რაოდენობით გადასახლდა სხვა ქვეყნებში ირლანდიიდან, ევროპიდან, გან-

საკუთრებით კი ინგლისიდან, ემიგრანტთა ახალი ტალღა დაიძრა XIX ს. შუა წლებიდან, როდესაც კალიფორნიაში და ავსტრალიაში აღმოჩნდა ოქროს საბადოები, ემიგრაციის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, აგრეთვე, ეკონომიკური კრიზისები. .

ევროპული კოლონიზაცია არათანაბრად ნაწილდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. XIX ს. 30-იანი წლებიდან ემიგრანტთა დიდი რაოდენობა აშშ-ში სახლდებოდა. 1830 წ. მათი რიცხვი თუ 23000 იყო, 1840 წ. იგი 84000-მდე გაიზარდა. ეს მაჩვენებლები შემდგომ წლებში კიდევ უფრო მატულობს: 1842 წ. აშშ - ში დასახლდა 100000 ემიგრანტი, 1847 წ. – 235000, 1850 წ. – 428000, 1847 წლიდან 1855 წლამდე აშშ-ში ჩავიდა სულ 2,5 მლნ. ემიგრანტი. მათი უმრავლესობა მუდმივ საცხოვრებლად მიდიოდა ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ცენტრალურ და დასავლეთ შტატებში, სამხრეთ შტატებში კი, ფლორიდას, ლუიზიანას და ტეხასის გამოკლებით, XIX ს. ბოლომდე უცხოელები თითქმის არ იყვნენ.

**ტეხასის შემოერთება და ომი მექსიკასთან.** მექსიკის ტერიტორიის ტეხასის შემოერთებით განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ სამხრეთის პლანტატორები. მათ უნდოდათ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში გაევრცელებინათ პლანტაციური მეურნეობა, გაეზარდათ მონათმფლობელური შტატების რაოდენობა და, ამგვარად, შეენარჩუნებინათ თავიანთი უპირატესობა სენატში. უკვე 1821 წლიდან, მონათმფლობელები თვითნებურად იკავებდნენ ტეხასის ტერიტორიას, მოჰყავდათ აქ მონა-ზანგები და აარსებდნენ პლანტაციებს. მართალია, 1827 წ. ტეხასში მონობა აიკრძალა, მაგრამ პლანტატორები მაინც აგრძელებდნენ საქმიანობას, რადგანაც მექსიკის მთავრობა ამ ტერიტორიებს ვერ აკონტროლებდა.

როდესაც პლანტაციების რაოდენობა გაიზარდა, აშშ-მ შესთავაზა მექსიკას, 5 მლნ. დოლარად მიეყიდა მისთვის ტეხასი. მექსიკის მთავრობამ უარყო ეს წინადადება და გადაწყვიტა ძალით გაერეკა ტეხასიდან პლანტატორები. მაგრამ მონათმფლობელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, 1836 წელს დაამარცხეს კიდეც მექსიკის ჯარები, ტყვედ ჩაიგდეს მათი სარდალი სანტა-ანა, გამო-

აცხადეს ტეხასი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და მოითხოვეს მისი შეერთება აშშ-სთან. 1844 წ. საპრეზიდენტო არჩევნების დროს ამ საკითხმა მოწინააღმდეგე პარტიებს შორის მწვავე დებატები გამოიწვია. ვიგები და მათი კანდიდატი კლეი შემოერთების წინააღმდეგნი იყვნენ. დემოკრატები, განსაკუთრებით სამხრეთიდან, საწინააღმდეგო პოზიციებზე იდგნენ. გაიმარჯვეს დემოკრატებმა და პრეზიდენტად აირჩიეს თავიანთი კანდიდატი პოლკი (1845-1849). **პრეზიდენტის პოსტის დატოვებამდე, ტეილორმა ხელი მოაწერა კონგრესის რეზოლუციას (1845 წ. 1 მარტი) ტეხასის აშშ-თან შეერთებისა და მისთვის შტატის უფლებების მინიჭების შესახებ. მისი პრეზიდენტობის დროს კიდევ ორი ახალი შტატი — ფლორიდა და აიოვა მიიღეს კავშირში (1845 წ. 3 მარტი).**

მექსიკის მთავრობამ აშშ-თან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. სამხრეთის შტატების ინტერესების ერთგულმა დამცველმა პრეზიდენტმა პოლკმა, ემზადებოდა რა დაპყრობითი ომისათვის, მექსიკაში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი, რომელსაც დაავალა, რომ ადგილობრივი მთავრობა დაეთანხმებინა აშშ-სათვის ტეხასის მთლიანად დათმობაზე და ახალი მექსიკისა და კალიფორნიის უზარმაზარი ტერიტორიების „მიყიდვაზე". დაიწყო მოლაპარაკებები. მექსიკის მთავრობამ არ დააკმაყოფილა აშშ პრეტენზიები ტეხასის იმ ნაწილზე, რომელიც მდებარეობდა მდ., ნუესეს და რიუ-გრანდე დელ ნორტეს შორის. მაშინ, ფედერალური მთავრობის განკარგულებით გენ. ტეილორმა დაიკავა ეს ტერიტორია. 1846 წლის აპრილში მას თავს დაესხა მექსიკელების მცირე რაზმი, რომელიც ადვილად მოიგერიეს. ამერიკელებმა ეს ფაქტი გამოიყენეს საბაბად და ომი გამოუცხადეს მექსიკას.

1847 წელს ამერიკელებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს და ამავე წლის 14 სექტემბერს დაიკავეს მექსიკის დედაქალაქი მეხიკო. 1848 წ. 2 თებერვლის ხელშეკრულებით მექსიკის მთავრობა იძულებული იყო აშშ-სათვის დაეთმო ტეხასი, ახალი მექსიკა და ჩრდილოეთი კალიფორნია სან-ფრანცისკოს ნავსაყუდელით (15 მლნ. დოლარად). 1853-1854 წწ. აშშ აიძულა მექსიკა 19 მლნ. დოლარად მიეყიდა მისთვის მდ. ჯილის გასწვრივ მდებარე ვრცელი ტერ-

იტორია. 1854 წ. მათ მოინდომეს მექსიკისაგან კ. კუბის „ყიდვა", მაგრამ ეს ცდა წარუმატებლად დამთავრდა.

1848 წ. კალიფორნიაში აღმოჩნდა ოქროს საბადოები. გამდიდრების სურვილით შეპყრობილი ათასობით ოქროსმაძიებელი მოდიოდა აქ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რამაც ხელი შეუშალა კალიფორნიაში მონური შრომის გავრცელებას. დასავლეთის ფერმერები და სკვატერები,[41] რომლებიც დასავლეთის მიწებს იკავებდნენ, მონობის წინააღმდეგნი იყვნენ. შორეული დასავლეთის ბუნებრივი პირობებიც არ იყო ხელსაყრელი პლანტაციური მეურნეობისათვის.

1846 წ. ინგლისმა სცნო აშშ-თან ორეგონის შეერთება. ვერც ორეგონის შტატში მოიკიდა მონობამ ფეხი.

XIX ს. შუა წლებში ტერიტორიული დაპყრობების შედეგად აშშ მნიშვნელოვნად გააფართოვა თავისი საზღვრები. იგი უკვე ფლობდა წყნარი ოკეანის სანაპიროს კანადიდან სამხრეთ კალიფორნიამდე.

**მონობის შესახებ საკითხის განახლება. აბოლიციონისტური მოძრაობა.** 1846 წლის აგვისტოში, მექსიკასთან ომის დროს, პენსილვანიელმა დეპუტატმა ვილმონტმა, ერთ-ერთი ბილის განხილვის დროს, წამოაყენა წინადადება, რომლის მიხედვითაც მექსიკისაგან შემოერთებულ ტერიტორიებზე მონობა არ უნდა გავრცელებულიყო (ისტორიაში ეს ფაქტი ცნობილია, როგორც „ვილმონტის **გაფრთხილება**"). მართალია, 1820 წლის მისურის კომპრომისით დადგინდა, რომ მონათმფლობელობა დაიშვებოდა 36°30′ განედის სამხრეთით და იკრძალებოდა ამ განედის ჩრდილოეთით, მაგრამ არ იყო გადაწყვეტილი, ეს დადგენილება შეეხებოდა თუ არა 1848 წ. 2 თებერვლის ხელშეკრულებით მექსიკისაგან შემოერთებულ ტერიტორიებს. ამიტომ 40-იანი წლების მიწურულისათვის აშშ-ში მონობის საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი თვით მონების წინააღმდეგობის გაძლიერებაც იყო.

XIX ს. პირველ ნახევარში მონათა ყველაზე დიდი აჯანყება

---

[41] სკვატერი (ინგ. squatter) — კოლონისტი, რომელიც იკავებს თავისუფალი ყამირი მიწის ნაკვეთს.

მოხდა 1831 წლის აგვისტოში ზანგი ნატ ტერნერის ხელმძღვანელობით. მთავრობამ სასტიკად ჩაახშო ეს აჯანყება. ნატ ტერნერი და აჯანყების კიდევ 17 მონაწილე შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

XIX ს. 30-იანი წლებიდან, მონათა წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, აშშ-ში ფართოდ გავრცელდა **აბოლიციონისტური** ანუ მონობის აკრძალვის (abolition) მომხრეთა მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ რადიკალურ-დემოკრატიული ინტელიგენციის წარმომადგენლები; მათ შორის გამოირჩეოდა ჟურნალ „ლიბერეიტორის" (განმათავისუფლებელი) რედაქტორი უილიამ-ლოიდ ჰარისონი. აბოლიციონისტები კონგრესისაგან მოითხოვდნენ არა ძალით, არამედ მორალური და რელიგიური ზემოქმედებით მონობის აკრძალვას იმ ტერიტორიებზე, სადაც ვრცელდებოდა მისი კონსტიტუციური იურისდიქცია.

1838 წელს, გაქცეული მონების დასახმარებლად, აბოლიციონისტებმა დააარსეს „მიწისქვეშა რკინიგზის საზოგადოება". ამ საზოგადოების წევრებს ერთი „სადგურიდან" მეორემდე გამცილებლების ('კონდუქტორების") საშუალებით გადაჰყავდათ ზანგები ჩრდილოეთის შტატებში, აქედან კი მათი უმრავლესობა კანადაში მიდიოდა, სადაც 1834 წლიდან მონობა გაუქმებული იყო.

მონობის გაუქმებისათვის საზოგადოებრივი მოძრაობის გააქტიურებას დიდად შეუწყო ხელი ცნობილი ამერიკელი მწერალი ქალის ბიჩერ-სტოუს რომანმა „ბიძია თომას ქოხი" (1852), რომელშიც აღწერილია აშშ-ში მონების ცხოვრების საშინელი პირობები.

**„თავისუფალი მიწების" („ფრისოილერთა") პარტიის შექმნა (1848).** 1840 წ. აბოლიციონისტები ორ ნაწილად გაითიშნენ: ჰარისონის მომხრეებად, რომლებიც მონობის საკითხში კონსტიტუციაში დაშვებული კომპრომისის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ და მის მოწინააღმდეგეებად, რომლებიც კონსტიტუციის ერთგულნი იყვნენ და თავიანთი იდეების განხორციელებას პოლიტიკური მეთოდებით ცდილობდნენ. ამ უკანასკნელებმა 1848 წელს, მექსიკასთან ომის შემდეგ, ზოგიერთ სხვა ძალებთან ერთად, ჩამოაყალიბეს „თავისუფალი მიწების" ანუ „ფრისოილერების" პარტია (free soil – თავისუფალი მიწა). ისინი მოითხოვდნენ ახალ ტერიტორიებზე მონობის აკრძალ-

ვას, სკვატერებისათვის დასავლეთის მიწების უფასოდ დარიგებას და მიწებით სპეკულიანტებზე მათი გაყიდვის აკრძალვას. ფრისოილერების პარტიას ემხრობოდა ცნობილი ამერიკელი პოეტი უოლტ უიტმენი. ფრისოილერთა მოძრაობის აღმოცენება მეტყველებდა იმაზე, რომ 40-იანი წლების ბოლოს საფუძველი ეყრებოდა ჩრდილოეთის ბურჟუაზიასთან ფერმერებისა და ხელოსნების კავშირს მონათმფლობელების წინააღმდეგ. 1848 წ. 9 აგვისტოს ფრისოილერთა პარტიამ ბუფალოში მოიწვია ყრილობა და პრეზიდენტობის კანდიდატად წამოაყენა მარტინ ვან ბიურენი, მაგრამ მან 300000-ზე მეტი ხმა ვერ მიიღო; ამის მიზეზი იყო ის, რომ ამ დროს ჩრდილოეთის ბურჟუაზია გამოდიოდა მაღალი პროტექციონისტული ბაჟების მომხრედ და ამიტომ მათ წინააღმდეგ გაერთიანდნენ ფერმერთა უმრავლესობა და სამხრეთის მონათმფლობელები. მხოლოდ XIX ს. 50-იან წლებში მოიპოვა განსაკუთრებული მნიშვნელობა მონათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლამ.

**სამოქალაქო ომის წინაპირობები აშშ-ში.** აბოლიციონისტური და ფრისოილერთა მოძრაობების მიუხედავად, 50-იანი წლების დასაწყისამდე, აშშ-ის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებობდა კომპრომისი ჩრდილოეთის ბურჟუაზიას, დასავლეთის ფერმერებსა და სამხრეთის მონათმფლობელებს შორის. ბევრი ვაჭარი, ფინანსისტი და მრეწველი დაკავშირებული იყო სამხრეთის მონათმფლობელურ მეურნეობასთან. ისინი ყიდულობდნენ სამხრეთისაგან ბამბას, რომლის დიდ ნაწილს ჰყიდდნენ შემდეგ ევროპაში, თავად კი მონათმფლობელებს ამარაგებდნენ სამრეწველო ნაწარმით. ამიტომ კაპიტალისტური წრეების ეს ნაწილი მონათმფლობელებთან კავშირის მომხრეებად გამოდიოდნენ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ის ტერიტორიული ექსპანსია იძლეოდა იმის საშუალებას, რომ გარკვეულ დრომდე, სერიოზული დაპირისპირებების გარეშე, განვითარებულიყო როგორც კაპიტალისტური, ასევე პლანტაციურ მონობაზე დაფუძნებული მეურნეობები.

XIX საუკუნის 50-იან წლებში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. კაპიტალიზმის სწრაფი ზრდა და დასავლეთის მიწების ფერმერული კოლონიზაცია ვერ ეგუებოდა მონობას, ამასთანავე,

ძალთა თანაფარდობა მკვეთრად შეიცვალა ჩრდილოეთის შტატების სასარგებლოდ, სადაც მონობა დიდი ხნის წინ აიკრძალა.

1850 წლის აღწერის შედეგები ნათლად გვიჩვენებენ, მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მიხედვით, სამხრეთის შტატები რამდენად ჩამორჩებოდნენ ჩრდილოეთისას. სამხრეთის 15 მონათმფლობელური შტატი გაცილებით მეტ ტერიტორიას ფლობდა (929000 კვ. მილი), ვიდრე ჩრდილოეთის 16 შტატი (643000 კვ. მილი კალიფორნიის ჩათვლით), მაგრამ მოსახლეობის რაოდენობით უკანასკნელნი გაცილებით სჭარბობდნენ პირველებს (შესაბამისად 13342000 და 9613000 სული). სამხრეთის 15 შტატის მცხოვრებთა შორის 229000 თავისუფალი ზანგი იყო და 3220000 მონა-ზანგი, რომლებიც კონგრესში დეპუტატთა რიცხვის განსაზღვრისას უტოლდებოდა 1932000 თავისუფალ მოქალაქეს. ამგვარად, სამხრეთის მოქალაქეთა რაოდენობა იყო 6164000, ჩრდილოეთისა 13000000. სამხრეთის ერთადერთ სიმდიდრეს ბამბა წარმოადგენდა, მაგრამ მისი ფასი თანდათან ეცემოდა. პლანტატორთა დიდი ნაწილი ვალებში იყო ჩაფლული. მიწის საშუალო ფასი სამხრეთში 3-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე ჩრდილოეთში. ჩრდილოეთში სარკინიგზო ხაზების სიგრძე შეადგენდა 6300 მილს, სამხრეთში – 2300.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის განვითარების დონით განსხვავება ჩქარი ტემპით იზრდებოდა. კაპიტალიზმის განვითარების ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორი მონათმფლობელობა იყო. ინგლისიდან შემოტანილ სამრეწველო საქონელზე მაღალი ბაჟების დაწესებას პლანტატორები ეწინააღმდეგებოდნენ. დაბალი ბაჟები და სამხრეთის გადაქცევა ინგლისის ფაბრიკებისათვის ბამბის მიმწოდებლად აშშ-ის ბურჟუაზიის უკმაყოფილებას იწვევდა. მათ სურდათ დამოუკიდებელი ეროვნული მრეწველობის განვითარება, შიდა ბაზრის გაფართოება და მონების გადაქცევა დაქირავებულ მუშებად.

ბურჟუაზიასა და პლანტატორებს შორის უთანხმოების ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ის, თუ რა მიმართულებით უნდა გაეყვანათ რკინიგზა. ჩრდილოეთის ფერმერებსა და კაპიტალისტებს უნდოდათ რკინიგზის გაყვანა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით,

მაშინ როდესაც რკინიგზის მშენებლობას პლანტატორები მოითხოვდნენ სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით, პლანტაციური მეურნეობის ინტერესების შესაბამისად. 50-იანი წლების ბოლოსთვის წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პლანტატორებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა.

50-იან წლებში გაძლიერდა ანტაგონიზმი მიწისათვის მონათმფლობელებსა და ფერმერებს შორის. გაღარიბებული ფერმერები და მიწის დაქირავებული მუშები მოითხოვდნენ მიწის ნაკვეთებს ან ჰომსტედებს[42] დასავლეთში და იბრძოდნენ მონობის აკრძალვისათვის ახალ შტატებში, რომლებიც დასავლეთის მიწებზე იქმნებოდნენ. იმის მიუხედავად, რომ პლანტატორებისა და ფერმერების ინტერესები ზოგიერთ საკითხში ერთმანეთს ემთხვეოდა (მაგ., დაბალი საბაჟო გადასახადები), მათ შორის მიწებისათვის ბრძოლას, ადრე თუ გვიან, შეიარაღებული შეჯახება უნდა მოჰყოლოდა.

სამხრეთში მონობის წინააღმდეგ ბრძოლა გააქტიურდა. ექსპლუატაციის გაძლიერებას მონები აჯანყებებით და ჩრდილოეთში ან დასავლეთში გაქცევით პასუხობდნენ.

მონობის შესახებ საკითხის გამწვავებას პოლიტიკურმა მიზეზებმაც შეუწყო ხელი. მონათმფლობელებს არ სურდათ მშვიდობიანი გზით უარი ეთქვათ ფედერალური მთავრობის ორგანოებში თავიანთ უპირატესობაზე, პირიქით, მათ უნდოდათ მონობის გავრცელება ახალ მიწებზე არა მარტო ეკონომიკური მოსაზრებების გამო, არამედ თავიანთი პოლიტიკური ბატონობის შენარჩუნების მიზნითაც. ისინი ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდნენ იმ შტატების ჩამოყალიბებას, სადაც მონობა იკრძალებოდა. პლანტატორები გრძნობდნენ, რომ თავისუფალი შტატების რაოდენობის ზრდა ადრე თუ გვიან წაართმევდა მათ უპირატესობას აშშ-ის სენატში. მონობის გაუქმება, დასავლეთის მიწების საკითხის დემოკრატიული გადაწყვეტა და მაღალი საბაჟო გადასახადების შემოღება შეუძლებელი იყო მანამდე, სანამ პოლიტიკური უპირატესობა ქვეყანაში მონათმფლობელებისა და ბურჟუაზიის იმ ნაწილის ხელთ იქნებოდა, რომლებიც პლანტატორებთან

---

[42] ჰომსტედი – (ინგ. homestead)ადგილი სახლისათვის.

შეთანხმების მომხრეებად გამოდიოდნენ. მონობის შესახებ საკითხის გამწვავებას აუცილებლად მოჰყვებოდა შეიარაღებული შეჯახება პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

**1850 წლის კომპრომისი.** გენერალ ტეილორის პრეზიდენტობის დროს, 1850 წელს დადგა საკითხი მექსიკისაგან ახალშემოერთებული კალიფორნიის შტატის უფლებების განსაზღვრის თაობაზე. კალიფორნიაში უკვე მიღებული იყო კონსტიტუცია, რომელიც კრძალავდა მონობას. პრეზიდენტი ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგი არ იყო და მისი თანხმობით კონგრესში წარადგინეს კანონპროექტი კალიფორნიის შესახებ. სამხრეთის მონათმფლობელებმა მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს ამ კანონპროექტს და მონათმფლობელობის საკითხი კვლავ მთელი სიმწვავით დაისვა. კამათი გასცდა მხოლოდ კალიფორნიის პრობლემას და იგი შეეხო, აგრეთვე, ახალი მექსიკის მომავალ ორგანიზაციას, ტეხასის საზღვრებს, კოლუმბიის ოლქში მონობის და გაქცეული მონების საკითხებს.[43] ხანგრძლივი დებატების შემდეგ მიღწეულ იქნა კომპრომისი შემდეგ პირობებზე: 1. კალიფორნიაში იკრძალებოდა მონობა და იგი კავშირში შედიოდა როგორც თავისუფალი შტატი; 2. ახალ მექსიკას და იუტას მიეცათ ტერიტორიის უფლებები; 3. დადგინდა ტეხასის საზღვრები; 4. კოლუმბიის ოლქში აიკრძალა მონებით ვაჭრობა; 5. კიდევ უფრო განმტკიცდა 1787 წლის კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდა გაქცეული მონების უკან დაბრუნებას.

მონათმფლობელების დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო მიღწეული შეთანხმებებით. მათ კარგად იცოდნენ, რომ, თუ სამხრეთის შტატები დარჩებოდნენ კავშირში, ისინი მალე დაკარგავდნენ პოლიტიკურ ჰეგემონიას, რადგან ჩრდილოეთის შტატებს მოსახლეობის რაოდენობისა და ეკონომიკური წარმატებების მხრივ გადამწყვეტი უპირატესობა ჰქონდათ, რასაც მოჰყვებოდა მონათმფლობელობის თანდათანო-

---

[43] მონათმფლობელებს სურდათ დაეკანონებინათ მონობა აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე. არ მიეცათ მონებისათვის ჩრდილოეთსა და დასავლეთში გაქცევის შესაძლებლობა. ამ მიზნით, 1850 წ. მათ შესძლეს გაქცეული მონების შესახებ კანონის მიღება, რომლის თანახმად აშშ-ის მოსახლეობა და ხელისუფლება ვალდებულნი იყვნენ დაეჭირათ და პატრონებისათვის დაებრუნებინათ გაქცეული მონები. ეს კანონი ფაქტიურად იშვიათად გამოიყენებოდა.

ბით ლიკვიდაცია. სწორედ ასეთი საშიშროების გამო, სამხრეთში დაიწყო სეცესიონისტური პარტიის ანუ ისეთი პარტიის ჩამოყალიბება, რომლის მთავარ მიზანს კავშირისაგან სამხრეთის შტატების გამოყოფა წარმოადგენდა. ამ მოძრაობის ერთ-ერთი თავკაცი ჯეფერსონ დეივისი იყო. 1850 წელს, თავის თანამოაზრეებთან ერთად, მან მიღწეული კომპრომისის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა.

მთელი რიგი გართულებების მიუხედავად, 1850 წლის კომპრომისმა რამდენიმე წლით გადასწია სამოქალაქო ომის დასაწყისი.

1850 წლის კანონები და ბილი „კანზას-ნებრასკა“,[44] რომელიც 1854 წელს მიიღეს, ფაქტიურად აუქმებდა 1820 წლის მისურის კომპრომისს, რომლის მიხედვით მონობა იკრძალებოდა მისისიპის დასავლეთით მდებარე მიწებზე 36°30′ განედის ჩრდილოეთით.

**სამოქალაქო ომი კანზასში (1854-1856) და რესპუბლიკური პარტიის შექმნა (1854).** კანზას-ნებრასკას ბილის შემდეგ, კანზასის დასახლება დაიწყეს მონათმფლობელობის მომხრეებმა და მოწინააღმდეგეებმა. ნებრასკა უკიდურეს ჩრდილოეთში მდებარეობდა და ამიტომ მას ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ. კანზასში გაჩაღდა სამოქალაქო ომი, რომელიც მონობის მოწინააღმდეგეების – ჩრდილოეთელების გამარჯვებით დამთავრდა. გამარჯვებულები მოითხოვდნენ კავშირში კანზასის მიღებას შტატის უფლებებით იმ პირობით, თუ იქ მონობა არ იქნებოდა. ამგვარად, კვლავ წამოიჭრა მონათმფლობელობის პრობლემა. გამოცოცხლდა აბოლიციონისტების მოძრაობა. მათ შეუერთდნენ მონობის მოწინააღმდეგე სხვა ძალები **და შექმნეს რესპუბლიკური პარტია (1854).**

რესპუბლიკური პარტიის ზომიერ ფრთას შეადგენდნენ ჩრდილოეთის მსხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები უ. სიუარდის ხელმძღვანელობით. ისინი არ იყვნენ იმის წინააღმდეგნი, რომ სამხრეთის შტატებში მონათმფლობელობა დარჩენილიყო, უცხოურ შემოტანილ საქონელზე სურდათ მაღალი მფარველობითი ბაჟების დაწესება და მოითხოვდნენ ჩრდილო-დასავლეთით, წყნარი ოკეანისაკენ სარკინიგზო ხაზის გაყვანას.

---

[44] „კანზას-ნებრასკას“ ბილის თანახმად ახალ ტერიტორიებზე მონობის საკითხი ადგილობრივი მოსახლეობის ნება-სურვილის მიხედვით უნდა გადაწყვეტილიყო.

სამოქალაქო ომის დაწყების წინ და ომის მიმდინარეობის დროს, რესპუბლიკური პარტიის მთავარ ძალას შეადგენდა მისი რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, რომელიც აერთიანებდა ფერმერებს, ხელოსნებს, წვრილ ვაჭრებსა და მუშათა ნაწილს. რადიკალ-დემოკრატები, რომელთა სათავეში იდგა სენატორი სამნერი, გამოდიოდნენ მონობის სრული ლიკვიდაციისა და ღარიბებისათვის დასავლეთში მიწების უფასოდ დარიგების მოთხოვნებით.

**აბრაამ ლინკოლნის არჩევა პრეზიდენტად.** კონგრესში, პრესის ფურცლებზე, მიტინგებზე და ადგილობრივ საკანონმდებლო კრებებზე მიმდინარეობდა ცხარე კამათი მონათმფლობელობის საკითხებზე, რაც ქვეყანაში რევოლუციური კრიზისის ერთ-ერთი მაჩვენებელი იყო. ამ კრიზისის შემდგომ გაძლიერებას ხელს უწყობდა აჯანყებები მონობის წინააღმდეგ. თავისი საერთაშორისო რეზონანსით და მნიშვნელობით მათ შორის გამოირჩეოდა კანზასელი აბოლიციონისტის ჯონ ბრაუნის აჯანყება 1859 წელს. ვირჯინიის ხელისუფლებმა იგი დაიჭირეს, გაასამართლეს და 1859 წლის 2 დეკემბერს ჩამოახრჩვეს.

მონობის წინააღმდეგ აჯანყებების მონაწილეთა მკაცრმა დასჯამ ვერ შეაჩერა ქვეყანაში რევოლუციური კრიზისი. რესპუბლიკური პარტია თანდათან ძლიერდებოდა. 1860 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკელების კანდიდატმა, ხალხში მეტად პოპულარულმა კონგრესმენმა აბრაამ ლინკოლნმა.[45]

რესპუბლიკელების პროგრამა არ ატარებდა აბოლიციონისტურ ხასიათს. თვითონ ლინკოლნს არასდროს არ მიუღია მონაწილეობა აბოლიციონისტურ მოძრაობაში. თავის საარჩევნო პროგრამაში იგი მოითხოვდა ახალ ტერიტორიებზე მონობის აკრძალვას, სამხრეთში არსებულ მონათმფლობელობის შესახებ კი გადაკვრით მიანიშნებდა,

---

[45] ა. ლინკოლნი იყო ღარიბი ებრაელი ფერმერის შვილი კენტუკის შტატიდან. ახალგაზრდობაში მუშაობდა მოჯამაგირედ, მიწის მზომელად, ფოსტის მოხელედ; ამავე დროს თვითგანათლებას იღებდა. 1836 წ. გამოცდა ჩაბარა და ვექილი გახდა. პატიოსნებამ, უანგარობამ, გამჭრიახობამ და ბრწყინვალე ორატორულმა ნიჭმა მალე მოუპოვა პოპულარობა. 1834-1841 წწ. ილინოისის შტატის საკანონმდებლო კრების, 1847-1849 წწ. კი აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრი იყო. ა. ლინკოლნი რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორია.

რომ იგი არ იყო გამოსყიდვის გარეშე მონების განთავისუფლების მომხრე და რომ საერთოდ არ აპირებდა სამხრეთის შტატების საშინაო საქმეებში ჩარევას.

ა. ლინკოლნის გამარჯვება არსებითად პოლიტიკურ გადატრიალებას წარმოადგენდა – მონათმფლობელები კარგავდნენ თავიანთ ჰეგემონობას ფედერალურ მთავრობაში. ამიერიდან არა მხოლოდ წარმომადგენელთა პალატა, არამედ საპრეზიდენტო ხელისუფლება გადადიოდა ახალ ტერიტორიებზე მონობის გავრცელების მოწინააღმდეგეთა ხელში.

საპრეზიდენტო არჩევნებიდან ექვსი კვირის შემდეგ, სამხრეთ კაროლინის სახალხო კონვენტმა მიიღო კანონი სეცესიის (გამოყოფის) შესახებ (1860 წ. 20 დეკ.). მის მაგალითს მიბაძეს სამხრეთის კიდევ შვიდმა შტატმა: ფლორიდამ, ჯორჯიამ, ალაბამამ, ლუიზიანამ, ტეხასმა, ტენესიმ და მისისიპმა. **1861 წლის 4 თებერვალს** სეპარატისტთა კონგრესმა, რომელიც შეიკრიბა მონტგომერში, დაამტკიცა ამერიკის შტატების კონფედერაციის კონსტიტუცია და პრეზიდენტად აირჩია **ჯეფერსონ** დეივისი. კონფედერატების ცენტრი გახდა **ქ. რიჩმონდი.**

დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა პრეზიდენტმა ბიუკენენმა არავითარი ღონისძიება არ განახორციელა სეცესიონისტების წინააღმდეგ; 1861 წ. 4 მარტს მან დატოვა თეთრი სახლი და პრეზიდენტის პოსტზე თავის მემკვიდრეს აბრაამ ლინკოლნს გადასცა მართვის საჭე. ქვეყანა კი თანდათან სამოქალაქო ომის ცეცხლის ალში ეხვეოდა.

# თავი XIV. სამოქალაქო ომი და რეკონსტრუქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში

**სამოქალაქო ომის დაწყება.** ა. ლინკოლნს, რომელიც 1861 წლის 4 მარტს თეთრ სახლში შეუდგა თავის საპრეზიდენტო მოღვაწეობას, არ სურდა სამხრეთის კონფედერაციის წინააღმდეგ თვითონ დაეწყო საბრძოლო მოქმედებები. კავშირიდან გამოსული შტატები კი თანდათანობით იკავებდნენ იმ ფედერალურ არსენალებს, რომლებიც მათ ტერიტორიებზე მდებარეობდნენ. 1861 წლის 12 აპრილს კონფედერატებმა სამხრეთ კაროლინაში მდებარე ფორტის სამტერის დაბომბვით დაიწყეს სამოქალაქო ომი. ისინი დარწმუნებული იყვნენ თავიანთ სამხედრო უპირატესობებში და სათანადოდ ვერ აფასებდნენ ჩრდილოეთის შესაძლებლობებს. ომის დასაწყისში ჩრდილოეთელებს ფაქტიურად არმია არ ჰყავდათ, მაშინ როდესაც ამბოხებულები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი და სათანადოდ მომზადებულ ოფიცერთა შემადგენლობის იმედიც ჰქონდათ. ლინკოლნის მთავრობის მერყეობაც კონფედერატებს თვითდაჯერებულობას მატებდა და იოლი გამარჯვების რწმენას უმტკიცებდა. პლანტატორები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ინგლისი და საფრანგეთი მათ მხარს დაუჭერდა, რადგანაც სამხრეთის შტატების ბამბის ძირითადი მომხმარებლები ეს სახელმწიფოები იყვნენ. ამბოხებულმა პლანტატორებმა ვერ შეაფასეს ჩრდილოეთელთა შესაძლებლობები. ა. ლინკოლნის მოწოდების შედეგად სულ მალე შეიქმნა 75000 მოხალისესაგან შემდგარი ჯარი, რომელსაც იმავე წლის მაისში კიდევ 82000 კაცი დაემატა[1]. მათი უმრავლესობა ფერმერებისა და მუშებისაგან შედგებოდა. ყოველი ათასი ჯარისკაციდან 487 ფერმერი იყო და 421 მუშა. მთავარსარდლად დანიშნეს 70 წლის გენერალი სკოტი.

**ჩრდილოეთის უპირატესობები სამხრეთზე.** ჩრდილოეთს სამხრეთთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა ცოცხალი ძალისა და მატერიალური რესურსების მხრივ. 1860 წლისათვის ჩრდილოეთის მოსახლეობა შეადგენდა 22 მლნ. სულს, სამხრეთისა კი — 9 მილ-

[1] სამოქალაქო ომში ა. ლინკოლნის ჯარში იბრძოდნენ ქართველები პეტრე ერისთავი და გრუზინოვი.

იონს, მათ შორის 4 მლნ. ზანგი იყო. ჩრდილოეთი მთლიანად უზრუნველყოფილი იყო სურსათით. აშშ-ის მთელი მეტალურგიული, მანქანათმშენებელი, სამხედრო და გემთმშენებელი მრეწველობა, რამდენიმე ქარხნისა და დოკის გამოკლებით, ჩრდილოეთში იყო თავმოყრილი. 1862 წლის შუახანებში ქვეყანამ თავი დააღწია ეკონომიკურ დეპრესიას, რომელიც 1857 წლიდან დაიწყო. მთავრობის შეკვეთებმა გამოაცოცხლა სამრეწველო-სავაჭრო საქმიანობა. სარკინიგზო ქსელის განვითარების დონით, სავაჭრო ფლოტის რაოდენობით და ფინანსური რესურსებით ჩრდილოეთს დიდი უპირატესობა ჰქონდა. ათიათასობით სამხრეთელი ზანგი ჩრდილოეთის პოტენციური მოკავშირე იყო.

სამხრეთის კონფედერაცია კი, მონების მოსალოდნელი აჯანყების შიშის გამო, იძულებული გახდა მრავალრიცხოვანი არმია ზურგში დაეტოვებინა. ომისათვის საჭირო დიდძალი გადასახადები აჩანაგებდა ფერმერებს და იწვევდა მათ მღელვარებებს. სამხრეთის ფერმერები და განსაკუთრებით ზანგები მოუთმენლად ელოდებოდნენ ფედერალური არმიის მოახლოებას, რათა მათ შეერთებოდნენ. მრეწველობა სამხრეთში თითქმის არ იყო, იგრძნობოდა სურსათის ნაკლებობაც. ინგლისისა და საფრანგეთის დახმარება იარაღით, გემებით, სესხითა და საქონლით დროებით შველოდა კონფედერატებს.

**სამოქალაქო ომის პირველი ეტაპი. 1861-1862 წწ. ჩრდილოეთელთა წარუმატებლობის მიზეზები.** ომი გაგრძელდა ოთხ წელიწადს. ჩრდილოეთელთა მხარეს იბრძოდა 2,8 მლნ. მეომარი, სამხრეთელების არმია კი 1,3 მლნ. კაცს აერთიანებდა. 1861-1862 წწ. სამხრეთელებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს. პირველი დიდი გამარჯვება მათ მოიპოვეს 1861 წლის 21 ივლისს მდ. ბალრანეს ნაპირებთან. ჯეფერსონ დეივისი პირადად ესწრებოდა ამ ბრძოლას.

ომის პირველ ეტაპზე საომარ მოქმედებათა გაჭიანურებისა და ჩრდილოეთის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი ბურჟუაზიის მერყეობა იყო. ისინი მთავარ მიზნად მიიჩნევდნენ არა მონობის გაუქმებას, არამედ კავშირის აღდგენას. სამთავრობო დაწესებულებებში და

არმიაში ხშირი იყო შპიონაჟის, ღალატის ფაქტები. მონათმფლობელების მომხრეები ზურგში აშკარად და ფარულად მოქმედებდნენ, ამბოხებულებთან კონტრაბანდულ ვაჭრობას ეწეოდნენ, გამოსცემდნენ გაზეთებს, რომელთა ფურცლებზე ლინკოლნის მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ პუბლიცისტურ მასალებს ბეჭდავდნენ. ბურჟუაზია ომის შედეგად მდიდრდებოდა. ჯარებისათვის უხარისხო პროდუქციის გაგზავნის არაერთი შემთხვევა იყო, დამნაშავეები კი არ ისჯებოდნენ.

ნაცვლად იმისა, რომ შემოეღოთ გადასახადები კაპიტალზე, მიეღოთ კანონები ჰომსტედებისა და მონობის გაუქმების შესახებ, კონგრესმა და მთავრობამ დააწესეს პროტექციონისტური ტარიფები. მონათმფლობელების ინტერესების შესაბამისად, ვაშინგტონის მთავრობამ აკრძალა არმიაში ზანგების მიღება.

ჯარში არ იყო მტკიცე ორგანიზაცია და დისციპლინა. 1861 წლის ნოემბრამდე სარდალი იყო მოხუცი გენერალი სკოტი, შემდეგ კი ჩრდილოეთის „დემოკრატების“ წარმომადგენელი გენერალი მაკ-კლელანი. „დემოკრატები“ შეგნებულად აჭიანურებდნენ ომს, რათა რესპუბლიკური პარტიისა და ლინკოლნის მიმართ გამოეწვიათ ხალხის უკმაყოფილება, რომლის შედეგად მაკ-კლელანს მნიშვნელოვნად გაუადვილდებოდა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება და შემდეგ კი სამხრეთთან შერიგების მიღწევა.

ბალ-რანესთან დამარცხებამ და სხვა წარუმატებლობებმა ხალხის უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობა იძულებული გახდა მეტი ყურადღება მიექცია არმიის ორგანიზაციის, გაწრთვნისა და შეიარაღებისათვის, შეიარაღებული ოპერაციების დაგეგმისათვის. არმიაში აბოლიციონისტების გავლენის გამო, დასავლეთში სამხედრო მოქმედებები შედარებით წარმატებით მიმდინარეობდა. მაგრამ ერთიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც ჩრდილოეთის არმიებს კოორდინაციას გაუწევდა, არ ჰქონდათ. 1862 წლის გაზაფხულზე მაკ-კლელანის მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა მდ. პოტომაკის რაიონში პირდაპირი დარტყმით მოწინააღმდეგის განადგურებას, აგრეთვე სამხრეთის შტატების გარშემორტყმას (გეგმა „ანაკონდა“), მარცხით დამთავრდა. მაკ-კლელანის დამარცხება ამბოხე-

ბულებმა კონტრშეტევისათვის გამოიყენეს. 1862 წლის ზაფხულში ფედერალურმა ჯარებმა მდ. ბალ-რანესთან მეორედ იწვნიეს სასტიკი მარცხი, რომლის შედეგად ხელახლა შეიქმნა ამბოხებულების მიერ ვაშინგტონის დაკავების საშიშროება. ამ მარცხმა ქვეყანაში ხალხის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა.

**სამოქალაქო ომის მეორე ეტაპი (1863-1865).** სამოქალაქო ომის პირველ ეტაპზე ჩრდილოეთის წარუმატებლობის შედეგად ქვეყანაში ფართოდ გავრცელდა აბოლიციონისტური მოძრაობა, მასობრივ მიტინგებზე აშკარად აკრიტიკებდნენ მთავრობას, ამხელდნენ სპეკულაციას, გამცემლობას, ღალატს და მოითხოვდნენ ომის რევოლუციური მეთოდებით წარმოებას; საშინაო პოლიტიკაში ძირეულ ცვლილებებს ე.ი. მონობის გაუქმებას, ზანგების შეიარაღებას, ჰომსტედების[46] შესახებ კანონის მიღებას, არმიისა და სახელმწიფო აპარატის გაწმენდას.

ხალხთა მასების მოთხოვნების შესაბამისად, ლინკოლნმა განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება: **1862 წლის მაისში მან ხელი მოაწერა კანონს ჰომსტედების შესახებ,** რომლის თანახმადაც დასავლეთში 160 აკრის[47] რაოდენობით მიწა უფასოდ ყველას შეეძლო მიეღო. იმავე წლის ოქტომბერში პრეზიდენტმა გამოსცა **პროკლამაცია 1863 წლის 1 იანვრიდან ზანგების განთავისუფლების** შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ზანგებს არ ეძლეოდათ არც პოლიტიკური უფლებები და არც მიწა, აღნიშნული პროკლამაცია მაინც დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

ომის წარმოების რევოლუციური ხასიათის გასაძლიერებლად ლინკოლნის მთავრობამ სხვა ზომებიც მიიღო. 1862 წ. სექტემბერში სამხრეთის ზოგიერთი აქტიური მომხრე დაიჭირეს და დახურეს ის გაზეთები, რომლებიც მონათმფლობელებთან შეთანხმებას მოითხოვდნენ. 1862 წლის ნოემბერში მთავარსარდალი მაკ-კლელანი გადაყენეს. მოღალატეებისაგან გაწმინდეს არმია და სახელმწიფო აპარატი. ოფიცერთა შემადგენლობაში გაიზარდა აბოლიციონისტებისა და ევროპელ რევოლუციონერ-ემიგრანტების ხვედრითი წილი, ჩრდი-

---

[46] ჰომსტედი (ინგ. homestead) გლეხის კარ-მიდამო, ფერმა.

[47] აკრი=4046,86 მ²

ლოეთის არმიაში ზანგები გაიწვიეს. ამ ღონისძიებების შედეგად საომარი მოქმედებების მსვლელობაში მოხდა ძირეული გარდატეხა და განმტკიცდა ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობა, კონფედერატებს კი გაუცრუვდათ ინგლისისა და საფრანგეთის დახმარების იმედები.

**ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დამოკიდებულება სამოქალაქო ომისადმი.** ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ გამოეყენებინათ სამოქალაქო ომი თავიანთი პოზიციების განმტკიცებისათვის ამერიკაში და დაესუსტებინათ აშშ-ის საზღვაო ძლიერება. ინგლისის ამ მისწრაფებას ძირითადად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ სამხრეთელი მონათმფლობელები ამარაგებდნენ ინგლისის საფეიქრო მრეწველობას ბამბით, ჩრდილოეთი კი ბრიტანეთის ბურჟუაზიის პოტენციური კონკურენტი იყო მრეწველობაში და საზღვაო ვაჭრობაში.

პალმერსტონი და რასელი აქეზებდნენ სამხრეთის მონათმფლობელებს აჯანყებისათვის და მოუთმენლად ელოდნენ ომის შედეგად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ძალების გამოფიტვას, რათა შემდგომში ეკარნახათ მათთვის ზავის პირობები. ინგლისი იარაღით ამარაგებდა სამხრეთელ მეამბოხეებს და სისტემატურად არღვევდა სამხრეთისადმი ლინკოლნის მთავრობის მიერ გამოცხადებულ საზღვაო ბლოკადას, რაც საერთაშორისო სამართლის და ინგლისის მიერ გამოცხადებული ნეიტრალიტეტის უხეში დარღვევა იყო.

ასეთივე მტრული პოზიცია ეკავა ჩრდილოეთის მიმართ ნაპოლეონ III და საფრანგეთის მსხვილ ბურჟუაზიას. ნაპოლეონ III მთავრობას სურდა ამერიკაში ავანტიურისტული ჩანაფიქრის განხორციელება – დიდი ტერიტორიების დაპყრობა და მისი პროტექტორატის ქვეშ მყოფი „ლათინური იმპერიის" შექმნა. ამ მიზნით 1861-1863 წლებში მექსიკის წინააღმდეგ დაიწყეს ინტერვენცია იმ საბაბით, რომ რევოლუციის შედეგად ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალ მთავრობას არ უნდოდა ფრანგი ბანკირებისათვის ძველი ვალების გადახდა; სინამდვილეში კი ინტერვენციის შედეგად მექსიკა უნდა გამხდარიყო საფრანგეთის მარიონეტული სახელმწიფო ნაპო-

ლეონ III მონა-მორჩილის „იმპერატორ“ მაქსიმილიანე ჰაბსბურგელით სათავეში. საფრანგეთის იმპერატორს ამ გეგმის განხორციელების მთავარ პირობად აშშ-ის გათიშვა და დასუსტება მიაჩნდა.

რუსეთი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას იჩენდა ლინკოლნის მთავრობის მიმართ, რადგანაც ერთიან და ძლიერ აშშ-ში მეფის მთავრობა ხედავდა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ინგლისისა და საფრანგეთის საწინააღმდეგო ძალას. ორივე სახელმწიფო ცდილობდა რუსეთისათვის მეტად სამარცხვინო და დამამცირებელი პარიზის საზავო ხელშეკრულების (1856) პირობების შენარჩუნებას. სამოქალაქო ომის დროს რუსეთის კეთილგანწყობილმა პოზიციამ ჩრდილოეთის მიმართ მნიშვნელოვნად განაპირობა ინგლისის უარი ინტერვენციაზე.

**ჩრდილოეთის გამარჯვება.** ომის წარმოების რევოლუციურმა მეთოდებმა და სამხრეთის დასახმარებლად ინგლის-საფრანგეთის ინტერვენციის გეგმების ჩაშლამ დააჩქარა ამბოხებულთა დამარცხება. ჩრდილოეთის სამხედრო ფლოტმა სამხრეთი ბლოკადაში მოაქცია. 1863 წლის 3 ივლისს გეტიზბერგთან ფედერალური ჯარების გამარჯვებამ, აგრეთვე მათ მიერ 4 ივლისს ვიკზბერგისა და პორტ ჰუდსონის აღებამ გარდატეხა შეიტანა საომარ მოქმედებათა მსვლელობაში ჩრდილოეთის სასარგებლოდ. ინიციატივას მტკიცედ დაეუფლნენ ფედერალური არმიები, რომლებიც 1863 წლის ბოლოსათვის მილიონზე მეტ კაცს ითვლიდა.

1864 წლის დასაწყისში ფედერალური არმიების მთავარსარდლად დანიშნეს **გენერალი გრანტი**, რომელმაც იმავე წლის გაზაფხულზე ფრონტის გარღვევის მიზნით ჩრდილოეთიდან შეუტია ამბოხებულ შტატებს, ჩრდილო-დასავლეთიდან დაიძრნენ ჯარები გენერალ შერიდანის ხელმძღვანელობით, სამხრეთ-დასავლეთიდან კი – გენერალ შერმანის სარდლობით. ამბოხებულთა ჯარებს უკვე არ შეეძლოთ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მაინც არ ნებდებოდნენ. მათ იმის იმედი ჰქონდათ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ლინკოლნი დამარცხდებოდა.

1864 წლის ნოემბერში ლინკოლნი ხელახლა აირჩიეს პრეზიდენტად. იგი თავის ზომიერებით და სამართლიანობით ყველაზე

შესაფერისი კანდიდატი იყო დაპირისპირებული ძალების შესარიგებლად. ამიტომ პრეზიდენტის პოსტზე მის მეორედ არჩევას ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი მიესალმებოდა.

კონფედერაცია თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. შერმანის არმიამ წარმატებით განახორციელა რეიდი ჩატანუგადან ატლანტამდე ('რეიდი ზღვისაკენ"). 1865 წლის 13 თებერვალს შერმანის ჯარებმა შეუტიეს სამხრეთიდან რიჩმონდს, კონფედერატების დედაქალაქს ერთდროულად უტევდა გენერალი გრანტი. 3 აპრილს მათ დაიკავეს ქალაქი, **9 აპრილს კი ამბოხებულთა არმიამ მთავარსარდალ ლის ხელმძღვანელობით კაპიტულაცია გამოაცხადა; 18 აპრილს სამხრეთელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერებიც ჩახშობილ იქნა.**

ლის კაპიტულაციის შემდეგ ჯეფერსონ დეივისი მიიმალა, მაგრამ 1865 წლის 10 მაისს იგი მაინც შეიპყრეს და ფორტ მონროს ციხეში ჩასვეს, რამდენიმე წლის შემდეგ კი გაათავისუფლეს. გამარჯვებულებმა პირველი ამნისტია 1865 წელს გამოაცხადეს; 1868 წლისათვის კი ყველა დაპატიმრებული მეამბოხე გაათავისუფლეს.

ოფიციალური მონაცემებით ჩრდილოეთმა ომში დაკარგა 280000 კაცი. მათ შორის 5220 ოფიცერი და 91000 ჯარისკაცი დაეცა ბრძოლის ველზე, ან გარდაიცვალა ჭრილობებისაგან, ხოლო 2320 ოფიცერი და 182000 ჯარისკაცი ავადმყოფობამ იმსხვერპლა. სამხრეთელთა დანაკარგი ოფიციალურად არასდროს არ გამოქვეყნებულა.

რიჩმონდის აღების შემდეგ ჩრდილოეთში გამარჯვების აღსანიშნავად დღესასწაულები ტარდებოდა. ერთ-ერთი ასეთი საზეიმო ღონისძიების დროს თეატრში, **1865 წლის 14 აპრილს, სამხრეთელთა აგენტის მსახიობ ბუსის მიერ მოკლულ იქნა აბრაამ ლინკოლნი.** ლინკოლნის მკვლელობამ ნათლად აჩვენა, რომ დამარცხების შემდეგაც კი სამხრეთის მონათმფლობელები არ აპირებდნენ ფარხმალის დაყრას, თავიანთი პოზიციების დათმობას. მათი ასეთი განზრახვა აშკარად დადასტურდა რეკონსტრუქციის – სამხრეთის შტატების პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნის პერიოდში, რომელიც გრძელდებოდა 1865 წლიდან 1877 წლამდე.

**სამხრეთის რეკონსტრუქცია (1865-1877). კონსტიტუციის დამატებები.** ლინკოლნის სიკვდილის შემდეგ ქვეყნის მმართველი გახდა ვიცე-პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი. იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე დაუპირისპირდა კონგრესში რესპუბლიკურ პარტიას კავშირის რეკონსტრუქციის თაობაზე. ჯერ კიდევ 1864 წელს ლინკოლნის მითითებით ლუიზიანასა და არკანზასის შტატებში შეიქმნა იუნიონისტური მთავრობები.[48] 1865 წ. მათ მაგალითს მიბაძა ტენესის შტატმა. ჯონსონმა სცნო ეს მთავრობები და ამასთანავე, დანიშნა დროებითი გუბერნატორები ვირჯინიაში, ჩრდილოეთ კაროლინაში, სამხრეთ კაროლინაში, ჯორჯიაში, ფლორიდაში, ალაბამაში, მისისიპსა და ტეხასში. დასახელებულ შტატებში, სეცესიამდელი საარჩევნო კანონის საფუძველზე, აირჩიეს დამფუძნებელი კრებების დეპუტატები, რომლებმაც ფიცი დადეს კონსტიტუციის ერთგულებაზე, დაამტკიცეს კანონი მონობის აკრძალვის შესახებ, გააუქმეს სამხრეთის კონფედერაციის მიერ აღებული ვალები და მათ მიერ მიღებული დეკრეტები. შემდეგ ამავე შტატებში აირჩიეს საკანონმდებლო კრებები, რომლებზეც დაამტკიცეს კონსტიტუციის მე-13 დამატება, რომელიც კრძალავდა მონობას აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე (1863 წლის 1 იანვრის პროკლამაციით მონობა იკრძალებოდა ამბოხებულ შტატებში). ზანგები და რესპუბლიკელების რადიკალურად განწყობილი ნაწილი მოითხოვდნენ ყოფილი მონებისათვის საკუთრებაში გადაეცათ 40 აკრი მიწა, ერთი ჯორი და ამასთან, მკაცრი ღონისძიებების განხორციელებას სამხრეთის მეამბოხეების მიმართ. მაგრამ მსხვილი ბურჟუაზია წინააღმდეგი იყო ამ მოთხოვნებისა. ზანგების პოლიტიკური აქტივობა გაიზარდა. მათი წარმომადგენლები სამხრეთის ზოგიერთი შტატის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში პროგრესულ საქმიანობას ეწეოდნენ.

იმ მიზნით, რომ ზანგები ნახევრადმონურ მდგომარეობაში ჰყოლოდათ, სამხრეთის პლანტატორები პრეზიდენტ ჯონსონის (1865-1869) მთავრობის წაქეზებით, მათ მიმართ ანხორციელებდნენ ტერორს. ამ მიზნით შექმნეს შეიარაღებული ბანდები, რომელთა შორის

---

[48] იუნიონისტი – (ინგლ. Unionists) აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს ფედერაციის მომხრე.

გამოირჩეოდა ტერორისტული ორგანიზაცია კუ-კლუქს-კლანი.[49] სამხრეთის შტატების პლანტატორების მიერ შემოღებული „შავი კოდექსები" ზანგებს უკრძალავდა საკუთრებაში მიწის ქონებას, გონებრივ შრომით საქმიანობას, კრებების მოწყობას, თეთრკანიანზე დაქორწინებას; შეიძლებოდა ზანგი მოსამსახურის ფიზიკური დასჯა.

ჯონსონის მთავრობის პოლიტიკა უკმაყოფილებას იწვევდა არა მარტო ზანგებში, არამედ ჩრდილოეთის მოსახლეობის ფართო ფენებშიც. ეწყობოდა ომის ყოფილ მონაწილეთა, მუშებისა და ზანგების მასობრივი მიტინგები და ყრილობები, რომლებზეც მოითხოვდნენ პლანტატორების დასჯას და პრეზიდენტ ჯონსონის სასამართლოზე გადაცემას. 1866 წელს მიიღეს კანონი ზანგების სამოქალაქო უფლებათა შესახებ, 1868 წელს კი კონსტიტუციის მე-14 შესწორება, რომლის თანახმად ყველა აშშ-ში დაბადებული ან აქ ნატურალიზებული ითვლებოდა აშშ-ის და იმ შტატის მოქალაქედ, სადაც ის ცხოვრობდა; ცალკეულ შტატებს ეკრძალებოდათ კავშირის მოქალაქის უფლებებისა და პრივილეგიების შეზღუდვა. 1870 წელს კონგრესმა მიიღო კონსტიტუციის მე-15 დამატება, რომლითაც საარჩევნო უფლებები ეძლეოდა ყველა მამაკაცს განურჩევლად რასობრივი კუთვნილებისა.

კონგრესში გრძელდებოდა კამათი ორ პოლიტიკურ მიმდინარეობას შორის სამხრეთთან დამოკიდებულების თაობაზე. უმრავლესობა ეკუთვნოდა რესპუბლიკური პარტიის მემარცხენე ფრთას; ისინი ჯონსონისა და მისი მომხრეების პოლიტიკის წინააღმდეგნი იყვნენ. 1868 წელს, როდესაც პრეზიდენტმა სამხედრო მინისტრის პოსტზე ლინკოლნის მიერ დანიშნული პირი შეცვალა, წარმომადგენლობითმა პალატამ დაადგინა ჯონსონის სასამართლოზე გადაცემა, მაგრამ სენატში განხილვისას ამ დადგენილების (იმპიჩმენტის)[50] განხორციელებას ერთი ხმა დააკლდა.

---

[49] კუ-კლუქს-კლანი – საიდუმლო რასისტული ტერორისტული ორგანიზაცია. შეიქმნა 1865 წელს ზანგებისა და მათი მოკავშირე თეთრკანიანების წინააღმდეგ საბრძოლველად. XIX ს. 70-იან წლებში ეს ორგანიზაცია აკრძალეს, მაგრამ იგი იატაკქვეშ მაინც აგრძელებდა საქმიანობას.

[50] ასე ეწოდებოდა ბილს, რომელიც გულისხმობდა თანამდებობრივი დანაშაულის გამო პრეზიდენტის სასამართლოზე გადაცემას. აშშ-ის კონსტიტუცია წარმომადგენელთა პალატას

ჯონსონის ვეტოს მიუხედავად, 1867 წ. კონგრესმა მიიღო სამხრეთის რეკონსტრუქციის გეგმა, რომლის მიხედვით ყოფილ ამბოხებულ შტატებში მყარდებოდა სამხედრო ადმინისტრაცია და სამხრეთი იყოფოდა ხუთ სამხედრო ოლქად; სამხედრო დიქტატურის გაუქმება შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შტატი მიიღებდა კონსტიტუციის მე-15 შესწორებას. სამხრეთში სამხედრო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის ბევრი იყო მემარცხენე რესპუბლიკელი, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებებს უწევდნენ ზანგებს, თუმცა მათ პლანტატორთა მიწების კონფისკაცია არ განახორციელეს. განიმტკიცა რა თავისი პოლიტიკური ბატონობა, ბურჟუაზიამ მალე დაივიწყა ზანგთა ინტერესები და დაიწყო მემარცხენე რესპუბლიკელების შევიწროვება. 1872 წ. პრეზიდენტ გრანტის დროს (1869-1877) სამხრეთში სამხედრო მმართველობა შესუსტდა და ყოფილ მეამბოხეებს მიეცათ პოლიტიკური უფლებები. 1877 წელს გამოიწვიეს ჯარები სამხრეთის შტატებიდან, რასაც მოჰყვა ზანგების მიმართ ტერორის განახლება.

სამოქალაქო ომში ჩრდილოეთის ბურჟუაზიის გამარჯვების შედეგად განვითარდა კაპიტალისტური მრეწველობა, ვაჭრობა და სარკინიგზო მშენებლობა, გაიზარდა პროლეტარიატის რიცხვი.

1866 წ. ბალტიმორში შედგა 13 შტატის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელზეც დაარსებულ იქნა „მუშათა ეროვნული კავშირი". მის თავმჯდომარედ აირჩიეს უილიამ სილვისი. 1870 წ. აშშ-ში მუშათა რიცხვმა 2 მლნ. გადააჭარბა. 60-იანი წლების ბოლოს ნიუ- იორკსა და სხვა ქალაქებში დაარსდა I ინტერნაციონალის სექციები.

სამოქალაქო ომში გამარჯვება ჩრდილოეთის ბურჟუაზიამ გამოიყენა ექსპანსიისათვის ჩინეთში, იაპონიაში, ალიასკაზე. 1867წ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მეფის მთავრობისაგან 7,2 მლნ.

---

აძლევს უფლებას აღძრას სასამართლოში საქმე იმპიჩმენტის წესით, სენატს „ი – მიიღოს გადაწყვეტილება დანაშაულის შემცველობის თაობაზე. აშშ-ის ისტორიაში იმპიჩმენტის გამოყენების ორი შემთხვევა იყო: პირველი – ენდრიუ ჯონსონის წინააღმდეგ, როდესაც პრეზიდენტმა სენატორის ერთი ხმის წყალობით შეინარჩუნა ძალაუფლება, მეორე – 1972 წელს, როდესაც რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა გადამდგარიყო პრეზიდენტის პოსტიდან. იმპიჩმენტის შესახებ საქმეს არჩევს მხოლოდ უმაღლესი ფედერალური სასამართლო.

დოლარად იყიდა ალიასკა ალეუტის კუნძულებითურთ. აშშ-ის ბურჟუაზია ცდილობდა, აგრეთვე, კანადაში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე და კორეაში შეღწევას.

**აშშ-ის მეორე რევოლუციის (სამოქალაქო ომის) მნიშვნელობა.** სამოქალაქო ომს აშშ-ში მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა. ჩრდილოეთის გამარჯვებამ აშშ-ს შეუნარჩუნა ეროვნული ერთიანობა. პოლიტიკური ძალაუფლება ქვეყანაში დაიმკვიდრა სამრეწველო ბურჟუაზიამ. პლანტატორებმა დაკარგეს პოლიტიკური ბატონობა სახელმწიფოში, რეკონსტრუქციის პერიოდში მათი პოლიტიკური პოზიციები დასუსტდა სამხრეთ შტატებშიც. სამოქალაქო ომის მთავარი სოციალური მონაპოვრები იყო მონობის გაუქმება და კანონი ჰომსტედების შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა დასავლეთის მიწების საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გადაწყვეტას. სამოქალაქო ომის შედეგად ქვეყანაში საბოლოოდ გაიმარჯვა ფერმერულმა მეურნეობამ. ომმა გზა გაუხსნა მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ განვითარებას.

მაგრამ სამოქალაქო ომში დემოკრატიული ძალების გამარჯვება არ იყო სრული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნები არ იყო დამთავრებული. მონათმფლობელებს ლატიფუნდიების ნაწილი ჩამოართვეს, მაგრამ ბევრმა მათგანმა მაინც შეინარჩუნა მსხვილი მამულები სამხრეთში. მონები უმიწოდ განთავისუფლდნენ, რაც ყოფილ მონათმფლობელებს მათი შემდგომი ექსპლუატაციისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა. პლანტატორების მიერ განხორციელებული ტერორის გამო, სამხრეთში ზანგებს არ მიეცა იმ პოლიტიკური უფლებებით სარგებლობის საშუალება, რომლებიც მათ ფორმალურად მიიღეს. ინდიელები ფაქტიურად უუფლებონი იყვნენ. ამგვარად, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია დაუმთავრებელი დარჩა.

# ქრონოლოგია

1813, 16-19 ოქტომბერი — ნაპოლეონის არმიის განადგურება ლაიფციგთან «ხალხთა ბრძოლაში».

1814, 31 მარტი — ანტიფრანგული კოალიციის ჯარების შესვლა პარიზში.

1814, 6 აპრილი — ნაპოლეონი გადადგა ტახტიდან. სენატმა საფრანგეთის მეფედ ლუი XVIII გამოაცხადა.

1814, 30 მაისი — მოკავშირე სახელმწიფოების (რუსეთი, ინგლისი, ავსტრია, პრუსია) პარიზის პირველი ზავი საფრანგეთთან.

1814, სექტემბერი — 1815, ივნისი — ვენის კონგრესი.

1814-1830 — ბურბონთა რესტავრაცია საფრანგეთში.

1815, 20 მარტი — 22 ივნისი — ნაპოლეონ I «ასი დღე».

1815, 18 ივნისი — ვატერლოოს ბრძოლა.

1815, 26 სექტემბერი — პარიზის აქტი რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიის შემადგენლობით საღვთო კავშირის (1815-1833) შექმნის შესახებ.

1815, 20 ნოემბერი — მოკავშირე სახელმწიფოების პარიზის მეორე ზავი საფრანგეთთან.

1815 — გერმანიის კავშირის შექმნა.

1816 — არგენტინის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1818 — საღვთო კავშირის პირველი კონგრესი აახენში.

1818 — ჩილეს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1818-1883 — კარლ მაქსი.

1820, იანვარი — რ.რიეგოს ხელმძღვანელობით აჯანყება ესპანეთში.

1820 — საღვთო კავშირის მეორე კონგრესი ტროპაუში (სილეზია).

1820-1823 — რევოლუცია ესპანეთსა და პორტუგალიაში.

1820-1895 — ფრიდრიხ ენგელსი.

1821 — საღვთო კავშირის მესამე კონგრესი ლაიბახში (ლიუბლიანა).

1821 — მექსიკისა და პერუს დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1821-1829 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუცია საბერძნეთში.

1822 — ბრაზილიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1822 — საღვთო კავშირის მეოთხე (უკანასკნელი) კონგრესი ვერონაში.

1823, 2 დეკემბერი — მონროს დოქტრინის გამოცხადება.

1824 — რესპუბლიკის გამოცხადება მექსიკაში.

1825-1864 — ფერდინანდ ლასალი.

1826-1900 — ვილფელმ ლიბკნესტი.

1828 — ურუგვაის დამოუკიდებლობის ცნობა.

1828 — დემოკრატიული პარტიის შექმნა აშშ-ი.

1830, 27-29 ივლისი — ივლისის რევოლუცია საფრანგეთში.

1830-1840 — ივლისის მონარქია საფრანგეთში.

1830, აგვისტო-სექტემბერი — რევოლუცია ბელგიაში.

1830, 4 ოქტომბერი — ბელგიის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1830, ნოემბერი —

1831, ოქტომბერი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება ვარშავაში.

1830 — საბერძნეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1831 — ჯ.მაძინის მიერ საიდუმლო ორგანიზაციის — «ახალგაზრდა იტალია» დაარსება.

1833-1840 — პირველი კარლისტური ომი ესპანეთში.

1834 — საზოგადოება «ახალგაზრდა გერმანიის» დაარსება.

1834-1843 — მესამე რევოლუცია ესპანეთში.

1836 — «სამართლიანთა კავშირის» შექმნა გერმანიაში.

1836-1837 — რევოლუცია პორტუგალიაში.

1836-1839 — ჩარტისტული მოძრაობის პირველი წარმატებები ინგლისში.

1840-1913 — ავგუსტ ბებელი.

1840-1842 — ჩარტისტული მოძრაობის მეორე აღმავლობა ინგლისში.

1844, ივნისი — ფეიქართა აჯანყება სილეზიაში.

1846-1848 — აშშ-ს ომი მექსიკასთან.

1847, ივნისი- 1852, ნოემბერი — კომუნისტთა კავშირი.

1847-1848 — ჩარტისტული მოძრაობის მესამე და უკანასკნელი აღმავლობა ინგლისში.

1848, იანვარი — 1849, აგვისტო — რევოლუცია იტალიაში.

1848, 22-24 თებერვალი,

23-26 ივნისი — სახალხო აჯანყებები პარიზში.

1848, 25 თებერვალი — რესპუბლიკის გამოცხადება საფრანგეთში (მეორე რესპუბლიკა. 1848, თებერვალი — 1852, დეკემბერი).

1848, 13-14 მარტი — სახალხო აჯანყება ვენაში.

1848, 18 მარტი — სახალხო აჯანყება ბერლინში.

1848, 18-22 მარტი — აჯანყება მილანსა («მილანის 5 დღე») და ვენეციაში.

1848, 20 მარტი — 9 მაისი — ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება პოზნანში.

1848, მარტი — რევოლუციის დაწყება ავსტრიაში, უნგრეთსა და ჩეხეთში.

1848, 23-26 ივნისი — პარიზის მუშების შეიარაღებული აჯანყება.

1848, 13-14 მარტი,

6 ოქტომბერი — 1 ნოემბერი — სახალხო აჯანყება ვენაში.

1849, თებერვალი — ივლისი — რომის რესპუბლიკა. ჯ.მაძინის ხელმძღვანელობით რევოლუციური მთავრობის შექმნა (29 მარტი).

1849, 14 აპრილი — უნგრეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება (1849 წ. აგვისტოში რევოლუციამ უნგრეთში მარცხი განიცადა).

1849, 3 ნოემბერი — კონტრრევოლუციური გადატრიალება პრუსიაში.

1850, 31 იანვარი — ანტიდემოკრატიული კონსტიტუციის მიღება პრუსიაში (მოქმედებდა 1918 წლამდე).

1851, 2 დეკემბერი — ლუი ბონაპარტის მიერ სახელმწიფო გადატრიალება.

1852, 2 დეკემბერი-

1870, 4 სექტემბერი — მეორე იმპერია საფრანგეთში.

1853-1856 — ყირიმის ომი. პარიზის ზავი.

1854 — რესპუბლიკური პარტიის შექმნა აშშ-ი.

1854-1856 — მეოთხე რევოლუცია ესპანეთში.

1857 — მსოფლიო პირველი ეკონომიკური კრიზისის დაწყება.

1858 — ოსტინდოეთის კომპანიის ლიკვიდაცია. ინდოეთის გამოცხადება ბრიტანეთის სამეფოს სამფლობელოდ.

1858 — საფრანგეთის მიერ ინდოჩინეთის კოლონიზაციის დასაწყისი.

1859, აპრილი-ივლისი — ავსტრია-იტალია — საფრანგეთის ომი. ვილაფრანკის ზავი.

1859, 4 ივნისი — მაჯენტასთან ბრძოლა.

1859, 24 ივნისი — სოლფერინოსთან ბრძოლა.

1859, 16 სექტემბერი — გერმანიის ეროვნული კავშირის შექმნა.

1859, ოქტომბერი — აჯანყება ჯ.ბრაუნის ხელმძღვანელობით აშშ-ი.

1859 — მოლდოვასა და ვლახეთის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება. გაერთიანებულმა სახელმწიფომ მიიღო რუმინეთის სახელწოდება (1861).

1860, მაისი — სექტემბერი — ჯ.გარიბალდის «ათასეულის» ექსპედიცია სიცილიაში.

1861, თებერვალი — ამერიკის სამხრეთი შტატების კონფედერაციის შექმნა.

1861, 17 მარტი- იტალიის სამეფოს შექმნა.

1861, ივნისი — პროგრესისტების პარტიის შექმნა გერმანიაში.

1861-1865 — აბრაამ ლინკოლნის პრეზიდენტობა.

1861-1865 — სამოქალაქო ომი აშშ-ში.

1862, 20 მაისი — კანონი ჰომსტედების შესახებ აშშ-ში.

1862, სექტემბერი — ო.ბისმარკის მოსვლა პრუსიის სახელმწიფოს სათავეში.

1862-1867 — საფრანგეთის ინტერვენცია მექსიკაში.

1863, 1 იანვარი — აქტი მონობის გაუქმების შესახებ აშშ-ს სამხრეთ შტატებში.

1863, თებერვალი — პრუსია-რუსეთის ერთობლივი კონვენცია პოლონეთში აჯანყების ერთობლივად ჩახშობის შესახებ.

1863, 23 მაისი — ფ.ლასალის ხელმძღვანელობით გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის დაარსება.

1863-1864 — ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყება პოლონეთში.

1864, 31 იანვარი — 30 ოქტომბერი — ავსტრიისა და პრუსიის ომი დანიის წინააღმდეგ.

1864, 28 სექტემბერი — მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის დამფუძნებელი კრება (I ინტერნაციონალი; მოქმედებდა 1876 წლამდე).

1864 — ჟენევის კონვენციის თანახმად შეიქმნა საერთაშორისო წითელი ჯვრის საზოგადოება.

1865-1877 — აშშ-ს სამხრეთის რეკონსტრუქცია.

1866, 16 ივნისი — 26 ივლისი — ავსტრია-პრუსიის ომი.

1866 — ატლანტის ოკეანეზე გაიყვანეს პირველი სატელეგრაფო ხაზი (აშშ-სა და ინგლისს შორის).

1867, 8 თებერვალი — ავსტრიის იმპერია გარდაიქმნა ავსტრია-უნგრეთის დუალისტურ მონარქიად.

1867, მარტი — ფენიების აჯანყება ირლანდიის სამხრეთ-აღმოსავლეთში.

1867, 2 მარტი — რუსეთმა მიყიდა აშშ-ს ალიასკა და ალეუტის კუნძულები.

1867 — შეიქმნა თვითმმართველი კანადის კონფედერაცია (ინგლისის პირველი დომინიონი).

1867 — პრუსიის ხელმძღვანელობით შეიქმნა ჩრდილო-გერმანიის კავშირი.

1868 — შეიქმნა ტრედუნიონების ბრიტანეთის კონგრესი.

1868-1874 — მეხუთე რევოლუცია ესპანეთში.

1869, აგვისტო — შეიქმნა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული (აიზენახელების) მუშათა პარტია.

1869 — გაიხსნა სუეცის არხი.

1870, 19 ივლისი — დაიწყო საფრანგეთ-გერმანიის ომი.

1870, 4 სექტემბერი — დაემხო მეორე იმპერია საფრანგეთში.

1871 — გერმანიის გაერთიანება და მისი გამოცხადება იმპერიად.

1871 — რომი შეუერთდა იტალიის სამეფოს. დამთავრდა იტალიის გაერთიანება.

გერმანიის ბუნდესტაგის პირველი სხდომა მაინის ფრანკფურტში. 1816.



კარლ ზანდის სიკვდილით დასჯა მანჰაიმში. 1820 წ. 20 მაისი.



კარლ დრაისი მის მიერ შექმნილი
თვითმგორავით. 1817.



თბომავალი "პრინცესა შარლოტა
პრუსიელი". 1816.

1832 წ. 27 მაისს ქ. პფალცში, ჰამბახის ციხის ნანგრევებთან, ჩატარდა სახალხო დემონსტრაცია. დემონსტრანტების შავი-წითელი-ყვითელი ფერის დროშები ქვეყნის გაერთიანების მოთხოვნის მაჩვენებელი იყო.



1830 წ. 8 სექტემბერი. ბრაუნშვაიგში აჯანყებული მოქალაქეები წვავენ ჰერცოგის სასახლეს.



Ansicht einer Eisenbahn mit Pferden.

რკინიგზა ცხენის გამწევი ძალით. XIX ს. დასაწყისი.



Ansicht einer Eisenbahn mit Dampfwagen.

ერთ-ერთი პირველი სარკინიგზო შემადგენლობა პრუსიაში



გ. სტეფენსონის
ორთქლმავალი. 1829.



ავგუსტ ბორზიგის მიერ 1843 წელს გამოშვებული ორთქლმავალი.

ფრიდრიხ ჰარკორტის ფაბრიკა (1834). მან პირველმა ააშენა ბრძმედის საკვამლე მილები ვერტიკალურად.

საფეიქრო მრეწველობაში ფართოდ გამოიყენებოდა მცირეწლოვან ბავშვთა შრომა.

მუშაობით დაღლილ ბავშვს გაკვეთილზე ძინავს.

მიწის მუშა, 1850.

კარიკატურა 1848 წლის მარტში
მეტერნიხის გაქცევის შესახებ.



იერიში პარიზის რატუშაზე. 1848 წ. თებერვალი

ბარიკადები პარიზში 1848 წ. ივნისის აჯანყების დროს.

ვენაში 1848 წლის 26 მაისის აჯანყებაში ქალებიც მონაწილეობდნენ.

ლაიოშ კოშუტი (1802-1894)

„თავისუფლება“. ე. დელაკრუას სიმბოლური სურათი. 1830 წ.



ფრიდრიხ ვილჰელმ IV ბერლინში გერმანელებს ერთიანობისაკენ მოუწოდებს. 1848 წ. მარტი.

# შინაარსი


შესავალი ..... 3
თავი I. ვენის კონგრესი და „საღვთო კავშირი“ ..... 9
საღვთო კავშირი ..... 24
თავი II. ინგლისი 1815-1870 წლებში ..... 30
თავი III. საფრანგეთი 1815-1870 წლებში ..... 56
თავი IV. ავსტრია 1815-1867 წწ. ..... 88
თავი V. გერმანული სახელმწიფოები 1815-1848 წლებში ..... 107
თავი VI. 1848-1849 წწ. რევოლუციები საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიასა და ავსტრიაში ..... 125
თავი VII. აღმოსავლეთის საკითხი“ 50-60-იან წლებში ..... 146
თავი VIII. იტალიის გაერთიანება ..... 157
თავი IX. გერმანიის გაერთიანება ..... 176
თავი X. ესპანეთი 1815-1868 წლებში ..... 199
თავი XI. განმათავისუფლებელი ომები და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შექმნა ლათინურ ამერიკაში ..... 215
თავი XII. ლათინური ამერიკა დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომების შემდეგ ..... 239
თავი XIII. ამერიკის შეერთებული შტატები 1815-1860 წლებში ..... 252
თავი XIV. სამოქალაქო ომი და რეკონსტრუქცია ამერიკის შეერთებულ შტატებში ..... 272
ქრონოლოგია ..... 283
დანართი ..... 288


---


გამომცემლობის რედაქტორი მ. ჩიკვილაძე
ტექ. რედაქტორი ი. ნავროზაშვილი
კორექტორი მ. კილაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.04.06
საბეჭდი ქაღალდი 60X84, 1/16
ნაბეჭდი თაბახი 18,5 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო